

האינסי

8561

7

1978

სესე

254

გამომცემის მართვა წელი

7

ივლისი

1978

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



შ ი ნ ა ა რ ს ი

VIII კლენუმის შუქვა

- 3. ოთარ ლომიძე — დისციპლინა შაირკვილის ქმ-ვლისა
- პროზა, კომედია
- 6. კოლაუ ნადირაძე — შიახე ხელი. ლექსი
- 7. ხადრი მოხონელიძე — თანამგზავრი. მოთხრობა
- 20. მარი აბრამიშვილი — ლექსები
- 21. ჯარჯი ფსოველი — ლექსები
- 23. ავთანდილ ბალდავაძე — სიცოცხლე სავსია სი-კეთით. მოთხრობა
- 59. ვაჟა შუბუნიძე — ლექსები
- 60. დოდო გვირგვინი — ლექსები
- 61. რამინ ამონაშვილი — ლექსები
- 63. ბაბაღურ ბალარჯიშვილი — ლექსები
- 65. რევაზ დანელია — ლექსები
- 68. ჯემალ თოფურაძე — მოთხრობები
- ახალი თარგმანები
- 102. ევგენი ევბუშენკო — ლექსები. თარგმნა ვია მარ-ველაშვილმა
- კრიტიკა
- 105. ალექსანდრე კუთათელაძე — მოსაზრებანი ჭა-რთული საბჭოთა ენციკლოპედიის კირველ ორ ტომში წარმოღბენილ ჯოგბიერთ ჯოგობამეცაჲრ და ჯოგოლოგიურ ტერმინებ
- 115. თენგიზ ბიორბაძე — რეცენზია თუ პასკვილი? პუბლიცისტობა
- 120. შურმან ჯგუზურია — შგვინიერი, შგვინიერისი, შუმშვინიერისი...
- 130. ნოღარ პაპაბაძე — საპარტეველოსა და ქართუ-ლი ლიტერატურის უახლესი რეცენზია გერმან-იის დემოკრატიულ რესპუბლიკაში
- ხელმოწევა
- 139. ქათევეან კინწურაშვილი — ლეგან ცუცკირიძე — წიგნის ილუსტრატორი
- პროგნოზები
- 143. ნუგზარ რუსაძე — ნავთობის საფრთხე
- პირველი შთაბეჭდილება
- 147. რევაზ კაცაძე — ეგროპიეში ქართულ ლიტერატურაში
- 148. რეზო გორდამე — ანთეპული კელაბერები
- 149. რევაზ ჩხატორიშვილი — ეგენ დავითაძე: კლე-ვაჲ უკუნისა
- 150. გიორგი მახუტაძე — მრავლისაღმთქმელი და-საწყისი
- 151. ამირან აბაბული — „ბაჰმეთ გუგუეში მყიფის უქველისს“
- სკორტი
- 152. ცოტა რამ დოდოფლიების ბაგო
- სატირა, იუმორი, პაროდია
- 156. ბათუ მელია — ულტრანინტიშური ინტერვიუ
- 159. კულტურული ცხოვრების პრონობა

მთავარი რედაქტორი ბურახ ფანჯიკიძე

ნარედაქციო კოლეგია:
 ვაჟა ამირაჯიბი,
 ბურახ გვირგვინელი,
 გივი გეგეჭკორი,
 რისვაჲ გორდემიანი,
 გიორგი გუგულია,
 ნოდარ დუშაბაძე,
 მერაბ ელითიშვილი,
 მდურად ვენახაძე,
 იოსებ მარჯონიძე,
 ოტიპ გაჭკორია
 (მთ. რედაქტორის
 მოადგილთ.
 ჯანსუღ ჩარაბიაძე,
 ნუგზარ წერეთელი,
 ტარიელ ბანტუჩია,
 რეზო ბერიშვილი.



ოთარ ლომიძე,
მეფოლადე, სოციალისტური
შრომის გმირი

დისციპლინა უპირველეს ყოვლისა

როდესაც ჟურნალმა „ცასკარმა“ მოხოვა, შრომითი დისციპლინის განმტკიცების საკითხზე სტატია დამეწერა, ცოტა შევეკრთი კიდეც. ერთია, როცა მარტენის ღუმელთან ვდგავარ და ჩემს მეგობარ მეფოლადეებთან ერთად აღუდებულ ლითონს ვეჭიდები, ერთია, როცა იმ უბანზე ვცდილობ აბსოლუტური დისციპლინის განმტკიცებას, რომელსაც თვითონ ვცემდვარდეთ. მეორეა, როცა სტატიას წერ, როცა რესპუბლიკის მშრომელებს დისციპლინისაკენ მოუწოდებ. რამდენად გაქვს ამის უფლება? რამდენად დაიმსახურე იგი?

გადავწყვიტე, მეგობარ მეფოლადეებს მოვლაპარაკებოდი, ასევე გავუხარე ჩემი ფიქრები მარტენის საამქროს უფროსს გურამ ქაშაყაშვილს. ასე რომ, რასაც აქ ვწერ, ეს ჩემი მეგობრების ნაფიქრია. ეს საქართველოს მუშათა კლასის ყველა დირსებული წარმომადგენლის ნაფიქრიც იქნება.

ამ სტატიის დაწერა კიდეც ერთმა ამბავმა გამაბედინა: ხომ ჩვენი მშობლიური რუსთავისა და რუსთაველი მშრომელების დევიზია — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვეს გვერდით!“ იმასაც მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს მოწოდება, პირველი დღიდანვე რომ აიტაცა მთელმა რესპუბლიკამ, სხვათა შორის არ თქმულა. მთელი ჩვენი ქალაქი იბრძვის ნაყისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

კომუნისმის მშენებლობის ეპოქის მანიფესტას — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტრუქციის მიღებისას 1977 წლის 7 ოქტომბერს, სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიანზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი საბოლოო სიტყვაში ამბობს: „საბჭოთა მოქალაქეების სოციალურ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლება, ჩვენი კანონმდებლობას შემდგომი განვითარება და განახლება ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს ხელისუფლების ყველა ორგანოს. ამიტომ საჭიროა ყველა ჩვენმა სახელმწიფო ორგანომ — ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, ყველა სამინისტრომ და უწყებამ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მუშაობის სტილი და მეთოდები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სახელმწიფო აპარატის თითოეული რგოლის, თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობისა და ინიციატივის ამაღლებას, საგვემო ფინანსიური და საერთოდ სახელმწიფო დისციპლინის უმკაცრეს დაცვას, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისადმი, მათი საჭიროებებისა და საზრუნავისადმი უფრო გულსისხმიერ დამოკიდებულებას“.



ახლა ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველ კუთხეში დიდი შემატებით მიბიჯებს მეთავე ხუთწლედის მესამე წელი, რომლის მთავარი მიმართულებებია სანდერულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით. ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჯნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში დასახული ამოცანების სახით მოგვეცა უტყუარი სამოქმედო პროგრამა, ხოლო ამ პლენუმიდან გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა კიდევ უფრო დააკონკრეტა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით და დროულად განხორციელებისათვის რესპუბლიკას ამოცანები.

დეკემბრის ისტორიული პლენუმის იდეების ხორცშესხმისათვის დიდა შემოქმედებითი და პოლიტიკურა აღმავლობა გამოიწვია მეტად მნიშვნელოვანმა ისტორიულმა დოკუმენტმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა 1978 წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ. ყველა ეს ისეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია, რომელთა დებულებებით უნდა ვინებდნენ თითოეულმა ჩვენთაგანმა ყოველდღიურ საქმიანობაში. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ერთსულოვნება გამოჩნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მასალების განხილვისას. პლენუმმა ჩვენს ხალხს, თითოეულ კოლექტივს, თითოეულ ჩვენთაგანს ამოცანად დაუსახა კიდევ უფრო მკვეთრად, პრინციპულად გაიშალოს ლაშქრობა დისციპლინის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ყველგან, ყველა უბანზე.

ამასთან დაკავშირებით პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე მოხსენებაში აღნიშნავს: „ჩვენ, ამხანაგებო, ასე დაწვრილებით კადრების დენადობისა და შრომითი რესურსების ყველაზე სრული და რაციონალური გამოყენების პრობლემებს იმიტომ შევეხეთ, რომ ეს მიგვაჩინა აგრეთვე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ერთ-ერთ უდიდეს რეზერვად.

ეს პრობლემები ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება მეორე დიდმნიშვნელოვან ამოცანას — დისციპლინის, უწინარეს ყოვლისა, შრომის დისციპლინის ყველგან განმტკიცებას.

ახლა ეს ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. იგი მთელი თავისი მასშტაბით დაისვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, დიდი ყურადღება დაუთმო მას თავის გამოსვლაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჯნევმა. რომელმაც თქვა, რომ ყველა დონეზე დისციპლინის — შრომის დისციპლინის, ტექნოლოგიური დისციპლინის, საგემო დისციპლინის — განმტკიცებისათვის საბრძოლველად უნდა დავრახმოთ მთელი პარტია, ყველა პატიოსანი მშრომელი“.

ლაპარაკობს რა რესპუბლიკაში სახელმწიფო, პარტიული და შრომითი დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე, ამხ. ე. ა. შევარდნაძე აღნიშნავს: „მოგესხენებათ, რომ დისციპლინისა და მისი ყველა გამოვლინების, ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხები უკანასკნელი წლების მანძილზე მუდამ იდგა ჩვენი რესპუბლიკის პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. თუ თვალს გავადევნებთ მთელ ჩვენს საქმიანობას ამ მიმართულებით ეტაპობრივად, მაშინ დავინახავთ, რომ 1972 წელს — ეს იყო ელმავალსაშენებელი და საავიაციო ქარხნების შრომითი კოლექტივების, სოფლების ტყვიავისა და ხუცუნის მშრომელების თაოსნობა, რომელიც ხებოდა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სანიმუ-



შო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონათების გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, რომელზეც ჩვენ მოვიწონეთ. 1973 წელს — ეს იყო მუშათა კადრების დენადობის შემცირებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებანი. 1976 წელს — რუსთაველთა ინიციატივა „არც ერთი ჩამორჩენილი და უღისცაობის ჩვენს გვერდით!“

ეს მოწოდება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში იშვა და ჩვენთვის საამყოა, რომ მან რესპუბლიკის მასშტაბით ასეთი რეზონანსი ჰპოვა და საყოველთაო-სახალხო მოძრაობად იქცა. ჩვენ, რუსთაველი მეტალურგები სიამაყის გრძნობით ვართ აღვსილნი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე ჩვენს მუშაობას დადებითი შეფასება მისცეს. ეს ხომ თითოეულ ჩვენთაგანს ძალიან ბევრს გვავალებს და რუსთაველი კომუნისტები ვალდებულნი ვართ ჩვენი ინიციატივა საქმით კიდევ უფრო განვამტკიცოთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებს ბეჭითი კაცის გარჯას და შრომით თავდადებას. საბჭოთა კავშირის 1977 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადის ბრიგადირი გივი კენვიშვილი, პირადად მე ამ წელს მივიღე სოციალისტური შრომის გმირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება. ამ დიდ წარმატებებს, უპირველეს ყოვლისა, მივადწეო სამემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებით. სამემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება კი თავისთავად გულისხმობს უკლებლივ ყველა რეზერვის ამოქმედებას, ყველა შესაძლებლობის გამოყენებას დასახული მიზნის მისაღწევად. ჩვენი ბრიგადის ვალდებულება 1978 წლისათვის ის არის, რომ მხოლოდ შეკვეთით და უმაღლესი ხარისხის ფოლადი გამოვუშვათ.

ამჟამად რესპუბლიკაში ყველგან და ყველაფერში წესრიგისა და დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობს. ამ ბრძოლის ახალი კონკრეტული პროგრამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა დაგვისახა. საჭიროა ამ პროგრამის სახელმძღვანელოდ გამოყენება და მისი განუხრელად შესრულება. ყველგან უნდა დაიწყოს დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამბლები ახალი ეტაპი, რაც ყველას საშუალებას მისცემს ვიშრომოთ ისე, როგორც ამას პარტია და მთავრობა მოგვიწოდებს.

ჩემი ეს მცირე მოცულობის წერილი მსურს დავამთავრო ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვებით, რომელიც მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე 1977 წლის 27 დეკემბერს საბოლოო სიტყვაში წარმოთქვა: „დაე, დღევანდელი ჩვენი საუბარი დისციპლინის განმტკიცებისა და ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში ორგანიზებულობის ამბლების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ იყოს სურვილი, რომ ძველ წელს დავუტოვოთ ყოველივე დრომოკმული, ყოველივე მანე ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, ყველა ნეგატიური მოვლენა — ჩვენი ყველაზე დიდი სენი, მძიმე, საშიში დაავადებაა. მას მოდიო, ვუსურვოთ ახალი, უფრო მეტი სახელოვანი წარმატებანი ქართველ ხალხს, საქართველოს ყველა მშრომელს, შემდგომი აყვავება ჩვენს რესპუბლიკას, მისი პრესტიჟის განმტკიცება, ავტორიტეტის ამბლება, ვუსურვოთ, მოეშორებინოს ყველაფერი, რაც ჩრდილს აყენებს მის კეთილ სახელს“.



შახა ხელი

ძღვნად ჩვენს ახალგაზრდობას

მოდით და, როგორც ურწმუნო თომამ,
შეახე ხელი ამ ღრმა იარებს!
დარწმუნდი, დაჰგმე ეგ უნდობლობა
და ცეცხლით ცეცხლი გამიზიარე!

გამიზიარე, რომ კვალად ისევ
მთელი ფესვებით აინგრეს გული.
სისხლით, ცრემლებით თასი ამივსე,
შემასვი — ეგებ დამიცხრეს წყლული!

ეგებ ხელახლა გადმექცეს ლხენად
მერცხლებით მოსვლა დღის მაისისა,
მწუსრის ჟამს ტყიდან შაშვების სტვენა
და მოხდილ ქვევრთან ჯამი ღვინისა!

რომ მთელ არსებით შევიგრძნო კაცი —
ღირსად წოდების ადამიანის,
ჰქონდეს მას ძალა სინდისის დაცვის,
იყოს ქველი და იყოს სვიანი!

ღმერთო, ნუთუ ეს ძნელია მეტად —
არ გჭირდებოდეს დახრა თვალების,

გახსნილი შუბლით იარე ქვეყნად,
ფართოდ გაშლილი გქონდეს მკლავები?!


შემასვი! ეგებ შემერგოს შხამიც!
შხამით ხომ ზოგჯერ ჰკურნავენ ტკივილს!
ეგებ შეამოს დაღუპვის წამი,
მადლობა ვუთხრა სიცოცხლეს განვლილს!

ვუთხრა მადლობა, რადგან დიდ წყურვილს
მიკლავდა იგი ჟამს უბედობის.
მირონს ასხამდა უწმინდეს სურვილს,
ჩემში რომ გაჩნდა და არ კვდებოდა!..

ო, ეგებ ისევ გადმექცეს ლხენად
მერცხლებით მოსვლა დღის მაისისა!
მწუსრის ჟამს ტყიდან შაშვების სტვენა
და მოხდილ ქვევრთან ჯამი ღვინისა!

მოდით და, როგორც ურწმუნო თომამ,
შეახე ხელი ამ ღრმა იარებს!
დარწმუნდი, დაჰგმე ეგ უნდობლობა
და ცეცხლით ცეცხლი გამიზიარე!





მზმ მთელი გზა ავტობუსს მიჰყვებოდა. სვეტად დაშვებული გარკვეულ ადგილებს ანათებდა. ამოწვევრვისთანავე მეორე რიგში ფანჯარასთან მჯდომ ლევანს დაადგა სხივი, ეს ნათელი, ადგილ-უცვლელი ციმციმი არავისთვის გახდებოდა შესამჩნევი, თუ არა ლევანის ჭადარა, თოვლივით ქაქათა თმა. მისი პეწიანი ჩაცმულობაც უცებ ვახდა თვალში საცემი. ხელებიც კი, ხელები — სრულიად შეუფერებელი პატრონისათვის, გრძელი და ნაზი თათები უფრო მოზარდისას წააგავდა.

ლევანის წინ ახალგაზრდა წყვილი იჯდა. ავტობუსის დაძვრისთანავე თითქოს ერთ მთლიანობად იქცა — ჯერ ქალმა მიადო მკერდზე თავი და ჩასთვლიმა, მერე იჩურჩულეს. ყველაფერზე დიმილი ეფინებოდათ, ყველაფერზე — კითხვასა თუ პასუხზე. ცოტა ხანში ვაჟმა ჩაიძინა. შეიძლება, არც ეძინა, თვალები კი ჰქონდა მილულული და ასე ბრმასავით მოხვია ქალს ხელი. ავტობუსი შეინჯღრა, შეინჯღრა ღონივრად. ახალგაზრდებს თავები ერთმანეთისთვის მიედოთ და უცებ ორივემ შუბლზე დიმილით მოისვა ხელი. მერე მსგავსი და ერთდროული მოძრაობით მოუსინჯეს ერთმანეთს მირტყმული ად-

გილები. მათ არ შეუმჩნევიათ ჭადარა თანამგზავრი.

თითქოს ლევანს კეფასთან უჩხვლიტესო, თავი ისე ნაკბენივით შემოაბრუნა. ქერა, ჩაკურატებული დედაკაცი დაჟინებით უმზერდა. ქალმა უცებ შეათვალიერა ლევანის ახალგაზრდა სახე, ნატიფი ნაკვთები. რაღაც წამის განმავლობაში ჯერ ჭადარას, მერე სახეს, ბოლოს კი ხელებს რიგრიგობით შეაყინა მზერა და ერთხანს გაკვირვებულმა უყურა.

მართალია, კაცი მალე შებრუნდა ფანჯრისკენ და ცხვრით სავსე გზას დაუწყო ცქერა, მაგრამ ისევ გრძნობდა მზერას და ეს არ აძლევდა მოშვების უფლებას.

მგზავრთა უმეტესობა მშვიდად, აუფორიაქებლად მოკალათებულიყო. ეტყობოდათ, წინ დიდი გზა ედოთ და ჯერ ერთმანეთში საუბრის დაწყებაც არ ჩაეთვალათ საჭიროდ.

ცხვრის ფარა ვიღაცამ გააპო. თითქოს გაიჭრა, გაისერა სითეთრე. მომავალი ზორბა კაცი ავტობუსს ხელს უქნევდა, ყვიროდა, მაგრამ პეტელში არაფერი ისმოდა. ისედაც ნელა მოძრავეს მანქანამ სვლას უკლო და მძღოლმა კარი გააღო. კაცმა ავტობუსსა და

მას შორის გაჩხერილ ცხვარს ცალი ფეხი გადმოალაჯა, მეორე კი უკან მოუხედავად ჩააზილა.

— ხელი მომაწოდე, ბიჭო! — შეუძახა მძლოლს და რის ვაი-ვაგლახით მანქანაში ამოიზღაზნა.

— სად მოასწარი? — მოწინებანარევი ღიმილით შეეკითხა მძლოლი.

ახლად ამოსულმა არაფერი უპასუხა, ჩაიცინა. ყველას გასაცორად ასე ფეხზე მდგომმა თავი ჩაქინდრა და თვალდახუჭული გაყუჩდა. ლევანმა ახალგაზრდა წყვილზე გადაიტანა მზერა. მათმა მოუთრიდებელმა ალერსმა ერთი პირობა ყველა მგზავრი გააღიზიანა. მერე კი წელნელა გაუჩნდათ ღიმილი და ასე თუ გახედავდნენ ხოლმე. ლევანს ბევრჯერ საკუთარი სიძე-ქალიშვილის შემხედვარეს უგრძვნია უხერხულობა. კაცი ამას ყველაფერს შვილის და საერთოდ ოჯახის დიდ სიყვარულს აბრალებდა. ყველანაირად ცდილობდა თავის გამტყუნებას. იმდენად ცდილობდა, რომ ცოლთანაც ხშირად უჩივლია, ისეთებს ვფიქრობ, ისეთებს, რომ თვითონ მრცხვენიაო.

— ბევრი რამე არ გაიფიქრება და მით უმეტეს, არც იტქმება, — ამშვადებდა ცოლი. მერე (და არა მარტო ამ პასუხზე) თავისებურად იღიმიებოდა: — ნუ გგონია, შენნაირად არავის უყვარს ცოლ-შვილი. ყველაფერს ამ სიყვარულს ნუ აბრალებ, — მიახლოებულ შუბლზე მიუყაკუნებდა თითს და ჰკითხავდა, — გესმის?... შეიგნე?

ქალის მშვიდ დარიგებებსა თუ შეკითხვებში ლევანი გრძნობდა დიდ მღელვარებას, შეურაცხყოფილი დედის ტკივილს. იცოდა, რომ ორივე — ისიცა და მეუღლეც გაოცებულები, სიბრაზემდე მისული, გაოგნებულები მხოლოდ ერთით იყვნენ, როგორ გაბედა (გაბედვა კიდევ არაფერი), როგორ დაუმალა მშობლებს ჩვიდმეტი წლის გოგომ ეს ყველაფერი ან თვითონ როგორ გამორჩათ შვილის გატაცება, სიყვარული. ლევანის მეუღლე ისე გარდაიცვალა, რომ სიძეს არ დალაპარაკე-

ბია. ეს ორიოდ თვის წინ მოხდა და კაცი ჯერ კიდევ არ იყო შეგუებული მარტოობას, ბოლომდე არც კი სტეროდა ყოველივე.

აეტობუსში ჰაერი ჩაიხუთა. ლევანის წინ მჯდომმა ახალგაზრდა ქალმა სქელი ყაყეტი გაიძრო და სახურვეზე გადადო, ცოტა ხანში ჩასრიალდა ნაქსოვი და ლევანს მუხლებზე გადაეფინა. კაცმა ფრთხილად აიღო. ხელი გაუთბა, მერე უცებ მზერა განათებული იატაკისკენ გაექცა და გაღიმებული დააკვირდა მოქანავე საწოვარას. აეტობუსს მხარი შეეცვალა და ახლა მზის სხივი ქუჭრუტანიდან ატალახებულ იატაკს ეცემოდა. იატაკზე კი ერთი ბოლოთი დალურსმულივით აქეთ-იქეთ ირწვოდა ბავშვის ვარდისფერი საწოვარა. შეიძლება სხვა დროს არა, მაგრამ ახლა, როცა ლევანი შვილიშვილს ელოდა, კინაღამ ცრემლი მოერიო ამის შემხედვარეს. რაღაც მშრალი მოაწვა ყელში და ისევ მოუშორებელი დარდი, მისთვის გამოუსწორებელი მომავლის შეგრძნება ეტკინა, ეტკინა ის, რომ შვილიშვილს და აწი ყველაფერს, ყველაფერს უმისოდ უნდა შესხედეს. კაცმა იგრძნო, როგორ დაუსველდა დაწვები და დიდად დაიძახა, რომ არ ატირებულისყო. მერე ხელში შერჩენილი ყაყეტი წინ მჯდომ ქალს მიაწოდა, გადმოვივარდათ, გოგონაო. ქალმა გაღიმებულმა გამოხედა. ეს ღიმილი ჯერ კიდევ ვაჟს ეკუთვნოდა, გამოყოლილი იყო და უცებ იცვალა ფორმა, სხვანაირი, მადლობის მთქმელი გახდა. ქერა ქალი ახლა ახალგაზრდას უყურებდა. ლევანმა შენიშნა და თვალცრემლიანს კინაღამ გაედღიმა... იმდენად ფავეისად ჩათვალა ქერამ მზერით შეჭმული კაცი, რომ თავს ეჭვიანობის უფლება მისცა. ახალგაზრდა ქალმაც იგრძნო ეს გამოწვევა. თითქოს წამით გაუსწორა კიდევ თვალი, მაგრამ უცებვე შებრუნდა შემკრთალი.

— ჩვენებურო! — ბუბუნა ხმა მოისმა წინიდან. ფეხზე მდგომი, მძინარე კაცი ბუბუბუტებდა, — ჩვენებურო! — მძლოლს ჯიქურ მიაშტერდა, — შენ გე-



უბნები... კიდევ გაწუხებს ყურის ტკივილი?

მძლოლი უხერხულად იღიმებოდა — ჰოო, — ისე თქვა კაცმა, რომ ყველა სმენად იქცა, — ერთ ყურში რომ შეუშვებ და მეორედან გაუშვებ, თანაც ხშირად, აი ამან იცის ყურის ტკივილი.

კაცმა როყიოდ გადაიხარხარა. თან მგზავრებს მოავლო თვალი. წინ მჯდომ ვაჟზე შეჩერდა, — შენ რად არ იცინი, ძმისწულო, არ გეცინება?... თუ ეგ ლამაზი გოგო გეყოფა?! შენა კიდევ — ახლა ქალს მიმართავდა — შენა გგონია, ბედნიერი იქნები?... ცოტაცა, ცოტაცა და... ეს კარგი ჩაცმული ვაჟი ჩანს, ფულიც ექნება. სახლს იყიდის, შეეშინდება და სხვაზე გააფორმებს, მერე კიდევ მანქანას იყიდის, ამისიც შეეშინდება და სულ სხვაზე გააფორმებს... ერთი შენ ეყოლები საკუთარ გვარზე გაფორმებული და არ ეყვარები, უბედურება არაა, კაცო? — ისევ ჩაჰკიდა თავი, თვალები მილულა და ჩაიბუტბუტა: — ცოტაცა, ცოტაცა და...

ფეხზე მდგომმა მგზავრმა კი ჩაიძინა, მაგრამ ახალგაზრდა ქალი აფორიქდა, ახლა მან დაიწყო აქეთ-იქეთ ყურება და იკითხა, — რა უნდა ამ კაცს? — მერე ვაჟს მიუბრუნდა, — რა უნდა?

— მოეშვი ერთი, მთვრალია, — უჩუბრჩულა ვაჟმა.

ლევანი ამ წყვილის შემყურე სიძე-ქალიშვილზე ფიქრობდა. მეუღლის საკვდილის შემდეგ სიძეს სთხოვა, ჩემთან გადმოდიოთ. ან კი რა ჰქონდა სამდღარავი. ორი დღის წინათ შუშაბანდში წამოწოლილ ლევანს მანქანის მკვეთრად დამუხრუჭების ხმა მოესმა, გადაიხედა და დაინახა, სიძე უკუსვლით აყენებდა მანქანას. მაშინ იყო, რომ დაინტერესდა მისი წლოვანებით და შერცხვა კაცს. მხოლოდ ის იცოდა, რომ სიძე ჯერ ოცისაც არ შესრულებულიყო. ლევანი ხედავდა, როგორ კაცობდნენ მისი სიძის ტოლი ბიჭები, რა გულისტ-

კივილით ტიროდნენ უბედურად ღუპულ ტოლ-მეგობრებს. საფლავებზე ხშირი სიარული და სუფრებზე გაუთავებელი მოგონებები მხოლოდ ასაკის ლამაზი პოზა იყო და სხვა არაფერი. მეუღლის დაკრძალვის დღეს და წინა ხანებშიც გრძობდა ამ ჯერ კიდევ ბავშვების ერთმანეთის დახმარების უნარსა და სურვილს. ხოლო როცა ერთხელ სიძე ძალზე დაღლილი დაბრუნდა და ქალიშვილმა უთხრა, სასაფლაოზე ყველაფერი გაუმზადებიათო, ლევანი სწრაფად გაეარდა და ალბათ ყველაზე გულამოსკვნით მაშინ იტირა ცოლი, ნეტავ გაგეცნო, რა ოქრო ბიჭიაო. გასაოცრად ემუშავათ ბიჭებს, მარტო ამდენი ბეტონის ჩასხმა დალიდა, დაქანცავდა კაცს. მაშინ იყო, რომ პირველად მიმართა ლევანმა მიცვალებულ მეუღლეს, შენი სახელის ჭირნიეო და მერე ამ სიტყვების გარეშე არც რაიმე მოგონება და არც მეუღლის სახე არ გაუფლვებდა.

სწორედ ორი დღის წინ მოუტანა სიძემ სანატორიუმის საგზური. ახლა თქვენთვის დასვენება აუცილებელიაო, თქვა ბიჭმა. მერე კიდევ ბევრი უმტკიცა, ბევრი ელაპარაკა. მთავარი ყველა არგუმენტში, ყველა წინადადებაში კი მაინც ეს იყო — დასვენების აუცილებლობა. ქალიშვილიც შემოვიდა და ისიც რაღაცას უხსნიდა. გოგოს მუცელი წამოხრდოდა. ლევანი არ უგდებდა ყურს, ღიმილით უყურებდა მუცელზე და ფიქრობდა: ნუთუ ეს ის პატარა, ვარდისფერი გოგონაა, სწორედ ის, ძილის წინ რომ მკერდზე აეკრებოდა მამას და თითქოს სულ დაპატარავებული, ზედ გულზე იყო მიტმასნილი. ლევანი ხშირად, ძალიან ხშირად ცდილობდა დაემახსოვრებინა ის დღე, ის საათი, წუთიც კი, როცა ისე ჰყავდა ჩაკრული პირმშო და ცრემლმობჯენილი უკოცნიდა თბილ კისერს. ქალიშვილი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობ-

ბაღრი ზოხოწელიძე
თანამგზავრი



და. მისი სიტყვები აშკარად ქმარსაც მოსწონდა, კვერის დაკვრით ისე ხშირად უქნევდა თავს. ლევანს გაეღიმა და წამოდგა.

— რა ხნის გგონივართ თქვენ მე?..

მერე შვილს მუცელზე ხელი ნახა: შეახო და იგივე ხელი სიძეს ლოყაზე მოუთათუნა, — წავალ, რამდენიმე დღეში წავალ.

— უთხარი, ფრთხილად ატაროს მანქანა, — წამოსვლისას დაუბარა ქალი-შვილს, — ჩემგან ეწყინება და შენ უთხარი.

ისევ საწოვარასაკენ გაიხედა ლევანმა. მზით განათებულ ადგილზე სიცარიელე დახვდა, თვალმა მაინც მოიძია იქვე ახლოს უმოძრაო საწოვარა. ავტობუსი გაჩერებულიყო, დაცლილიყო. მოზრდილი სოფლის მოედანზე გამოფენილიყვნენ მგზავრები და პატარა დახლებთან ვაჭრობდნენ. ლევანიც ჩავიდა.

მზე მოედანს თავზე დასდგომოდა. ოდნავ სუსხს კიდევ უფრო არბილებდა და აჭახჭახებდა. ლევანმა ხელები მოიფშვინა. ეს ცინცხალი, ბრდღვალა სითბო მთელს სხეულს მოედო და კაცს მზეს მიშვერილ სახეზე ისე სასიამოვნოდ გაუთბა ლოყა, თითქოს ალერსიანი ხელი შეახესო. ლევანმა ქვედა ტუჩზე აკბინა, რამდენი ხანი იყო ეს შეხება, ლოყაზე ხელის შეხება აღარ უგრძენია. არადა, პატარა ბავშვივით ვერც იძინებდა, თუ მეუღლის ხელს არ გრძნობდა. ლევანს ნიკაბი აუკანკალდა და ტირილი ყელში მოუბჯენლად იქცა ცრემლებად. რამდენ ხანს იდგა, არ იცოდა, როცა გამოფხიზლდა, მაშინ შენიშნა, ირგვლივ მყოფნი გაოცებული შესცქეროდნენ მოედანზე დაყუდებულ მტირალ, ჭაღარა კაცს, მათ შორის ახალგაზრდა ქალიც. და კი იფიქრა მომეჩვენაო, მაგრამ მის თვალზეც შენიშნა ცრემლი, თუ ცრემლივით აციმციმებული სევდა. მერე დაბნეულმა ისევ მიმოიხედა. სათვალე ამოიღო, გაიკეთა, მოიძრო, ცხვირსახოციტ გაწმინდა და

მზეს გახედა. არ იცოდა, რატომ იქცემოდა ასე. მხოლოდ უხერხულთაგან გრძნობდა და ამას ერიდებოდა. ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და გააბიჯა. იქვე ახლოს ორი კნუტი თბებოდა — თეთრი და შავი. შავს დასწვდა და აიყვანა, მოფერა ფაფუკ ბეწვზე. მკვეთრმა, გრძელმა ჩრდილმა შესამჩნევად მოიარა მოედანი, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და კაცი შებრუნდა. მაღალი ბიჭი ცალ ფეხს ზემოთ სწევდა და ტანმორჩილს თავზე ატარებდა. ამას ისე მონდომებით აკეთებდა, ლევანმა იგრძნო, ვიღაცას თავს აწონებდა. ისიც შეამჩნია, რომ ფეხმოქანავემ ერთი ორჯერ ახალგაზრდა წყვილისაკენ გააპარა თვალი. აშკარა იყო, ქალის გულისთვის აკეთებდა ამას, მაგრამ ვერ დაიმსახურა ყურადღება. მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, დიდი სიზუსტით რამდენჯერმე სიგრძეში გაკეცა და მარჯვენაზე გადაიხვია. ჰაერში მკვეთრი მოქნევით მოსიწჯა და ტანმორჩილი ანიშნა, ხელი დამიხვედრეო. ის კი ღმილით გამოორდა, შენი გაძლების თავი ვისა აქვსო.

— მთელი ძალით არ დაგარტყამ, — ბიჭმა დიწჯად, მაგრამ ანავე დროს ყველას ვასაგონად თქვა.

ტანმორჩილმა კიდევ უკან დაიხია. ლევანი ამ ამბავს თითქოს ძალიან შორი მანძილიდან უყურებდა. როგორც კარგად დადგმულ სპექტაკლში, ისე მოქმედებდნენ ბიჭები. ახალგაზრდა წყვილი კი რაღაც ცუდის მოლოდინში ერთმანეთს მიკვროდა. სიტუაცია დაიძაბა, გამაღიზიანებელი და გულისამრევიც კი შეიქნა. მაღალი ბიჭი, ეტყობა, თვითონაც დაიღალა, მოყირქდა შემართული თამაში და წყვილსკენ გააბიჯა. ტანმორჩილი ღმილით დაპყვებოდა. როდესაც ავლა-ჩამოვლის შემდეგ ვაჟს მზარის გასაკრავად მიუახლოვდა, ლევანმა კნუტი დასვა და სწრაფად დაიძრა მათკენ, რამდენადაც კი იყო შესაძლებელი, შუაში ჩადგა.

— ამოიღე ჯიბიდან ხელი! — შეუტია მაღალს.

ბიჭი დაემორჩილა, მაგრამ ეს დამორჩილება დიმილნარევი, აგდებული იყო.

— რა არის ეს?! — ხელზე გადახვეულ ცხვირსახოცზე მიუთითა.

ბიჭმა ჩაიცინა და ამხანაგს თვალიც კი ჩაუტკრა.

— რა არის ეს, შე მათხოვარო! — არ ცხრებოდა ლევანი, — სად გაიზარდეთ, რა რჯულისა ხართ?!

ტანმორჩილი გამოლენჩებული, მომლოდინე თვალებით მიაშტერდა მაღალს, რომელიც დაიბნა, დაიბნა იმით, რომ არ ელოდა შეტევას, მით უმეტეს, ამ თხელი და ფაზიქად ჩაემული კაცი-საგან. მგზავრები ნელ-ნელა შეგროვდნენ, ნელ-ნელა უხმოდ, მაგრამ კუშტი მზერით დაიჭირეს ლევანის მხარე. სიჩუმე, დაძაბული სიჩუმე იდგა. მხოლოდ მთვრალი კაცის წამოძახილი თუ არღვევდა ამ შეკუმშულ, დაჭიმულ მღუმარებას. კაცს ჭრელი წინდები ეჭირა და გამყიდველს ევაჭრებოდა. ეტყობა, რაღაც იგრძნო და ისიც შეჭვავული ხალხისკენ შებრუნდა.

მაღალი ბიჭი დინჯად აყვირდებოდა ყველას, მერე ხელი ჩაიჭინა და გააბიჯა. უცებ შედგა, დაიხარა, მზეზე განაბული შავი კნუტი აიყვანა და ლევანს გამოხედა, კნუტიანი ხელი გააქანა-გამოაქანა. ვერაფერი მოასწრო ფეხის გადადგმა. ლევანს ხიხინივთ აღმოხდა, დასვით, მაგრამ გვიან იყო. ბიჭმა აისროლა კნუტი, რომელიც შავი ლაქასავით ასავსავდა უმწეო და ფეხებგაჩაჩხული. ახალგაზრდა ქალმა შეკვივლა და ლევანის მკერდში სახე ჩამალა. სანამ ლევანი გამოერკვეოდა, ბიჭი იქაურობას გაეცალა, მხოლოდ ეს კი შენიშნა, მთვრალი კაცი გინებით გამოუდგა. იქვე ახლოს უსულოდ ეგდო ძირს დანარცხებული კნუტი. ლევანმა უცებ მოიშორა ქალი და უცებვე სწვდა ტანმორჩილ ბიჭს, რომელიც ისევ უაზრო თვალებით იცქირებოდა აქეთ-იქით.

— მე რა, მე რა!.. ჩემგან რა გინდა?! — აყვირა ბიჭი.

ხალხიც ჩაერია, უნდოდათ გააფთ-

რებული ჭადრა კაცისათვის ხელიდან გამოეგლიჯათ სულ მთლად დაღუფლებული და მოკუნტებული ბიჭი. ცდილობდნენ, დაემფიდებინათ ლევანი, რომელიც არ ურტყამდა ბიჭს, ყურსა და თმში ჩაევლო ხელი და ქაჩავდა, უნჯღრევდა თავს. „მე რა, მე რა“, — გაისმოდა ბიჭის გამწარებული, დაგუდული ხმა, ლევანმა მხარზე ხელის საკმაოდ ძლიერი მოჭერა იგრძნო და შებრუნდა. ავტობუსში მის წინ მჯდომი ვაჟი შერჩა. გაკვირვებით ახედა ლევანმა, ჩაბღვრულ ბიჭს ხელი უშვა და დაემორჩილა. მერე, როცა თანამგზავრი ვაჟის განრისხებულ და შეურაცხყოფილ მზერას წააწყდა და ეს მზერა საკუთარ მკერდზეც შენიშნა, უაზროდ ხელიც კი ჩამოისვა და სინოტივემ მიახვედრა, რომ ახალგაზრდა ქალის ცრემლებს დაენამა პერანგი. აზლუქუნებულ ქალს გახედა და ყველაფერი რისხვიანი გამოხედვაც, ტყვილაძე ხელის მოჭერის მიზეზიც ნათელი გახდა. ლევანმა გალახულ ბიჭზე გადაიტანა მზერა და ახლა შეამჩნია, ბიჭი იქაჩებოდა, იწვევდა მისკენ. შეეცოდა, თორემ ხასიათ-გამოსწორებულს ეღიმებოდა და ძლივს იკავებდა თავს. ლევანი ავტობუსში პირველი ავიდა. ჩამოვდა იგი მთლად შთანთქა ამ შემთხვევამ და უცებ მოეშვა. წამიერი განმარტობა ჩადენილის შესამოწმებლად გამოიყენა. საკმაოდ მკვეთრი ჩურჩულით წარმოსთქვა, მაპატიე, შენი სახელის ჭირიმე. მას ცოლის დაუშთავრებელი საფლავი და საფლავთან ერთად გაყინულ შუბლზე ბოლო ამბორი წარმოუდგა. ვერაფერს ვერაფერს გაუგებდა ახლა, რა მდგომარეობაში იყო. ხშირად ეტყოდა ხოლმე მეუღლე, ნუ ვგონია, რომ ნარტო შენ გიყვარს ცოლ-შვილიო. მაგრამ ლევანი მაინც ასე ფიქრობდა. მაინც ასე სწამდა, რომ მისნაირად, მისებურად არავინ განიცდიდა ოჯახის სიყვარულს. ეს არ იყო სხვაასთან კეკლუ-

ბაზრი მომონელიმ
თანამგზავრი



ცობა. მხოლოდ თავის თავთან იმარჯვებდა და ზემობდა. და ერთხელ, როცა მეუღლემ შენიშნა, დიდი ძაბვი ხარო, ლევანმა რაღაც ნაცნობი იგრძნო, იგრძნო ქალის სიტყვების ნაწილობრივი სიმართლე. მასში მართლა იყო, იჭდა კმაყოფილი მსახიობი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ კაცი მაყურებელს, დამკვირვებელსაც გრძობდა და საკუთარ თავში, რომელიც ასევე ზემობდა მსახიობის თამაშით გამოწვეულ სიხარულს. და ის იყო ფიქრში წასულმა ისევ იჩურჩულა, შენი სახელის ჭირიმეო, რომ კიბეზე ნაბიჯის ხმა გაისმა. ლევანმა ფანჯრისკენ მიიწია და დანამული თვალებით დალანდა ტანმორჩილი ბიჭი. ცრემლი მოიშორა, თითქოს ეს უშლიდა ხელსო, ბიჭის ხმაც გაარჩია: — „ჩამო, ჩამო, თუ ვაქაცი ხარ!“ მერე ბიჭს მთვრალი კაცი წამოადგა. წამოადგა აქლომინებული, დაღლილი და ერთი ისეთი პანდური ამოსცხო, რომ წინ მჭდომმა ქალმა აღტაცებით ტამიც კი შემოჰკრა. მთვრალის ამოსვლის შემდეგ, რომელიც ისევ კართან ჩადგა, ავტობუსი დიძრა, ლევანმა რატომღაც ქერა ქალისკენ გააპარა მზერა, მაგრამ ქალი აღარ უყურებდა მას, ეტყობა, მოსწყინდა. რაღაც ბროშურა გადაეშალა და კითხულობდა.

— ძალიან ხომ არ გატკინეთ? — ვაჟი მისკენ შებრუნდა.

— გეტკინათ, რომ მოგვიკირეთ ხელი? — გაიმეორა ვაჟმა. ლევანს ამ შეკითხვასა და გოგონას შემბრალებელ გამოხედვაზე გულიანად გაეღიმა.

— ახლა არა მიშავს, ცოტა მომეშვა, — კაცი თვალს არ უსწორებდა, თავიც კი ჩალუნა, შემნიშნავენ და არ ეწყინოთო.

წინ მსხდომნი შებრუნდნენ. ქალი ისევ ვაჟს მიესვენა მხარზე და იჩურჩულდა.

რას შერებოდა ახლა მისი გოგო? ლევანს ისევ ის გაახსენდა, რომ სიძეს ჯერ ოციც არ შესრულებოდა. ირადა, რამდენი სიმართლე იმაღლებოდა,

რამდენი ნაღდი იყო ჯერ ბავშვობიდან გამოყოფილი სათბურებისგან თუ სესხივით აღებულ ქავესა და ლაპარაკში. ლევანი მეუღლის კუბოსთან ატირებულ შვილს იხსენებდა. როგორ ედგა უკან სიძე და როგორ აჩერებდა, ამშვიდებდა, შენთვის არ შეიძლება ამდენი ნერვიულობაო. ხომ დიდი სისულელეა ამის ჩიჩინი, ამ დროს ჭკუის დარიგება, მაგრამ ლევანი ამჩნევდა, როგორ იცრემლებოდა ბიჭი; რა თქმა უნდა, ცოლის ტირილზე ცოლის საცოდაობით. და ერთ პანაშვდზე კაცი სწორედ მათი შემხედვარე, სიძე-ქალიშვილის დიდი სიყვარულის, პატივისცემის შემხედვარე ატირდა.

წინიდან კი ისევ ისმოდა გოგონას გაუთავებელი ჩურჩული. უცებ შემობრუნდა და ლევანს ჰკითხა, — მაინც რა გაგვიკირებს საქმე, რა ყველა ჩვენ გვაცივდება? — კართან აყუდებულ მთვრალ მგზავრზეც მიანიშნა, გაახსენა, ესეცო.

ლევანმა გაურკვეველად აიჩეჩა მხრები.

— შერთ და იმიტომ, — არ შემობრუნებულა ისე, თან აშკარად ლევანის გასაგონად თქვა ბიჭმა.

ოდნავ გაფერმკრთალებული მზის სხივი ისევ დაეშვა ავტობუსში და ისევ მხოლოდ ვარდისფერი საწოვარა გაანათა.

— შვილი გყავთ? — ლევანს თვალი არ მოუშორებია საწოვარასათვის.

— არა, იცით... — გოგონას სიწყითლემ გადაუარა.

— გუშინ მოვაწერეთ ხელი, — ახლა კი შემობრუნდა ვაჟი და ამ განცხადებით თითქოს მოუსპო ლევანს მათზე, განსაკუთრებით კი გოგონაზე მზრუნველობის ყოველგვარი საშუალება.

— გილოცავთ... მე კი მალე ბაბუა გავხდები... — გაიღიმა ლევანმა.

— არ გადამრიოთ! — გაკვირვებისაგან ხელები გაშალა გოგონამ.

— რა მოხდა, — ისევ ზურგშექცევით ამბობდა ვაჟი. რა მოხდა, თავი-



სუფლად შეიძლება ჩვენც მაგ ასაკში გვეყვოდეს შვილიშვილი.

რა დაეუშავე ამ მამაძაღლსო, ლევანმა იფიქრა. შესარიგებლად ვიტყვიო და, არც თქვენ შეგეტყობათ ასაკი, ისეთი კომპლექციის ხართო, ვაჟის სასიამოვნოდ თქვა. ეტყობა კი ბიჭს ისედაც აღიზიანებდა თავისი ბავშვური შესახედაობა და სულ გაიბუტა.

— დედა... — ისევ გაშალა ხელები გოგონამ. — ბებია და ბაბუა ვიქნებით!

ლევანის შვილის ამხანაგები მეტნაკლებად ამ ასაკისანი იყვნენ, ასევე იქცეოდნენ. ასევე გამოხატავდნენ ალტაცებს თუ წყენას. ლევანი ხშირად აკვირდებოდა მათ ერთნაირ მოქმედებას თუ პრიმიტიულ, მეტად გამართლებულ და გაღარბებულ საუბარს. მხოლოდ, როდესაც შავი პერანგი ჩაიცვა და ერთ-ერთს შენიშნა ქალური გამოხედვა და შემფასებლური მზერა (თვითონაც იცოდა, რომ უხდებოდა ეს ფერი) იმწამს დაარცხენილი შებრუნდა თავის ოთახში და პერანგი გამოიცვალა. აი, მაშინ იყო, რომ მიხვდა, ამ დიახაც ღარიბ და ერთნაირ ფრანგებს, მსგავს ქცევებს, უკვე დაქალებული და დაკაცებული სრულიად განსხვავებული ხალხი ედგა უკან. სარკესთან გაჩერებული იხდიდა შვებრანგს და ამაზე ფიქრობდა. მაგრამ მოლოდინი, რაღაც სასამართლოს მაგვარი მოლოდინი კი ჩაესახა. ეტყობოდა, ცოლთან იყო ეს მოლოდინიც დაკავშირებული, რადგან მისდაუნებურად, შენი სახელის კირიმეო, აღმოხდა, შიშში, საფრთხე იგრძნო. სასჯელის შეემინდა? არა და არაო, თვითონაც ჩაჯდა სარკესთან და ავადმყოფურად იმეორა ეს არა! არა! არა!

უცებ ღიღინი მოესმა. მთვრალი თავაუწევლად, ჩვეულად თვლიდა და ღიღინებდა. ეს იყო ძველისძველი, უხმო სიმღერა, ჯერ კიდევ მაშინდელი, როცა ტექსტები არ იწერებოდა. ასე გაიფიქრა ლევანმა, თუმცა წარმოდგენა არა ჰქონდა საერთოდ სიმღერის

ისტორიაზე, მაგრამ ასევე შეუხებლად, ყოველგვარი აზრის გარეშე სწევდა ღიღინი კაცს უკან, გამოუცნობ, ზღაპრულ დროში. ბავშვანუბნული ლევანი ისუნთქავს ჩვილის სუნს და შიში აქვს, არავინ მოაკითხოს, არავინ გამოართვას პირობით, დროებით ნაჩუქარი პირშო. ძლიერად იხუტებს შვილს, ბავშვიც ეალერსება, რამდენადაც შეუძლია, მაგრამ დედის გამოჩენისთანავე ქალისკენ იწევს. ეს ყველაფერი დალაგებული ფრანგებით და მხოლოდ ფრანგებით ესმის ლევანს, თითქოს მისივე ხმით და კმაყოფილია, ცრემლმომდგარი და კმაყოფილი. მერე ისიც კი უნდა წინ მსხდომ ახალგაზრდებს უთხრას, თქვენ ხომ არ იცით, რა ბედნიერებაა ოჯახო, მაგრამ მოლოდინე უკვე სიტყვებს იმარჯვებს და ყველაფერი ირევა, უფრო სწორედ, ეწყობა, მიწიერი ხდება.

— არადა, რა კარგად მღეროდა, — შემობრუნებული ვაჟი უღიმის ლევანს და ახლა უკვე ამითაც კმაყოფილია კაცი, რომ მომღურავი შეირიგა. ფანჯრიდან ფირნიშზე სოფლის სახელწოდება წაიკითხა და სრულიად მოულოდნელად თქვა: — აქ კარგა ხანს ვცხოვრობდით... მაშინ სულ ბავშვი ვიყავი.

ავტობუსი შუკას მიუყვებოდა. ჩამწკრივებულ სახლებს ათვალეერებდა ლევანი და ცდილობდა, რაიმე მოეგონებინა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს სახლები მისთვის ჩვეულებრივი, უთქმელი შენობები იყვნენ. უცებ მთისკენ მიმავალი ბილიკი ეცნო ლევანს, მთაზე შეფენილ ეზოებს საფეხურებივით აყვავდა მზერა და ღიმილი. ავტობუსი შეჩერდა. მძღოლი ერთხანს მოდებულ კარიდან, ძირს ჩაუსვლელად ელაპარაკებოდა რამდენიმე კაცს. მერე თავი მოაბრუნა და გამოაცხადა, გზაზე მეწყერია, დღეს აქ მოგვიწევს დარჩე-

ბაჰრი აზოხონელიძე
თანამშრომელი



ნა და დილით გავაგრძელებთ გზასო. ეტყოდა მიხვდა ამ სიტყვებს უკმაყოფილება მოჰყვებოდა და ღია კარიდან ისუბა. რა თქმა უნდა, არავის ესია-მოვნა. მაგრამ ცოტა ხანში ამ ამბავს ყველა შეეგუა და სანამ ღამის გათევის პრობლემა მათ თავიდან აახმაურებდა, გაირკვა, რომ ადგილობრივები ეპატიებოდნენ.

— თქვენ სამი ჩემთან წამოხვალთ, — ნასვამი თანამგზავრი ლევანსა და ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მიმართავდა: — ერთნაირები ხართ, თქვენი დაცილება არ იქნება.

— ვისთან მივდივართ? — ისე იკითხა ვაჟმა, ამას ვითომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა.

— ჩემი ბიძაშვილია, აქვე სახლობს, — მერე სამივეს სათითაოდ ჩამოართვა ხელი, გიორგიო.

ქალ-ვაჟიც გაეცნო ლევანს — ნინო და გელა. უხმოდ მიაბიჯებდნენ. გიორგი წინ, მერე ლევანი, ცოტათი ჩამორჩებოდნენ გელა და ნინო, ხანდახან შედგებოდნენ და ნინოს უტყდიდნენ. გელა კი ანიშნებდა, თქვენ იართ, წამოგეწვიეთო, მაგრამ მაინც არ იძვროდნენ ადგილიდან კაცები, სანამ ქალი გელას არ მიუახლოვდებოდა და ხელს არ ჩაჰკიდებდა.

სწორედ იმ ბილიკს დაადგნენ, ლევანმა ავტობუსიდან რომ დალანდა — მისთვის რაღაცით ნაცნობს, რაღაცით ახლობელს. აქ დარბოდა ბავშვობაში, აქ დასრიალებია ჩამოყრილ ფოთლებზე ფეხი და რბილად, შრიანით დაგორებულა. სუნიც, სუნიც ნაცნობი იყო, თუმცა ბევრჯერ სხვაგანაც შეუსუნთქავს მსგავსი ჰაერი და ყოველთვის ეს ადგილი მოჰგონებია. ექვსი წლის იქნებოდა მაშინ ლევანი.

— აი, მოვედით კიდევ, — გიორგიმ ქიშკარს ღონივრად ჰკრა ხელი და შეალო, მერე რაღაც შესძახა. სახელი ვერ გაარჩია ლევანმა. ოღონდ ეს კი იყო, ეპეიო, ისეთ ხმაზე იყვირა, მეზობელ ეზოში ძალი აყვიფდა.

სტუმარ-მასპინძელი მალე გაუმი-

ნაუტრდა ერთმანეთს. მოხუცი ცოლ-ქმარს სიხარულზე ეტყობოდა, რეზულტები იყენენ როგორც ბიძაშვილს, ასევე საერთოდ მიმსვლელ-მომსვლელს.

დიდ, ფართო ოთახში სიცივე არ იყო, მაგრამ აგიზგიზებულმა ბუნარმა ერთგვარი ალტაცება გამოიწვია, თითქოს ცეცხლის ენებმა გაალამაზა ყველა, დაახლოვა კიდევ. გიორგი მაინც ღამის ბუნარში შემჯდარიყო, მასპინძლებს ცუხცუხით შემოტანილ ნაფოტებს ართმევდა და დიდი ერთგულებით უკეთებდა ცეცხლს. როდესაც მოხუცებს მობრუნება შეაგვიანდათ, ლევანი მიხვდა, ტყუილად არ გაჩერდებოდნენ ამდენ ხანსო.

— გიორგი, უთხარი, კაცო, არაფერია საჭირო...

გიორგიმ აწითლებული სახით გამოხედა და ნებიერად გაიზმორა. თქმით არაფერი უთქვამს.

— შენ არ დალო, — ნინომ ალღო აუღო სიტუაციას და გელა გააფრთხილა.

— წუხელი ისეთი ნასვამი მოვიდა ისეთი, ისეთი... — ჩაესმა ლევანს შვილის წუწუნა, მაგრამ ამავე დროს თავმომწონე ხმა, — თურმე დააძალეს და სულ ორლიტრიანი ყანწებით ასვეს... მხეცობაა ნამდვილად! ლევანს ელიმებოდა. ესეც თამაშად ეჩვენებოდა და კიდევ ბევრი რამ, შეიძლება ყველაფერი, მაგრამ მხოლოდ სიძე-ქალიშვილის ურთიერთობაში კი არა, საერთოდ. თვითონაც ბევრჯერ გახსენებია, ერთი ბეწო, ერთიციქნა რომ იყო მისი გოგო, საწოლის ქვეშ შეძვრა და ველარ გამოდიოდა. ისე უმწეოდ ატირდა, რომ ლევანს, სიბრალულზე უფრო მაშინ თუ გაუჩნდა რაღაცის გათამაშების, მიბაძვის სურვილი. უცებ გამოიტაცა ბავშვი და მკერდზე აკრული, აზლუქუნებული გოგონათი სარკის წინ გაიჭიმა. ჯერ გაიღიმა, მერე მოეშვა, დადლილი და გაწამებული სახე მიიღო. თავს აკვირდებოდა, გადამრჩენის როლს ირგებდა და ამასთანავე მტკიცედ ეგუებოდა შვილისთვის საი-

მედო, ყოველთვის საყრდენი რომ უნდა ყოფილიყო. ვინ, ვინ და, იცოდა ლევანმა პოზის ფასი. ხშირად შეუნიშნავს, როგორც გამოურჩევია თავმოსაწონებელი ქცევის მომენტი. გამოურჩევია და არა შეუქმნია. ამ ფიქრით გართული მოღიშარი კაცი ნინოს უყურებდა. ეს არ იყო წარსულზე, მხოლოდ წარსულზე კრიტიკული თვალის გადავლებით გამოწვეული ღიმილი. ლევანი ყმაწვილკაცობაშიც ირონიულად უყურებდა საკუთარ პოზიტივობას და ახლა ესეც მეუღლის დამსახურებად მიაჩნდა. ამას ბოლო ხანებში ხვდებოდა, ბოლო ხანებში დააფასა ცოლის მოსიყვარულე ღიმილი (მთელ სახეზე ედებოდა და დარცხვენით ლევანს აიყოლებდა, თანამოზიარედ გაიხდიდა), კაცის ოდნავ გადაპრანჭულ ქცევას თუ ფრახას რომ ახლდა ხოლმე. ასე გაღიმებული იჯდა სამფეხაზე ლევანი. ცეცხლი, სითბო სიამოვნებდა და ნინოს უყურებდა. გელამ ერთი ორჯერ ჩაახველა. ცოტა ხანს ძველებურ თაროზე წიგნებს ათვალიერებდა, მერე ნინოს მიუახლოვდა, მხარზე ხელი შეახო.

— წამო, გავისიერნოთ...

— მეზარება. რა, — ახედა ცოლმა. გელას არაფერი უთქვამს, ისე გავიდა ოთახიდან.

ლევანი მიხვდა, რომ ისევ გაბრაზდა თუ იქვეიანა ვაჟმა და იმიტომ დატოვა იქაურობა. ფეხები გაშალა და ერთგვარი სიამოვნებით მიღულა თვალები. ღმერთმა იცის, გარეთ გასული რას ფიქრობსო... უცებ შიშმა, გელას შეცოდების, მისი კაცობის შეურაცხყოფის შიშმა ფეხები მოაკეცინა და თვითონაც სწრაფად დასტოვა ოთახი.

ეზოს ბოლოს პატარა სამზადის კართან ხელები მიბჯენილა, ტანით შეხუნქილი გელა დაინახა და იქეთ წავიდა. ნელ-ნელა მოეძალა სამზადიდან გამოსული ოხშივარი და შიმშილი იგრძნო. გელა ფეხის ხმაზე შემობრუნდა, კა-

ცმა მხარზე გადახვია ხელი და სამზადში ისე შეიხედა. აფუსფუსებულ მობუტები შუა ცეცხლით ოთახში რაღაც ძველს და პატივსაცემს, ნანახსა თუ ნამბობს წააგავდნენ.

— უკაცრავად, ერთ დროს აქ თავმჯდომარე იყო, ანდრო. არ გახსოვთ?..

არაფერი უპასუხიათ და ლევანმა ხმამაღლა გაიმეორა შეკითხვა.

— როგორ არა, — უცებ გამოიცხვდა ქალი. — ბევრი გოგოები ჰყავდა.

— არა, — გაიღიმა ლევანმა და გელას გადაულაპარაკა, — მართო მე ვყავდი.

ქვაბში შაშხი იხარშებოდა, ღადარში კეცი აწითლებულიყო. ლევანმა ნერწყვი გადაყლაპა და გელას გააღიხაუკრა. ვაჟსაც გაეღიმა.

— წამო, გავიაროთ, — შესთავაზა ლევანმა და ხელი გამოსდო. ეზოდან გასვლისას ერთხელ კიდევ გახედეს შემოდგომის სიყვითლეში ცეცხლით განათებულ სამზადისს.

უხმოდ, დინჯად მიუყვებოდა ბილიკს ორი მამაკაცი. გელა ერთგვარად გაკვირვებულიც კი იყო ამ გასიერებით. ლევანს ხელეზი დონინჯად შემოეწყყო... წამით შემდგარმა ღიმილით გადააქნია თავი, რომ ვერ მიცნონ, ზომ ამიღებებს ეს ბიჭო, გაიფიქრა. ნაყარი ფოთლის სასიამოვნო სუნით იდგა ირგვლივ. მოულოდნელად ლევანი დაწინაურდა, ნაბიჯს აუჩქარა. რაღაც ეცნო. სიზმარივით, ადრე ნანახივით მიიზიდა და აბა, ახლა მარჯვნივ, შეუძახა ვაჟს. უცებ გამოჩენილმა გრძელმა, ნაცრისფერმა დობემ თითქოს შთანთქა კაცი და გელამ მზერით მოიძია კიდევ. ლევანის ქოშინი მოესმა. მიზანს მიღწეული შორბენალივით დაღლილი და გაღიმებული იდგა. უცებ მოსხიბა მძიმე სუნთქვა

გაღრი ზონონელია
თანამგზავრი



და ღიმილიც. პატარა პაუზის შემდეგ შეპყვირა;

— სოლო! სოლო!

ყვირილს თითქოს გულის ხმაც ერთვოდა და ეს რიტმული ბაგაბუგი დიდი მოლოდინისათვის განაწყობდა გელას. ეზოდან ჩამიჩუმი არ გამოდიოდა.

— სოლო! სოლო! სოლო! — აყვირდა ლევანი, იმეორა და იმეორა სახელი და ვაჟმაც მთელი ხმით დაიძახა, გადაფარა კაცის ხმა, ეგების ვაჩერდესო.

როდის-როდის აივანზე დედაბერი გამოფაჩუნდა, მოაჯირს გადმოაწვა, ცოტა სახიფათოდაც გადმოეყრდნო და ცალი ხელი მოიჩრდილა.

— ღმერთო, მომაგონე. ღმერთო, მომაგონე! — იჩურჩულა ლევანმა და უცებვე აუწია ხმას, — აქეთ, ელო ძალო, აქეთ!

— რომელი ხარ?.. რომელი ხარ, არ იტყვი? — უკვე სახლიდან ექოსავით დაირხა ქალის ხმა. კიბის ქრიალიც მოისმა. როგორც იქნა, ჯერ ეზოში გამოჩნდა შავად, ცოტა ხანში კი კიშკარს მოადგა დედაბერი.

— ლევანი ვარ, ლეო, ელო ძალო — კაცი წაიწია და გადაკონა მოხუცი, — ანდრო რომ იყო, ელო ძალო, იმისი ვაჟი... აი, ანდრო რომ იყო, თავმჯდომარე.

— ანდრო? — აათვალეირა ქალმა და გაიმეორა, — ანდრო? — მერე მხრები აიჩეჩა.

— სოლო როგორ არის, ელო ძალო, სოლო? — ლევანს მთელი სახე უცინოდა, — ხომ ისეთივე ჯანიანია?

— ანდრო, ანდროო, — არ ეშვებოდა დედაბერი, საიდანაც ცდილობდა ხსოვნის გამოთრევას. უცებ ეს საქმიანობა და საფიქრალით დაძაბული სახე მოეთნათა, საწყალი გაუხდა, — სოლო იკითხე, შვილო?.. დავიდუბეთ, დავიდუბეთ, დედა ენაცვალოს. ცოლ-შვილიც დაღუბა და მეცა, — თითებზე გადაითვალა, — ექვს წელში მოგვიბრუნდება, ექვს წელში.

— უჰ, მაინც რაზე?.. — მოკვდავად ლევანმა სათქმელი. არ უნდა მეკითხნო, ისეთი რისხვიანი მზერა შეამჩნია დედაბერს.

— რა რაზე, რა რაზე, აბა რა ვიცი, რაზედა!

ლევანმა გელას გადახედა. თაჩაღუნული იდგა ბიჭი და ფეხსაცმლის ცხვირით მიწას ჩიჩქნიდა. ამოხედვის სთანავე ანიშნა კაცმა, წავიდეთო.

გზაზე დამდგარებს წამოეწიათ დედაბრის ხმა, — გამახსენდა, გამახსენდა. შენ მერე თუ გაუჩნდი. ანდროს სუ გოგოები ჰყავდა

— ეჰ, — ლევანი არ შებრუნებულა ქალისკენ, — ეტყობა ის ანდრო სჯობდა მამაჩემს და ამიტომაც ახსოვთ, თორემ მართო გოგოებით...

უცებ გაჩუმდა კაცი. თვალები ფერდობისკენ ვაექცა, თავიც იქეთ მიაბრუნა და ისე შესთავაზა (გელამ კი იფიქრა, რა აზრი აქვს რომ მეკითხებო), ამ ბორცვის გადაღმა სასაფლაოა, გინდა ავიდეთ?..

ისევ უხმოდ მიაბიჯებდნენ. ლევანი ხანდახან ვახედავდა ოდნავ ჩამორჩენილ ვაჟს, ნეტავ რას ფიქრობს ჩემზეო. ცოტაც და სასაფლაო გამოჩნდა. ალბათ ძველი, მიტოვებული იყო, ისე მოსძალებოდა ბალახი.

რამხელაზე გაშლილი ახსოვდა ლევანს ეს მიწდორი. და არათუ მიწდორი, საფლავის ქვებიც კი ისეთი პატარა მოეჩვენა, რომ გული ჩასწყდა. როცა კი აქაურობა მოჰგონებია, ყოველთვის დარწმუნებული წარმოიდგენდა ყველაფერს, ყველაფრის მდებარეობისა თუ მდგომარეობის ცოდნაში დარწმუნებული. და ახლა აირია, ბევრად შემცირებულ და ბავშვობაში მოყოლილი ზღაპარივით ახლობელ, მაგრამ უცხო მხარეში მოხედა. დააბიჯებდა მძალად ბალახებსა და უკვე გაყვითლებულ, უსიცოცხლო მიწდორის ყვეალებში. გრძნობდა, როგორ ეკვროდა, ეწებებოდა მცენარეები და როგორ უნოტივდებოდა შარვლის ბოლო. უკვირდა, თუმცა თვითონაც ხვდებო-

და, რომ გელას ჯიბრზე ბოდილობდა ასე ჯიუტად. ხელს უსვამდა ლოდებს, შემძალი თუ დაქანგული ლობების წამოყენებას ცდილობდა.

— აი აქ, — მარჯვენა ტყაპუნით დააკრა მოვარდისფრო ქვას, — ხევისბერი დაასაფლავებს... აუარება ხალხი იყო. ბავშვები ვცდილობდით გაძრომას და რას არ ჩავდიოდით. მართლა, რას არ ვწვრებოდით, ვცააცივდით წინ მდგომებს, ვჩოჩდებოდით, ვფორთხავდით... რომ თვალი მოგვეკრა მიცვალებულისთვის. და იცი, გელა, იცი, რა დავინახე..

თაგნალუნული ყვებოდა ამას ლევანი, ერთხელაც არ აუხედავს, ერთხელაც ვერ გაუთწორა ბიჭს თვალი და ახლა, მართალია თავის თავსაც არ უტყდებოდა, რომ ცრუობდა, მაგრამ ისევ გელას იწვევდა ამ ტყუილით, ქადაგად დავარდნით: — არ ვიცი, მომეჩვენა თუ რა, ვერ დავიფიცავ და მიცვალებულმა თვალი ჩამიკრა. ვამიღმა და თვალი ჩამიკრა!...

შრიალი ჩაესმა. გელა ნაძვნარისაკენ მიაბიჯებდა. ერთხანს უყურა ბიჭის ზურგს და უცებ დაუძახა, — გელა!

გელა შემობრუნდა.

— ძალიან გიყვარს ნინო?

იმდენად მოულოდნელი იყო ეს შეკითხვა, რომ ვაჟი მისკენ დაიძრა. შეჩერდა და აათვალისკრა კაცი.

— მოდი აქ! — ლევანი ლოდზე ჩამოჯდა.

— ხევისბერი? — გაუღიმა გელამ და თვალი ჩაუტრა, — სად თქმულა ხევისბერის ლოდზე ჯდომი!

ლევანსაც გაეცინა. თავი ჩაღუნა და ასე გაუმეორა ერთხელ თქმულის მიუხედავად მაინც მოულოდნელი კითხვა:

— შენ ის მითხარი, ძალიან გიყვარს ნინო?

— თქვენ?

— რა მე?

— თქვენ გიყვართ თქვენი მეუღლე ძალიან?

— ახლა მართლა ძალიან მიყვარს... შენ წარმოიდგინე, უფრო შემოიყვარდა,

რაც აღარ მყავს, — ბიჭს შეამჩნია დაბნეულობა და განმარტა, — კერივი ვარ, — ამ სიტყვებმა თვითონაც შეაკრთო, პირველად იხმარა და ამჟამად იგრძნო სიმარტოვე და სიცივე.

— მეც ძალიან მიყვარს, — ჩუმად თქვა გელამ. გულახდილობა, ოღონდ ამალღებული გულახდილობა მოიშველია ახლა კაცისთვის მოსაბოდიშებლად, — ყველაზე და ყველაფერზე, ჩემს თავზე ბევრად მეტად.

ღიმილდაფენილმა დაუქნია თავი ლევანმა. ახლა ვაჟთან შესაძლებლად ეჩვენა ეთქვა ის, რაც არც კი იცოდა რა სიტყვებით, რა გულით გაცოცხლებოდა. არადა, სჭირდებოდა, ეს აუცილებელი იყო მისთვის, ამოსუნთქვასავით აუცილებელი...

— შენ წარმოიდგინე, მართლა უფრო შემოიყვარდა. არ ვცდილობ საფლავი, მიწა და ტირილი გავიხადო ყველაფრად. მე ნივთები მიყვარს, ის ნივთები, რაც ერთად შეგვიძენია. ჩემი შვილი მიყვარს, ჩვენი გოგო და შვილოშვილი... ისიც ჩვენი იქნება და თავს მერჩივნება. რასაც ვიკონებ, ყველაფერი მიყვარს და, — მერე ლევანმა იყუჩა, — და საერთოდ ოჯახის ფასი არაფერი.

რალდამ ხმელად გაიშრილა და იქვე ერთი ბეწოზე ააღელვა ყვითელი ბალახი. გელამ ფეხები მოკეცა და მუხლებზე ხელები შემოიჭდო, მერე თავიც მუხლებზე დადო და ასე ახედა ლევანს.

ლევანი გელას მზერას წააწყდა, დიდი მადლიერი დაურჩა თანაგრძნობისათვის და ის იყო კიდევ შემომართა სალაპარაკოდ, რომ, უკაცრავადო, უთხრა ვაჟმა.

— უკაცრავად, — გელა ლოდზე შედგა, — ერთი რალაცა მინდა გითხრაო.

გადრი პოხონელიძე
თანამაგზავრი

— ბრძანეთ, — ღიმილით ახედა ლევანმა.

— არა, არა, ორი... შეიძლება, ორი რაღაცა გითხრათ?

— ბრძანეთ.

— ჯერ ერთი, თქვენ არ ხართ იმ ასაკის, რომ ასე ილაპარაკოთ. მეორე, მე არ მჭირდება სწავლება და ნურც ნურავის ასწავლით, როგორ უნდა უყვარდეს.

— ეგ არც მიფიქრია, — ლევანი წამოდგა და ახლა ის წავიდა ნაძვნარისკენ. უცებ შემობრუნდა, — მე, უბრალოდ მინდოდა მეთქვა, თუ როგორ მიყვარდა და როგორ მიყვარს...

ნაძვნარში შესულს ესმოდა მისკენ მომავალი გელას ფეხის ხმა.

— რა ვიცი, აბა სულ მგონია, რომ ჭკუას მარიგებენ, — წამოეწია და მკლავი გამოსდო ვაჟმა.

— მე მინდოდა აქ ამომეყვანა ჩემი ცოლ-შვილი და, წარმოიდგინე, მუდამ მავიწყებოდა, — ლევანი თავჩაღუნული მიუყვებოდა ტყეს. ფეხით გირჩებს ისროდა აქეთ-იქეთ, — ჩემი ასაკის კაცს შეეფერება თუ არა, არ ვიცი, — ქვემოდან გახედა გელას, — მაგრამ ბავშვობაში, როდესაც აქ ამოვდიოდით, სულ ვფიქრობდი, მამა რომ ვიქნები, შვილებს ამოვასეირნებ-მეთქი. მერე მამა რომ ჯავხდი, გამოიღვებდა ეს ფიქრი და ვივიწყებდი. აქ ერთხელ ისე შევშინდი, რომ მის მერე არაფერი მსგავსი არ მიგრძენია, — ლევანი გაჩუმდა და ნაძვის ტოტს უყურნო.

— რამ შეგაშინათ? — გელა მიხვდა ამ შეკითხვის აუცილებლობას.

— ნაძვის გირჩებზე ამოვედი ბავშვები. მარტო დავრჩი და უცებ ბუჩქის უყინდან ხმა მომესმა, რაღაც ასეთი: კკრ, კკრ. ვიფიქრე, რომელიმეს ჩემი შეშინება გადაუწყვეტია-მეთქი და თვითონ მივეპარე. მივეპარე და უზარმაზარი არწივი დააბოტებდა. აი ასე, ლევანმა ჩაიჩოქა ცალი ხელი

ფრთად დაუშვა, ჩამოავდო და დაგუდული კრიახით ცოტა ხანს იტრიალა. გელა თავს იკავებდა, არ გასცინებოდა.

— თუ გეცინება, გაიცინე, გაიცინე, — ლევანს თვითონაც გაელიმა, — მე კი მგონი შევრცხვი მაშინ. რომ გენახა, გელა, რა თვალუბი ჰქონდა იმ არწივს.

— არ დავბრუნდეთ? — იკითხა უცებ გელამ.

ლევანმა თავი დაუქნია. სასაფლაოსთან კიდევ შედგნენ, აქ თუ მოვხვდებოდი, აღარ მეგონაო, ჩილაპარაკა კაცმა და ვაჟს ხელი გადახვია.

გზას უხმოდ დაუყვანენ. სიარული ამუნჯებდა ამ ორ მამაკაცს. თავისაჲ ფიქრობდნენ ან, როგორც ლევანს სჯეროდა, ერთმანეთის საქციელს აფასებდნენ. გელა ჯერ დაბალ ტოტს მისწვდა, მერე მოუმატა სიმაღლეს და ასე ხტუნვა-ხტუნვით ჩარბოდა. რა დროს ამის ცოლიაო, ჩაელიმა ლევანს. და უცებ უჰ, უჰო, გელა შეწვდომითაც ვერ შეწვდა ტოტს და დაშვებისას ფოთოლნაყარ მიწაზე ფეხი აუცურდა. ლევანი მიუახლოვდა, წამოაყენა. ბიჭს სახე დაემანჯა ტყვილისაგან.

— საწოლამდე მიგიყვან და მერე...

— რა მერე?! — გაბრაზებული შეინძრა გელა.

ლევანი შედგა. ისევ სიარული ამჯობინა. უკვე გამორჩნდა სახლები, გაისმა ძაღლების დაისისპირა ყეფაც. კაცმა ჩაიბუხლა.

— ხედავ? — ლევანმა მთაზე მიანიშნა ხელით. დიდი მთა, რომელიც მდინარის მეორე ნაპირზევე იწყებოდა ჩრდილად ეფარა ისედაც დაბნდულ მიდამოს. წვერზე, გაცრეცილი ნისლის თავზე იდგა სამების ეკლესია.

— ჩვენ გამოვეპარეთ მშობლებს, — უცებ, ზემოთ ახედვისთანავე თქვა ბიჭმა, — სხვა წრიდანაო, ჩემზე ამბობენ. აბა მაგათ წრეში მტერი შევიდა და გაუძლო.

— რამდენი წლისა ხარ, გელა? — დაინტერესდა ლევანი.

— ოცდაერთის.

— ყველაფერი მოგვარდება, — და-
ამედა კაცმა, — ჩვენთანაც ცოტა,
სულ ცოტა აკლდა შერიგებას და მა-
შინ დამეცა მეზი, — თვითონვე უკე-
ირდა საიდან მოდიოდა ეს სიტყვები,
გამოთქმები, — მაინც დაასრულა, —
მაშინ დაექვრივდი... ნუ გეშინია, ჩემი
მეუღლემც გაგიჟდა. დაგვცოფა, —
გაეღიმა კაცს, — მაგრამ გოგონებს
თბილი საცვლები გაატანა შკილთან.
აბა... ნუ გეშინია, ეს დროებითია.

გელა ბორძიკით მიიწევდა წინ.

— გელა, მომისმინე, — ლევანმა
თხოვნით წარმოსთქვა ეს სიტყვები, —
მომისმინე, ბიჭო, მე ახლა თბილისში

გავბრუნდები და ნინოს მშობლებსაც
მოველაპარაკები, — წამოდგა და მიუ-
ახლოვდა, — თუმცა ამის სწავლება
არ შეიძლება და არც ჰკუის დარიგე-
ბა, მაგრამ მაინც გეტყვი, გიყვარდეთ
ერთმანეთი და პირველ რიგში ოჯახი,
ოჯახი, ოჯახი!..

— მოითმინეთ, არ გესმით ზარების
ხმა? — გელამ სამებას ახედა.

— ვინ იცის, შეიძლება ისმის კი-
დეც, — ლევანი სწრაფად შებრუნდა
და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა. ვაჟის-
თვის არც შეუხედავს, ისე თქვა, თქვა
მკაფიოდ და გასაგონად, — შვილი,
სიძე და მომავალი შვილიშვილი მო-
მენატრა... ჩვენი ოჯახი მომენატრა.



მკრი აბრამიშვილი

კველი სინარული

ჩვენ იმ სახლიდან
 არაფერი აღარ გვერგება,
 რადგან სხვა ქუდი ჰხურავს ახლა
 ოდესღაც ჩვენს ჭერს, —
 ავაჩხრიალოთ სინარული
 ძველი, კერკეტა,
 თუ ჩამომიტან არგვეთიდან
 იზვარის კენჭებს;
 ხუტუტა კენჭებს —

ბავშვობაში რომ ვპოულობდით
 და რომ გვეგონა —
 უთვალავი სიმდიდრე ეხვეტეთ, —
 ო, რა საჩუქარს მომიმზადებ
 შენ მოულოდნელს,
 თუ ჩამომიტან
 არგვეთიდან
 იზვარის კენჭებს.

თოვლი

მოვიდა თოვლი —
 თეთრი ღიმღიმით,
 წავიდა თოვლი —
 ტირილ-ტირილით.
 ცოტა კულს დარჩა,
 როგორც ტკივილი,

ცოტაც მაღალ მთას
 შერჩა ღიღივით.
 მც მისებრ მოვეულ,
 მც მისებრ მივალ,
 მც მისებრ წავალ
 უზმოდ კივილით.

კორღზე

ო, კიდევ კარგი...
 კიდევ კარგი, რომ
 მე არ მივსულვარ
 იმ წერტილამდე,
 რომლის იქითაც გზის გაგრძელება
 უკან დახევას მოასწავებდა.
 ო, კიდევ კარგი,
 კიდევ კარგი, რომ
 ჯერაც შორიდან გუმზერ
 იმ მწვერვალს,

რომლის თხემიდან
 ძირს გადმოხედვა
 თავზარს დამცემდა.
 და კიდევ კარგი,
 კიდევ კარგი, რომ
 ბაწია კორღზე მე ღღემდე ვღგავარ.
 აქ სულ ახლოა მწვანე მინდორი,
 აქ... ხელის მკერელიც
 არავინ არი.

გადლობა

სინათლისათვის,
 სიცოცხლისათვის,
 სილამაზისთვის...
 დიდი, მსურვალე გულისთვის და
 სიმამაცისთვის;
 ყოველი დილის დაბადებისთვის,
 დაუბრეტელი ოქროს წვიმისთვის,
 გველუშაპებთან —
 შავ-შავ ღრუბლებთან
 შეუპოვარი შებრძოლებისთვის,

აღმოსავლეთით თუ დასავლეთით —
 სადღაც, შორს, მთებში
 ჩაღვრილ სისხლისთვის;
 სწორუპოვარი ღიმღიმისათვის
 და სიბნელესთან
 ჯიქურ მისვლისთვის;
 განურჩევლად ყველას, ყველას
 სიყვარულისთვის —
 მადლობა, მზეო!

დეკემბრის თოვლი

და დეკემბერმა ისევ მოთოვა და მოასწორა სამშობლოს მხრები...
თოვლმა აკეცა ბილიკები; გაოცებულ ტყეს
თვალეში ფიჭვი შეაყარა... მშვიდობით, ტყეო!
მშვიდობით, გზებო! თქვენც — მამულის ღობე-ყორენო!
სანამ თქვენს ძილში გაზაფხული შემოიხედავს
და ვარსკვლავების ბწკალით გადასწევს თებერვლის დამეს —
თქვენი სიზმრები უნდა ვმწყემსო
და მოლოდინის
ლოდები ვზიდო ქანცაწყვეტამდე!

აოქტის სიკვდილი

ბოლოს დუმილი ჩამოვარდა: გარინდლა წვიმა,
დაკეცა შაშვმა ფრთები ღამის ვიოლინოზე;
მდინარემ შესვა ხმა საკუთარი,
ქარი გაქვავდა...
შესდგა ქამი... და სივრცენი დაპატარავდენ.
სამყარომ პირი გამოიკერა...
შემორკალა საწიერი, შეიკრა ზეცა
წკვარამ წერტილად ერთადერთი ციხის გარშემო...
შიგნით ეული მეციხოვნე თავისი სიზმრის
ცას შეპყურებდა, ლექსებს თხზავდა სიმარტოვეზე,
ავად შეპყვფდა წუთისოფელს, მზეს იხსენებდა...
და ყრმობის დღეებს — დაუქანგავ მონეტებივით
შემორჩენილებს — ალაგებდა, ითვლიდა... უხვი
წარსული ხელში უდნებოდა, ცვიოდა, თრთოდა...
და ჩურჩულებდა,
ჩურჩულებდა... ხმა დაფლეთილი
ებლატებოდა კედლებს ხავსივით...
და ყურდებოდა, ჩურჩულებდა, და ყურდებოდა...
და ჩურჩულებდა კიდევ და კიდევ...
ბოლოს დუმილი ჩამოვარდა:
გარინდლა წვიმა.
დაკეცა შაშვმა ფრთები ღამის ვიოლინოზე.

ნ ა თ ე ლ ი

ნათელი, ნათელი: გალაქტიკების ქაფი მოწურვილი,
მზის წამწამების მონასხლექტი ნათელი —
სესხად
რომ მიგვიღია, კვლავ რომ ვიშვერთ ხელს თავანისკენ...

მოდის, მოდის, მოემართება...

და სიძულვილის და წყევლის ნათელი,
 ნათელი, რომ დაგვექერს და გზას რომ გვინათებს
 „იმ სიყვარულით,
 რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“,
 და იმედის ხმა რომ შემოაქვს
 ჩემს მდუმარე კარმიდამოში,
 ჩვენს დამფრთხალ ჯოგში... ნათელი მწუხრისა —
 ერთიმეორეს რომ გვიბრუნებს,
 რომ მივყევართ
 ძველისძველ ცეცხლთან...

მოდის, მოდის, მოემართება.

სთველის პეპლების მწუხარება

სთველის პეპლების მწუხარებაზე, შენი ფრთების ყვითელ რელიეფს

რომ მიფენ ხოლმე გზისპირებზე,
 რომ მიმიძღვები შემოძარცულ ტევრის ქვეთინში,
 უკან რომ მომდევ მტკნარ ფოთლოვანით,
 გზას რომ მაგიწყებ, გადახდილი ბრძოლების კვალზე
 რომ არ მახედებ,
 მდუმარების ნისლში რომ მახვევ —
 მითხარ, სად მგეზავს ეს გზა, შიშველ ხეთა მოთქმაში
 რომ გარტობილა, მტკნარ ფოთლოვანით
 რად მოსდევ ჩემს კვალს თმაგაწეწილი?
 ვის უწვდი ბილიკს ფეხდაუდგამს და უფოთლო ტყეს
 ვის პპირდები საჩრდილობელად?

მამცნე ყოველი, სანამ მწუხრში მივიქცეოდე,
 სანამ ჩემი დღის ბოლო ნაფოტებს
 მივუყრი კოცონს შუალამისას.

დიდგორი

აქ შეისვენე და მიწის გულს მიაყურადე:
 ო, ქვესკნელიდან შხულის ხმა მოიწურება.
 ამ მშიერ ველებს, ამ უღრანებს,
 ჩაჯანგულ ლოდებს
 ამ ყვავილოვანს მოყვლყელავეს
 მიაყურადე: მდინარის ხმაა...

ეტოტავება მამულის ფესვებს
 და მიწისქვეშა ხეობებში მიიკლაკნება
 დიდგორის მხრებზე დაღვრილი სისხლი!



სიკაცხლო სკსკ სიყოით

შავად შესუღრული, შავგვრემანი თუში ქალი, უდროოდ დაქვრივებული დედა, იმდენს ჩასჩინებდა და ჩაგონებდა დაობლებულ ბავშვს მამისა და მამულ-დედულის სიყვარულს, რომ ბიჭს ზედმიწევნით „ახსოვდა“ თავისი გაჩენა, ჩვილობა და ყვაფილხანობა.

ზუსტად ორი წლის შემდეგ, რაც ქვემო ალენის სკოლის წაფერდებულ შენობაზე, ფოსტის ფარღალალა ბუღარუგანაზე და ხურდა ქვით ნაგებ საყდრის გუმბათზე სისხლისფერი ღროშები გადმოფინეს და ნირწამხდარმა მეცხვარე-ბობოლებმა მოჯამაგირე მწყემსებს ბარჯღალა ქუდის მოხდითა და „ამხანაგობით“ დაუწყეს ლაბარაკი, — სოფლის მკედლის, გიორგი ხახიძის ოჯახში ვაჟი დაიბადა.

გახარებულმა მამამ ნაშიერს შავი კვერცხები მოუსინჯა, შავად დაშაშრული ხელები მალლა აღაპყრო და მამაუფალს აღგზნებული მადლობა აღუგზავნა. ხოლო თანამეცხედრეს უღვაშში გაცრილი ღიმილი, წითელი მოვის

პერანგი, ღიბის საკაბე და ღარაიის მანდილი მიართვა.

ძეს დათო დაარქვეს.

...ჰოდა, იწვა ხეჩანში გახვეული და დაარტახებული დათო ქერის ჩალაღაფენილ აკვანში, გამირზე აეთვალის თვალდასაესებად ძაფით დაკიდებულ ღორის ღოჯს მისჩერებოდა, წამდაუწუმ ტოკავდა და ზეცას უცინოდა. აკვნის გამირს გადაყრდნობილი დედა ძუძუს აჭმევდა, თვალეში შესცივინებდა და ჩხირების გამუღმებული გასმა-გამოსმით, პაწაწკინტელა წინდებს უქსოვდა.

შიბაქი, არტახი და აკვანი უკან მოიტოვა, მოკლე ტრუსი გაიხადა, ტილოს შარვლის ტოტში ფეხი სტუცა და, ის იყო ე, დედის ალერსს ხელის აქნევითა და „იის“ ძახილით იგერიებდა, რომ მამას დამბლა დაეცა, თავი და მარჯვენა ხელი აუცახცახა, მერე გაუმეორა, მარცხენა გაუკავა, ენა წაართვა. საწოლზე გააკრა, ჯვარს აცვა და დაასამარა.

დამბლამ მამა საფლავში ჩაიყვანა და თან ჩააყოლა ფუძის მზრუნველი ანგელოზი, ცოლის ყმაწვილქალობა და შვილის ბავშვობა.

მჭედელი საკმაოდ ხანმოკლედებული კაცი იყო, როცა სულ ახალგაზრდა, გამოუსვლელი გოგონა, უმწეო ოჯახის ქალიშვილი, საბედა, შეირთო. საბედა გიორგის ღვიძლივით შეეთვისა, გიორგი მისი ქმარიც გახდა, მამაც, ტოლამხანაგიც, გარემოცა და წრეც... ეს კარგია, კარგი დაგემართოთ, მაგრამ ასაკის ასეთმა მკვეთრმა სხვაობამ მაინც დიდი კვალი დაამჩნია საბედის მერმისს — იგი განგებამ ცხოვრების მორევში თანდათან კი არ შეაქურა, არამედ ერთბაშად გადაისროლა შიგ და თავად ბავშვობაჩამოუთავებელს აკვანი შეაჩეჩა ხელში... არა, ბედს არ უჩიოდა საბედა, მზრუნველი, მოალერსე და მოსიყვარულე ქმარი ვაგლახად ხელს არ გაანძრევინებდა, ცივ ნიავსაც არ აკარებდა, ჭიშკარზე ატუხულ გაჭირვებას შინ არ უშვებდა და სახლში სულ სიტკბო და სიამე სუფევდა. მაგრამ ეს იყო, რომ საბედა გარდა გარკვევით შემორკალული საქალო-სადიაცო საქმისა, ღობის მიღმა ცხოვრებაში ჩაუხედავი, უღონო და უსუსურო დარჩა. და აბა რა გასაკვირია, რომ დაქვრივებულ, ცალად დარჩენილ, პატარა ბავშვის დედას ცხოვრება გაუჭირდა. გაუმწარდა და, ჩვენი ენადაშაქრული მეზღაპრისა არ იყოს, ქმრის გარდაცვალების რამდენიმე ხნის შემდეგ, მის ბარობაზე „ვერც არას ცეცხლი დასწავდა და ვერც არას წყალი წალეკავდა...“

და დაიწყო დაყმწვილებული დათოს კარიდან კარზე ხეტიალი, სხვათა ძროხის მროწლეს, სხვათა თხის არვესა და სხვათა ცხვრის ნოტის მწყემსავა და ხელში აწონილ-დაწონილი, მომადლებული ლუქმის უგემური ღეშვა...

დათო ბოლო ხანს იორამ ირემიძის ოჯახში ტრიალებდა ხელის ბიჭად — ხან ბატებს გაარკვევინებდნენ საბალა-

ხოდ. ხან ხელს დააბანინებდნენ და ქათმებს კვერცხი დაუსინჯავო, უჭრეკუნებდნენ; ხან მამალ, წითელქონჭორიან, გაფხორილ ინდაურს დედალს მიაგვრევინებდნენ და დაპებულაში დაახმარებდნენ, ხან ბაკს გამოაგვევინებდნენ, ხან რით დაასაქმებდნენ და ხან—რიით...

ირემიძეს ორი შვილი ჰყავდა, ორივე გოგო, ერთი მეორეზე ულამაზესი, ელემ-ეთერი და ქეთო. ელემ-ეთერი დათოს კბილა გახლდათ, ქეთო — უმცროსი.

დათოს მათთან ყოფნას არაფერი ერჩია, — ხომ ცნობილია, რომ სილამაზის აღქმა ბალებს ძალზე განვითარებული აქვთ, — დილაადრიან, პირსახეზე წყალს შეისხამდა თუ არა, შიშველი, დაწითლებული და დაბზარული ფეხები ტყაპატყუბით ირემიძეებთან მიარბენინებდა.

ერთადერთი, რაც დათიკოს ამ ოჯახში თვალში არ მოსდიოდა და ჭკუაში არ უჯდებოდა, გაკრეჭილი მღვდლის ისიდორ აფთარაიძის შვილის, გატყლარკული, თავნება და თავხედი, თავის კბილა ბიჭის ფიდოს ხშირი სტუმრობა იყო: კოხტად ჩაცმულ-დახურული, ტანსაცმელშემოგლეჯილ, ფეხშიშველა ობოლს ჩირად არ აგდებდა, გოგონებს განზე გააჩივებდა, დაიმართხვებდა, დაითავისებდა, ათასნაირ თამაშს ათამაშებდა და სიცილ-ხითხითით ხოცავდა.



კარგად ჩაფსკენილ-ჩაქოსმენებული, ლოყებდაყდაჟა იორამ ირემიძე განიდაგებულად — საუბზე იყო, სადილი, სამხარი, ზარმელი თუ ვახშამი — ძვლიან, მოცინარ ხაშლამასა და დეკაზე ნახუხ მცვრიან მწვადებს აპათიოსნებდა ხოლმე და, ამის გამოისობით თუ იმის მიზეზით, რომ ყოველი იჯრის შემდეგ „დესერტად“ ქილებით მურაბას მიირთმევდა, ღრანკი და ღოჯებო სულ მიღრეცილ-მოღრეცილი ჰქონდა. ჩამოთრობასაც არ იკლებდა.

არც დიაცთა დანდობით იყო სინდისდამშვენებული.

ირემაიძე თავის დროზე მსხვილი ბობოლა გახლდათ, ხსლა ცოტა ჩამოხურდავებული, მაგრამ მაინც წელმაგარი კერძო მეურნე იყო და გულწინააღმდეგობრივად ცხოვრობდა: ცხვარ-ძროხა უძოვდა, მწყემსები ედგა, ქონება უღულდა და გადმოსდიოდა.

ჰოდა, რადგან ჭამა ქონებაზე ჰკიდია — ჭამდა, სვამდა, იცვამდა და ამ მზიან ქვეყანაზე არაფერს ზურგს არ შეაქცევდა.

ფოცხვერივით ფიცხი იყო, აფთარივით გაუტანელი და დოლივით ორპირი.

...იმ დილაადრიან თავის ფარებს უვლიდა, ერთ ადგილზე ერთ მწყემსს გადაეყარა — ცხვარი გაემწყემსა, ფეხზე იდგა და თუთუნს ახრჩოლებდა.

— რა არის ეს? — ცხენი მიაგლო და მიაყვია.

— გაგიმარჯოს იორამ, რაზე მელაპაკები? — დამხედურმა ვერ გაიგო „ხაზინის“ გაცეცხლების მიზეზი.

— აი, თითებში რა გაგიჩრია-მეთქი?

— ეს, შე კაცო, როგორ ვერ მიხვდი, თუთუნია, ვაბოლებ, გულს ვაყოლებ!

— ოო, შენ შენი საქმე გქონია, ასე ბოლებ-ბოლებით გულსაც გადააყოლებ და ცხვარსაც, — უთხრა, ქისა ამოიღო, ხელისგულზე მონეტები დაიხვავა, ყვითლებში ნაცრისფერი გამოარჩია, გაუწოდა, ანგარიში გაუსწორა და თავი დაუქრა.

...ლამაზ დედაკაცს თვალს რომ შეავლებდა, ტანში ქრუანტელი უვლიდა, გონება ებინდებოდა, მოსვენება ეკარგებოდა.

— ქალო მარიამ, დედაო ღვთისაგ, ეს რა დამწყაზრული დიაცი დამანახე, — ნერწყვს გადაყლაპავდა, ტუჩებს ააწკლაპუნებდა, ულვაშებს აიპრეხდა, აეტორღილებოდა და მანამდე არ მოეშვეებოდა, სანამ ნაირნაირი ფანდებით თავს არ შეახატებდა და ნამუსს არ ამოუღერებდა.

იორამს გამუდმებით, ზამთრის სუხი იდგა თუ ზაფხულის პაპუნების ბუხრის ქუდი მარჯვნივ ჰქონდა ჩამოხიდული. მობაასეს, უცხოის თუ ახლობელს, გვერდით, მარცხნივ დაუდგებოდა. სუფრასაც, ეს ქრისტიანი კაცი, თავქუდმოუხდელი მიუჯდებოდა და მოსვენებასაც, შინ თუ გარეთ, მარჯვენა გვერდზე ინებებდა.

ამჟამად იყო, რაღაცას მალავდა ირემაიძე...

ამის თაობაზე სოფელ-ქვეყანაში ჯერა-ჯურა ხმები დადიოდა...

ირემაიძეს ერთი მეზობელი ჰყავდა, რომელიც არც იმდენად შორს ცხოვრობდა მისგან, რომ გარეშე მეზობელიაო გეტქვა კაცს და არც იმდენად ახლოს — მეცეცხლე მეზობელი დაგეძახა.

ჰოდა ამ გარეშე თუ მეცეცხლე მეზობელმა ქორწილი ჰქნა, პურობა გამართა, გაბედნიერდა. ირემაიძეს ქორწილში არ დაუძახეს და, ღმერთწინაშე, დააბიჯებდა არც ერგებოდა. არც იორამს მოუკლავს თავი — არ დამიძახეს და, ერთი მაგათი, ნუ დამიძახესო, თქვა და ხელი ჩაიქნია.

თუმცა დაიცა, დაიცა ირემაიძე, ხელს ასე იოლად ნუ იქნევ, ხომ გაგიგონია, — სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენისო.

...ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ ხმა დავარდა: იმ გარეშე თუ მეცეცხლე მეზობელმა იმნაირი მეუღლე მოიყვანა, ქალის უნახავს გაგზდის, ფეხმორთხმული უნდა იჯდე და უცქიროო...

გაფთვრდა და გაშმაგდა ირემაიძე: ერთი სული ჰქონდა, როდის დანიხავდა და გაიცნობდა ამ უღვთოდ ლამაზ დიაცს... ზღაყუნით მიდიოდა დრო, ეამითი-ეამად უშტერდებოდა თვალი, მაღლიმალ იფხანდა ქეჩოს, წარამარა აწვალელებდა ულვაშს და ერთ მშვენიერ დღეს, მუშახელი რომ გაიკრიფა სოფ-

ავთანდილ გალდავაძე
სიცოცხლე სახსია სიამითით

ლოდან ყანაში, ცხვარში თუ ნახირში, ზოლო პატარძალ-საპატარძლოები, აქალ-ბუჭულები და მოხუც-ბებრუცუნები სახლში დარჩნენ, ირემიძემ თავის გამოურს ნავთი გადაასხა და ცეცხლი წაუქიდა.

აბრიალდა ალა, ატყდა ტკაცატკუცო, აყეფდა მყეფარი, აბღავლდა ცხვარი, აპრიახდა ქათამი, აფარფატდა ფერფლი დედამიწის ზედა და ცათა შინა...

გამოცვიდნენ თითო-ოროლა შინდარჩენილები ტაშტებით, ჯამებით, ვედროებით, ვაშრაპებითა და ვაი-ვივით.

და, აჰა, ქუჩაში გამოჩნდა იმ გარეშე თუ მეცეცხლე მეზობლის დიაცი: მისი დაწვები ალივით ელაგდნენ, მისი ჯავარიანი ტანის რხევა ერთ შეხედვად ღირდა, მის სილამაზესთან ვინ იყო ვიღაც ოხერი სიტურფის ანგელოზი...

და იდგა გულზელდაკრეფილი, პირგაბადრული და თვალაციმიცმებული იორამ ირემიძე: მის მიდამოზე მიმოდიოდა ნუგბარი, ნატიფი, ნარნარი ქალი...

ამის შემდეგ სოფლის მუსუსმა ამოიჩემა ლამაზი ცოლის პატრონი, დიმიგობრა, დაიდოსტა და გვერდიდან არ იშორებდა: ეს უქმე დღეო, ეს დღეობაო, ეს დღესასწაულიო, ეს ნიშნობაო, ეს ქორწილიო, ეს ძეობაო, ეს ნათლობაო... ახლა კიდევ ეს ქელებიო, ეს სულის ახსნაო, ეს ორმოცის ხარჯიო, ეს წლისთავიო და რა გინდა სულო და გულო: ილხინე, სვი და ჭამეო, ჭამე, სვი და ილხინეო...

მეზობელი, ლამაზი დიაცის ქმარი, ჭამდა, სვამდა, ილხენდა, მაგრამ ირემიძის შინ მიწვევასა და გაშინაურებას არა და არ აპირებდა.

იორამი ხან უშობელს გამოულადრავდა ყელს, ხან ჰედილას წამოაქცევდა, სამწვადესა და სახაშლამეს შეარჩევდა, ზედ ზედავით გატივნილ ტიკს მიაყოლებდა და, აბა, ერთი შენი ჭირიმე, შინ შევიართო, ჩემო სამას სამოცდასამი წმინდა გიორგივით საფიცარო მეზობე-

ლო, დიაც-ბალობა დაგილოცო, ეტყობა ყოდა.

ეტყობდა და გზას გაუყვებოდნენ.

გზას გაუყვებოდნენ, მაგრამ ჭიშკართან მიდგებოდნენ თუ არა, „წმინდა გიორგივით საფიცარი მეზობელი“ მიზეზ-მიზეზობით იმდენს მოახერხებდა, რომ სტუმარს ყველა აბგასა და ჭურჭელს ჩამოართმევდა, უკან გააბრუნებდა, თავად კუტიკარს ფეხს ჰკრავდა, ზღურბლს გადაალაჯებდა, შესაწვავს შეწვავდა, მოსახარშს მოხარშავდა, ჩამოსასხმელს ჩამოსასხამდა და, ილხინეთ, ლამაზ ცოლთან ერთად არხენად მოილხენდა.

მერე იმ თვალმახარა დიაცს მიიწვევდა, მიიხუტებდა, და თავის თავთან სჯაბასის ხასიათზე დადგებოდა:

— რა გქნა, ჩემო იორამ, ამდენ დაპატიყებას რომ გადაპატიყება უნდა, როგორ არ ვიცი, მაგრამ, აბა, ამ ჩემი ლამაზი დიაცის პატრონმა შენი ნამუხის კაცი ოჯახში როგორ შემოვლუშა?

მაგრამ ერთხელ, ხანი რომ გამოხდა და მშვიდობის დილა გათენდა, ხელგადახუნძლულმა ირემიძემ, ჩვენთვის უცნობი ხრიკებითა და ხვრელებით, მაინც მოახერხა ლამაზცოლიანი მეზობლის ჭერქვეშ თავის ამოყოფა.

ხორავი მუხლამდე დახვავდა, ყანწსა და ჯამში ღვინო ატორტმანდა.

ენა ამზეურდა, ჩაროზივით დატკბა და დაშაქრდა.

ნამეტურ იორამმა გამოიღო თავი: მასპინძლებს გაუზზარავ ერთგულებას ეფიცებოდა, ხალას მეგობრობას უმტკიცებდა, ჩვენს შორის მოღალატეს მალა ვარვარა მზე გაუცივდეს და დაბლა ქედ-ნამუხისიანი ოჯახი დაქცესო, — ლაღადებდა.

ამ პირის პატივში, ერთმანეთის ქებადიდებაში, ფიცში და მტკიცეში დღე მიიწურა, მოსაღამოვდა და მრუმე მოდგა.

მუცელში ჩანთქმულმა ზედაშემ თავისი სათავსო გაარუმბა და გარეთ გააბრძანა.

გარეთ გაბრძანებულმა მასპინძელმა ჯერ შარვლის გულფიკს დიღები ააღლიტა და სახლის უკანა კედელთან სული ძლივს მიიტანა, მერე გული საგულეში რომ დაიგულა, საძაღლედან ნაგაზი გამოიყვანა და ეზოში გარდიგარდმოდ გაჭიმულ გვარლზე გამოაბა. შემდეგ ის-ის იყო უკან მიბრუნებას აპირებდა, რომ ჭიშკართან ბაკიბუკი შეჩერდა.

— გამარჯობა შენი! — ღობის იქიდან გადმოუვლო ბაკიბუკმა.

— გაგმარჯოს! — უკან დაუბრუნა.

— როგორა ხარ?

— კარგათა, შენა?

— ვარ ისე, რა. არცთუ მაინცდა- მაინც... და არცთუ მაინცდამაინც...

— კარგად იყავი!

— კარგად, კარგად, ქეიფი გაამოს! — ჩაიჭირქილა ბაკიბუკმა, აჩქარდა და გზას ხვავი დააყარა.

— ჰმ, ქეიფი გაამოსო... ამ შობელ- ძაღლებს რომ არაფერი გამოეპარებათ?! — გულში გაივლო, ქამარ-ხანჯალი შეისწორა, შეტრიალდა, კარი შეაღო და გაშრა: იორამი მუხლის თავებზე დაცემულიყო, ხელები ზე აღეპარო და ზეზე მდგარ დიასახლისს ვედრებით ავსებდა: „ჩემს სულში ჩაკირულო ანგელოზო, ჩემო ფიქრო და ოცნებავ, ჩემო ზეცავ და ქვეცავ, ჩემო სიზმარო და ცხადო, შენ შემოგვევლე. შემვივდრე და შენი ფეხის ნაბანი შარბათი შემასვი... შენი ხმალი და ჩემი კისერი, შენი სურვილი და ჩემი ასრულება, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს ჩემი ქონება-ცხოვრება... ხომ ხელავ შენი ლამაზი თვალე- ბით, რომ შენს იქით გზა არა მაქვს, თუ იმედს არ მომცემ და არ დამაწუგეშებ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, თავს ფათერაკს წავკიდებ და, აბა რად გინდა, ქრისტიანი ადამიანის ცოდვაში ჩადგი, ეს ღვთისნიერი და ოქროს ქმარშვილიანი ქალი?“

დედაკაციო? — იკითხავთ.

ნამუსშეუბღალავ დედაკაცისათვის — საკუთარი შვილის წინაშე მუხლს რომ

არ გაიწივლებდა — გულმოსაფონ და ალერსიან სიტყვას ილაჯი წაეჭრებოდა დაწვეები აეტკრიცა, მსახვრელი მსულს დაერია და ჯადონაქნარით მოენუსხა.

მასპინძელმა ფხაბასრი ხანჯალი ამოაგო, დაიქნია და ირემაიძეს ყური ჩამოათალა.

ყურმა იატაკზე ტყაპანი მოიღო.

სისხლმა ითქრიალა.

— აბა, ახლა, აქედან დაიკარგე თორემ, მე ვიცი, სახლ-კარის აყროლებას არ დავერიდები და ფაშვებს გადმოგაყრევივინებ! — შესძახა „საფიცარმა მეზობელმა“ და ხანჯალი მეორედ მოუღერა.

იკადრა ირემაიძემ წამოხტომა, ფეხის მოცვლაც იკადრა, „ვია დედაც“ იკადრა. ნაყურალზე ხელი აიფარა და კარი გამოგლიჯა.

მასპინძელი ხანჯლის წვერით დაწვდა ბიბილოს და ძაღლს მიუგდო.

მყეფარმა ყურს პირი უყო, იცოტავა, ირემაიძეს ეტაკა და კარგა ბლომა ლუქმა გამოგლიჯა გადანდალებულ დუნდულიდან.

მერე კუჯზე დაყუცდა და ყეფითა და გნისით გააყრუა გაღმეთი და გამოღმეთი...

კოლმეფურნობამ თანდათან ღონე მოიკრიბა, მხრები გაშალა და ადგოლ- მამულიანი, ერიანოჯახიანი და ფერხორ- ციანი ვახდა.

დედა-შვილი კოლექტივიში შევიდა და სახნავიც გაუჩნდათ, სათესიცა და სამწყსოც.

დედამ დათიკო ხელისბიჭობას გაარიდა, სკოლაში გააბარა და წიგნიერებას შეაქიდა.

დაწყებით კლასებში დიდად განათლებული, ჭარმაგი, მაღალ-მაღალი, მხრებში მოხრილი. ამ სოფელში ზედ-

ავთანდილ გალდავაძე
სიცოცხალი სამსა სიამითი



წიშედ მოსული მასწავლებელი — მიშა ჩხეიძე ასწავლიდა.

მიშა მასწავლებელი თითოთ საჩვენებელი მეუღლე, მამა, მეზობელი და მეგობარი იყო.

სოფლის გარდასულ დროთათვის სანთლის ანთებაში, აწმყოს დამკვიდრებასა და ამ კუთხე-გარემოს სიყვარულში იგი მკვიდრ, თვით თავითავ აღვანელებსაც კი ტოლს არ უდებდა.

ყოვლად უზადო კაცს ერთი ნაკლი ჰქონდა: ბორძიკით ლაპარაკი იცოდა — წინადადებას ისე ვერ წამოიწყებდა, წინ „ეეე“ რომ არ წაემძღვარებინა (ბავშვობაში როგორც დაწინებულა, მის მშობლებს სადაც კი ხელი მისწვდომიათ, ყველგან უეჭიმიათ და უწამლიათ, მაგრამ ვერა და ვერა, შვილისთვის ენა ვერ გაუმართავთ).

ხოლო ეს ნაკლი, ენისქვეშ მოყოლილ პირბოროტ მოქალაქეებს, რა თქმა უნდა, არ გამოპარვიათ...

— ეეე, მე თქვენი მიშა მასწავლებელი გახლავართ, — წარუდგა თავის ახალ მრევლს, — ხოლო თქვენ — დიმილით განაგრძო — ჩემი აღსაზრდელები ხართ, ჩემი შეგირდები, ჩემი მოსწავლეები.

ამის შემდეგ თითოეულს ვინაობა, გვარი, სახელი და მამის სახელი გამოჰჩეთხა, საკლასო ქურნალში ჩაიწერა და ადგილები მიუჩინა.

ფილო და დათო დააუღლა და უკანა რიგში, გვერდიგვერდ, ერთ მერხზე დასვა.

ედემ-ეთერი თავისი სილამაზით, სიკოხტავითა და ჩაცმულობით მთელი კლასის თვალი იყო.

მთელი კლასის თვალი იყო და კარებთან, თვალსაჩინო ადგილზე მოაკა-ლათა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფილო წამოდგა, მერხზე მარტოდ მჯდომ ეთერთან მივიდა და გვერდით მიუსკუბდა.

მიშა მასწავლებელმა წარბები ასწია, ფილოს ყური აუწია, წამოაყენა, უკან მიაბრუნა და კვლავ დათოსთან დააბრ-ძანა.

— ედემ-ეთერი ჩემი მეზობელია... თავი იმართლა ფილომ.

— ეეე, აქ ყველა მეზობლები ვართ, გადამთიელი არავინ გვირეცია, სადაც მასწავლებელი მივიჩენს ადგილს, იქ უნდა დაჯდე! — ხმის აწევით უთხრა მიშა მასწავლებელმა.

ფილო დაჩუმდა.
კლასი დაშოშმინდა.
ზარი დაირეკა.

— ეეე, ჩემო პატარა მეგობრებო, აბა, რომელი თქვენთაგანი იტყვის ლექსს? — შესვენების შემდეგ საერთო კითხვა დასვა მიშა მასწავლებელმა.

თითო-ოროლა ლექსი, ხალხური პოეზიიდან იქნება ეს თუ სულგანათლებული იაკობ გოგებაშვილის „ღედა ენიდან“, ჩვენში ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვმა იცის... იცის და აცმუკდნენ ანცები: ზოგმა ხელი ასწია, ზოგი ზეზე წამოხტა, ზოგი კიდევ პირდაპირ მაგიდასთან გაეარდა.

— ეეე, დაწყნარდით ბავშვებო, დასხედით თქვენ-თქვენ ადგილებზე, რიგრიგობით თავის სათქმელს ყველას გათქმევენებთ!

ძლივს დაცხრნენ.

ფილო არ გატოკებულა, მდუმარე და მობუხული იჯდა.

მიშა მასწავლებელმა — არ ვიცი შემთხვევით. არ ვიცი რაიმე პედაგოგიკური მოსაზრებით — პირველად ფილო წამოაყენა.

ფილომ წელი წამოწია, წამოდგა და წაიმღერა:

ეეეო, მეეეო,
სხვათა მამულზე მოსული
მიშა ჩხეიძეო.

ერთბაშად ამოთქვა და მერხზე მოწყვეტით დაჯდა.

მიშა მასწავლებელი შეცბა, მხრები აუცახცახდა, კედელთან სკამი მიაჩოჩა, ჩამოჯდა, სარკმლის რაფას იდაყვებით დაეყრდნო და თავი ჩაქინდრა.

ბავშვები გაიტვრინენ — ბუზის გაფრენას გაიგონებდით.



დათომ მეოთხე კლასი ფრიადებზე დაამთავრა. სკოლას რაიონის განათლების განყოფილების მიერ, ყველაზე კარგი მოსწავლისათვის, წასახალისებლად ერთი წყვილი ფეხსაცმელი ჰქონდა გამოყოფილი.

ფეხსაცმელი დათოს მიაკუთვნეს. მიშა მასწავლებელმა დათოს ხელი ჩაავლო და მალაზიაში წაიყვანა. ნოქარმა დახლის ქვევიდან მუყაოს ყუთი გამოიღო და მიშა მასწავლებელს გადმოაწოდა.

დათომ ცალ ფეხზე ქალამანი წაიპრო, შიშველი ფეხი შარვლის ტოტზე გაიწმინდა, ტუფლს თვალგაბრწყინებულად დააცქერდა და იდაყვი გადაუსვა, უაითანი მოაფოფლა, ფეხსაცმელს ენა ამოუწია და ფეხი ჩაპყო.

ქუსლი მაღლა დარჩა. თვალეები გააცეცა, — მალაზიაში კაწაბი ვერ მოიძიეს.

მიშა მასწავლებელი დაიხარა, საქუ-სარზე ცერი დაუტანა და დააპირეო — თვალით ანიშნა.

ფეხი არა და არ ჩავიდა. სხვა ფეხსაცმელიც აღარ იყო. — აბა, ერთხელ კიდევ მოვსინჯოთ, — თქვა მიშა მასწავლებელმა, შუბლი-დან ოფლი მოიწმინდა, ფეხსაცმელში მჯილი შიბარუნ-მოაბრუნა და დათოს გაუწოდა.

დათომ მთელი ძალ-ღონე დაძაბა. როგორც იქნა ფეხი ფეხსაცმელში ჩა-და და... ტკაცანიც გაისმა.

მიშა მასწავლებელმა ურუდ დაიგ-მინა.

ცერა თითის ფრჩხილი შაბივით გა-დატყდა.

იატაკი წითლად შეიღება. დათოს კრემლი მოერიდა და ფეხ-საცმლის გახდა მოიწადინა.

მიშა მასწავლებელი ხელში ეტაკა, გულჩვილობისათვის „ამხელა ვაჟაკი“ დატუქსა, ცხვირსახოცი თითი შეიხ-ვია და მალაზიიდან მოლიმარები გამო-ვიდნენ.

დათომ ცალ ფეხზე ახალი ფეხსაცმე-ლი ეცვა და ცალზე ქალამანი. სული ჰქონდა დედას როდის ახარებდა სახარებელს და შინისაკენ ვარბოდა.

მიშა მასწავლებელს სული კბილით ეპირა და ძველი „ადილხანოვის“ წა-ღების ფლასტა-ფლუსტით საექიმო პუნქტისაკენ მიეშურებოდა.

...ძვირად დაუჯდა მიშა მასწავლე-ბელს თავის ნიჭიერ მოსწავლეზე ზრუნ-ვა: ფრჩხილი გაუმიზეზდა, დუღკო გა-ნუვითარდა, გაურთულდა და ცერა მოკვეთეს...

ქვეყანა თანდათან კალაპოტში ჩადგა და დაწყნარდა... მართალია, თავსამტე-რევი და ხელგამოსაღები ჯერ კიდევ ბევრი რჩებოდა, მაგრამ როცა ადამიანი წინ რწმენით იცქირება, საესეა იმე-დითა და ხალისით და მკერდში გაუბ-ზარავი გული უცემს, აბა, საგოდებელი და საურევებელი რა უნდა ჰქონდეს?..

დათიკო არდადეგებზე, აქოდა, დე-დას ხელს წაუეკრავო, კოლმეურნეობის კამეჩებს გაიპიროვნებდა, უღელში შე-ბამდა და ხან სახანავ-სათესში საქმი-ანობდა და ხან ახალმშენებლობებზე ქვას, ხრემსა და ქვიშას ეზიდებოდა.

იჯდა დათო ურმის კოფოზე, შვინდის სახრეს უტყლაშუნებდა ზანტ ყორა-ნებს და დღეში ორჯერ მაინც აუვლ-ჩაუვლიდა იორამ ირემაიძის ეზო-კარს... ირემაიძის ცალ მხარეზე დასახლებული ქუჩა, ალაზნიდან გადმოვდებული სარ-წყავი და საქონლის სარწყულებელი ტოტის გასწვრივ მდებარეობდა. ეს ტოტი სულ ცოტა სამ-ოთხ ვერსზე მა-ინც იყო ვაკიძული, მაგრამ ახალგაზრ-და კოლმეურნე დაალხულ კამეჩებს მა-ინცდამაინც იორამის ეზოსთან მილა-ლავდა და იქვე, თავის ურმიანად, წყალში ჩაპყრიდა.

საქონელი ხვატისაგან სულს მოითქ-

ავთანდილ ვალდავაჟი
სიღობულში სასხა სიკაითით

ვამდა, ტოტი შეტბორდებოდა, წყალი ატორტმანდებოდა, ბიჰს თვალი ეზოსკენ გაქცეოდა და გული აუტოკდებოდა... თაღოვანი ჭიშკრის იქით ამწვანებული ეზო და რკინა-აგურით ნაშენი ვეება სასახლე ეგულებოდა, ხოლო სასახლის აივნის რიკულზე ზვიადად გადმომდგარი ირემიძის ტურფა ასული ედემ-ეთერი...

ედემ-ეთერი და დათო, როგორც მოგახსენეთ, უცხონი არ იყვნენ ერთმანეთისათვის — ჯერ იყო და ბიჰს მათთან კარგა ხანს მოჯამაგირის ჭაპანს ეწეოდა, მერე კიდევ, აგერ რამდენი წელია, ერთად სწავლობდნენ და კლასიდან კლასში გადადიოდნენ. მაგრამ ყოფილი „ხაზინის“ ქალიშვილსა და „ხელის ბიჰს“ შორის კეთილი განწყობა არა და არ დამყარდა — სილამაზითა და სიმდიდრით გალღებული გოგონა ვერ ამჩნევდა, თუ ამჩნევდა და არ იმჩნევდა, ობლობითა და სიღუბნით შებოჰილ ჭაბუკს...

ხოლო ჭაბუკის გულში რა გენია გიზგიზებდა, მხოლოდ ერთმა — ღმერთმა იცოდა...

თუ დათოს ნატვრა აუსრულებოდა და ედემ-ეთერს აივანზე დალანდავდა, კინკრისხოზე დაკოსებულ ქუდს უმაღლივ მოიშვებდა, მუხლისთავზე გადახეულ შარვალს დაფარებდა, ზედ იდაყვს დააყრდნობდა და თავანკარა სიმღერას წამოიწყებდა:

გენაცვა, შავო კამერო,
რა დაეშავე შენს წინა,
ზაფხულს ვითიბე ბალახი,
ზამთრზე დაგაბი ზღვეზედა...

ლომა კამეჩებს, ამ სიმღერის მოსმენისას, არც თვალის ფახური აუჩქარდებოდათ, არც გულის ცემა, არც ფერი შეეცვლებოდათ და არც იერი — მდინარის ზედაპირიდან თავს მაღლა ამოსწევდნენ და იცოხნებოდნენ...

არც ედემ-ეთერს ეცემოდა ელდა... წყალი რომ ტოტიდან გადმოედინებოდა და ქუჩა-ქუჩა წაჩუხჩუხდებოდა, არ ვიცო იმის შიშით, რომ მეზობლები

გამოუჯარდებოდნენ და შავ დღეს დააყრიდნენ, არ ვიცო იმის რიდიანობა და გვიანებისათვის ბრიადირი თავზე ხელს არ გადაუსვამდა, კამეჩებს მალა ამოყრიდა და აქეთ ნატვრით გამოვლილ გზას იქით გულდათუთქული აუყვებოდა.

შოლტი ამჯერად, რა თქმა უნდა, აღარ ტყლაშუნობდა.

ზოზინა კუდალები გარუჯულ იფნის უღელში ქედით მიიწევდნენ ერთმანეთზე და რკინის გაპრიალებული, დაბრეცილი ტაბიკები თუ არა, ვინ იცის, რა ცოდვა-ბრალი დატრიალდებოდა ამ მოძმე მეუღლეთა შორის.

აბა თქვენ, რა გულთბისნები მყავდით, ჩემო კეთილო ზღაზინებო, რომ მიმხვდარიყავით, თუ რა ფიქრთა კიდილში და ოცნების მორევში ტრიალებდა თქვენი მეშვიდე ცაში აურენილი მეურმე — თბოლი ბიჭი...

ურემი რომ ჯაყჯაყით წავიდოდა და ირემიძის ეზოს ცალყურმოსაკრავ მანძილზე დაშორდებოდა, მეურმე მუხლიდან ქუდს თავზე გადაინაცვლებდა და, ჰა და ჰა, დაბოხებული ხმით გააბამდა:

ალო-პაპალი პალებიი...
მაყვალს მიგაგავს თვლებიი...

მერე კიდევ, როცა კარგად გაიმანძილებდა და მეორე ჯვარედინში გააღწევდა, შოლტის დასაქმებით კამეჩებს დააჩქარებდა და აი მაშინ იყო, რაც იყო — ხაფი ხმით დასჭექდა.

გენაცვალე ქერის პურო,
ანაცერო დიკისო,
შებრალეა უნდა გქონდეს
ჩემისთანა ბიჭისაო.

...ედემ-ეთერი წელში გაიმართებოდა, იდაყვებს გაიფერთხავდა, „იიპო“ — ქოქოლას მიაყრიდა „მეკამეჩეს“ და მოხდენილ და მომხიბლავ ფიდოს შესახვედრად, ისედაც ლამაზების ფალავანი, სარკეს მიადგებოდა და თავს მოილამაზებდა.

აპრილის ცას ფირუზისფერი მანდი-
ლი ესურა და ნანინანატრ დღეებს
ბარტყავდა. ვალვიძებული ხე და ბალა-
ხი ათქვირული დედამიწის ღალიან
დვრილს დაწაფებოდა და მწვანედ
იბუმბლებოდა.

ბოლო, ფიზკულტურის გაკვეთილი
მიმდინარეობდა და, როგორც წესი,
კლასი სავარჯიშოდ სკოლის უკანა ეზო-
ში გავიდა. უზარმაზარი ეზო კაცის
თვალს თითქმის კილომეტრის სიგრძის
ასპარეზს უშლიდა: შუაში, ორ მწკრი-
ვად, საროსტანიანი კვიპაროსები ჩა-
რგებულიყვნენ და ხავსივით ხასხასებ-
დნენ. მათ მიღმა და მოღმა დაწვებატყ-
რცილი ქალიშვილებივით იდგნენ ატ-
მები და წითლად ღვიოდნენ. ხოლო
სულ გარე-გარე, მარჯვნივ და მარცხ-
ნივ, მსხლები და ვაშლები იზმორე-
ბოდნენ და ასაფეთქებლად ემზადებო-
დნენ.

თავნება ნიავი ნებიერად ნანაობდა.
ფეხქვეშ კონდარი ღელავდა.

მოსწავლეები ეზოში გამოეფინენ,
აყვავებულ ბუნებას შეერწყნენ და ეწი-
ბო და შნო შეჰმატეს.. მასწავლებლის მო-
ლოდინში ბიჭები ბეჭებს ათამაშებდნენ,
გოგონები კი განზე გამდგარიყვნენ და
მალულად, მალიმალ, მათკენ იმზირე-
ბოდნენ.

ფიზკულტურის მობერებელი მასწა-
ვლებელი, მარათონული რბენის ტრფი-
ალი, მოსწავლეებს მეტწილად სირბი-
ლში ამეცადინებდა. ბოლო ხანებში სი-
ბერემ თუ უჯანობამ დაჯახნა და ჩუი-
რად გაკვეთილებს აცდენდა, სკოლის
ღირექცია კიდევ, ბარემ ეს წელიც ჩა-
მოათათს და პენსია მოიზრგოსო, დათმო-
ბაზე მიდიოდა.

მისი პირველი ხელი და სასიქალღუ-
ლო მოწაფე ფილო აფთარაიძე გახლ-
დათ — იგი თუ სხვა საგნებში ვერა-
ფრით იყოყოჩებდა, ფიზკულტურა დი-
ახაც დიდ მომავალს უქადდა. ამას,
ეტყობოდა, თავადაც კარგად ჰვრეტდა
და იშნობდა კიდევ: პეწენიკი და ქედ-

მალალი თუ ქვეითად იყო, ისეთი მანე-
რით მიდი-მოდიოდა, გეგონებოდა, რომ
წინ გუბურები ხვდება და ეშინია, კოს-
ტად მორგებული ტან-ფეხი ტლაპოში
არ ამოთხვაროსო. ხოლო თუ ნიკელით
გაწყობილ ველოსიპედზე ამხედრდ-
ბოდა, ქუჩა და შუქა აკლებული ჰქონ-
და: ქაჩივით დაჯირითობდა და ჯურა-
ჯურა გოგო-ბიჭები ხაბარდასაც ვერ ას-
წრებდნენ, ისე აწყდებოდნენ ღობე-
ყორეს.

ფილო ხშირად ცვლიდა ფიზკულტუ-
რის მასწავლებელს: ალაშა და სას-
ტვენს ჩაიბარებდა და თანაკლასელებს
ხან წალმა არბენინებდა და ხან უკულ-
მა...

ჰოდა, ამჯერადაც ასე მოხდა: ყო-
ფილი მარათონული რბენის ოსტატი
სამასწავლებლოში იჯდა და თვლემდა,
დამლაგებელმა ქალმა კი ეზოს კარი
შემოაღო, ფილო გაიკითხა და ალამი და
სასტვენი გადასცა.

— სმენა! — სასტვენში ჩაბერა ფი-
ლომ და ალამი ასწია.

— მარდად, მარდად, მარდად! — ყვი-
როდა, ალამი ილღიაში ამოეჩარა და
ტაშს სცემდა.

მოსწავლეები ზღაზვნით მოდიოდ-
ნენ, პირველ ხაზზე გოგონები დგებოდ-
ნენ, მეორეზე, ასე ოცდახუთი ნაბიჯის
დაშორებით, — ბიჭები.

ფილოს არავისთვის არაფერი აუხა-
ნია, ყველამ იცოდა — სირბილში უნდა
გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ეს კი
იმას ნიშნავდა, რომ ფინიშთან, ან უფ-
რო უკეთესი, უფრო ადრე, გოგონებს
ბიჭები უნდა დაწეოდნენ და დაეჭირათ.
ორი ხაზი გაიკიმა.

ფილომ ალამი ააფრიალა და დას-
ტვინა.

ხაზები ადვილს მოსწყდნენ.

დათოს იმ დღეს ახალთახალი, კო-
პით ამოსხმული ქალამანი ეცვა, ცოტა
უჭერდა, მაგრამ უნდა გაეძლო, სხვა რა

ამთაწდილ ვალდავაჟი

სიფიდალი სავსა სიკამით



გზა ჰქონდა — სად ახალი ქალამნის ლაზათი და სად ჯღანად ქცეული ძველისა?!

გარბოდნენ გოგონები, გარბოდნენ ბიჭები.

წინ პეპელასავით მიქროდა თეთრ-ბაფთიანი, ქიშმირის წვრილნაკეცა კაბაში გამოკოხტავებული იორამ ირემაიძის ქალი ედემ-ეთერი.

იყო სიცოლი, ტყარცალი, კისკისი.

უჭირდა დათოს სირბილი — უჭერდა ქალამანი — მაგრამ ხელიდან როგორ გაუშვებდა ასეთ ბედნიერ შემთხვევას: მიახლებოდა და ხელით შეხებოდა ტბილ ოცნებას?!

პეპელასავით მიქროდა ედემ-ეთერი და ფეხდაფეხ მისდევდა ცალფეხმოქცეული დათო.

ჰა და ჰა, ქალიშვილი ლელოზე უნდა გასულიყო, რომ ბიჭი დაეწია, ჰაერში აფრიალებულ ნაწნავებს მისწვდა და თბილმა ყრუანტელმა დენივით დაუარა.

უკან მოიხედა გაბადრულმა ედემ-ეთერმა, უმაღლესი ელფერი ეცვალა, გაშრა, განრისხდა და გაწყრა:

— ამ მეკამეჩეს რაღა უნდა?!

...ფინიშზე გოგონები და ბიჭები აირ-დაირივნენ, ზოგნი სად მიდგნენ და ზოგნი სად მოდგნენ.

დათო ადგილზე გაქვავდა, გული კი არ ჩაწყდა — დაეჩუტა და აქამდე სავსე მკერდში სიცარიელე, ფულურო გაუჩნდა... იდგა და არც არაფერს ხედავდა, არც არაფერი ესმოდა, არც სიამეს გრძნობდა და არც ტანჯვას...

ქალამნები გაიხადა, ერთი მეორეში გაუყარა, მოლზე დადო და ეს ატორტმანებული დედამიწა რომ გაეჩერებინა, ზედ დააჯდა.

გვიან-გვიან გონს მოეგო, წამოდგა, ქალამნები ქამარში გაიჩარა, მაღალ ყორეს გვერდულად მიადგა, ახტა, ხელი დაჰკრა, გადაეღლო და თვალს მიეფარა.

თუში ვარ, მაგრამ არაგი ვარ,
იღვე ვგობივარ — ახასაო,

დავკრავ ფეხს, გადავახტები
მახტრიონ ვალაენსაო,

ჩაიღიღინა ფიდომ და ედემ-ეთერს თვალი ჩაუკრა...



...საშუალო სკოლა დაამთავრეს, დათომ ფრიადოსნის ატესტატი მიიღო. ატესტატი დედამ გულში ჩაიკრა, ეფერა, ელოლიავა, დააგორგალა და სკივრში შეინახა.

ედემ-ეთერი და ფიდო შეუღლდნენ და იქორწილეს. ირემაიძემ დათო ქორწილში მიმდგომ-მომდგომად მიიწვია; უარი მიიღო, ძალზე განაწყენდა და სულ ცოფები ჰყარა: მაგ ჩემი ნასუფრალით გამოზრდილს არმად შეერგოს ჩემი ოჯახის პატივისცემათ...

...ამ დროს დათო პირქვედამხობილი იწვა ტახტზე, ბლიკვს ლოდნიდა და ცრემლს ატანდა.



1941 წლის 22 ივნისს ღვთის რისხვა დააცხრა ცისქვეშეთს და ძირიან-ფესვიანად შესცვალა ჩვენი ცხოვრების ნირი და იერი:

თავს დაგვესხნენ...

ომი დაიწყო, გავარდა ხმა და ფეხზე დადგა კაცი, დიაცი, ახალგაზრდა, მოხუცი, ძალოვანი და ძაბუნი...

აბრიალდა ცეცხლი და ცაში ავარდნილი ალენი ყველაფერს, ხელთქმნილსა და ხელთუქმნელს, წალეკვით ეშუქრებოდნენ.

ომი წარღვნასავით ადიდდა, აზვირთდა, ქვეყანა შეაზანზარა და შეძაძა.

სიცოცხლე გამწარდა და დატყბა დანდური, ჭინჭარი, პირშუშხა, ტყემალი, ბალარჯი პური და ცივი მკვადი.

რეკდნენ გლოვის ზარები.

რეკავდა განკითხვის ყამი.

სამშობლო განსაცდელში იყო.

და იდგნენ რიგში თავგადასოტრილი ჭაბუკები.



— რიგითი მებრძოლი შოთა ერას-
ტის ძე ლავაზიძე!

— ვარ!

— ორი ნაბიჯით წინ!

— რიგითი მებრძოლი მელიტან
იროდის ძე ილიძე!

— ვარ!

— ორი ნაბიჯით წინ!

— რიგითი მებრძოლი დავით გიორ-
ვის ძე ხახიძე!

სიჩუმე ჩამოდგა.

— რიგითი მებრძოლი დავით გიორ-
ვის ძე ხახიძე! — ხმას აუწია ახალგაზ-
რდა, პირტიტველა ლეიტენანტმა. ოფი-
ცერი ახალთახალ სამხარიალივის
დღედს, კისერზე ჩამოკიდებულ ბინო-
კლსა და რევოლვრის ცარიელ ბუდეს
ხშირ-ხშირად ხელს წააღებდა. შემო-
ჯარულ ლამაზმანებს მხერას ესროდა,
სიას კითხულობდა, კომანდრობდა
და ამოკითხულ გვარებს ბლოკნოტში
ფანქრით წრეხაზს ავლებდა.

დათო აქეთ-იქით იხედებოდა და
თვალებს აცეცებდა.

ბიჭებმა გაოგნებულ ამხანაგს მუ-
ჯღუგუნე ჰკრეს და ერთი ნაბიჯით წინ
გააგდეს.

— ვარ! — წამოიძახა შეცბუნებულ-
მა დათიკომ.

— რიგითო მებრძოლო ხახიძე, სამ-
ხედრო დისციპლინა აბსოლუტურ ყუ-
რადღებას მოითხოვს! — დატუქსა მე-
თაურმა და უბრძანა:

— ორი ნაბიჯით წინ!

დათიკომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადა-
დგა, ადრე გადახებულებს გაუსწორდა
და გაოცებულ შედგა: ყურს ეხამუშა
ეს ერთბაშად დაკაცებული თუ დახანე-
ბული „დავითი“.

— რიგითი მებრძოლი ფილო ისი-
დორეს ძე აფთარაძე!

— არ გამოცხადებულა! — თითქ-
მის ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა.

— ძუძუტყვილა დედასამშობლოს
ბარკალთბილა დიაცი ამჯობინა. — სი-
ტყვა ჩამოაწოდა ვიდაცამ.

— ტრიბუნალის წინაშე აგებს პა-

სუნს! — თქვა ლეიტენანტმა, ბლოკნო-
ტის ცალკე გვერდზე რაღაც ჩაინახა
და განაგრძო:

— რიგითი მებრძოლი იოსებ სტეფა-
ნეს ძე ჯღუთაშვილი!

— ვარ!

— ორი ნაბიჯით წინ!

... ბიჭები ატბატად მოძრაობდნენ,
ვინ მარჯვნივ ბრუნდებოდა, ვინ მარც-
ხნივ, ვინ კიდევ უკან-უკან იხევდა.

რაიონის ცენტრში, გაშლილ მოე-
დანზე, ადგილ-ადგილ გუბურები გა-
ფანტულიყვნენ, ციციკნა-ციციკნა ცა მო-
ეტაცათ და ოცნებასავით მკერდში ჩაე-
კრათ.

უზომოდ აზიდულ ცაფირებს ცისა-
რტყელა ყელ-კისერზე მარმამის მაქ-
მანივით მოერგო:

მერებს გული ეჯერა და დამცხრალი-
ყო.

პირდაბანილი მზე ჭირვეულად აც-
ხუნებდა.

წვიმიტ გაუწუწული დედამიწა და
დედაკაცები მზის გულზე დამსხდარიყ-
ვნენ, ბული ასდიოდათ და შიშინით
შრებოდნენ. იქვე, შორიახლოს, „სავე-
ლუ სადალაქო“ გაემართათ — ტბუ-
რეტი გამოეტანათ, ზედ, რიგრიგობით,
ახალწვეულებს სვამდნენ და იყო მკ-
რატლის გამბული ღრავუნ-ღრუჭუნი.

გაკრეჭილები მწკრივში დგებოდნენ
და, უკვე ჯარისკაცად შერაცხილნი,
„სმენაზე“ სწორდებოდნენ.

დალაქი ერთი დაბალ-დაბალი, და-
ლეული, უღვაშებადქეული, პორტა-
რტურში დაკოჭლებული კაცი იყო. იმ
დროიდან მოყოლებული ბარძაყში
ერთიმეორეზე მიჯრილი სამურაის სა-
მი გულა შემორჩენოდა. სანამ ჯერ კი-
დევ ჯეელი იყო და ტყავსა და ძვალს
შუა რბილი ებადა, არა უშავდა რა, ას-
ლა კი, როცა დრო-ყამის ხავსი მოეკი-
და, ხორცი ყუაზე დადგა და ტყავი ძვა-
ლზე დავიდა, ფეხის უბრალო ვატოყე-

ავთანდილ გალდავაძე
სივნიანი სავნა სიკითით



ბაზედაც კი ტყვიები ერთმანეთს ეჯახუნებოდნენ და ნაბათივით ჟღერდნენ.

პირხმელი სახე ჰქონდა, ხვანჩიანი ყელი, დაჩოფურავებული ცხვირი. თუ დიდი აუცილებელი არ იყო, ლაპარაკსაც ერიდებოდა და მოსმენასაც, ხოლო თუ ამ ორში ერთი აუცილებლად უნდა აერჩია, მაშინ მოსმენას ამჯობინებდა. გაცინება მაინცდამაინც გულზე არ ეხატა, მაგრამ თუ სიცილი თავისას არ დაიწლიდა და საშველს არ მისცემდა, ისე, ყრუდ გაიცინებდა, — ტუჩს არ გააპობდა და ხახიდან, ნურას უკაცრავად, თავს არ გამოაყოფინებდა.

მუჭში თუთუნს მოფშენიდა, შეახვევდა, აახრჩოლებდა, ხიხინი აუტყდებოდა და სიღრმიდან, ფეხის ტერფიდან როდის-როდის ამოახველებდა. — აი ახლა ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ თუთუნს კაცთათვის შხამი და საწამლაღია... — ცალყბად ჩაიღიმებოდა, თავის თავს დასცინებდა და ნიკოტინისაგან გაყვითლებულ თითებს შეტრუსულ უღვაშებზე გადაისვამდა.

დალაქი ჯერით ხოტრავდა ბიჭებს სავარცხლით ნააზიზებ და ნერწყვით ნალოლიაფებ ქოჩორს და ცხვირჩამოშვებულებს რომ ხედავდა, გული უკვდებოდა.

— ჰაიტ, რას ჩამოგიყრიათ ყურები, ასე ვთქვათ, თქვე მამაძაღლებო! თავი მაღლა ასწიეთ, ყინჩად იყავით, მტერს მტრულად დაუხვდით, — კოკლი ფეხის თრევითა და ტყვიების რაკარუკით უტრიალებდა ტაბურეტს, გრძელ, მანკვალმოფომფლებულ მაკრატელს ალუმინის სავარცხლის ყუაზე აკაუნებდა და, დალატობდა რა თავის ჩვეულებრივ სიტყვაძუნწობას, თვალამოლაშვებული არიგებდა ახალგამომცხვარ ჯარისკაცებს.

ბოლოს, როცა გაკრეკას მორჩებოდა და ფეხზე წამოაყენებდა, ზურგს გადაუფერთხავდა, ბეჭებზე ხელს დაარტყამდა და ეტყოდა:

— აბა შენ იცი, ასე ვთქვათ, შენი

პირიმი, ჩვენი, ქართველი კაცის სენი... არ შეგვირცხვინო... სამაგიეროდ, რომ დაბრუნდები, აი აქ დაგზვდები და რა გინდა სულო და გულო, გინდა „ბოქსურად“ გაგალამაზებ და გინდა „ჩარლსტონურად“...

„საველე სადალაქოს“ ახლოს, დედაკაცთა დასში, ერთი მაღალი, ლელივით სუსტი-სუსტი, არცთუ ახალგაზრდა, არცთუ ხნეირი ქალი მოკალათებულიყო. შუბლი, ყური და ყვრიმალის ყვითლად შეფერიანებოდა. ჯოხი და ბოხჩა გვერდზე დაეღაგებინა, დაფლეთილ-გაყვებული ქალამნები გაეძრო, გაჭიმულ ფეხებზე მანდილი წაეფარებინა. ჩხირები და დართული ძაფის გორგალი ეჭირა ხელში და გამაღლებით ქსოვდა.

ყველაფერს: ჯოხს, ბოხჩას, ქალამნებსა თუ კაბის კალთას, მიუხედავად იმისა, რომ გამოერეცხა, თიხა-ტალახის კვალი ფორეჯებდა აჩნდა.

— ეს ჩემი ცოდვით საველე მზე ისე იბინება, რომ წყალი არ გაუფა, კვლავ წვიმა წამოვა და აღარ გინდა უკან აიტანო სული ამ წელამდე ახელილ თიხაში?! — სინანულით ჩაილაპარაკა ლელივით სუსტმა-სუსტმა ქალმა.

— გაწვიმდება და ჩანდაბას მაგის თავი, ამაზე მეტი რა უნდა გვიყოს? — გაეძრაბა გვერდით მჯდომი დიაცი.

გაეძრაბა და საუბარი მარყუქივით გაინასკვა:

ზოგი ალთადან აღმოჩნდა, ზოგი-ბალთადან, ზოგი — გაღმელი, ზოგი — გამოღმელი. ვისთვის შვილი გამოეგლიჯა ომს ხელიდან, ვისთვის — ქმარი, ვისთვის — ძმა, ვისთვის — მამა, ვისთვის — საქმრო, ვისთვის — ბიძა და ბიძაშვილი... ვისთვის კიდევ, ვაი უბედურს — სამი-ოთხი საფიცარი ვაჟაკი ერთად, და კაცის სახსენებელი გაწყვეტილა მის ბარობაზე...

მოუსვენრად მჯდარ დედათა მოდგმას, თვალს რომ არ აშორებდნენ ხეივანი დალაქის საქმიანობას, წამწამებზე ლოლუებივით დაჰკიდებოდა ბროლივით მოლივლივე, დამარცვლული ცრემლი.

— სასწაულია, ასე ვთქვათ, პირდაპირ, — თავის მხრივ გუნებაში ფილოსოფოსობდა დალაქი, — ქოჩორი რა სასურველი და რა სანუგვარია თავზე და რა გულის ამრევი და ამაზრზენი — მოკრებელი: ჩქარ-ჩქარა უნდა ჩამოგავო აქაურობა და სადღაც საიმედოდ უნდა მიჩულო თმა, რომ ქარმა არ წამოუბეროს და, ღმერთმა ნუ ქნას, ადამიანის ტანსაცმელს გააკრას, ჯამ-ჭურჭელში ჩახხედოს ანდა პირდაღებულ მოლაყბის ყბაში ჩაგდოს. ვინ მოთვლის, რამდენი აცმაკურებული ბაგე, ალერსიანი ხელი ან თავარა ფიქრი და ოცნება მილაციცებია შავტუხა ბიჭის შავგრუხა ქოჩორს... და, ეეჰ, რა მცირე მანძილი ყოფილა სიყვარულიდან, ასე ვთქვათ, სიძულვილამდე, — შაკრატლის ერთი გარბაჭუნება.

— ძლივს ჩამოვალწიე სოფლიდან, — წამოიწყო ლელივით სუსტმა-სუსტმა ქალმა, ჩხირები და ქსოვადამთავრებული წინდები კალთაში ჩაიდო, გორგალი ჩამოათავა, გაშიშვლებულ პაწაწინა შაქრის კენიტს სული შეუბერა. პირთან მიიტანა, მაგრამ გადაიფიქრა და ბოხჩაში უკრა თავი — ტკბილ ნერწყვს დანატრებული ჩემი ბალები თითოჯერ მაინც ალოკავენ და მადლიაო, — თქვა, თითებს ქენატი დაადინა, პირზე ხელი აიფარა, დაამთქნარა და განაგრძო, — მინდა ამბავი გავატანო ქმართან ამ ბიჭებს... ჩემთვის ეს დაწყველილი ომი ადრე დაიწყო: ჯერ ფინეთთან იბრძოდა, ჩამოვიდა, მოგვაჩვენა თავი და ახლა აგერ ამ გერმანიამ აღარ დააყენა სახლში... აქამდე ცოტამატად კი იწერებოდა და იმედის ნატამალს წამოგვიგდებდა ხოლმე, ახლა, რა ხანია, სულ აგვადო ხელი. პირში წყალი დაიგუბა და ღუმს ის მამაცხონებული... ვინ იცის, ეგებ ეს თავისი სიტყვაუთქმელობითა და სიღინჯით მოსდის და საყვედურის ღირსიც არ იყოს: ცხრაჯერ რომ დაუტატანო, ერთხელაც არ აენთება... ამასთან, უსაშველოდ მორცხვი და მორიდებულია ეს

მდევივით უკაც: ერთხელ ულაყი აზრით, ტორი ჰკრა და აი ამ ადამიანმა — ხელი უკანალზე წაიღო — ნალის დამლა დააჯინა... იცოცხლეთ, გაცეცხლებულმა, მე ცხენს ღვთის ცეცხლი დაეუწიე — სულ ტლინკები ვაყრევიან და ვაი დედა ვაძახებინე (განა მაშინაც სიმჭლევის ავადობის მხევალი ვიყავი?!)...

ლოგინში ჩაწოლილმა ქმარმა კი ცოცხალი თავით არ დამანება ერთი ადგილის გაშიშვლება და იარაზე მალამოს მოსმა... ღმერთო მოწყალეო, ქალიც რომ ასე მორცხვი გაგეჩინა, ხომ გადაშენდებოდა ადამიანთა ჯილავი და უჩვენოდ რაღა მადლი ექნებოდა ამ ცოდვიან, მაგრამ მაინც ცერიან ქვეყანას?.. აი ასეთი ღვთისნიერი და თავნიერი კაცის პატრონი ვარ, მაგრამ რა გინდა რა, აგერ რამდენი წელია, რომ იტყვიან — ქმარი მყავს და გლმა მყავსო, სწორედ ისეა ჩემი საქმე... რა წყალსა და ღვარს მივსცე თავი არ ვიცი — ცალკერძ მამულის მოვლა-პატრონობა, ცალკერძ მტერი და მოყვარე, ცალკერძ — ექვსი ბაღი, აქეთ — ჩემი ავადობა და იქით — ომი და საღდათი ქმარი... ამ ჩემი ცოდვის შვილებს ან ტან-ტალავრად რა ჩავაცვა, ან ფეხად რა ამოვასხა, ან ქამად რა ვაჭამო... მიდი, დედა კი არადა, რკინა ხარ და გაუძელი, ნახევარი დუქინი ყურთამდე დაღებულ ხახა რომ შემოგტიარებს მშიაო, — ჯიგარი აგეთუთქება. ახლა ავადობას არ იკითხავთ? თავგასული და თავხედი ვინმეა პირდაპირ: ან სულ არა, ანდა ნება-ნება მამუშავეო, გაციებას გამარიდო, ფეხები თბილად მიქონიეო, თოხლოდ მოხარშული კვერცხები მომართვიო, თბილ-თბილი რძეო, შინადაღვები კარაქიო, კაი-კაი ხილიო, მრგვალად მოხარშული დედალიო და იქქლის ლოყაწითელა პურიო... თავი მას გაუხმეს და მუცელი მას ჩაუტკდეს, ეგებები კი არა-

ამთადილ გალდავაჰა
სივოცხლი სახსა სიკითით

და, ამის მეათედი მაინც რომ მებაღოს, ჩემს ბაღებს ვავუწვდიდი და მათ მონატრებულ ღიმილს შევავლებდი თვალს... ბევრი ვიფიქრე და ახლა ამ გზას დავადექი: ეს წინდები და ამბავი უნდა გვატანო ამ ბიჭებს ჩემს კაცთან: ძაან მოგვენატრე, თვალები მოგვექცა შენკენ-თქო... ამ წინდებს გიგზავნი, მართალია, მოუთელავია, მაგრამ რა ვქნა, მეტი რა მატალია, ვეცე გზად-გზა მოგიკსოვე-თქო... ისე, სიმართლე რომ გითხრა, ლოდინი ყელში ამომივიდა, ილაჯი გამიწყდა, სული კბილით მიჭირავს, ვერც საკაცო საქმეს ვწვდები, ვერც სადიაცოს-თქო... ამდენი ბავშვი რომ მომაყარე და ახლა მარტო მე შემატოვე ხელში, რას ფიქრობ, ან სინდისი სადა გაქვს, ან ნამუსი რად შემოგიწყრა-თქო... მანდ კიდევ რაღა მოგივიდათ, რამ შეგიბოროკათ ხელები, რა დამბლა დაეცათ, რა კიბოსავით სულ უკან-უკან იხევთ-თქო... საკვირლად მიკვირს: გული გერჩოდეს და მტერი ვერ მოაშთო, სად გავგონილა-თქო... მეტიც მოცდა აღარ შეიძლება: ხელები გამოიღეთ, რაიმე ღონე იღონეთ, თმს თავი მოაბით და შინ, ცოლ-შვილში მობრუნდით-თქო... არა, არ გეწყინოს, არ კი გისამღურებ, ისე გუებნები, უნდა ხო იცოდე-თქო...

მანდილი დაიხურა, შესუბებულნი ფეხები ქალამნებში ჩაპყო, წამოდგა, ბარგიბარხანა მოიმარჯვა, ნაჯდომ ადგილს სამჯერ დააფურთხა — უქმური არ ამყვესო და ჯარისკაცებისაკენ გაუტია.

გაუტია...

ნელა, ლასლასით მიდიოდა მაღალა და ლელივით სუსტი-სუსტი სილუეტი: დარდისა და დარღუბალას მსახვრალ ხელს თმაში ნაცარი შეეყარა, ჯაფასა და გარჯას წელში მოეხარა, სნება და ავადობა ფილტვებში შეჰპარვოდა და ახიხინებდა...

გორში, ქართულ დივიზიაში, ბიჭები დანაწილეს: ვინ ქვეით დანაყოფში გამწესეს, ვინ — მესანგრედ, ვინ — მეკავშირედ, დათიკო კი, თავისი მოსული ტანის წყალობით, საარტილერიო სკოლაში მოხვდა.

— „Отбой!“ — გამოცხადებოდა კომანდა, გაიკმინდებოდა ხმა, ჩაქრებოდა შუქი, ყაზარმა გაილურსებოდა და გაიხსებოდა ალვანით: ალაზნის პირად განლაგებული ეზო-კარებიტა და ადგილ-მამულებით მოჩითული ხოდა-ბუნები, სხივივით სწორხაზოვანი სიგრძივი და განივი გზები და ქუჩები, ამვლელ-ჩამვლელი ცხვარ-მეცხვარეები, სნეული დედა, სკოლა, მიშა მასწავლებელი, ფლიდი ფიდო, გაწამებული და ბედის უმადური ედემ-ეთერი...

კარგა ხანია დავითს გულში არ ეჯდა ედემ-ეთერი და ის სათაყვანო ადგილი, სადაც ოდესღაც სიყვარული იყო დავანებული, ახლა უსულგულო სიცარიელეს დაეკავებინა... ყმაწვილს, აბა რა დასამალია, წარამარა ახსენდებოდა ირემიძის ტურფა ასული, მაგრამ უკვე არა როგორც სატრფო და სულის მკვებავი არსება, არამედ როგორც მისი თავლაფდამსხმელი, დამამცირებელი და აბუჩად ამგდები არჯალი... არჯალი, რომელსაც მერმისში ჩაგრავედა თავისი კაიკაცობით, სახელ-დიდებითა და ბრწყინვალე ბედით... და აი ამ ბრწყინვალე დათიკოსთან ხშირად მოდიოდა ფიდოსაგან ღირსებააყრილი და მიწასთან გასწორებული ედემ-ეთერი და თვალცრემლიანი ცოდვებს ინანიებდა, პატიებას სთხოვდა, მოახლედ დაგიდგებო, ევედრებოდა, მაგრამ, არა, აჰ, დათიკო ახლოს როგორ გაიკარებდა...

აბა, მაშინ ვინ დაგარწმუნებდა, ჩემო ალალ-მართალო, გულუბრყვილო ბიჭო, რომ ეს ოცნებაში ხეტიალი იგივე სიყვარული იყო, ნირშეცვლილი და ნიღაბაფარებული სიყვარული...

გულის ადგილას ფულურო გქონდა

და ეგ გტანჯავდა — მაშ ადამიანი ზე
ხომ არაა, ამოდენა სიცარიელე ჰქონ-
დეს და არხენად იყოს? ეს სიღრუე
უნდა ამოვესო ვინმეს და ყველაფერი
მოგვარდებოდა: დარდი გაქრებოდა,
გული საგულეში ჩადგებოდა, სული
გალადებოდა და გაინავარდებდა...

მაგრამ, აბა, სად იყო ეს „ვინმე“?
თუმცა იმედი რად გადაწურე, შე
კაცო?

სიცოცხლე წინა გაქვს, დრო მოი-
ტანს და ნაგუბარში წყალი კვლავ ჩად-
გება...

„Подъем!“ — რიერაჟზე მამალივით
დაიყვილებდა მორიგე, საყვირში ჩაპ-
ბრავდა და ყაზარმიდან გაიკრიფებოდ-
ნენ ალანის პირად განლაგებული ეზო-
კარები და ადგილ-მამულებით მოჩი-
თული ზოდამუნები, სხივივით სწორხა-
ზოვანი სიგრძივი და განივი გზები და
ქუჩები, ამვლე-ჩამვლედი ცხვარ-მე-
ცხვარეები, სნეული დედა, სკოლა, მი-
მა მასწავლებელი, ფლიდი ფიდო და
ბედის უმადური ედემ-ეთერი... და
დარჩებოდა: ზემდევის ბოხი, ბუზ-
ლუნა ბარიტონი, ჯარისკაცების რია-
რია, საწოლის თავზე გადაფენილი უხე-
ში ხაკის ტანსაცმელი, ფლანელის ფეხ-
სახვევები, ქირაის წაღები, შავი ტოლა-
ლები, პირამიდაზე აყუდებული ლაპლა-
პა შაშხანები...

საარტილერიო სკოლაში ზუთი თვე
დაჰყო, ზუთებზე დაამთავრა, ხალათის
საყელოს დანაკერზე, მარჯვნივ და
მარცხნივ, თითო-თითო, მოთუთიავე-
ბული სამკუთხედი დაბანიეს, უმცროსი
სერჟანტობა მიულოცეს, 122 მილიმეტ-
რიანი ჰაუბიცა და მისი ზუთიკაციანი
ჯგუფეული ჩააბარეს და ნომერ პირ-
ველ შემიზნედ დანიშნეს...

წერილი წვიმა ცრიადა.
ციოდა.

დედამიწა ტალახად აზელილიყო და
ლაფში ეტლობოდნენ ოფიცრის ჩექმე-
ბი, ჯარისკაცის წაღები, ცხენის ქაჩა-
ჩები, ავტომობილების საბურავები,
დროვისა და ფორანის თვლები, ქვემე-
ხების, ზარბაზნებისა და ჰაუბიცების
ბორბლები...

გალუმპულები და გათოშილები,
ზურგანთითა და სასანგრო ინსტრუმენ-
ტებით დაკაპანებულები, დღე იყო და
მუხლი არ ჩადგათ, ღამე იყო და მი-
ბოტებდნენ...

მიდიოდნენ, მიდიოდნენ, მიდიოდნენ...
გზა არ თავდებოდა.
ცა პირს არ იკრავდა.
დედამიწას ქერქი არ უშრებოდა.
თვალეები ებლიტებოდათ.
ზეზურად თვლემდნენ.
მუხლი ღალატობდათ...
როგორც იქნა „მტერი“ გამოჩნდა,
დივიზია გაიშალა და საბრძოლო პოზი-
ცია დაიკავა.

პირველი სიტყვა „ომის ღმერთს“
ეკუთვნოდა.

და კომანდამაც არ დააყოვნა:
— სმენა!
პირდაპირი დამიზნებით.
ესა და ეს ორიენტირი.
ესა და ეს ნიშანი.
ესა და ეს სამიზნე.
ცეცხლი!

და ატყდა ჰურავების წუილი, ზარი
და ზათქი.

...წერთნა დამთავრდა.
დავითის გათვლას საარტილერიო ლე-
გიონის მეთაურმა, მწყობრის წინაშე,
წარჩინებული სამხედრო მომზადებისა-
თვის მადლობა გამოუცხადა.

განგაშით წამომლილი დივიზია აგერ
მეორე კვირა იყო სამხედრო წვრთნაზე
იმყოფებოდა.

ცა მურით მოთხუპნილიყო.
შემოდგომის ქარი ქროდა.

კვირა დღე იყო, სამხედრო წვრთნი-
დან ახლად დაბრუნებული ჯარისკაცები



ზოგი როგორ ისვენებდა და ზოგი — როგორ, დავითი კი საწოლზე წამოწოლილიყო, გვერდით მიდგმულ ტაბურეტზე ფეხები დაეყარა, თავქვეშ ხელები ამოეწყო და ჭერს მისჩერებოდა.

ფიზიკურადაც დაღლილი იყო და სულიერადაც, არც ფიქრის ამანი ჰქონდა და არც ოცნების.

არც ლაპარაკითა და სჯა-ბაასით აწუხებდა ვინმე — ყველას თავისი უჯმაჯური აჯდა კისერზე და ვის ჰქონდა სამსლაათო გუნება-განწყობილება?

მაგრამ აი ერთი აბეზარი ბუზი აეტორტილა, აუტყდა და მოსვენება დაუქარგა: ხან სად დააფრინდებოდა და ხან სად.

ხელს აუქნევდა, ფეხსაც წაახმარდა, გამჩენსაც ამოუტრიალებდა, მაგრამ მწერი უვნებელი რჩებოდა და თავის მზაკვრულ საქმეს განაგრძობდა: სიშიშველეს არ დაგიდევდათ, ჭინჭიანად ბასრავდა სხეულს და გაუმადლარ მადას იცხრობდა.

პირსახოცი მოიშველია, ბუზს შეუტია, განდევნა.

რული მოერია.

ხელზე რაღაცის შეხება იგრძნო, ისევ ის მომაბეზრებელი ბუზი ეგონა, თავი წამოჰყო, თვალი გაახილა:

„დედატყვენი გარდაიცვალა. ვასაპლავებტ სამშაბატს“, — იტყობინებოდა დეპეშის ქაღალდი...

გასასვლელში წინ წახრილ, ფეხაკრეფით მიმავალ ზურგს წაატანა მზერა...

ყაზარმა შეტორტმანდა, გადატრიალდა, თავდაყირა დადგა და ახლა ჭერი სადღაც ქვევით, ქვეცაში მოექცა.

საბანი წაიხურა.

მწერი კვლავ მოფრინდა, კოჭზე დააჯდა და სისხლით სვავევით იტიკნებოდა — სხეულის გამტოკებელი და პირიდან ფეხის გამომღლეტი ვინდა იყო...

დიღხანს, დიღხანს ცახცახებდა საბანგობანი...

და ვინ იცის, სანამღე იცახცახებდა, რომ ბრახა-ბრუხი არ მოსულიყო, და-

ვითი არ გაეჩოჩებინა და საწოლის ლინგზე არ ჩამომჯდარიყო...

საბანი გადაიხადა, შეცბა, წამოდგომა მოიწადინა, მაგრამ ზემდეგმა არ დაანება.

ხელიდან დაღამებული დეპეშა გამოართვა, სათვალე მოირგო, დააცქერდა, ძლივს წაიკითხა — ცრემლით დასველებული ასოები გაქივებულიყვნენ და ერთმანეთში გათქვეფილიყვნენ.

— მდაა, ამ ომში, ფრონტზე, ათიათასობით ადამიანი იხოცება, მაგრამ სიკვდილს მაინც ვერ შევეჩვიეთ და არც შეგვაჩვიოს გამჩენმა... ხოლო რაც შეეხება ზურგში სიკვდილს, და ისიც დედისას, ამაზე დიდი უბედურება, აბა, რა უნდა იყოს... ქერივი, ხაზმუზიანი დედის ერთადერთი შვილი — თითქმის ერთადერთი დამტარებელი და ერთი მუჰა მიწის მიმყრელი... არა, ადექა, უნდა მივიდეთ მეთაურთან და ყველაფერი აუთხსნათ, უნდა წახვიდე და დაიტრო მშობელი, დედა და სამშობლო ვინ გაპყო? — ჩაილაპარაკა ზემდეგმა, სათვალე მოიხსნა, ხალათის გულის ჯიბესთან ზევით-ქვევით და აქეთ-იქით ატრიალა, როგორც იქნა, კრილს მიაგნო, ჩადო და თვალები გაუშტერდა...

...კაბინეტში დივიზიონის მეთაური, კაპიტანი ალექსი პირმისაშვილი მარტო იყო. დიღხანს უცქირა ყვითელ ქაღალდს, წაღმა-უკუღმა ატრიალა, სახეზე ფერფური ვცვალა, ხან ხახიძეს შეაქებდა, ხან — ზემდეგს, მერე ხელი ჩაიქნია, თქვენ მართალი ხართო, თქვა, დივიზიონის მორიგე ოფიცერს გამოუძახა და უბრძანა:

— ხახიძეს დედის გარდაცვალების გამო სამი დღის შვებულება გაუფორმეთ, მშრალი საგზალიც გამოუწერეთ... რაც იქნება, იქნება, — მშობელი დედა თუ არ დავიტირეთ, რად გვინდა რამე? დავითი კარებთან, კედელზე იყო ატუშული.

მეთაური წამოდგა და ჯარისკაცისაკენ გაემართა.

ხახიძეს წელში გასცრა: მოვა ახლა,

მხარზე ხელს დამადებს და მეტყვის: აი ხომ ხედავ, ამ დაძაბულ ვითარებაში რა დიდი პასუხისმგებლობა ავიღე თავზე, უსამველოს სამველი დავადგი და შინ გიშვებ... ეს პატივისცემა წყალში არ გადამიყარო, არ დაიგვიანო და შენი ხელით ყელი არ გამოშვრა...

იღვა დავითი და ელოდებოდა ყველაფერ ამას... ხოლო ამის მოსმენას სიკვდილი ერჩია: თუში კაცი იყო და მომადლებულისა არაფერი სწამდა...

ამასობაში კაპიტანი მივიდა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მონაწილე ვარ შენი მწუხარებისა, უმცროსო სერჟანტო!..

მამის თითო-ოროლა ბიძაშვილ-მამი-დაშვილ-ძმათაშვილები მოქუჩებულან, ერთმანეთს მხარში შესდგომიან, რძალ-ძალოს დასაფლავების თადარიგი დაუჭირავეთ, ხელმისაწვდომი ხარჯი ვაუწყე-ვით და სოფელი უწვევიათ.

მიცვალებული ვაპატიოსნებული და-უხვდა.

სულ გამოცვლილიყო მისი საყვარე-ლი დედი: ფერიც სხვა ჰქონდა, ხორციც, თმაც და, შვილისა და შვების მოლოდინში გაღებული, ფოსტების ფსკერზე დაყრილი თვალის გამომშრალი კაკლებიც... ხოლო იმ ტკბილი „დედა გენაცვალოსა“, თბილი ღიმილისა და სასოებით სავსე შემოხედვისა ხომ სახსენებელიც აღარსად იყო...

ტუჩები შეუმცივინა სიფრიფანა, ყვი-თელაპკავდაკრულმა შუბლმა, ჩახრამულმა უბეგმა, ოდესღაც მოუსვენარმა, ახლა კი დამდნარმა ხელებმა.

ცრემლის ღვარი ჩადგა კუბოში...

და ცრემლით აივსო შაოსან დედათა კაბის კალთები...

მერე მკლავებში ჩაეჭიდნენ, დედას მოსწყვიტეს, ეზოში ჩაიყვანეს, გაატარ-გამოატარეს, გაებასნენ და, შეძლების-დაგვირად, გული გადაუყარეს.

დაიარებოდა ეზო-გარემოში და ყო-ველი ნივთი, ყოველი საგანი, ყოველი ხე დედის უქანასკნელ ნატვრას, სურ-ვილსა თუ ლაღადისს გადმოსცემდა: დალოცვილ იყავ, შვილო ჩემო, და-ლოცვილ იყავ, წულო ჩემო, დალოც-ვილ იყავ, ძირო ჩემო...

„ფიდო — ყურში ჩააწვეთეს, რად-გან გუმანით იცოდნენ, გულით ეწადა დავითს ამბავის გაგება — რა ხანია დე-ზერტირია, აქედან გაიქცა, თუშეთის ატენილ ტყეებს შეაფარა თავი და უმ-გვანო საქმეებს სჩადისო: ძარცვა-გლე-ჯას არ ერიდება, დედაკაცის გაბახება-სა და კაცის ცვლასო... ეღმე-ყოფრს, რჯულიერ და კანონიერ მეუღლეს, კა-ცის პირით შემოუთვალა: აქ ამოდიო. ცოლს ჩასმენილი ჰქონდა მისი ავკაცო-ბის ამბავი და არ წავიდა, წაუყრუა, კვლავაც მოადგა ამბის მოპტანი: თუ არ ამოსულხარ, მანდ ჩამოგივარდები და დედაბუდიანად ამოგუყუთავო... სხვა რა გზა ჰქონდა, სახლ-კარი გამოკეტა, თავისი და, ქეთო, დაიმგზავრა და ახ-ლახან თუშეთში წავიდაო“...

„იორამი?“ — იკითხა.

„იორამმა თავისი ცხვარ-ცხენი გა-რეკა, სოფლიდან გადაიკარგა და ახლა მისი არც ასავალი ვიციო და არც და-სავალიო“.

...მზე გადაიხარა, ხანძქების ეზოდან შავი პროცესია გამოეფინა და სასაფ-ლაოს მიაშურა.

...გორში რომ დაბრუნდა, დახვდა ის, რასაც არ ელოდა: ცარიელი ყაზარ-მები...

თავზარი დაეცა, დაიზაფრა, დივიზია ფრონტზე წასულა, ჩამოვრჩენილვარ და დავდუპულვარო, გაიფიქრა.

მუხლები მოეცეცა, ჩამოსაჯდომი მო-იძია, ჩამოჯდა, თავი ჩაქინდრა, ჩა-ქრდა.

აგთადილ ჯალდავაძე
სიცოცხლე საგნა სიკითით



მაინც, რა ყველგან შემოუწყრა განგება: ჯერ იყო და, დააბოლა და ბავშვობა წაართვა, მერე, ყელამდე შეყვარებულს, ედემ-ეთერი ხელიდან გამოაცალა, ამას თმი შოაყოლა და ახლა სიყმაწვილე არ შეარჩინა. ბოლოს ესეც არ აკმარა, ერთადერთი ახლობელი ადამიანი, დედა, საიქიოს გაუმგზავრა და, ამასთან, პირშავად გამოიყვანა იმ კაცური კაცის, ალექსი პირმისაშველის წინაშე.

წამოდგა და წელმოწყვეტით რკინიგზის სადგურისაკენ გაეშურა.

სადგურის უფროსი გაიკითხა, მიაკვლია, საბუთი წარუდგინა, დახმარება სთხოვა.

- დივიზია გუშინ სამხედრო ეშელონით ფრონტზე წავიდა, გროზნოსკენ.
- ნამდვილად გროზნოსკენ?
- ჰო, გროზნოსკენ!
- როგორ დავეწიო?
- აბა, რაღას დაეწევი, ისა სჯობია კომენდატურაში გამოცხადდე და სხვა დანაყოფს შეუერთდე...
- რას ამბობ, რას?! — შეუტია რკინიგზელს, ზურგი შეაქცია, ტრასაზე გავიდა და გაქანებული საბარგო მანქანის ძარას მოახტა.

წითელქუდიანმა მხრები აიჩეჩა, ხელები გაშალა და თავი გააქან-გამოაქანა.

...გროზნო თუშეთის მიღმაა, თავქვე, ერთი ხელის დადებამდე. თბილისამდე ამ მანქანით ჩაადწევეს, თბილისიდან თელავამდე ღამით, მატარებლით ივლის, ნაშუაღამევს თელავიდან „ლინეიკით“ გავმგზავრება, გაიხრიგინებს ვარდისუბანს, რუისპირს, ხორხელს, ლიჭიან ჭალას, ალაზნის ვატოპავს და სამების გზით ალვანში ამოყოფს თავს.

...მერე საცალფეხო, აკვანივით დარწეულ ბილიკებს აუყვება, თუშეთში ავა, შემდეგ თავდაღმა დაეკიდება და გროზნოს მიადგება.

...გამოეცხადება მეთაურს. არც სმენაზე დიდგება, არც ხელს აუღებს, დამ-

ნაშვენავით დაეყუდება და ჩუმად ეტყვის:

— ბოდიში, ბატონო ალექსი, ჩემდასაუბედუროდ, ასე მოხდა, ბევრი ვეცადე, მაგრამ თავს ზევით აბა რა ძალაა, უფრო ადრე ვერ გამოვცხადდი.



ალაზნის ვატოპავა ძალზე გაუძნელდა, მღვრიე მდინარე მოზღვავებულიყო, კიდევანი გაეშალა, აღუღებული კუპრივით პერი მოეყენა და ღრიალღრიალით მოდგაფუნობდა.

მშრალი არაფერი დარჩენიათ. შინ შესვლას არ აპირებდა, მაგრამ ახლა სხვა გზა არ ჰქონდა.

სხვა გზა არ ჰქონდა და უკაცრიელ სახლში შევიდა, სანთელი აანთო, ცეცხლი გააჩადა, გაშრა და ტანფეხი გაიშრო.

დავითმა ფორმის ტანსაცმელი ჩაიცვა, ქირზის წაღებში ფეხები ჩაჰყო, ტოლადები შემოირტყა, ხაკის სამკუთხა ქუდი დაიხურა, სარტყელზე ტყავის მათარა ჩამოიკიდა, დაგორგალებული ფარაჯა და ციკნის გულა ზურგზე მოიგდო, მამისეული სანადირო თოფი და ფალასკა აიღო და კარი გამოიკეტა.

მყვიანა მამლები ყიყლიყობდნენ, ღონიერ ფრთებს აბარტყუნებდნენ და ცაზე მოციმციმე ვარსკვლავებს რიგრიგობით აქრობდნენ—დილა იბადებოდა. სიცივე იკბინებოდა, ნიავე დაძრწოდა, ხეებს ტოტებს უტოკებდა და ზოგს აქა-იქ შემორჩენილ ნაყოფს აყრევივნებდა, ზოგს კიდევ — ფერგამოხუნებულ ფოთლებს.

ნალით ნაჭედი წაღების მონოტონური ბაკუნი წინ-წინ მიიწევდა.

ნახევარი სოფელი ვალია, ბინდბუნდი გაიფანტა, თვალსაწიერი გადიდდა, — გათენდა.

ქუჩის მიღმა, ტრიალ მინდორზე, ოდესღაც განთქმული სასადილო, „ლეწი“, იდგა. შენობას თვალი შეავლო და — არ ვიცი, დასტურ შიშშილმა შემოუტია, არ ვიცი, რეფლექსმა გამოიღო

ურემს ბელურები დაფარვატებდნენ, მეურმესა და გამყიდველს არაფრად ავადებდნენ და ფრთააბრეხილი ხან ხელნას დააფრინდებოდნენ, ხან — ზეწარს, ხან — ჭალებს, ხან — ყუთებს და თითო-ოროლა ნამცეცს მოინისკარტებდნენ.

ქალები და მოხუცები მკადს დაყნოსავდნენ, ტურებს აცმაცუნებდნენ, ნერწყვს გადაყლაპავდნენ. მერე არსობის პურს ზოგი თავსაფარში გაახვევდა, ზოგი — წინსაფარში, ხელში მიჩერებულ ბაღებს თვალს აარიდებდნენ, სამუშაო იარაღს ამოიღლიავენდნენ და ფართობებისაკენ გაეშურებოდნენ.

ხარები იდგნენ, მუხლს ინაცვლებდნენ და იცოხნებოდნენ.

ბავშვები ბოხჩებში მკადს ჩაღებდნენ, ერთი-ორი წუთის შემდეგ ამოაცოცებდნენ, გალოღნიდნენ, ცარიელ ბოხჩებს მხარზე გადაიკიდებდნენ და შინ გასწევდნენ.

ერთ გოგონას ძალი დაედევნა, ბავშვმა იყვირა, ულუფის ნარჩენი ჯერ მალა ასწია, მერე პირში იტაცა და დამშვიდებულმა მდევარს შიშველი ხელები აჩვენა.

ძალმა კუდი ამოიძუა და უკან გამობრუნდა.

„მალაზიამ“ და ურემმა პირი იბრუნეს და საიდანაც მოვიდნენ, იქით გაუშტეს.

ყურებჩამოყრილი და თვალწირპლიანი ძაღლები ურემსა და ხალხს დავლავეთ აცილებდნენ.

დავითმა ამოიოხრა, წამოდგა, შარვალი გაიფრთხა, გუდა-ნაბადი აიკრა და ჩქარი ნაბიჯით გზას გაუდგა...

მიდიოდა და თან მისდევდა სინანული გარდაცვლილი დედისა, დარდა ფრონტს ადევნებული ფარაჯიანი ამხანაგებისა და მოგონება ამასწინდელი მისი ქვეყნის და სოფელ-კუთხის მშვიდობიანი ცხოვრებისა...

...მაისი ფაციფუციითა და ჭრელი ფარჩის ფრიალით ალვანს, ლალისყურს,

ფშაველსა და ლეჩურს მოიტოვებდა და სტორის ხეობას აღმა-აღმა აპყნებდა და გზადაგზა მიძინებულ წყაროს, განაბულ ნაკადულსა და ხახაგამორალ ლელეს არტახებს დაუხსნიდა, რბილ ადგილზე ხელს წამოართყამდა და ჯერ წკანწკარით, ხოლო შემდეგ ჩხრიალ-ჩხრიალითა და კისრისტეხით თავქვე დაუშვებდა, ხეს და მიწას გაანდლებდა, ტიტლიკანებს ცინცხალი მწვანითა და ფერად-ფერადი ყვავილებით შემოსავდა და არემარეში გულისა და სულის საამებელ, საამო სურნელს დააფრქვევდა.

გაზაფხული ფრთხილად, ხელების ფათურით, ნება-ნება მიიწვედა წინ. გზა მარჯვნივ, ხრამის პირს მისდევდა და სიკვდილს ხან ერთი წყრთა ამორებდა, ხან ერთი მტკაველი და ხან ერთი ცილა... ხოლო მარცხენა მხარეზე ლოდებდად დამსკლარ-დაბზარული ფრიალო კლდეები ახუხულავებულებიყვნენ და როდის მოიგუნებებდნენ მუხლის მოკეცასა და მთისქვეშეთის მოშობას, არც კაცმა იცოდა და არც მაცდურმა.

ვარდობის თვე ფრთხილად მიიწვედა წინ და კულში მიიყოლიებდა ძროხის მროწლესა და ნაცრისფერსა და ცია ცხვრის ფარას.

ცხვარ-ძროხას სტვენიოთ, ხელის აქნევითა და ქსიევ-ქსიევს ძახილით უკან აკიდებოდნენ ვავ-კომბალიანი, დაპურებული, მარჯვედ მოყვანილი ვაქკაცები, ტანმორჩილი საფერხეები, ბარგის ცხენები, საკიდარი ვირები და მათი მიმდგომ-მომდგომები...

ხოლო ამ დროს დაბლა, უკვე მზე-მოკიდებულ ალაზნის ხეობაში აქა-იქ ჭირკოტალა, ფერწასული და ფეხმრუდი ჩია-ჩიების ფუსფუსი ატყვებოდა — დიდი იყო ცდუნება ყველა სენისა და სნების მკურნალის, სტორის ხეობაში მდებარე თორღვას აბანოსი.

ჰოდა კუშტი, კიწაწივით გამხდარი და წელში მოკაკული ავადმყოფები კრინტაკმენდილნი, გულის ფრიალითა და კიდურების კანკალით მიბობლავდნენ

ნაფხვერ ფერდობებზე, იკანკელ კალ-
თებზე, ყბებამოყრილ გორებზე...

მილასლასებდნენ სნეულები და დი-
დად მახვილი თვალი როდი იყო საჭი-
რო, რომ მათში შექაძული, დარდაყ-
რილი ქვრივი და მისი, სატივირისაგან
შეღონებული, ვაჟიშვილი დათო გამო-
გეცნოთ.

... ნაშუადღევი ჩამომდგარიყო, სკო-
ლიდან ბრუნდებოდნენ მელნით თითებ-
გათხვრილი, ჩანთამოდლექილი და პე-
რანგამოჩაჩული გოგო-ბიჭები. ის ის
იყო გიორგი მჭედლის სახლს მიუახ-
ლოვდნენ, რომ ატყდა ერთი ყვირილი
და ყაყანი.

გულგახეთქილმა დედამ ხელები წინ-
საფარზე შეიწმინდა, თავმანდილი გა-
ისწორა და ქუჩაში გადმოვარდა.

ღობის ძირში გაგორებული ფიღო
ძლივს-ძლივობით დგებოდა, სისხლს
აფურთხებდა და დათოს უღრენდა:

— შენი დედა ვატირე, შე მართლა
ახმაზო, აყლაყუდა და აყლარწულო,
თავური რომ გამარტყი და ცხვირ-პირი
ჩამიმტკრიე, მუშტი ვერ იხმარე?

ირგვლივ ბავშვები შემოჯაროდნენ,
ზოგი მათგანი დათივოს ელაციცებოდა,
ზოგი — ფიღოს.

ჩხუბის მიზეზი გაიკითხა: ფიღოს და-
თოსათვის, ახლახან, გამოსაჯავრებლად
თუ დასამცირებლად, ახმაზი, აყლაყუ-
და და აყლარწული უწოდებია.

ახმაზობის, აყლაყუდობისა და აყ-
ლარწულობის რა მოგახსენოთ, მაგრამ
დათო მაღალი, სუსტი და ფერმკრთალი
რომ იყო, ფიღო ზომიერად მოყვანილი,
ჩაფსკვნილი და ლოყებჩათურაშებუ-
ლი — ამას, აბა, წინ ვინ დაუდგებოდა?

იქვე იდგა აყელყელავებული, ორ
მსხვილ დალაღზე ქათქათა ბაბთადაბ-
ნეული ედემ-ეთერი და არ იმჩნევდა
ვისი მხარე ეჭირა, ვისი სიმპათია ჰქონ-
და.

დათომ მხერა მოაშორა ედემ-ეთერს,
ფიღოსაკენ გაიწია და ამჯერად შეიძლე-
ბა თავის მაგიერად მართლა მუშტი ეხ-
მარა, რომ დედა მივარდა, მხრებში ჩა-
აფრინდა, ეზოში ჩაიყვანა, დასვა, დააწ-

ყნარა, და დააშოშმინა. მერე ნაკვეთში
გადავიდა, ნათესებში ჩაიმალა, მუხლში
ში ჩაიკეცა, თავი ხელებში ჩარგო და
აქვითინდა:

„ჩემო ობოლო ბიჭო, გულის ვარ-
დთან გამოგაჯავრეს, ახმაზი, აყლაყუდა
და აყლარწული გიწოდეს და სიამაყე
შეგილახეს განა? გულს ნუ გაიტეხ,
ვალს ავიღებ, თორღვას აბანოზე წაგიყ-
ვან, ჩონჩხს ხორციით შეგიმოსავ და
მერე ვაბედოს რაიმე ურიგო, თუ ბი-
ჭია, მაგ არამზადამ!“

მალა ამოაღწიეს, ბარგი მოიხსნეს,
ოთხი ბოძი დაარტყეს, ზედ დაგლეჯილ-
დაფლეთილი ქეჩა გადაფინეს და ბინა
დაიდვეს.

ღროს დღეები მარცვალ-მარცვალ
ცვიოდა, თავდაყირა ეშვებოდა და წარ-
სულ ამბავთა ყულაბაში ფენა-ფენად
ეფინებოდა.

დათო ჯანსაღდებოდა, ფერზე მოდი-
ოდა, ხორცს ისხამდა, დედა იმედით
იესებოდა და სიხარულით ცასა სწვდე-
ბოდა.

... საღამო კარზე მომდგარიყო, მზეს
მუხლი მოეყარა და დაისს კაბის კალ-
თას უტოცინდა.

აბანოს მალა, ამწვანებულ კორდზე,
ცხვრის ნოტო გაშლილიყო და მაღია-
ნად ძოვდა. პირადმა წამოწოლილ, ფე-
ხი-ფეხზე გადადებულ ყმაწვილ მწყემსს
სტვირი მოემარჯვებინა და გულამოს-
კვნით აკვნესებდა.

ძალი მოღზე გართხმულიყო, სტვი-
რის სტვენას სიამით უსმენდა და თვა-
ლებიდან ნეტარ ცრემლს ღვრიდა.

ბუჩქებში შიშდაკრული შაშვი შებუ-
დრულიყო და ჭახჭახი აეტეხა.

შავ ნეხვის ხოჭოს კურდღლის ცურ-
კლი ლაჭებში მოეგდო, მოაგორებდა
და ხან თავად იყო ზევით და ხან მისი
ნადავლი.

დათო ხრამის პირას ჩატუქტულიყო,
საკუთარ ქუსლებზე დამჯდარიყო, ხელ-
ში დანა და ცერად წასხეპილი დიყის

ავთანდილ გალავაძე
სივოცხლე საგსა სიკათით



ღრუ ღერო ეჭირა და ქრიდა, თლიდა, ჩხორკნიდა და ერთი სული ჰქონდა, სტივრის როდის გამოაკოპიტებდა და კორდზე წამოწოლილ მწყემსსა და ჩირგვში შებუღრულ შაშვს გაეჯიბრებოდა.

დათოს დედა სათარზე მოკალათებულყო და მაქოსავით მოძრავი, მარდი და მოუსვენარი პირმშოს საქმიანობას ღმილით დასცქეროდა.

ხევის ვაღმა, მოპირდაპირე მხარეზე, მურა დათვი გამოსულიყო, მზისყურში ოთხი ბელი გამოერეკა და თავისი მოდგმის ილეულებს ასწავლიდა: ხან ბომბორა თავს ააღერდა და დაძუნძულობდა, ხან წამოგორდებოდა და ფეხებს აპლაკავდა, ხან ყალყზე დადგებოდა და დაბაჯბაჯებდა.

ბიჭი დიყის თითქმის გამზადებულ სტივრის ბოლო ნახვრეტს უკეთებდა, რომ თვალი ჩატყდა და ამდენი ნაშრომ-ნაჯაფი წყალმა წაიღო... გაბრაზდა, ღერო მოიქნია, ხელი ჩაიქნია და ალბათ საბოლოოდ შეეშვებოდა ამ ჩხირკვედლობას, რომ გამჩენს გაეჩერებინა ის დედასდასარჩენი ყმაწვილი და ის შავჭირშესაქმელი შაშვი... ბავშვი ისევე ეჩნმა აიტაცა, ხელახლა დატრიალდა. დიყი კვლავ მოიძია, აქეთ მოდგა, იქით მიდგა, მაგრამ ვერსად ვერ იპოვა... ვერ იპოვა და მთის შიბს შეუყვავა, ბალახების მაღალ ბუჩქებს შეერია, მსხვილი, სასტიკი მასალა შეარჩია, ჩაიჩოქა და მოსაგლეჯად მოზიდა.

ამ ღროს სადღაც მაღლა, მგონი ირემთსათამაშოზე, თოფმა იგრაილა.

ყველა ყურმახვილი გაჩუმდა და გაილურსა, მხოლოდ ყრუჩუნა ნეხვის ზოკო მოჯახირობდა და კვლავინდებურად, იი ისე როგორც მოგახსენეთ, ხან თავად იყო მაღლა და ხან სკორე — მისი მოდგმის სასოება.

ხემა ეჭო ვაღმა-გამოდმა ბურთივით ითამაშა, ბოლოს დათვისა და ბელებს ფეხქვეშ გაუგორა.

ძუ შეცბა, ყურები დაცქვიტა.

ღედა ცქერად ქვეულიყო და ეჭოს თვალს და ყურს არ ამორებდა.

დათვი აწრიალდა, ამუნძულდა და ბელებს ბუნავისაკენ დაუტია.

მაგრამ ბელებმა დედის დატიება აინუნშიაც არ ჩააგდეს და ბაჯბაჯი და ონავრობა განაგრძეს.

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები, მეურჩებიტო? — გაცხარდა დედა დათვი და თავის ალი-კვალებს კაი-კაი ალიყური აჯამა და მაგარ-მაგარი ჭიტლაყი ამოარტყა.

ახლა კი იკადრეს და კისრისტეხით მოკურცხლეს ბელებმა უკან, ბუნავისაკენ.

„აბა რა გაეწყობა, ჩემო დათუჩი, ასეთია ჩვენი, დედების, ხიფათიანი ხვედრი და საზრუნავი, — ასი თვალი და ასი ყური უნდა გექონდეს!“ — გაიფიქრა და გაიღიმა დათოს დედამ.

მოიხედა და ელდა ეცა — ბავშვი აყირავდა.

წამოხტა, მივარდა, ხრამში ჩაიხედა, ჩახტა.

ხალხი ახმაურდა, ყმაწვილი მწყემსი ზეზე წამოიჭრა, სტივირი მოისროლა, საბელს წამოავლო ხელი და გამოქანდა.

დედა თავზე გადაეგლო პირმშოს და ხიჭიანი ხევის კალთაზე პირქვე, სიგანეზე დაეცა.

შვილი შვეულად დაეშვა, გარდიგარდმო გართხმულ დედას ფეხებით მიებჯინა, და თავი ოდნავ შეიკავა.

მაგრამ მერე სიმძიმემ და ქანობამ მანც თავისი ჰქნა...

ეკლბარდებითა და ქაფათარ ქაცვებით მოფენილ მთის ფრთაზე ნელ-ნელა ცოცდებოდა დედა-შვილი... ცოცდებოდნენ და იფლითებოდა, იყვლიფებოდა და სისხლიანდებოდა ფრჩხილები, ნუნები, იდაყვები, მუხლისთავეები, ძუძუ-მკერდი, ნიკაბი.

შიშით გალეულნი კრინტს არ ძრავდნენ, ერთმანეთს არ უცქეროდნენ... და არც ტყუოდნენ: ლაპარაკს, წუწუნსა და თვალის თვალში გაყრას, ვინ იცის, მოედუნებინა ზამბარასავით დაკვიმული სხეული და განგებით მისთვის მიბარებული სულისათვის ვეღარ ებატონა... არა, ახლა ამაზე ფიქ-

რისა და თავისტეხის დრო არ ჰქონდათ, არც გუნება-განწყობილება და, შეიძლება, ღმერთო შეგცოდეს, არც შემართება გააჩნდათ საამისოდ... ალბათ სიცოცხლე, სხეულისა და სულის ეს სინთეზი, თავადაა მზრუნველი, ფრთხილი და ფაცვიცი, რის გამოვლინებას ჩვენ ხან ალღოს ვეძახით, ხან ინსტინქტსა და ხან ინტუიციას.

მერე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ხალხმა საბელი საბელზე გადააბა, თოკი თოკზე გადაანასკვა, თავქვე დაეშვა და რის ვაი-ვაგლახით დედა-შვილი მაღლა ამოიყვანა.

წყალი აკურეს, წყარო შეასვეს, კოლტი სისხლი მოხანეს, იარებზე ტლევები დაადვეს და ტკივილი დაუამეს.

— როგორ ვაბედე? — დედას შეეკითხნენ.

— არ ვიცი, არაფერი მახსოვს! — უბასუხა და შვილი მკერდში ჩაიკრა.

... მეორე დღეს ქალებს სთხოვა: აბა ერთი, თქვენს გახარებას, მიმიყვანეთ და ჩამახედეთ იმ ხრამშიო.

ზოგმა უარი უთხრა: რა შავ ჭირად გინდაო.

ზოგმა იყუჩა: არც პო თქვა და არც არა.

ზოგმა კიდევ — ვაჩვენოთ, რა იქნება, რა უნდა მოხდესო.

ჰოდა, მიიყვანეს, ხელები დაუჭირეს და შორიახლოდან ჩახედეს.

და აი, აქ დააჰყიბა შიშმა თავისი დიდი თვალები: სახე აუტოკდა, გული აუფორიაქდა, თმა აეძაგრა.

თავში ხელები წაიშინა, შეიკივლა და შეიცხადა:

— ვაიმე, მამა უფალო, ეს რა საფრთხეში ჩავგიდია ჩემი დაათო!...

ბევრი იტირა, ბევრი იგოდა, ბევრი ითავცემა, — ვერა და ვერ დააწყნარეს...



უძირო ხრამებსა და ღრანტეების თავზე ბილიკებით იარა.

... უკან გრძელი გზა მოიტოვა, არაქათი თი გამოეცალა, მოიქანცა.

დღე და ღამე იყრებოდა.

ულრან ტყეს ააღწია. შაბნარიდან ბურუსი წამოიზანზლა და ისედაც ბინდბუნდში მიმავალს გზა გადაუღობა.

ბურუსმა გზა გადაუღობა და მეტი რა ჩარა იყო, ქარავლიანი კლდის ძირი შეარჩია, აქა-იქ დაყრილ დრემლასა და მასში აღმოცენებულ ჭირტალს ფეხი ჰკრა, ადგილი მისწორ-მოსწორა, ბარგი მოიხსნა, ნეშო და ხავსი დააფინა, წამოწვა, ფარაჯა წაითარა და გულა თავქვეშ ამოიღო.

პირის პატივი არც ვახსენებია.

ფიქრითა და ოცნებით მეგრძოლ ამხანაგებთან იყო: როგორ არიან? რას შვრებიან? მტერს შეერკინენ თუ არა? ხომ არავენ დაჭრილა? ვინმე ხომ არ გამოკლებიათ? ვინ დანიშნეს მის მაგივრად?

არა, ასე ფეხით ჩანჩალი არ არგებს, საფერზე უნდა გამოანახოს საღმე და უნდა აჩქარდეს. თუმცა ცხენის პოვნა არც ისე იოლია, მათი მოდგმა ხომ კარგა ხანია ფრონტზე წაასხეს!..

გვერდიდან გვერდზე ტრიალებდა და ათასი კითხვა უჩნდებოდა თავში, ათასი ხორკლიანი და საჩოთირო კითხვა..

ძილ-ღვიძილში მყოფს დროდადრო ჩაესმოდა ნადირთა ანახდეული ჩავილბლურჩუნი და ღამეულ სავათთა ყრიკყრიკი.

ბოლოს, დაღლილობამ თავისი გაიტანა და ძილმა წამოიკიდა.

ეზმანა: ლოგინში მწოლარეს დედა დასდგომოდა თავზე, უღიმოდა ღვთაებრივი ღიმილით და სასთუმალს უსწორებდა.

ეამა, ტკბილად გააზმორა.

თავქვეშ რხევა იგრძნო.

თვალი გაახილა: ზურგგადადგვრილი, ზინზლიანი ტურა ჩამუხლულეყო,

ავთანდილ გალღავათ სივითხელე სავსთა სივითით



გულა ჩაეკბილა, ეჯავრებოდა და გატაცებას ლამობდა.

წამოხტა, ქვას ხელი დასტაცა და ესროლა. ნადირმა ფეხი აიკანჭურა, დაიწვილა, წაბარბაცდა და ვიწრო წავარნაზე სუნსულით მოძურწა.

ძილის შებრუნების დრო აღარ იყო, დაბეჯილი გვერდი დაიხილა, გაიარ-გამოიარა, აბარგდა და წყაროს მიაშურა.

აღმოსავლეთით ცისკარი კაშკაშებდა. მგოსანთა გუნდი განთიადის საგალობელს გალობდა.

კლდოვანი კალთიდან ისლივით წვრილი წყალი მოწანწყარებდა, ვიდაც ხელმადლიანს მისთვის ჩხლაკვი ღარად მიუშმარჯვებია და, თუ კაცი თავს შეიწუხებდა, ჩაიჩოქებდა და დაღვედა—უკეთეს სასმელს ვეღარ ინატრებდა.

ხელპირი დაიბანა, დაწყურვდა, დაპურდა.

მათარაში წყალი გამოცვალა, წამოღდა და გზას დაადგა.

ქარკენის ერთი მუხლი რომ ააარა, ფრუტუნე შემოესმა.

ყურები დაცქვიტა.

გული საგულეში ვეღარ დაიტია.

ცეტი სიხარული იღლიაში ეცა და მალლა აიტაცა: მიიხედ-მოიხედა... შორიასლო ლაგამაყრილი, აღვირმიგდებული, დაღუშაყებული ფაშატი იდგა და ბალახს ახრამუნებდა.

უბელო, გადანდალებულ, გოგნებულ წაბლას ჩუმიდ დაუწრუპუნა, ყელი გაუწია, ხელი გაუშვირა, სამი თითი გაუსაგასავა... ნელა, ფეხისწვერებზე ნიიწვედა წინ და ზეგწინა-მუდარით ავსებდა: ნუ გამეცქვივი, ნუ გამაწბილებ, ნუ დამტოვებო...

ქვეითის მუდარამ გაჭრა თუ თავადც არ იყო მოწადინებული — ბღღვირი აედინა ამ აჩონჩხილ, ღადაღუდა ბილიკებისათვის — საფერხეს ფეხიც არ დაუძრავს.

მოწიწებით მიეახლა, თავზე ხელი გადაუსვა, ბეჭზე მტვერი გადაუფერთხა, თითები ფაფარში შეუცურა:

— შენი ჰირიმე...

ქურანმა ტორები დასცა, კბილები დააკრიჭა, დაიჭიხვინა.

ცხენმა დაიჭიხვინა და ქვევით, ბუსნოზე, რაღაც ხვავი გატოკდა, გაიარა, ნაბადი გადაიხადა, სასთუმლად დაღებული უნაგირი გააჩოჩა, მუხლებზე წამოიწია და... იორამ ირემიძე წამოღდა, თვალები მოისრისა, ხელი მოიჩრდილა, კურატვიით დატრიალდა, ხანჯალი ამოავო, ქარქაში ერთი ვაკვრით გვერდზე მოიქცია და ჯარისკაცისაკენ გამოენთო.

დათიკომ უკან მიიხედა, — თოფი შორს იყო...

მოიბუხა, ერთი პირობა გაქცევა დააპირა...

მერე შერცხვა, გონს მოეგო, გული გაიკაშა, მკლავები დაიკაპიწა და, გვეშებულო, გამიშვლებულ ორღესულზე წავიდა...

ერთმანეთზე მიიწვედნენ... მანძილი მოკლდებოდა, შიში იზრდებოდა, თვლები ფართოვდებოდა...

ამომავალი მზის სხივი ხანჯლის ფახე იფხრიწებოდა...

ირემიძე ბაჯბაჯით, ბუტბუტითა და ბუბუბუნით მოდიოდა...

ერთმანეთის გულების ბაგაბუვი ესმოდათ.

ერთი—შველას ღმერთს ევედრებოდა, მეორე — დედის საფლავს.

იორამმა უეცრად უსურვავს წამოჰკრა ფეხი, წაფორხილდა, ხელები უნებლიეთ წინ წაიშვირა, წახანხალდა და მიწაზე ზღართან მიადინა.

მშვილდვიით მოზიდული დათიკო ადგილს მოსწყდა, თავს დააცხრა, წელზე მუხლი დააჭირა, ხელი ამოუგრიხა და ორპირა აართვა.

წამოიმუხლა, აიმართა.

სატეგარი ზე ასწია...

ირემიძეს სიმწრის ოფლმა დაასხა, მიწა მოფხაჭუნა, ენა მოიკვნიტა, გმინვა აღმოხდა:

— გასწი ეს წყეული რკინა იქით, არ დამსცე შე შეჩვენებულო და, აი ემაგ ფაშატს გიბოძებ...



ხანჯალი აღმართული იყო, დათიკო— დადუმებული.

— სიიდან გამოტყვერი ამ სისხამ დილაზე?... ის პირდალი ჰიტლერიც რომ ფეხს ითრევეს და დროზე არ გასწყვეტს თქვენს სინსილას, მე თქვენი... რკინა ელვარებდა, იორამი იკუნტე-ბოლა...

იკუნტებოდა, ფუხფუხებდა და ლაპარაკ-ლაპარაკითა და გორებ-გორებით ცდილობდა გასცლოდა და გარიდებოდა ფხაბასრ „ხანჯარსა“ და ალესილ „ხელის ბიჭს“.

— არ დამხანჯრო, ზვარაკივით არ გამოძჭრა ყელი... მთელი ჩემი ავლა-დიდება: ცხვარი და ცხენი, სახლი და კარი შენთვის მიჩუქნია, კი იცი შენ მათი ყადრი... ჩემი უმრწემესი ქალიც, ქეთოი, ცოლად აღმითქვამს შენთვის, ყელზე არ დაგადგება, შე ყურუმსალო შენა...

შამფურვიით ტრილებდა და ხან დიდი, ბარტყუნა ყური გამოუჩნდებოდა და ხან იავარქმნილი, ნიქარისნაირი ნაყურალი.

მიგორავდა და კვალდაკვალ მიპყვებოდა ხანჯალმომარჯვებული ჯარისკაცი.

მთის ფერდზე; ბუსნოს დაბლა, დიდი ვეებერთელა. ტბორეთა და წუმპედ ქცეული გუბე იღვა.

წუმპეს მწვანე ლეყებო გადაკვროდა, შმორის სუნი ასდიოდა, კოლოების, ბაყაყებისა და გველების საბუღარი გამხდარიყო.

ჰოდა, ბობოლადყოფილი მიგორავდა, ნამოჯამაგირალი კვალდაკვალ ჩასდევდა და, წინ რა ელოდათ — არც ერთმა არ იცოდა: იორამს დავითის იმედი ჰქონდა — როგორ არ ეცოდინებო, დავითს — იორამისა. მისი უცოდინარი ამ არემარეზე რა უნდა იყოსო...

წინ კი, გუბის ნაპირად, ერთი დამრეცი, ჩარეცხილ-ჩაოხრილ-ჩახრამული, კატბარდიო, ზავსითა და ფათათი წაფარებული ორმო იყო ჩასაფრებული; და იმან იცოდა რაც საცოდნელი იყო და ჰქნა კიდევ საქნელი.

იორამი ჩაიგორა, ჩაიგდო, ჩაიკრა, მერე უმუხთლა, პანდური ამოჰჭრა, რიალ-კოტრილით თავქვე დააგორა და ტლაპოში ტყაპანი მოადენინა.

წუმპის ზედაპირი ნაფოტებად დაიბზარა.

ბაყაყებმა ყაყანი შეწყვიტეს. ქალამნის ლანჩები ცას მიაშტერდნენ... მერე გადაიხარენ, გადაიხნიქენ და წყალი ჩატყლიყეს.

წყალმა ერთი ყლუპ-ყლუპი მორთო. გალა-გალად ასხმული ჰაერის ბუშტები ტლაპოს ზედაპირზე ამოტივტივდნენ, დასკდნენ და გაქრნენ.

წუმპემ პირი შეიკრა და კვლავ მწვანე აპი მოიყენა.

ბაყაყები ისევ აყაყანდნენ. დავითმა ხანჯალი მოისრაოლა, გადაფურთხა, ხელი ფარაჯის კალთაზე ვაიწმინდა... ამობრუნდა, ცხენს დუშაყი ააჭრა, ბარგი აპკიდა, აეკიდა, ღმერთი ასენა და აღმართს აპყვა.

ქურანი ჯერ ნელა ატარა, მერე, კარგა რომ განშორდა იქაურობას, ქუსლი აკადრა და მოწყვეტით გააქროლა.

ცხენს ათასნაირად ესიყვარულებოდა, ეფერებოდა, ესათუთებოდა.

გატლექილი მთა-გორებით მიდიოდა და მიღლა-მიღლა, უღელტეხილისაემ მიიწვებდა.

მარჯვნივ ყბედი გორები წამოყუდებოდა, მარცხნე ჩაქცეული ზრამები მიაცილებდა.

სიმაღლე ცდიდა, სუნთქვას უხშირებდა, გულს ძალუმად უღვგრებდა.

ბუნებას უღელტეხილი თავისი ფათერაკიანი მოვლენების საჯირითოდ გაუხადა: ეს დელგმაო, ეს ყინვაო, ეს თოვლიო, ეს ჯანლიო, ეს ქარი, ქარიშხალი, ქარაშოტი, ქარბუჭი და ქარტეხილიო... ამყამად დავითს ფარდაგივით დაგებული, ყინვით გადაგლესილი თოვლი და აშარი ქარი შემოეგება. ქარს ცერზე ჯანდი წამოეყარა და ცა მოე-

ათანადილ გალდაგამი სიოცოხლმ სამსბა სიამითი

ბურა. სისინა, მსუსხავი, მაწანწალა ქა-
რი ჯანღს აქედან აკმევდა ალიყურს და
ქედის იქით, ჩრდილოკავკასიაში გადა-
უძახებდა. მერე ზნეს შეიცვლიდა, გა-
დაიგუნებებდა, თავს დაუვლიდა, იქე-
დან წამოუბერავდა და ახლა აქეთ, ამი-
ერკავკასიაში, გადმოახეტებდა.

და იყო ილაჯაწყვეტილი ჯანღის
ორომტრიალი, ტანსაცმელშემოფლე-
თილი ქარის წიოკობა და ნირწამხდარი
მგზავრის წყველა-კრულვა.

ჩამოქვეითდა, აღვირი ხელში დაი-
ჭირა, მიდიოდა და მტკაველ-მტკაველ
მიიწევდა წინ. ცხენს ფეხი უსხლტე-
ბოდა, ფრუტუნებდა, ხვიზინებდა, თა-
ვი მთის კალთისაკენ მიედრიცა და აღ-
ვირს მიიტაცებდა.

თოვლის მზერით რომ თვალი არ
მოედალა, სახლიდან საგანგებოდ წამო-
ღებული ნახშირით უბეები და ქუთუ-
თოები ამოიშავა.

ღრო გამოხდა, სუნთქვა დაუამდა,
გულს მოეფონა, მუხლი მოულონიერ-
და, მიხვდა — თხემის გავაკებზე გასუ-
ლიყო.

ქარმა, ეს უკვე მერამდენეჯერ, ჯან-
ღი აქეთ გადმორეკა, დავითმა ფეხი წა-
დგა, გაიწია, ჩრდილოეთს ჩახვდა —
იმიერში თოვლის სარკეს კიდევანი არ
უჩანდა, ხოლო სისქე გაცილებით მე-
ტი ჰქონდა, ვიდრე ამიერში.

თოვლზე თავდაღმა საარული ხეირს
არავის უქადის.

ჩაფიქრდა, ქეჩო მოიფხანა და მამა-
ბაბათა ნაცად ხერხს მიმართა: ქურანს
მცირე ბარგი და აყაზულობა, რაც გა-
ანდა, მოხადა, დაცემულ ციცაბოსთან
მიიყვანა, დამრეცში ჩახვდა, ხელი
უბიძგა და მაღალ თოვლში ჩაფლო.
ცხენი წაფოროხილდა, ჩაიჩოქა, ფერდზე
დაეცა და დატურდა. ასე ცურვით
რამდენიმე ათეული მეტრი განვლო,
დაივკა, დატრიალდა და ზეზე წამო-
დგა.

ამასობაში არც თავად იდგა უსაქ-
მოდ: ბარგი შეკრა, გადააჯდა, გააჩო-
ჩა, გაასრილა და ცხენის კვალს დაჰ-
ყვა..

●
თუშეთში რომ ჩააღწია, მზე კარგა
ჩაკიდებულ იყო.

თბილოდა, თოვლს წამლადაც ვერ
იპოვნილით.

პირველი, ვისაც დავითი გადაეკა-
რა, ერთი მოხუცი, წლების საღესზე
გალეული, თეთრი თმითა და წვერ-ულ-
ვაშით გასპეტაკებული კაცი იყო.

ხიდად სალამ-ქალამი გაიდევს.

დამხდურს, მარტოხელა კაცს, ბი-
ძო იობის, მითაჟამიდან აქ, მთაში, თუ-
შეთში, უცხოვრია და ბინის მონაცლე-
ბას, ბარში ჩასახლებას და გაალვანე-
ლებას არამც და არამც არ აპირებდა.
მოხუცმა მკვდელი გიორგის სახელი
რომ გაიგონა, გაუხარდა, თვალეზი
აუციმიძმდა, — ვიცნობდი, ვიცნობდი,
კეთილი, კაცური კაცი იყო. ჩვენ ხომ
აქ, სანამ კახეთში ჩასახლდებოდა, ერთი
ხატის ყმები ვიყავითო.

ბიძო იობიმ ყმაწვილს ბინის დაღე-
ბა, ღამის გათევა და მასპინძლობა შეს-
თავაზა.

დავითი დათანხმდა, ცხენს დუშა-
ყი დაადო, ზურგი გაუშმარა და „ხის
თივაზე“ მიაგლო. თაშატი ხრამუნით
შექექვა მწვანედ გამხმარ, ყუათიან, შა-
ვი არყის ხის ყლორტებს, ამ თავისე-
ბურ „მშრალ მწნილს“

სტუმარმა ვაშრაპს ხელი წაატანა,
პირ-სახეზე წყალი შეისხა. უბეებიდან
ნახშირი ჩამოიბანა და გადმობრუნე-
ბული სამკუთხა ქუდით შეიმშრალა.

სახლის წინამოში ჯარისკაცის ბარ-
გი დაალავეს და ჩიკებზე ჩამოსხდნენ.

— საით გავიწევია, სალდათო? —
შეეკითხა მასპინძელი.

— გროზნოში, ბიძო იობი, ჩემს ნა-
წილს უნდა შეგუერთდე!

— საითაო? რისთვისაო? ცოტა
ყურმაღლა მითხარი, შეილო, სმენაზე
უკაცრავად გახლავარ, — ყურზე ხელი
აიფარა. მისკენ გადაიხარა და კვლავ
შეეკითხა.

იგივე, თუმცა გაცილებით ხმამაღ-
ლად, პასუხი მიიღო.

თავადაც ნაომარი კაცი ბრძანებულა მოხუცი, პირველ ომში უნტერად ყოფილა, წმინდა გიორგის მეორე და მესამე ჯვრები ახლაც კროკში ჰქონია შემონახული.

ბიძო იობი არც ამჟამად მჯდარა გულხელდაკრეფილი: გამანადგურებელი ბატალიონის მეზობლად უმსახურნია.

— ძნელი გზა ავირჩევია, ძმისწულო, ხარჯიანი ხევეები გაქვს ვასავლელი. მერე კიდევ ომს, როგორც წესი, ათასი ავაზაკი აემგზავრება ხოლმე და ამ ჩახერგილი მთების გადასვლა არც ისე უხიფათოა. მე რომ მკითხო, ახმეტაში ჩახვიდე და მთავრობაში გამოცხადდე, ის გირჩევნია.

— არა, ძიო, მე სხვა გზა, გარდა არჩეულისა, არ გამაჩნია — დამაგვიანდება... ჩემს ნაწილს რომ დროზე არ შევუერთდე, რაღა კაცი ვიქნები... ჩემმა მეთაურმა ისეთი რისკი გასწია, ამ ვახურებულ ომში შინ გამომიშვა და დუტირებელი და ერთი მუჭა მიწამიუყრელი არ დამიტოვა... იმ ადამიანის წინაშე სიტყვის გატეხასა და სირცხვილის ჭამას სიკვდილი მირჩევნია... ხოლო რაც შეეხება ხიფათიან და უხიფათო გზებს, აბა, ომის დროს, ეს რა მოსატანია, ჩემო ბიძო...

მასპინძელი მოღლილ მკზავრს სახელში შეუძღვა, ტყავგადაფარებულ ტახტზე მოასვენა, ხოლო თავად ჩოხის კალთები ქამარში აიკეცა და შინ და გარეთ მიდგა-მოდგა.

დაქანცულ დავითს ძილი დაეპატრონა. მოხუცმა სტუმარს ცხენი დაუჭედა, გუდაში კალტი და ქუმელი ჩაუდო, ჭერხოდან თოქალთო, ალვირი, უნაგირი და უხანგი ჩამოიტანა, თავის ქნევითა და „ჰაი დედასა“ ძახილით მტვერი გააცალა, აივანზე დალაგა. მერე იქვე, ოდნავ მოშორებით, ტაბლა გაშალა: კვერი, ჩოგი, ხავიწი და სულადი არაყი...

სუფრასთან მიიწვია სტუმარი, პირიანობა შეუქო. ვაჯკაცობა მოუწონა, ომი და მისი მომგონი ხატზე გადასცა,

მამული და მამულისშვილობა იტყუებოდა რძელა.

რქები ასწიეს და ცალნახადი არაყი გადახუხეს.

მოხუცი წამოდგა, ბაღვაში ცუხცუხით ვავიდა და ხონჩით ქვაბიდან ახალ-ამოყრილი, ოხშივრიანი ხაჭოს ხინკალი შემოიტანა.

ხინკალი, მართალია, ოცდაცხრანაოჭიანი ვერ იყო, მაგრამ ომიანობის პირობაზე მაინც კარგი რამ ვახლდათ...

დავითი ნელა-ნელა შეექცეოდა.

— ჭამე, ბაღვა, ჭამე, ეს დალოცვილი სველია კარგი, თორემ თუ გავშრა, კაპიკია ამის ფასი, — რაღა ეგა და რაღა იმერლების ცივი მკადი.

ჯარისკაცს გაეღიმა, თავისი ფიცკერ-ცხლნაქამი იმერლები ვახსენდა...

— ეეჰ, ძმისწულო, ცუდადაა საქმე, ცუდად, — ხინკლის კუჭი ქვისკამის კარბზე მიადგა, ხელის ზურგიით ნიკაბზე ჩამოღვენითილი ერბო შეიხოცა, თუთუნე ვახვიდა, ვაბოლა და ხმა გაიღო ხანდაზმულმა, — იქით ომი, აქით, ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს მამაძალი-შვილი, დეზერტირი ფიღო... ალბათ ვაიგონებდი ამ გათახსირებულის ამბავს: ჯარიდან თავი გაურიდებია, ვაავკაცებულა, თუმცემთ შემოფარებია, აქ დამარწის და დედაკაცებსა და მათ წულებსა და ასულებს აწიოკებს... სხვა ავკაცობასთან ერთად, რიგრიგობით ყოველ ოჯახს თითო სულ საქონელს ართმევს — ზოგს, ვისაც მეტი არა აბადია რა, მარჩენალ ძროხასაც კი! — ყელში დანას გამოუსვამს, ვაატყავებს, ხორცს აიზურგებს, ვაშლილ ტყავზე შუავადატკრილ ენას დატოვებს და თავისი ბუნავისაკენ გასწევს.

— ვითომ რაო, შუაზე ვადატკრილი ენა რაღააო?

— კრინტი არ დასძრათ, არსად ინიგლოთ, თორემ ენას დაგატკრით, დიაცებსა და ბაღლებს ემუქრება, — დამთავრა ძია იობიმ, პირიდან პაპირო-

ავთანდილ გალდავაძე
სიოცაშვილი სავსაძე სიკათით

სი გამოიღო, მიწას დაანარცხა, და-
აპურტყა და ფეხი დაჰკრა...

ძია იობიმი რქა კვლავ აავსო და ყმაწ-
ვილს მიაწოდა. დავითმა იუარა, დილა-
ადრიან ბილიკებს უნდა დავევე და,
აბა, ეს ეშმაკის მოგონილი რაში წა-
მადგებოა.

— დარდი ნუ გაქვს, დაილოცე, და-
ლიე, ჩვენებური, სულადი, ცალნახა-
დი არაყია, დიდი ქეიფი არა აქვს.

დავითმა ხათრი არ გაუტეხა მასპინ-
ძელს და გადაჰკრა.

ვახშამს მორჩნენ, ხელები დაიბერ-
ტყეს, აღგნენ.

სუფრა აალაგეს.

გარეთ გამოვიდნენ, კამკამა ჰაერი
ჩაისუნთქეს, მოკრიალებულ ცას ახე-
დეს, — დიდი დრო გასულაო, —
თქვეს, გაიზმორეს, მიდგნენ-მოდგნენ
და მთქნარება-მთქნარებით შინ შებ-
რუნდნენ.

ჯეჯიმწაფარებულ ტახტებზე გაგორ-
დნენ.

ბუკვნები ჩააქრეს.

ძილგამკრთალი და არაყადანახუხი
მოხუცი მხართოდოზე წამოწვა და აფ-
რთხილებდა, ჰკუთას ასწავლიდა ახალ-
ბედა ჯარისკაცს: ხიშტი ასე კი არადა,
აი ასე უნდა ატაკოო, შოშხანა ასე კი
არადა, აი ასე უნდა მოიმარჯვოო. სან-
გარი უკან-უკან სვლიფ უნდა გაჰკრაო
და ათასი სხვა.

ახალგაზრდას კი, თავი მიადეა სას-
თუმალს თუ არა, მოხუცის სატყვეები
ბილისპირულად ჩაესმა, — ლაზათიან-
ად გაიშხლართა და მყისვე ჩაჰყვინთა.

შუა ძილში იქნებოდა, რომ ზედი-
ზედ სროლის ხმამ გამოადვიძა და სა-
წოლიდან წამოაგდო. ასანთი აანთო,
მიიხედ-მოიხედა: მოხუცი ბოლო-ბო-
ლო დამცხრალიყო, ტუჩები მოეკუმბა
და ქსინავდა.

თოფს ხელი დაავლო, გარეთ გაიჭრა
და ხმის მიმართულებით გაიქცა.

მეზობელ სახლიდან წივილ-კივილი
ისმოდა; კარებს დაეტაკა. შევარდა და
ბუკვნების ჰიატში საშინელი სანახაობა
გადაეშალა: იატაკზე თავდაღმა დამხო-

ბილი, სისხლში გათხვრილი დიაცე იგ-
დო. მოშორებით, ტახტზე, ნახევრად
შემოძარცული ქალი ებრძოდა ზედ
შემდგარ მამაკაცს, კბენდა, ფხაჭნდა,
ფეხებს უშენდა, მაგრამ გამხეცებული
მოძალადე არაფერს ებუებოდა, ტანსა-
ცმელს აფლეთდა და მსხვერპლის ლა-
ჯებში მოქცევას ლამობდა.

თავში სისხლავარდნილმა დავითმა
თოფი განზე მიაგდო, მოძალადეს ეცა,
ორივე ხელით ჩააფრინდა და ტკეჩი-
ვით აახლიჩა თითქმის შიშველ ქალს.

ქალი ქეთო გამოდგა, ედემ-ეთერის
და.

გასავათებული, არყით გაღეშილი,
წვერულვაშვაუბარსავი, ზინზლიანი
ფიდო დიდ ფიზიკურ წინააღმდეგობას
ვერ უწევდა დავითს, სამაგიეროდ,
ფურთხებითა და ყიამყარლობით იოხ-
ებდა გულს.

ქეთო, როგორც კი ხალვათობა იგ-
რძნო, ზეზე წამოვარდა, იატაკზე გა-
გორებულ ქალს ეცა, გადმოაბრუნა და
წამოსვა.

დავითმა ცალი თვალი შეავლო
სულთმობრძვე ედემ-ეთერს...

ფიდოს მიუბრუნდა, დღევრჭვიით
დაგრიხა, ტახტზე მიგდებულ ღაზს
დასწვდა, ხელ-ფეხი გაუთოკა და ფერ-
ცხალში წიხლი სდრუზა...

ედემ-ეთერის გვერდით კოლტში გას-
ვრილი ნაგანი ეგდო. ქალის თმები
სისხლს ერთმანეთზე მიეწებებინა და
ახლა ტყემლის ტყლაპივით ბრტყლად
ეკიდა.

კარს ორი თოფიანი კაცი მოადგა,
ერთი მთვანი ჩვენი ბატონი იობი გახ-
ლდათ, მეორე...მეორე რომ დინახა
დავითმა, თვალს არ დაუჭერა: მის წი-
ნაშე მხრებში მოხრილი და მოტეხი-
ლი მიშა მასწავლებელი იღვა. ჯერ
ერთმანეთი თვალით აწონ-დაწონეს,
ათვალ-ჩაათვალიერეს, მერე მივარ-
დნენ ერთმანეთს და გადაეხვივნენ.

მიშა მასწავლებელი გამანადგურებე-
ლი ბატალიონის უფროსად იყო აქ გამ-
წესებული — ხანდაზმული, დაძაბუნე-

ბული და ცერმოკვეთილი კაცი ფრონტზე არასდიდებით არ წაუყვანიათ.

დათიკოს ძალიან, ძალიან მიუნდა ახლა ბავშვად ქცეულიყო და მიშა მასწავლებლის ძელაგებში ახლუქუნებუ-ლიყო... ეტირა, ეტირა, ეტირა და ალ-ავალავ დაბეჯილი და დაკორტნილი გული მოებანა მხურვალე ცრემლით... მაგრამ გამანადგურებელი ბატალიონის უფროსს შაშხანა ეჭირა ხელში, რომლის ცივი ლულა ყოფილ მოსწავლეს ლოყაზე ეხახუნებოდა და თავის აგბედით თავს დაეინებოდა აგონებდა.

შაშხანა თავის თავს აგონებდა და, აბა, ახლა ამ ბედნიერებას, ცრემლთა-ღვრას, რასაც ჩვენ, ხანდახან, შეცდო-მით ტირილს ვეძახით, ვინ დაანებებდა...

ედემ-ეთერი აიყვანეს, ტახტზე წამო-აწვინეს და პირველი დახმარება აღმო-უჩინეს.

ადამიანებს სახე გაუადამიანურდათ, დაკიშული ნერვები დაუფომფლდათ, დაბალ საჯდომებზე ჩამორიგდნენ.

— მუქარით ამოგვრეკა მთაში, ხო-ლო აქ რომ ამოვედით. მთელი კვირა გვაყურყურტა, ახლოს აღარ გაგვეკარა. წუხელ, შუალამისას, გაღმეილი მოგ-ვადგა, ედემ-ეთერს აუხირდა, როგორ თუ ამდენ ხანს არ ამოხვედიო და, სი-ლა სტკიცა. რატომღაც ქმარმა ედემ-ეთერის გულში პირველი დღიდანვე ვერ დაიკავა დიდი ადგილი, ბოლოს კი ერთი პაწაწკინტელა კუნჭულიც არ შე-მორჩა და, არაფრით არდახათრებულმა ცოლმა წინააღმდეგობა გაუწია. ეს რო-გორ გამიბედო, ნავანი დაძრო და ბე-ჭებში ორი ტყვია დაახალა. მერე მე მომვარდა და, დათო რომ არ შემოჩე-ნილიყო და არ მომშველებოდა, არ ვი-ცი რა დამემართებოდა... — შიშველ, დაღურაგებულ სხეულს იფარავდა შეძ-ლებისდაგვარად და ჰყვებოდა თვალ-ცრემლიანი ქეთო.

ედემ-ეთერმა სული მოიღვა, თვალი გაახილა, ყმაწვილი დაინახა, დააკვირ-და და დაჰკვილა:

— დათო!..

დავითმა უნებლიეთ წინ წაიწია, მე-

წე „მეკამეჩეო“ ჩაესმა ყურში, შეჩერ-
და, უკან შეტრიალდა... კვლავ ფრთხილ-
თან მივიდა, გულურასავით აიტაცა, ირ-
გვლივ მიიხედ-მოიხედა... დიდ, შავ,
კბილებდარგვილ საჩეჩელს დაადგა
თვალი, ფეხით მოაჩოჩა, მისი მოსის-
ხლე ზედ შევეულად დაჰკიდა და, ის-ის
იყო უნდა დაენარცხებინა, რომ მიშა
მასწავლებელი ეცა ხელში:

— ეეე, რას სჩადიხართ, ყმაწვილო,
ვინ მოგცათ თვითგასამართლების უფ-
ლება?! ანდა, ამ ოხერ-ტიალისათვის
თავს რად ილუპავთ, მიიხედ-მოიხე-
დეთ, სიცოცხლე სავესა სიკეთით.

ხახიძეს ერთი ბუნა ხელები გაუშეშ-
და, მერე აფთარაიძე გვერდზე მოიქნია,
მიშა მასწავლებელს ბოდიში მოუხალა
და, ნელა-ნელა, გოჯა-გოჯა, ნაბიჯებითა
და ზურგის ცახცახით, კარისაკენ გას-
წია...

... მხედრიან საფერხეს ქაიოს გადა-
სასვლელი გადაეარა, საცალფეხო ბი-
ლიკს დასდგომოდა, კუდის ქნევით მწე-
რებს იგერიებდა, თქრიალით თავქვე,
ითხალას აულეებისაკენ ეშვებოდა...

ქენა ქარი ჰქროდა. ზედა მხრიდან
ბრელოს, ნუგლსა და მტვრის კორიან-
ტელს მოერეკებოდა და ქვევით, ხახა-
ჩაბნელებულ ხრამში აქვესკნელებდა.

მზე ცხრებოდა, ციციქნავდებოდა.
მხედარი ჩქარობდა: ეწადა სინათლით
გაეარა ეს მიხლართულ-მოხლართული
ხეობა. მერმე ქვევით ჩაივაკებდა: ჩეჩ-
ნებთან დამეს გაათევედა, ფრონტიც იქ-
ვე, ახლო-მანლო იყო და თავისი ნაწი-
ლიც, გუმანით, იქ ეგულებოდა.

ემურებოდა დავითი და გაოფლილ
ქურანს დახმაურებოდა და ხელის აქ-
ნევით აჩქარებდა.

ცენი, თავის მხრივ, ცდასა და წა-
დილს არ იშურებდა და ფრუტუნით
ჩარბოდა ჩაიკიდებულ ბლიკზე.

უცხად, ბილიკის მოსახვევიდან, უბე-
ლო ულავზე ამორძალივით ამხედრებუ-
ლი ქალიშვილი შემოჩნდა.

ქალიშვილს ცალ ხელში ავშარა ეჭი-
ამთადილ ვალდავაძი
სიცოცხლე საგსა სიკეთით

რა, მეორეში — პანტითა და მაქალოთი კარბამდე გავსებული ყაპყატოს კალათა, ფეხებს აქნევდა და ცხენს თოხარით კით მოერეკებოდა.

ასაქცევი ადგილი არსად იყო და, ცოტას გაწყდა, ერთმანეთს არ შეასკდნენ.

დათიკომ იმარჯვა, საფერხეს თავი მოუღრიჯა, მოაბრუნა, ერთი ბუნა უკან არბენინა და გააჩერა.

ელდანაკრავმა ფაშატმა ფეხები გაჩაჩხა და შარდი დააქცია.

ულაყმა სუნი იკრა, ახვიხინდა, აჭიხინდა, დამრგვალებული ნესტოებიდან ნესტიანი ჰაერის ბოლქვები აფრქვია, მხედარს ავშარა გამოსტაცა, გავა მოიქნია, გაქანდა და ფაშატს გამოუდგა.

კალათა დავარდა და მთის კალთაზე მაქალო და პანტა სკუბ-სკუბით დაიფანტა. ბილიკის მიღმა ატეხილ ლიხში გახლართულმა ქალიშვილმა შეჰკვივლა და, ფაშატს ადევნებულ ულაყი რომ დაინახა, სახეზე ხელები აიფარა.

ლაწალუწი და შლიგინშლიგინი ღრანტეში ჩაიქცა.

ხეგმა ხაფი ხმით დაიხმიანა.

ქვევიდან ჰაერის ტალღა ამოიჭრა, ქალიშვილს კაბის კალთა აუფრიალა და თავმანდილიდან ჩამოშლილი კუნაპეტი კაგები აუტოკა.

თვალი რომ გაახილა, მხედრისა და მისი ფაშატის კვალი აღარსად იყო.

პირქაფიანი, ფაფარაშლილი ულაყი ბილიკს აღმა-დაღმა დაუყვებოდა, ტორებს სცემდა, ტლინკებს ჰყრიდა და ერთ ყოფაში იყო.

... დათიკო გონს რომ მოეგო, უბირველესად ეს გაიფიქრა: ხრამში გადარხხვას მაინც ვერ ავცდი, ამის წერა ვყოფილვარო... მერე თავი გვერდზე მიაბრუნა და მასთან ჩამუხლული, შეურვებული ქალიშვილი დაინახა, შემდეგ — საკუთარ ხელში ჩაბღუჯული სადავის ნაგლევი. ცოტა მოშორებით ზურგზე ეგდო ფეხაფშეკილი, თავის სილამაზის მსხვირპლი, უსულო ფაშატი.

წამოიწია, თითების გაშლა მოინდომა, ვერ შეძლო, ქალიშვილი წამოეხმა-

რა, ძლივშლივობით გაპარკყა და გორც იქნა აღვირს ხელი უშვა ქალიშვილი წამოდგა.

— ნუ მიმატოვებ... — სუსტი ხმით შეეხვეწა ყმაწვილი.

— რას ამბობ, ბეჩაეო, ასეთს როგორ მივატოვებ?!

მიიხედ-მოიხედა, — ხევის ძირი იყო. მთის ფერდზე, გაშლილი ნაბდის სიფართოეზე, ბალახები და ბუჩქები გადათეოლილიყო, ხოლო ქვევით ყვერის, დაღწილი ტოტებისა და ღორღის ხორა იდგა.

ქალიშვილმა დალაღები უკან გადაიყარა, კოჩი კაბა შეისწორა, ხეჩა შარვალი გაიფერთხა.

— ქართველი ხარ, გოგო?

— ქართველი რადა ვარ, ჩეჩენი ვარ!

— აბა, მაშინ ქართული ასე კარგად საიდან იცი?

— ორჯონიკიძეში ვსწავლობდი, ბინად კი მამაჩემის ყონაღთან, მოხევე გაიოზ მარსაგიშვილთან ვიყავი ლარსში და მის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი.

— ჰოო, ისე კი სულ ქართველს კი ჰგევხარ, აი.

— რატომ მე ვგვევარ, ეგებ ქართველი მგავს მე?

— ეგეც შეიძლება...

— შეიძლება და შენც აგრე ილაპარაკე!

გაეღიმათ. ქალიშვილმა ხორაზე ყვერი მისწი-მოსწია, კაბა აიკალთავა და დაჯდა.

— ეე, ვაჟო, რა ბრალში ვარ შენთან, რა ბრალში...

— რათა, განა შენ გამომედევნე?

— მე რატომ გამოგედევნებოდი. თუ გამოდევნება აუცილებელი იყო, შენ უნდა გამოგება მგლის მუხლი... — თქვა, გადაიკისკისა, მარჯვენა დაწვე, ტუჩკილოს გასწვრივ, ჭუტა დააჯდა და განაგრძო, — ბედი გვექონია...

დავითს გაეხარდა, მისი ხვედრის მოზიარედ რომ ჩათვალა თავი ამ ჩეჩენის ლამაზმა, ლიტაო ასულმა, მაგრამ გარეგნულად არა დაიტყო რა.



— ეს თუ ბედია, მაშინ უბედობა რალა?

— კი, ღმერთმანი, ბედი გვექონია, რომ ცოცხალი და თითქმის უვნებელი გადარჩი... იცი, რამოდენა ხრამია?

— ზევიდან დიდი ჩანდა.

— ქვევიდან უფრო დიდია!

— მერედა, შენ რა გრჯიდა ამ წყვარამში რომ ჩამოხვედი, ანდა როგორ მოახერხე ეს?

— რა მრჯიდა და ჩემი ადამი და შარიათი... ხოლო ჩემი აქ ჩამოსვლა დიდი გმირობა არაა, მე აქვეელი ვარ და თვალდახუჭული ვიცნობ ამ არემარეს.

— რა გქვია?

— რეიხათა... შენა?

— მე დავითი, დათიკო... დიდი ხანია, რაც გადავიჩხე?

— კი. სანამ მე აქ ჩამოვალწვედი და მოგასულიერებდი, კარგა დრო გავადა. საით მიზნდხობი?

მოკლედ უამბო.

— გუმანმა არ მიმტყუნა, კარგი ვაჟა ყოფილხარ! — მოუწონა რეიხათამ და გაუღიმა.

დავითმა წამოდგომა მოიწადინა, მაგრამ ფეხმა უმტყუნა და, ქალიშვილი რომ არ წამომხტარიყო და მხარში არ შესდგომოდა, მიწაზე გაეკვრებოდა.

— არა, არ უნდა ადგე, ალაპის წყალობით, ფეხი მოტეხილი არა გაქვს, ეტყობა, ნაღრძობია მხოლოდ... ნაღრძობის გასწორება დიდი ბედენა არაა.

ჭაბუკმა ფეხზე დაიხედა: წალები გახდილი ჰქონდა, ტოლალეები — შემოხსნილი, წინდები — გაძრობილი.

ახლა შეამჩნია: ბირკებდაკრული ფარაჯა, გვერდგამოლადრული გუდა, აშურმაგლეჯილი თოფი, ფალასკა, ფეხსაცემელი, დაბრეცილი უნაგირი, ტოლალეები და წინდები თავთავის ადგილას ელაგა.

რეიხათა დატრიალდა, კიწაწი ფიჩხი ჭივაროვა, ამ გროვის ირგვლივ, რამდენიმე მეტრის სიფართით, მუხლამდე მოფენილი ნეშომპალა გააჩიდა, დავითს ასანთი გამოართვა, ცეცხლი წაუქიდა და კოცონი გააჩაღა.

მერე თოფი აიღო, მოიმარჯვა და ჩახმახი ააჩხაკუნა.

— რას შერბები?! — შეცბა დავითი.

— უნდა გავისროლო, პაპას უნდა მივანიშნო ჩემი ადგილსამყოფელი.

— რატომ მაინცდამაინც პაპას?

— მამა ფრონტზეა, დედა ადრე გარდაგვეცვალა, პაპა, მე და ჩემი პატარა დაიკო, ნაბისათა, დავრჩით შინ... ულაცი მარტო მიადგებოდა ჩვენს ეხო-კარს. პაპას ცუდად ენიშნებოდა ეს და ჩემს საქებრად წამოვიდოდა. ახლა თოფის ხმას გაიგონებს, კოცონს მოჰკრავს თვალს, მიხვდება რომ აქ, ამ ხრამში ვარ და დილაადრიან ჩამოგვხედავს და მოგვეშველება.

— თოფის სროლა იცი?

— აბა, არა?

თოფმა ივრიალა, ხევი ყრუდ აებანია, საღდაც ნადირი ვაშლივიენდა.

იარალი გადახსნა, პილზი გადმოავლო, ფალასკიდან ვაზნა ამოიღო, თოფი კვლავ გატენა და მარჯვე ადგილას მიყუდა.

მიდამო ჩამობინდდა, ცივი, ნესტიანი ღამე ჩამოწვა.

ცეცხლს ტაცატეუცი გაჰქონდა და ბურჯღლებს ბლუჯა-ბლუჯა ჰყრიდა.

ნეშო, ხავსი და გამხმარი ხორბოძი ყურთუკივით გაფინა და ზედ დავითი დააფინა.

ალის არილზე ფეხი დაუჭიმა, რუდან მათარით წყალი ზიდა, იარები მობანა, თუთუნი დააყარა. თავმანდილი მოიხადა, დახია და შეუბანდა.

ამ დროს ზევიდან თოფის ხმა მოისმა.

— აი, ხომ ხედავ, პაპამ ნიშანი მომცა! — თქვა რეიხათამ და ოვალევით მრგვალ შუბლზე ხელი გადაისვა.

— ყოჩაღი პაპა გყოლია, რეიხათა!

— ძალიან, ძალიან... რომ იცოდე სასიძოვების რისხვა პირდაპირ, — ვლიმებით ჩაილაპარაკა ქალიშვილმა და ნწოლიარეს ირიბად გადახედა.

ანთამდილი გაღდასახა სიფრთხილად სახსავ სიკეთით



მერე ისევ დატრიალდა: დამბალ კუნძებზე და ხის ძირებზე ჯგროდ აღმოცენებული შემოდგომის მწიფე მანჭკვალა, თავქუდიანი და გრძელფეხა ყავისფერი სოკო დაავროვა, საითითოდ წვირზე წამოაცვა, ლადარზე ქუდუქუდმა დადო და შებრაწა.

დავითი დაიანყრა.
თავად პირი გაისველა.

— გწყურია?

გაუღიმა.

წყალი შესავა.

— დაიძინე! — უბრძანა.

— შენა, რეიხათა?

— მე არსად არ წავდივარ, აქვე სადმე ჩამოვჯდები, კოცონზე თვალს დავიჭერ — საშიშია, ნადირი არ წამოგვეპაროს, და ხანდახან წავთვლემ...

— შენი სულის ჭირიმი... — ლოცვასავით ჩურჩულით ჩაილაპარაკა დავითმა, კარგა ხანი უტყვირა კუნძზე ჩამომჯდარი ქალიშვილის აყირმიზებულ სახეს და თვალეები მილულა.

... ზევიდან ხევში დილა და მოხუცი ეშვებოდნენ.

ცა მალლა აზიდულიყო, კამკამა ჰაერი იდგა, მსუსხავი სიო უბერავდა.

მოხუცს წელში გამოყვანილ, ყოშებიან ბეშმეთზე ვერცხლით მოჭედილი სარტყელი შემოერთყა, წმინდად გაპარსულ თავზე კონუსური ფაფახი დაეხურა, ფეხები ბანდულეებში გაეყარა, წვიგებზე შარვალჩატანებული პაჭიკები ეკეთა. ხელში ხანჯალი მოემარჯვა და ეკალბარდების კაფეთ ტეხილ ხაზებზე მოდიოდა.

ციცაბოს ჩამოთავებას ბევრი არაფერი უკლდა, რომ შეჩერდა, შესვენვა, ცვარ-ნამით გაწუწული პაჭიკები და მუხლისთავები დაიფერთხა, დაამთქნარა, პირი დაალო და მეჩხერი კბილები დააჩინა.

ქალიშვილი და ჰაბუკი თავშეკცევით იწვნენ და ძილში ტკბილად ქშუტუნებდნენ.

მოხუცი თავზე წამოადგათ.

თვალეები მოიფშვინტა, წარბები მოქუშა, სახე მოელუშა.

ხანჯლის ვადა ხელში გაიწურა...

შვილიშვილმა გუმანით იგრძნო პის მონუსხული მზერა, გააზმორა, უპეებში მჯილი ამოისვა და ფეხზე წამოხტა.

გაუღიმა, მიეახლა და კისერზე მოსახვევად ხელეები გაშალა.

ჯერ კიდევ ჩანიანმა მოხუცმა გვერდი შეაქცია, მაგრამ ვინ დაანება, — რეიხათას მკლავები აღარ ეშვებოდნენ... პაპა კარგად იცნობდა შვილიშვილს: ოჯახის უფროსის რიდს დაბლა არ დაუშვებდა, მტყუანი ამდენს ვერ შეპბედავდა, ალალი ყოფილო, დასკვნა, დაშოშმინდა და დანებდა.

ყორნები ყრანტალითა და ხიდან ხეზე ფარფატით მოფრინავდნენ და უსულლო ქურანს შორი-ახლოდან უვლიდნენ. მალლა კი, ლაქვარდ სივრცეში სვავები ნავარდობდნენ, ადლიან მხრებს აფარფაშებდნენ და ექვს არ ტოვებდნენ, რომ შავჩოხიან ფრთოსნებს კარგ დღეს არ დააყრიდნენ და პირიდან ნუგბარლუქმას გამოაცლიდნენ...

ქალიშვილი ჩურჩულით ჰყვებოდა, პაპა ყურმარჯვედ უსმენდა: ჯერ გაფთირდა, მერე ნალარ სახეზე ცუდლუტმა ღიმილმა გადაუარა, შემდეგ თავში ხელი წაიშინა, ბოლოს ამოიგმინა, შვილიშვილს თმაზე ხელი გადაუსვა და თვალეები მოულამდა.

დავითი შეიშუშუნა, გამოეღვიძა. გაიღიმა და წამოიწია, მაგრამ მოხუცმა — ქესტით, ხოლო რეიხათამ — დატუქსვით აღარ დაანებეს და ისევ დააწვინეს.

ქალიშვილი ყმაწვილთან დარჩა, პაპა ცხენთან მივიდა და თავი დანანებით გადააქნია.

ფაშატი დარუმბებულიყო, სამკერდული დასწყვეტოდა, სუნი დასდებოდა, ირგვლივ ერთმანეთში ირეოდნენ ხოჭოები, ჭია-ჭიები და ჭიანჭველები.

მოხუცმა ოხვრითა და ურვით უტრიალა ცხენს, მერე დაიხარა, შერჩენილი აკაზმულობა, რაც მოახერხა აახსნა, რაც ვერა და შეაჭრა. ხეებს ქვერი შეატეხა, ლეშს დააფარა, ყორნებსა და სვავებს დაჰყვირა და იქაურობას დაამორა.

ამასობაში რეჩხათას დათიკო წამოყენებინა.

საეჭვო დიმილითა და ცდუნებით ახედეს აღმართს.

მთის ქალთებს შერეული ტყე შეფენოდა: ნაძვი, წიფელი, თეთრი და შავი არყი, რცხილა, ხოლო გარე-გარე, ხრამის პირზე ხიფათის ტრფიალს, წითელი კუნწულეებით დახუნძლულ ცირცელს, მოეკიდა ბრქვალნი.

პაპამ და შვილიშვილმა ბარგი გაინაწილეს, მოიხურგეს, ჯარისკაცს მხრებში ამოუდგნენ და მოხუცის მიერ ჩამოკვალულ ციკაბოს აპყვენენ...

ის-ის იყო აბზაცი დავამთავრე, მაგიდიდან წამოვდექი, სივარეტი გავაბოლენ და გარეთ გამოსვლა დავაპირე, რომ ჩემმა ბიჭმა, აჩიკომ, ფოსტა მომირბენინა, კონვერტი გადმომაწოდა და მომახარა:

— მამიკო, შოთა ბიძიასაგან წერილია, ქვემო ალვანიდან!

მე კიდევ, აბა, რა გული მომიტმენდა, უმალ გავხსენი და წავიკითხე:

„გამარჯობა ჩემო ავთანდილ!

პასუხი დაგიგვიანე, მაგრამ იმედია მაპატიებ, ვინაიდან კარგად მოგვხსენება, აქეთ — ჩვენი, დირექტორების, ათასი მოუგვარებელი საქმე და იქეთ — თათბირები, კრებები, შეხვედრები...

ძალიან გამახარე, რომ ჩემი სოფლის მკვიდრზე მოთხრობის წერას შესდგომინარ.

უბრეტენზიო კაცი იყო დავით ხახიძე და ასეთივეა ახლაც: ბერლინიდან რომ დაბრუნდა, არავისთვის დაუყვედრებია სამშობლოს სამსახური, — მე ასე ვქენი და შენ ასე მომექეციო... შოფრობა შეისწავლა და კოლმეურნეობის გამგეობამ (მაშინ ჩვენთან ჯერ კიდევ არ იყო საბჭოთა მეურნეობა) ერთ შებერტყილ მანქანაზე დასვა. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ მას არც ხელობა შეუცვლია, არც პროფესია და არც კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე უვლია: შოფრობა დაეკვება და შოფ-

რად დარჩა... საბურავი გაუცვლდა მანყეტს დაეძებს, კაპერა გაუცვლდა და — ვულკანიზატორს ეღრივება დამიწებეო, ავტონისპექტორები გადაეყრებიან და — ან ტალონს გაუჩგრეტენ ან ღალას აფტკენიან, მანქანას ჩამოწერენ და — ახლის მიღებამდე რიგში დგას და ხან ზეინკლად მუშაობს და ხან მინდვრის მუშად...

შახიანი, ხელხვერიელი უცხო ტომის ქალი ჩამოიყვანა, მინაელებული კერა გააჩაღეს, ბავშვები დააჩინეს, ოჯახი გამართეს...

შრომობენ, ცხოვრობენ და ცა ქუდად მიაჩნიათ და დედამიწა — ქალმანად...

აი ის, მოკლედ, რაც გაინტერესებდა კეთილი სურვილებით: შოთა წომიკურიძე“.

ორი კვირა ორი სულის შებერვასავით გამქრალიყო.

თავადერილი, აკაზმული, დაურგებული ულაცი, ქედზე აღვირი რომ ჰქონდა მიგდებული და უნაგირის უკან გულა აეკიდათ, გაბაწვრით მიმავალ პროცესიას წინ მიუძღვოდა.

მიდიოდა ულაცი... მოზომილი ნაბიჯებით, ქედმალური თავის კანტურით, ზვიადი ფრუტუნ-ხეიხვინით.

და ვინ იფიქრებდა, რომ ყველა მოკვდავთათვის, სვებედნიერია იგი თუ ბედუქუდმართი, თანდაყოლილი წადილი თავისი მოდგმის გამრავლებისა ისე ააცეტებდა ამ დინჯ და თავდაჯერებულ ხვატს, რომ წაბლისფერ ფაფარდაყრილ, კანქმალალ და გავაგადანდლებულ ფაშატს, მთელი მილეთის მდებდრებში სწორუბოვარ ლამაზმანს, ერთი თვალის შევლებით გაუმიჯნურდებოდა, გამოედევნებოდა, ასე ხეტად და უღიერად გადაუშლიდა გულს და, სიამის მიგვრის წილ, სიცოცხლეს გამოასალმებდა.

ბრალი და დასანანი ფაშატი... თუმ-

ანთანდილ ბალდავაძე
სიცოცხლე საცხა სიკეთით

ცა ვინ იცის, ვინძლო ღირდა კიდევაც ამ დიდებული მღვდლის განწირვა, — ეგებ განგებამ განგებ მოიგუწება მისი გადაჩეხვა, ამით საბაბი რომ გამოენახა და ორი მწყაზარი ყმაწვილი შეეკარა ერთმანეთთან?

არა, ნუ მეღავებით, მე კი არ ვამტკიცებ, მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, ვინ იცის-მეთქი...

... ულავს უკან უგუწებოდ მყოფი მოხუცი მიყვებოდა, მოხუცს-ფერდაკარგული, თვალდაღურსული დავითი, დავითს — ურვადყრილი, მაგრამ ჯანგაფურჩქენილი, მზინავი კავებით, ღუღლულა თვალებითა და ღაწვების ღუილით დამწყაზრული რეიხათა... ამით უშველებელ კულად აპყოლოდნენ წნელის ხმლებშემართული და წყებლის ცხენებზე ამხედრებული მთელი აულის ტიტლიკანა აჰალ-ბუჭულები.

პროცესიას აბოლოებდა „უხენო“ და „უხმლო“ თავჩაქინდრული, მხრებჩამოყრილი, აცრემლებული ნაბისათა.

ულავს უკან უგუწებოდ მყოფი მოხუცი მიყვებოდა... და დიახაც ჰქონდა საიმისო მიზეზი:

დავითს იარები და განაკაწრები ისიც იყო უმუღებობდა, დაბეილობამ პირი იბრუნა, ფეხიც გაუმრთელდა, მაგრამ საბოლოო გამოჯანსაღებას, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი აკლდა.

ჯარისკაცს, აბა, რეიხათსთან და მის სახლეულთან ყოფნა როგორ მოყირტდებოდა, მაგრამ მოვალეობის გრძნობა თავისკენ ეწეოდა და გული წასასველელად მიუწევდა.

მასპინძლები შორს იჭერდნენ: ცოტა ხანს კიდევ დაიცადე, ასე საღ უნდა წახვიდე, მთლიანად გამოკაქდი და მერე შენი ღამჭერი და არგამშვები ვინ გაუგებარია, — გზა ფიანდაზად გვენიო.

რა უნდა ეღონა. გაიღიმებდა, მხრებს აიწურავდა და ხელებს აწევდა.

ამ აღრიან დილით რეიხათამ სახლის ყურეში მოიმწყვდია ნაბისათა, ყური აუწია, მკლავზე უჩქმიტა, ზევით-ზევით აზიდა და კინდამ სული ამოსწვდა.

გოგონა იტირდა, კურცხალი ღამა ღუპით წამოღვარა.

ატყდა ერთი წიოკობა და წევვა-გლუჯვა.

— რას ერჩი უღედო ბავშვს? — პაპა მივიარდა და თვალების ბრიალით შეჰყვირა რეიხათას.

— ჩემი სურათი დახია...

პაპას ძალიან უყვარდა უფროსი შვილიშვილის ეს სურათი, დღეში ათჯერ მაინც დახედავდა და ათჯერვე გაიხარებდა.

— როგორ თუ დახია? ეს რათაო? — ახლა გოგონას მიუბრუნდა.

ნებისათა განაბული იღვა და ენისა და ქვედა ტუჩის ცმაცურით კურცხლებს ყლაპავდა.

— რად დახიე, შენ გეკითხებიან! — შეუტია.

— ახი იყო და დავხიე! — ზღუქუნით მიუგო, მკლავი მოისრისა და უკან დიხია.

— მაინც რა დააშავა?

— რა დააშავა და... უთენიაზე დაუღმა დაკოცნა!

მოხუცი გველნაკბენივით შეცბა, შუბლი შეეკრა, ბეშმეთის ღილებს შეეკვრას შეეცადა, მაგრამ, აბა, აცხცახებული ხელებით რას გახდებოდა?

— რეიხათა საღ იყო? — ენა ძლივს მოაბრუნა.

— იქვე იყო, სარკეში იჭყრებოდა, კობწიობდა და მაწივს აწვალებდა.

— რა უთხრა?

— არაფერიც არ უთხრა, გაუღიმა, მოხინკლულ ტუჩებზე თითი მიიღო და თვალთ ჩემზე მიანიშნა...

აქეთ პაპა გაშრა, იქით — რეიხათა, სარკემელთან — დავითი.

ჰაერი გაუქმარისდა, სუნთქვა გაჭირდა.

ნებისათა მიხვდა, რომ რაღაც ცუდი წამორაშა, მოიბუზა, მოიკუნტა და მოკურცხლა.

კრინტდაუქვრელად იღგნენ და მიწას ჩასჩერებოდნენ.

წამებსა და წუთებს გულების ბავაბუგი მიაცილებდა.

პირველად პაპა დიძრა, ცხენის აკ-
აზმულობას წამოავლო ხელი და თავ-
ლას მიაშურა... შემდეგ რეიხსთამ ფა-
ქიზად გაკერილი გულა აიღო და სამზა-
რეულოში შევიდა... ბოლოს დავითმა
სამკუთხა ქუდი მოიძია, ჯერ განივ გა-
ჭიმა, მერე — სივრცე, დაფერთხა და
თავზე ჩამოიფხატა.

უმძრახად მოძრაობდნენ...
...და ახლა აი აგერ, გზაზე ვაბაწრუ-
ლან.

მოზომილი ნაბიჯით, ქედმაღლური
თავის კანტურით, ზვიადი ხეივანი მი-
დიოდა ულაყი. ცხენს მღვდარივით ად-
ვენებოდა თვალდალურსული დავითი.

აღმა იარეს, დაღმა იარეს, ვიწროზე
იარეს, ფართოზე იარეს და უკან მოი-
ტოვეს: რეიხსთა, ნაბისთა, პაპა, დღლე-
ები, ღრანტეები, ჩანჩქერები, ქაშისის
ბალთივით იწრო ხეობები და თვალჩა-
უწყდენელი უფსკრულები, უდუღაბოდ
ნაშენი სახლები, ძაღლის წყავწყავი,
ცხვრის ყმუყუნი, ვირის ყროყინი, გა-
ჭარმაგებული და გაშუახანებული შუა-
დღე...

ბილიკი, ცხენი და დავითი დაღლა-
ლიყვნენ და ახლა რიყე-რიყე მილაყუ-
ნობდნენ.

დამსუბუქებული სტომაქით დამძი-
მებული ულაყი შეჩერდა, იქაურობა
მოიმზირა, გვერდზე მიდგა და მწვანე
სუფრას მიეპატიყა.

მდორე მდინარეს დაეწაფა.
ფერდი ამოიღო.

პირის პატივის ადათ-წესს ვერც და-
ვითმა შეაქცია ზურგი და რეიხსთას
ნახელავი სანოვავით მუცელგამობერილ
ჯუღაში ჩაიხედა.

მერე, როცა ერთი ძოვას მორჩა, ხო-
ლო მერე — პურობას, კაცი საფერ-
ნეს მიეახლა, ზურგზე შეახტა და გზა-
ზე შეაგდო.

ცხენმა და ცხენოსანმა მანძილი მო-
თოკეს და მიმწუხრს გროზნოს მიალ-
წიეს.

ქალაქს გერმანელები უმოწყალოდ

ბომბავდნენ და იქაურობას მტვერში
ალსა და კვამლში ხვევდნენ.

დავითი ჩამოქვეითდა, ულაყი უკან
მიაბრუნა, ფეხისწვერებზე შედგა, კი-
სერზე მოეხვია, ყურზე ემთხვია, ეჩურ-
ჩულა, გავაზე ხელი წამოარტყა.

ცხენმა თავი აიღერა, დაოთხდა და
გზა შევილივით მოზიდა...

გზა შევილივით მოზიდა და... თუმ-
ცა რაღა მივკიბ-მოვკიბო, სათქმელი გა-
ვაგრძელო და გალოდინოთ, პირდაპირ
გეტყვით: თთხფხა მეგობარმა რეიხს-
თას ვერ გადასცა შავბუსუსებდაყრილ
ბიბილოს ძირში კოცნა, — მტრის ქუ-
რვი დაეწია და, რაც იქ დატრიალდა,
თუ ღმერთი გწამთ, ნულარ მათქმევი-
ნებთ, ის თქვენს მტრისას და დამაწყვე-
რისას იყოს...

დავითმა იმლამინდელი ღამე თავშე-
საფარში გაათია და კითხვა-კითხვით
გაიგო: ქართული დივიზია გროზნოდან
ვლადიკავკავის გავლით მოზდოკში წა-
სულიყო.

ისევ იმ მოუთოკავ გზას დაადგა,
ღლეები და ღამეები გალია, ვლადიკავ-
კავი გაიარა, გზადაგზა ხიფათი და ხა-
თაბალა თავსაყრელად იწვნია, მოზდოკს
მიადგა და, როგორც იქნა, მიაკვლია
თავის დივიზიას, საარტილერიო ლეგი-
ონს, დივიზიონს, ბატარეას, ჯგუფუ-
ულს...

ამხანაგებს მიემშვიდობა, გადაეხვია,
გადაკოცნა.

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონ-
და: რაც უკან მოიტოვა, თითქოს ღამე-
ული სიზმარი იყო, თითქოს არც გან-
შორებოდეს ამ ჯარისკაცურ ცხოვრე-
ბას, ამ ფარჯის ფართხუნს, ამ ხელ-
ქებასა და ამ ხის კოვზს, ამ დაბოღმილ,
მაგრამ ერთ მჯილად შეკრულ, ერთბირ
და ერთსულოვან სამშობლოს დამცვე-
ლებს...

— მეთათრი სადაა? — იკითხა.

ამთანდოილ ვალდავაჟი
სივოცხლემ სავსება სიათითი

— ალბათ ერთი სული გაქვს, სანამ მეთაურს გამოეცხადები, არა? აი იქ, მთის თხემზე, მეხდაცემული მუხა რომ დგას, იმაზეა შეხამებული, იქ დაიდო სათვალთვალო პუნქტი, — მიუგო ზემდეგმა.

დავითი გაიტვრინა, ფიქრებმა მორევით ჩაითრია: აი, წამოიშართა უზადლო ვაჟკაცი, ჯარისკაცთან მივიდა და დედის გარდაცვალება ხელის ჩამორთმევით მიუსამძიმრა, თითქოს მაღლა მდგომი კადრის ოფიცერი კი არადა, მისი მეცეცხლე მჭობელი, ახლო ნათესავი, სისხლი და ხორცი ყოფილიყოს... როგორ გაიზარდა თუში ჭაბუკი საკუთარ თვალში: ალექსი პირმისაშვილი, ასეთი დიდებული ზნისა და ქცევის ადამიანი, ქართველი ბრძანდებოდა და, თავად იგი, დავით ხახიძე, თხემით ტერფამდე, აი ამ კაცის გორისა, ჯიშისა და ჯილაგისა იყო...

— ჰაუბიცის ნომერ პირველი მემიზნე ხახიძე შევბულღებიდან დაბრუნ-

და! — ტელეფონით მოახსენეს კაპიტანს.

— რას ამბობ, კაცო! — ისეთი ბოხი ხმით დაიყვირა ალექსიმ, რომ ზემდეგს ხელში ყურმილი გაუტოკდა.

დიდი დრო არ გასულა, რომ ტელეფონმა ბრძანება გადმოსცა:

— ხახიძის ჯგუფეული ჰაუბიცთან დადგეს!

— არის! — წამოიძახა თვალგაბრწყინებულმა დავითმა და თავზე ქუდი, ხოლო ქამარში ხალათი გაისწორა...

... იდგა დავითი და ომის შეუცნობელ სივრცეს დაფიქრებული გაჰყურებდა. იქ, სადღაც შორს, მანათობელი ვარსკვლავივით ციმციმებდა რეიხათანს საოცნებო ღიმილი და ჰაუბიცთან მდგომ ჯარისკაცს მტკიცედ სჯეროდა, რომ ეს ღიმილი ომის ქარცეცხლიან დღეებში სიკვდილს წინ აღუდგებოდა, უსათუოდ დაიფარავდა, ომიდან შინ მობრუნებულს ეს ღიმილი შეეგებებოდა და მის კერაზე ჩაუქრობელ ცეცხლად იგიზგიზებდა!..





სოფლები... სახლები... გარეცხლები...

ბუდეს არა და არ იკეთებენ
გამოკეტილი სახლების ჭერქვეშ
და ჩვენს სოფლებში რიცხვი მერცხალთა
აკვანთა რიცხვის მსგავსად მცირდება.

შაჰოღოვაა

შემოდგომაა...

ვეღარ ვიტყვით — რაც უნდა გვეთქვა,
ახლა ორთავე
სამუდამოდ ჩამდგარ ქარს ვგავართ,

მოდით, ავკრიფოთ
დაცვენილი ფოთლები ხეთა,
მოწყენილობის ძირისძირის
მოსაქარგავად.

მ ს უ რ ს

გრძნობის მორევი — გული მინდა ჰგავდეს ნაღვერდალს,
რომელიც შენი სალამურის სუნთქვით ღვივდება...
მწაღია შენი ჩუმი ფიქრის ხმაზე ავმღერდე...

შენს სალამურში ჩამწყვდეულმა სივრცის სამეფომ
მსურს შეიხიზნოს დასახანძრი ჩემი სხეული,
რომელიც მხოლოდ შენმა სუნთქვამ უნდა დაფერფლოს.

ყვროვის მიჯნა

ყველას უკვირდა საპარელი მწყრალია რადა,
სტუმარი, ყველას სახარელი, რად არის მწყრალი...
ონკანიდან კი, უდაბნოთა უსაზღვრო ნატვრა,
შეუჩერებლად იღვრებოდა კამკამა წყალი.

მე, სიცოცხლე და სიყვარული

მე დამყოლია ბუნება მთების, —
ჩანჩქერზე შმაგის, იაზე მორცხვის,
ყოველ სადამოს ერთი დღით ვვედები
და ყოველდღიურ სიკვდილით ვცოცხლობ,
ბნელს ვეურჩები — დარდს შეუჩვევი,
მაქვს უდიდესი ნათლის სიმავე,

ისე მშვიდი ვარ და შეუმჩნევი —
შეუმჩნევლობით თუ შემნიშნავენ;
ნაღველი მასვა ტრფობის თილისმამ,
ვერც გავიდარე და ვერც ვიავდრე,
თუ შევიძულებ, მხოლოდ იმისთვის,
რომ მეშინია, არ შემეყვარდეს.

ნაბიჯივით მორაულის —
ზოგჯერ მცირე,
ზოგჯერ დიდი,
მორაულთა მოყვარული —
მთა-მთა მიდის,

ხევ-ხევ მიდის;
და ვინ მოთვლის, დღემდე რამდენს
ემსახურა მგზავრს —
გაჩენიდან სიკვდილამდე
გასაუღელი გზა.

ნატურპორტი

დღე მოწყალეების რომ დაღამდა, დმერთმა უკლებლივ
რომ დაარიგა — თუ რამ ჰქონდა, თუ ფლობდა რამეს,
შემორჩენილი ვარსკვლავები — ხურდა ფულები —
ჩაუჩხრიალა შავი კაბის კალთაში ღამეს.

დოდო გვიშიანი

ღამე ჯადოსნური ზღაპრიდან

გალურსული კედლებერა
კუდით ხეზე ეხვია,
ბუხრის მილში მიძვრებოდა
კნაჭა ტარიგრეხია;
კუდიანი დედაბერი
ცოცხით დაგელოზბდა,
ხეზე ჩიტი ფაჩუნობდა,
სხვეწზე კატა კნაოდა;
ქილას, სარზე ჩამომხობილს,
მთვარე ეპარებოდა,

ტინკა — ბნელში დამალული —
ქვებს ისროდა ერდოდან;
ალი — წყლის პირს ჩამომჯდარი,
გზას გასცქერდა მალ-მალე,
დაბალ ხმაზე ღიღინებდა,
ივარცხნიდა დალღებს;
ბაღში სთვლემდა შავქლიავი
და კენწეროს არხევდა,
ღამის სული ფარფატებდა
ჩაბნელებულ ფანჯრებთან..

სალალობო

დილის ვარდის დარდი მიყვარს,
ფურისულას ფერი,
შროშანების შარი-შური,
მიხაკების მტვერი;
ზაფრანების ზაფრა მიყვარს,
ჩუმი სევდა ისლეს,
ყაყაჩოთა სიანცე და
წამწამები გიშრის;

არეული მანეული,
იფნურა და იფნა,
ზამბახი და ზიზილები —
მორთულები ცისფრად;
მწვანე კაკლის ჩერთ მიყვარს,
მწიფე ყანის სითბო,
ძირმწარების სიცხარე და...
შენი ბავის სიტკბო.

დაბადების დღე

მე გავიხადე სხეული ჩემი
და ამოვავლე გოგირდის წყალში, —
მერე გავფინე მეტეხის ხიდზე,
რათა ამევსო მზის თაკარობით.
მზე კი თაკარა იყო რადგანაც,
შუადღის ტახტზე თვლემდა ივლისი,
ჩემი სიცოცხლის ცხელი წარმოთქმა,
ჩემი გაჩენის პირველი მაცნე.
მერე წამოველ, გამოვიჩქარე,
შენთან სტუმრობა მქონდა დათქმული,
მოველ. გესტუმრე და შენს ოთახში,

რბილ სავარძელზე უდიერობით,
ანდა თუ გინდა დაუდევრობით,
მე მოვისროლე სხეული ჩემი.
შენ მიხველ მასთან, შემოხევი
მუხლებზე ნაზად და გაიტრუენე,
როგორც რო კატა — რადიატორთან.

...
სული კი ჩემი, ღიმილშემშრალი,
გაწბილებული თუ ნირწამხდარი,
იდგა კარებთან მიხაკით ხელში...

ე ე ე ე ე

მუხრან მაქავარიანს

ვიცი რაც არი, რაც იყო და რაც უნდა იყოს —
უნდა იპოვნო და ნაპოვნით გზა გაგვინათო.

ჯერ კიდევ დროა ძეზნისათვის, მიდი, ეძებე!
მიდი, ეძებე! დაღამების არ შეგეშინდეს.
არ შეგეშინდეს, მეგობარო, ჯერ ისევ ამ დღეს,
ამ დღეს, ჯერ ისევ ზეწარივით თოკზე გაკიდულს,
არ შეაშრება თეთრი ფერი ასე უბრალოდ.
ვიცი, რაც არის!..

რამდენი საუკუნეა „ოდოიას“ რომ
მღერიან სამეგრელოში.
ოდოია, ოდოია, ოდოია, ო, ო, ო,
ნათელი ყანა, მოჩიტულ ბავშვივით
ირეოდა, ნიავთან ერთად.
თქვენ შუადღესავით დაჰყურებდით
ონავარ ყანას და

ისეთი სახე გქონდათ,
რომ უთუოდ,
სტუდენტ ვაჟიშვილზე ფიქრობდით ალბათ.
იქვე თქვენს გვერდით, გადაწყვნილ რკინის
გუთანთან,
დაღლილ ხარავით თვლემდა ივნისი.

ნუთუ იმიტომ მთელი ისევ ბავშვად,
რომ ჩემი თვალები,
როგორც რო კალათა დამსხვრეულ დამანით
მუღამ სავსეა კითხვებით,

კითხვებით:
ასე რად მოხდა?
ასე რად ხდება?
ასე რად არის?

— იმ კაცმა ამ ქალს ძუკნა უწოდა!
— თქვენ ეტლში შევბმულ ცხენებივით,
გამოაჭენეთ ჩემსკენ თვალები
და კითხვა, როგორც ძველი ნალი,
შუბლზე მომადეთ.
— თქვენ მაინც რისთვის გაინტერესებთ
სხვისი ამბავი...

ერთხელ, მაისის წვიმიან სადამოს,
მე თქვენ გამანდეთ
საიდუმლოდ —
იასამნისფერი დარდი.
მერე მე ვფიქრობდი.
იმდენჯერ ვიფიქრე,
რომ ლამის მუხის ხე,
თუთის ხე მეგონა.
მერე მე ვფიქრობდი,

ვფიქრობდი, ვფიქრობდი —
რა იყო იმაში ისეთი საიდუმლო,
რაც თქვენ მე მითხარი?
ან რად აფარებდით მას
ახლად შექმნილ ბოსტონის ნაჭრისგან
შეკერილ პიჯაკს?
...
ნეტავი ესლა რამდენი წლის არის
თქვენი პატარა?..

გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ა

მე ყოველ დილით, უჭამური სიზმრების მერე,
ვფიქრობ:
რას ნიშნავს ჩემი ცხოვრება!
მერე მივდივარ ერთ წერტილთან, როგორც კარებთან.
(ეს წერტილია ბედნიერი ცხოვრება ხვალის).
საკმარისია გამოვადო მე ეს კარები —
თუმცა რა აზრი უნდა ჰქონდეს მის გამოღებას,
ჩემი სიმაღლით თუ ვერ გავალ, ვერ გავგებში,
რადგან კარები წერტილივით არის პატარა.
მერე ამ წერტილს იმ დიმილით შევხედავ, როგორც
ყელთან მობჯენილ, მომკივან ხმალს აბრაგი უმზერს,
ვით მოულოდნელ ბედის დაცინვას.
რადგან მას მაშინ მოუსწერეს, როცა
იასამნების ტოტებ ქვეშ იწვა
და ოცნებობდა ბედის ვარსკვლავზე.

ჩემი სიმაღლის ხელა ლექსებით;
დავდივარ ქვეყნად, დავებეტები.
ოღონდ ესლა ნუ დამეგესლები,
ოღონდ ესლა ნუ გათავხედდები,

ოღონდ ესლა ნუ მიხვალ ხატებთან,
ოღონდ ესლა ნუ შერყევი სიწმინდეს
და უსათუოდ დაიხატება,
გინა გათოვდეს და გამიწვიმდეს.



ოღონდაც ესლა, ოღონდაც ესლა,
 ოღონდ ესლა ნუ დამენახვები,
 და უსათუოდ აყვავდებიან
 უკუფენილნი ცით ვენახები,
 აყვავდებიან, აყვავდებიან, —

ოღონდაც ესლა, ოღონდაც ესლა,
 ოღონდაც შენ ნუ დამენახვები.
 . . .
 რა ლამაზია ციდან ხედვები,
 დაედვიარ ქვეყნად, დავეხტები...

ბაკდურ ბაკარჯიშვილი

მამა ფშაველას საფლავთან

აქ განისვენებს გმირი, რომელიც უპირველესად იყო კაცი, მერე პოეტი
 და გაჭყურებდა არწივივით თვისი სოფლიდან, — რას ვალალობდა დანარჩენი
 მიეთ-მოეთი..
 აქ იქცა მიწად გამოხრული მატლთაგან ხორცი, აქა მარხია ძვალთა მისთა
 ნაწილნი წმინდა,
 აქედან — როგორც ხელისგულზე — თბილისი მოჩანს: ისე დიდი და ისე შორი —
 ატირდე გინდა.
 ქვა დაღარული საყდარივით ცალად დამდგარა, მიწა-სიზმარი მჩატე არის,
 ვით ღინღლი გედის.
 უკვდავთა შორის განისვენებს ერთი მათგანი, რომელიც მათთან მოიყვანა
 ბილიკმა ბედის.
 და ბედნიერი იყო იგი ქუდბედიანი, არა ჰკლებია სიამენი და არც სამსალა,
 ლხენით და შხამით ავსებული ერგო ფიალა და სული არც კი მოუთქვია,
 ისე დასცალა,
 და იქნებ ახლოს, აქვე, სადღაც, სულია მისი, ფარფატებს ცაში, როგორც ფთილა
 დრუბელი რამე,

კურთხეულ იყოს ღმერთის შვილთა მზიური ჯიში,
 კურთხეულ იყოს მათი სოფლის მზიანი ღამე,
 კურთხეულ იყოს სიცოცხლე და საქმენი მათი,
 კურთხეულ იყოს საქართველოს სახელი მწველი,
 კურთხეულ იყოს ერისკაცთა სპეტაკი ხატი,
 კურთხეულ იყოს ხელი მათი,
 კურთხეულ იყოს..

ახლა აქა წევს. გზა გოლგოთის ამ ლოდთან მორჩა, —
 საფლავი მისი სულს იზიდავს ჯადო თილისმით.
 აქედან — როგორც ხელისგულზე — სამყარო მოჩანს:
 ისე დიდი და ისე შორი, როგორც თბილისი.

ვ ა ლ ი

ძნელია იყო მართლა და თანაც იყო მართალი,
 ისევე, როგორც ვალი გადაიხადო ვალით,
 როს გამომცდელად გვიყურებს და აღმართულა ქაფილით
 ზეცა: ციკლოპი ცალი და მოელვარე თვალით.

და უნდა მიწყვიც ისმინო ზედის ფორტე და პიანო—
ყოველი წამი მდილო უკანასკნელი გზნებით.
უნდა იარო, იარო და მაინც უნდა იარო
სიცრუისა და სიმართლის გადახლართული გზებით.
და თუ გადარჩა ოცნება, და თუ გადარჩა მიზანი,
თუ არ ვალატობს მოდგმა და სისხლი: გეში და ჯიში, —
შემოიძარცვე სამოსი, ზეცას დაუდექე შიშველი
და დაივიწყე სიბილწე: ჭოჭმანება და შიში.
და დაიჯერებს ფორტუნა და თუ ფორტუნა მიხვდა,
რომ შენი არის ეს დღე და იგი მონათლე შენვე, —
რალას დაგაკლებს ამაო ამოება ზრიყვითა —
კაცი იქნები პირველი და საოცრება მერვე.
დაე დაგარქვან შეშლილი, ანდა უჯარო სარდალი, —
და დღევანდელი იარა განიკურნება ხვალით.
ძნელია იყო მართლა და თანაც იყო მართალი,
ისევე, როგორც ვალი გადაიხადო ვალით.



მე, რა თქმა უნდა, ჩემს ფიალას ბოლომდე დავცლი
და, რა თქმა უნდა, არ დავიჩვილებ,
ოღონდ ნაცნობი ადგილების ბინდიან გზაზე
არ შეეპაროს მიწას სიცივე.
ოღონდ ამ ქუჩის პერსპექტივა, ლიმონისფერი,
არ აყირავდეს, ვით ნარეცხით ავსილი ვარცლი.
მე მთვრალი არ ვარ და არც ბებური
და, რა თქმა უნდა, ჩემს ფიალას ბოლომდე დავცლი.
და, რა თქმა უნდა, დაგრესილი ძარღვების ბადით
სიცოცხლეს, ვით თევზს, წერამწერალს თარფად მივართმევ.
მაგრამ, არ ვიცი, ღამით მართო დავდივარ რაღად
და ლიმონისფერ პერსპექტივის სევდას მივართვე...

ი ს ტ რ ი ა

იყო ბნელი მდუმარება —
უაზრო და მშვიდი: 1 2 3 4 5 6 7 ...
და შეიქმნა სასოებით ადამზე და ევაზე
ბევრის მთქმელი ასოები: ა ბ გ დ ე ვ ზ ...
ხო და, მერე ყველაფერი ითქვა მათით,
და ჟღერს დღესაც უძველესი ლირა:
ორშაბათი,
სამშაბათი,
ოთხშაბათი,
ხუთშაბათი,
პარასკევი,
შაბათი
და
კვირა...

წავიდა თოვლი,
მოვიდა მიწა!

მ. ჩანტლაძე

თეთრი იანვრის ფერმკრთალი სახე
გონებას შერჩა, როგორც ფოთოლი
მიტოვებულ და განძარცულ ბაღში...

სად არის ის თვე? თოვლი სად არის?..

დარჩა სულ მარტო ლანდი თბოლი —
ვრცელი სასახლის მობინადარი —
ხეს შერჩენილი ხმელი ფოთოლი:
თეთრი იანვრის ფერმკრთალი სახე
მიტოვებულ და განძარცულ ბაღში...

... ახლა მარტია,
სოფელში დათბა —
მიწას ჩიჩქიან უკვე ღორები
და
ღროთა ბრუნვის ვერაგი მახე
კვლავ საცთუნებლად დაგებულა...

ღორებს ქვებს უშენს ყიჟინით ბაღლი, —
ჩანს —
ადრიანი გაჯაფხულია...

რეკავ დენელია

ს ი ნ ა თ ლ ე

„1928 წელს ამუშავდა აბჰესი —
სინათლის სიმღერა...“

მეგრული კაცის ნათქვამიდან.

გაისრიალა მწვანე ტყეში მარტვილის
ზეცამ? —

ჰაერს გააპობს მწიფე სინათლე!..

გაიჩხრიალა აბაშის ტალღამ?

მაგთულებზე აყვავდება მერცხლების

მკერდი!

* * * * *

ა, აქლრილდა მეგრის სახლში სინათლის
შხეფი

აწ და მარადის.

და... ვერცხლისფერ მინას,

მრგვალს და არცა მრგვალს,

უვლიან თეთრი პეპლები ფერხულს.

გაისრიალა, სინათლის ტყეში

გაისრიალა მარტვილის ზეცამ!

ღრუბლის ნაფლეთებს უყეფს მურია, —
უკანასკნელად ცა იმურება.

და ეთხოვება თოვლი თებერვალს,
ვით ძველ სიყვარულს — თებრო-თებრონე.

გულმკერდს უკოცნის ცას ცისარტყელა, —
ჩუმი სიმღერა თაფლისფერ წყლების.

ვზისპირი იით იქარგება...

ვზისპირი, იით მოქარგული, —
ცა უნათლესი სამეგრელოსი.

მზისუარი მინდორი

მზისფერ მინდვრიდან
ალუბლის ტყეში
მიილანდება შენი სინათლე,
მიილანდება ნათლისვეტივით.

მზისფერ მინდვრიდან
ალუბლის ტყისკენ
მივილანდები სიყვარულის
კრიალა ზეცით!

მ ა რ თ ი

(სურათი)

თოვლისფერი ცაი ტირის,
ჩიტისფერი ცაი ტირის,
ცას მიფრინავს ლურჯი ჩიტი,
ჩიტი, ჩიტისფერი ჩიტი,
ია მიწას გულს უქარგავს,
ია, იისფერი ია,
მზემ, მზემ ცაი გადაკაწრა,
მზეა, უნათლესი მზეა!

მარცვალ ყანას მიენთება,
ჩიტი, ჩიტისფერი ჩიტი
ჰკრავს კამარას ფრთებით ცაში,
მოწითალო რქებით შვინდა,
სისხლისფერი რქებით შვინდა
ა, მიფრინავს სამჭედლოში...

თოვლისფერი ცაი ტირის,
სინარულით ცაი ტირის,
ცაი ტირის — ლურჯი ჩიტი,
ჩიტი, ჩიტისფერი ჩიტი!

ცრემლის ხანძარი

მკერდზე დაგვიდებ
აპრილის მზისგან ნაქსოვ ავგაროზს,
თვალს გავაპარებ მწიფე ყანისკენ,
ავგაროზში ჩავისვამ
აპრილის ცეცხლისფერ დილას,
რომელიც ერთგულია ჩემი!

... ერთ დღეს,
შენს წითელზე წითელ დაწებებზე,
მჯერა,
სინარულის ვერცხლისფერი
ცრემლები ჩამოგორდება,
ჩამოგორდება,
დაგისველდება ყირმიზა ყელი,
გულმკერდი,
მთელი ტანი,
მოგედება ცრემლის ხანძარი.

ყელზე დაგვიდებ
აპრილის მზისგან ნაქსოვ ავგაროზს
და დავიწვები შენი ცრემლის მზისფერ
ხანძარზე!



მე მომაქვს ჩემი მზე და სინათლე,
შენ მოგაქვს შენი მზე და სინათლე,
თეთრი აქვს ტანი ჩემს ეკლესიას,
თეთრი აქვს ტანი შენს ეკლესიას,
თეთრი აქვს ტანი ამ ცას —
უმაღლესს,
ყოვლზე უმაღლესს, ყოვლზე უნათლესს!

მე მომაქვს ჩემი მზე და სინათლე!





მისი ბრალი არაა, მალე გეარსაც დაგვამახსოვრებდა და თავსაც, განვებას რომ ეცლია.

წინა დღით (თურმე უკანასკნელადაც!) „ცისკრის“ რედაქციაში იყო, ადრე დატოვებულ მოთხრობებს მოაკითხა. ერთის ბედი აინტერესებდა განსაკუთრებით. იმ მოთხრობის მთავარი გმირი მთვრალი კაცების უთავბოლო ხუშტურს ეწვირება — ავტომობილის მსხვერპლი ხდება.

ეს მოთხრობა წინათგრძნობამ თუ დააწერინა — რამდენიმე დღეში ახალგაზრდა მწერალიც, საკუთარი გმირის მსგავსად, აბსურდული სიკვდილით იღუპება — მანქანა შეიწირავს!..

ჯემალ თოფურიძემ ქართული ლიტერატურის თაროზე ათიოდე მოთხრობის შემოღება მოასწრო. მეტი არ დასცალდა...

„ცისკრის“ რედაქცია მკითხველებს უდროოდ დაღუპული ნიჭიერი მწერლის უკანასკნელ მოთხრობებს სთავაზობს.

მოთხრობების წაკითხვის შემდეგ დავერწმუნებით, რა უღვთო იყო ამ ნიჭიერი კაცის უდროოდ დაღუპვა...

შმაწვინილი კაცი, სურათიდან რომ შემოგეცქერის, მწერალი ჯემალ თოფურიძეა.

ხამწუხარო შემთხვევაა: მკითხველთა ერთი ნაწილი მწერალს ნეკროლოგიით ეცნობა!

ჯემალ თოფურიძე

მთხრობები

„დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“

სახლში გვიან დაბრუნდა. მთვრალი იყო. გამხდარი სახე თეთრი ჰქონდა, დედის საწოლთან დაიხარა და აკოცა.

— ხომ იცი ხვალ როგორ იქნები, — უთხრა ქალმა.

თავის ოთახში შევიდა, გაიხადა და დაწვა. დასცხა საბნის ქვეშ. გადაიძრო. ქუჩიდან შემოსულმა სინათლემ შეაწუხა. ზურგი შეაქცია. მალე ჩაეძინა.

ღრმად სუნთქავდა. დედა ადგა და თეთრ სახეს დახედა. პულსი გაუსინჯა. ოდნავ შეაღო ფანჯარა. საბანი გადააფარა ზურგზე.



დილით ვიდვიძებ. თავი მტკივა. პირი მიშრება. რამდენიმე წუთში გული აჩ-

ქარდება. ამასაც შეეყრევით. მაგრამ შერე დაიწყება ის, რის სახელსაც დაახლოებით ვხვდები...

ფანჯარა ალბათ დედამ გააღო. მცოვა, მაგრამ ღია ფანჯარასთან ვერ მივალ, მეშინია. მარინას ამაზე ეცინებოდა. ვერაფერს ვერ ვხედავ სასაცილოს.

სათამაშო ლომს ვუყურებ. წელიწადია ერთ კუთხეში დევს. თავი ოდნავ მოღრეცილი აქვს. დაბლა აქვს დახრილი. მოწყენილია.

ბიჭი ერთი წელია აქ აღარ ცხოვრობს.

„ბიჭის ლოგინი ცარიელია“.

ჩემი საწოლი ფართეა და ის მხარე, სადაც მარინა უნდა იწვეს, მარტოა. ახლა მთლიანად ლოგინი და მისი ის ნაწილიც, რომელიც ჩემი სხეულითაა დაკავებული, შუაზე გაჭრილი ადამიანი მგონია. თავიდან ფეხებამდე შუაზე გაჭრილი.

ყველაფერი მამაჩემიდან დაიწყო. არა, იმ კაციდან, მეფისტოფელს რომ მიუგავდა სახე და ბაბუაჩემს რომ ეძახდნენ. რატოა ამ ხალხში ისეთი აზრი, თითქოს ბაბუები და ბებიები გადასარეგები იყვნენ.

„თემურ“, — მეძახის ვიღაც. ვიცი, რომ არაინაა. ყოველი დაღვეის შემდეგ მეძახიან. რადგან ვიცი, რომ მეჩვენება, ესე იგი ვიყი არა ვარ. დედას ვუბნები, რომ ფანჯარა დაეკეტოს. ვდგები და ვიხედები ქუჩაში. უზრდელობაა, როცა მეძახიან და არ იხედები, თუნდაც ცარიელი ხმა იყოს ის.

დედა ამბობს, რომ კოტიკას ლალიმ დამირეკა გუშინ და რომ ძალიან ცუდად არის კოტიკა. მე მხოლოდ გუშინ არ ვყოფილვარ მასთან. ეტყობა, ძალიან უნდა ლალის, ვნახო როგორ მოკვდება კოტიკა.

— თავი დამანებე! — ვყვირი მე.

— არა, ნამდვილად გიყი ხარ.

— თქვენ გამაგიჟეთ, სუყველამ! — უფრო ვყვირივარ.

დედა ოთახიდან გადის. მთელი სხეულით ვკანკალებ. საწოლზე ვჯდები. ვუხეხვს ვერ ვაჩერებ, ისე დახტიან იატაკზე. ორივე ხელს მაგრად ვაჭერ

მუხლისთავებს. ჩერდებიან. ვიცვამ და სამზარეულოში გულის წვეთებს, ვიყვირებ უკან ისე ვბრუნდები, დედას არ ვუყურებ.

„თემურ“, — მეძახის ვიღაც. ვიხედები, არაინაა.

ახლა შენ უნდა გახვიდე სახლიდან, აქ უარესად გახდები, საშინელებაა აქ. დედა სედუქსენს მაძღვეს და მეუბნება, რომ ორი დღით მივლინებაში მიდის.

— ძალიან გიყვირე?

— შენ ნუ მოიკლავ თავს, თორემ მე არაფერი მიჭირს.

— რამდენი დარჩა კოტიკას.

— ღმერთმა იცის.

— ალბათ ერთი კვირა.

ფანჯარას ვუყურებ და ვფიქრობ, ქუჩაში არ დავეცი. დედას ჩემი ნაფიქრალი ესმის:

— ნუ გეშინია, არ დაეცემი.

— არა?

— არა, ახლა კარგად ხარ.

ორჯერ დავეცი. მივდიოდი ქუჩაში და ჩემს თავს ვუბნებოდი — ახლა დაეცემი, ახლა დაეცემი. უცებ ყველაფერი გათეთრდა და დავეცი. დედა ფარდებს ბოლომდე სწევს.

— შენ გააღე არა ფანჯარა?

— ხო, ჰაერისთვის.

სულ მგონია, გადავხტები. თავის მოკვლა არ მინდა და ღია ფანჯარას ვერ ვეკარები. რაღაც ძალია გადამაგდებს. შეიძლება სულაც იმ ბებერმა გადამაგდოს, მეფისტოფელის სახე რომ ჰქონდა. მკვდარია, მაგრამ მაინც, მკვდრები სულ თან მდევენ.



მოსუცმა ხუთი წლის ბიჭი ხელში აიყვანა. ახალგაზრდა ქალი კედელს აეკრა. მოსუცმა შეხედა ქალს, ქალი შვილს უყურებდა. ბავშვი ხვდებოდა, რომ დედას რაღაცის ძალიან ეშინოდა. ბიჭი ტიროდა. მოსუცი გველივით იყო მიმტერებული ქალს. ქალი უფრო ეკვ-

ჯივალ თოფურჩიკა
მოთხრობები

მშენებლობაზე მის-მოადგილეს-ვი-
ლაც რეციდივისტი მიეღო. თემური
დაკითხეს. მერე გამოუშვეს, ოღონდ გა-
ანთავისუფლეს საშუაოდან.

— უნდა მცოდნოდა, — თქვა კაცმა.

— რა? — ჰკითხა ბიჭმა და მამის
მუხლზე აჭრა.

— ყველაფერი.

დაწვა კაცი. კედლისკენ გადატრიალ-
და და ერთი კვირა ხმა არ ამოიღო.
შპალერს წიწქნიდა ზოგჯერ. ერთი კვი-
რის შემდეგ წამოდგა. ცოტა ქამა. ხმას
მანც არ იღებდა.

დრო გადიოდა. კაცი კი ხმას არ ილ-
ებდა.

ექიმი მოიყვანეს სახლში. ექიმიც კა-
ცი იყო; ქალარა. ძალიან სუფთა ჰქონ-
და ხელები. ლურჯი ვენები გამოკვე-
თილიყვნენ ხელებზე. ისინი მარტო და-
ტოვეს ოთახში. დიდხანს ელაპარაკებო-
და ექიმი. მერე წამლები გამოწვრა და
წავიდა.

— მარტო ნუ დატოვებთ, — უთხრა
ქალს წასვლის წინ.

— ეშველება რამე? — ჰკითხა ქალმა.

— ეშველება. — თქვა ექიმმა ათას-
ჯერ ნათქვამი მხოლოდ იმიტომ, რომ
ქალი დაემშვიდებინა. ოღონდ თვითონ
ვეღარ ამჩნევდა იმას, რომ თავის „ეშ-
ველებას“ ისე ამბობდა ბოლო დროს,
როგორც იბახიან: „გამარჯობა“, „იმი-
ტომ“, „ისე“, „მშვიდობით“.

— ვითომ? — ჰკითხა მოხუცმა კაცმა.

— ბავშვი? — ახლა ექიმმა იკითხა,
ოთახში შემობაჯბაჯებული პატარა ბი-
ჭი რომ დაინახა.

— ბავშვი თქვენია?

— დიახ, ბატონო. — თქვა ქალმა.

ცოტა ხანს უყურა ბავშვს...

— კარგი ბიჭია, — ამასაც ნუ დატო-
ვებთ მარტო. მშვიდობით.

ერთი წელი სიჩუმე იყო სახლში. პა-
ტარა ბიჭი თუ დაარღვევდა ამ სიჩუმეს
და იმასაც ხელს აფარებდნენ პირზე.
სტუმრებით სავსე, განათებულ სახლში
ახლა მხოლოდ ექიმი დადიოდა. ისიც
გვიან, რომ დაბნულდებოდა, მერე. მო-
ვიდოდა მარტო და ნელა დაეშვებოდა

სკამზე ისე, როგორც პანაშვილზე დაგ-
ვიანებული, მაგრამ მანც მუხურობდა
ოჯახის ახლობელი ადამიანი.

ერთი წლის შემდეგ კაცი უკეთ ვახ-
და. ლაპარაკი დაიწყო. ქალს იმედი მი-
ეცა. კაცი კარგად იყო. ბიჭი ხმაშალა
იცინოდა. მხოლოდ მოხუცი იყო მო-
ლუშული და ბრაზდებოდა მის სიცილ-
ზე. ასე ვაგრძელდა რვა თვე.

ღამე იყო. ყველას ეძინა. ქალს ესიზ-
მრებოდა, რომ ზღვაში იხრჩობოდა.
ქალმა იცოდა ცურვა, მაგრამ დაღლილი
იყო და ნაპირს ვერ ზედავდა. ნაპირზე
შვილი ელოდა და არ იცოდა, რომ დე-
და ეხრჩობოდა. ქალი ყვიროდა. ყვირი-
ლი არავის ესმოდა. ქალს მლაშე წყა-
ლი ჩასდიოდა პირში, ხახაში. ის იძი-
რებოდა ზღვაში. ძალას იკრებდა, ხტე-
ბოდა წყლიდან და ყველაფერი მეორ-
ედებოდა.

თვალეები გაახილა. სიბნელეში ქმრის
შეშლილი სახე დაინახა, თავზე წამოს-
დგომოდა. ისევ სიხმარში ეგონა თავი,
სულ ერთ წამს ეგონა, იმიტომ რომ
ქმრის ხელები მაგრად უჭერდნენ ყელ-
ზე. იკვილა, ძლივს მოიშორა. ზავშემა
ტირლი დაიწყო, ბებერი წამოდგა. კა-
ცი ხმაშალა იცინოდა.

დღეა ატირებულ ბავშვს იკრავდა და
ვევდრებოდა ქმარს: თემურ, ჩვენ
ვართ შენი ტირიმი, მე და შენი ბიჭი.
ბებერი სასწრაფოში რეკავდა. კაცი ახ-
ლა ჩუმად იცინოდა. მერე ზეწარი შიშ-
ველ ტანზე შემოიხვია, ლოგინზე დად-
გა და თვალების აქეთ-იქით ცეცებით
სწრაფად და ნერვიულად დაიწყო:

„დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქა-
ლაქია. ერთ დროს სიცოცხლე იყო დი-
ოსკურიაზე და ზღვა სულ არ იყო იქ.
მერე ზღვა მივიდა და დიოსკურია კუნ-
ძულად გადაიქცა. ზღვა რომ აღელდე-
ბოდა, მისი ტალღები თეთრი ქვით ნაშენ
სახლებს ანგრევდა, მერე წყნარდებოდა
და ისევ უკან ახევდა. ხალხი თავიდან
აშენებდა დანგრეულ სახლებს და ოჯა-

გამალ თოფშია
მოთხრობები



მშენებლობაზე მის მოადგილეს—ვი-
დაც რეციდივისტი მიეღო. თემური
დაკითხეს. მერე გამოუშვეს, ოღონდ გა-
ანთავისუფლეს სამუშაოდან.

— უნდა მცოდნოდა, — თქვა კაცმა.

— რა? — ჰკითხა ბიჭმა და მამის
მუხლზე აქვრა.

— ყველაფერი.

დაწვა კაცი. კედლისკენ გადატრიალ-
და და ერთი კვირა ხმა არ ამოიღო.
შპალერს წიწკნიდა ზოგჯერ. ერთი კვი-
რის შემდეგ წამოდგა. ცოტა ჭამა. ხმას
მაინც არ იღებდა.

დრო გადიოდა. კაცი კი ხმას არ ილ-
ებდა.

ექიმი მოიყვანეს სახლში. ექიმიც კა-
ცი იყო; ჭადარა. ძალიან სუფთა ჰქონ-
და ხელები. ლურჯი ვენები გამოკვე-
თილიყვნენ ხელებზე. ისინი მარტო და-
ტოვეს ოთახში. დიდხანს ელაპარაკებო-
და ექიმი. მერე წამოღებოდა გამოწვრა და
წავიდა.

— მარტო ნუ დატოვებთ, — უთხრა
ქალს წასვლის წინ.

— ეშველება რაზე? — ჰკითხა ქალმა.

— ეშველება. — თქვა ექიმმა ათას-
ჯერ ნათქვამი მხოლოდ იმიტომ, რომ
ქალი დაემშვიდებინა. ოღონდ თვითონ
ველარ ამჩნევდა იმას, რომ თავის „ეშ-
ველებას“ ისე ამბობდა ბოლო დროს,
როგორც იძახიან: „გამარჯობა“, „იმი-
ტომ“, „ისე“, „ამშვიდობით“.

— ვითომ? — ჰკითხა მოხუცმა კაცმა.

— ბავშვი? — ახლა ექიმმა იკითხა,
ოთახში შემობაჯბაჯებული პატარა ბი-
ჭი რომ დაინახა.

— ბავშვი თქვენია?

— დიახ, ბატონო. — თქვა ქალმა.

ცოტა ხანს უყურა ბავშვს...

— კარგი ბიჭია, — ამასაც ნუ დატო-
ვებთ მარტო. მშვიდობით.

ერთი წელი სიჩუმე იყო სახლში. პა-
ტარა ბიჭი თუ დაარღვევდა ამ სიჩუმეს
და იმასაც ხელს აფარებდნენ პირზე.
სტუმრებით სავსე, განათებულ სახლში
ახლა მხოლოდ ექიმი დადიოდა. ისიც
გვიან, რომ დაბნეულდებოდა, მერე. მო-
ვიდოდა მარტო და ნელა დაეშვებოდა

სკამზე ისე, როგორც პანაშვილზე და-
ვიანებული, მაგრამ მაინც მოსულთანავე
ოჯახის ახლობელი ადამიანი.

ერთი წლის შემდეგ კაცი უკეთ გახ-
და. ლაპარაკი დაიწყო. ქალს იმედი მი-
ეცა. კაცი კარგად იყო. ბიჭი ხანამალა
იცინოდა. მხოლოდ მოხუცი იყო მო-
ღუშული და ბრზღებოდა მის სიცოლ-
ზე. ასე გაგრძელდა რვა თვე.

ღამე იყო. ყველას ეძინა. ქალს ესიზ-
მრებოდა, რომ ზღვაში ეხრჩობოდა.
ქალმა იცოდა ცურვა, მაგრამ დაღლილი
იყო და ნაპირს ვერ ზედავდა. ნაპირზე
შვილი ელოდა და არ იცოდა, რომ დე-
და ეხრჩობოდა. ქალი ყვიროდა. ყვირი-
ლი არავის ესმოდა. ქალს მლაშე წყა-
ლი ჩასდიოდა პირში, ხახაში. ის იძი-
რებოდა ზღვაში. ძალას იკრებდა, ხტე-
ბოდა წყლიდან და ყველაფერი მეორ-
დებოდა.

თვალეები გაახილა. სიბნელეში ქმრის
შეშლილი სახე დაინახა, თავზე წამოს-
დგომოდა. ისევ სიზმარში ეგონა თავი,
სულ ერთ წამს ეგონა, იმიტომ რომ
ქმრის ხელები მაგრად უჭერდნენ ყელ-
ზე. იკვილა, ძლივს მოიშორა. „ბავშვმა
ტირილი დაიწყო, ბებერი წამოდგა. კა-
ცი ხანამალა იცინოდა.“

ღედა ატირებულ ბავშვს იკრავდა და
ვევდრებოდა ქმარს: თემურ, ჩვენ
ვართ შენი ჳირიზე, მე და შენი ბიჭი.
ბებერი სასწრაფოში რეკავდა. კაცი ახ-
ლა ჩუმად იცინოდა. მერე ზეწარი შიშ-
ველ ტანზე შემოიხვია, ლოგინზე დად-
გა და თვალების აქეთ-იქით ცეცებით
სწრაფად და ნერვიულად დაიწყო:

„დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქა-
ლაქია. ერთ დროს სიცოცხლე იყო დი-
ოსკურიაზე და ზღვა სულ არ იყო იქ.
მერე ზღვა მივიდა და დიოსკურია კენ-
ძულად გადაიქცა. ზღვა რომ აღელდე-
ბოდა, მისი ტალღები თეთრი ქვით ნაშენ
სახლებს ანგრევდა, მერე წყნარდებოდა
და ისევ უკან ახევდა. ხალხი თავიდან
აშენებდა დანგრეულ სახლებს და ოჯა-

გამალ თოფთაიძე
მოთხრობები



ხებს. შემდეგ ისევ მოვარდებოდა ზღვა და თავიდან იწყებოდა ყველაფერი. ერთხელაც, სულ მოშორდა ზღვა დიოსკურიას, ზღვა აღარაფერს ერჩოდა, მაგრამ ახლა ადამიანები დაერივნენ ერთმანეთს: ხოცავდნენ, ჟღერდნენ, აუბატიურებდნენ, კლავდნენ. ადამიანები თავიანთ საკუთარ ოჯახებსაც ანგრევდნენ და სობოდნენ ფიზიკურად და მორალურად, შეგნებულად და შეუგნებულად, ნებით და უნებლიეთ“. გესმის შენ! — უყვირა ცოლს. ქალი მაგრად იხუტებდა ბავშვს და კანკალებდა. ზეწარმოსხმულ კაცს დუქი გადმოსდიოდა პირიდან.

— გესმის?! ოჯახებს კლავდნენ განზრახ, ნებით და უნებლიეთ. საშინელება ტრიალებდა დიოსკურიაში. გაბრაზდა დიდი ზღვა. ისევ მოვარდა ქალაქში და მთლიანად ჩაძირა ის.

კაცი პირი მკლავით მოიწმინდა.

— ახლა მისმინე, — ვანავროძო მერე, — არავენ იცის პირველად რატომ მივიდა ქალაქთან ზღვა, რატომ ანგრევდა, რატომ მოშორდა და ბოლოს, რატომ ჩაძირა სულ. მე ვიცი მხოლოდ და შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ვუმხელ. ზღვამ გააჩინა დიოსკურია და მისცა ადამიანებს სიცოცხლე და სიკეთე. მერე მივიდა და გამოსცადა მათი სიკეთე. დიდხანს სცდიდა ზღვა, ამიტომ რომ იცოდა, სიკეთეს ყველაზე მეტ ხანს სჭირდებოდა გამოცდა. წავიდა მერე და რომ გაიგო ხალხის ცოდვები, უკან დაბრუნდა და ჩაძირა მთლიანად თეთრი ქალაქი. ზღვა ყოვლისშემძლეა...

კაცი ცოტა ხანს გაშეშებული იდგა, მერე უფრო შეშინებულმა თქვა: „ახლა ყველამ ჩაიცვით ანაფორები და გრძელი პალტოები. ძალიან გეხვეწებით... ძალიან, ძალიან...“

დრო გადიოდა. კაცი ხან ცუდად იყო, ხან კარგად.

„თქვენ უნდა წახვიდეთ აქედან, თქვენ არავენ არ ვაგამტყუნებთ, ბავშვი ცოლია“, — ეუბნებოდა ჭადარა, სუფთახელებიანი ექიმი ქალს. უნდა გასცლოდა იქაურობას. ჯერ ქმარი ეცო-

დებოდა. იმ ფანჯრის მერე კი დაფრთხილებულა დაბეჩავდა. „მომიკლავს ბავშვს“. უნდა რომბა მამამთილზე; „გადამიგდებს, მომიკლავს“.



წამალს ჯერ არ უმოქმედია. ზეწარს ლოგინზე ვაგდებ. პირს ვიმშრალებ. უნდა ჩქარა გავიდე სახლიდან.

თეთრი ხის კარადაზე, რომელიც ჩემს ოთახშია, რამდენიმე გვირგვინია ამოკვეთილი. ეს ხეზე ამოჭრილი ყვავილების გვირგვინები ძალიან ლამაზია და ძალიან გვანან იმათ, პანაშვიდებზე რომ მოჭქონდათ ადრე. ლენტები აკლია, შავი და თეთრი ლენტები წარწერებით: „დავტირით უდროოდ დაღუპულ თემურს“.

დედას ვეუბნები, რომ ცუდი ამინდებია და მატარებლით დაბრუნდეს. მე რომ გავალ, ის ფანჯრიდან გადმოხედავს.

— დაკეტე, — ვეძახი მე. ის კეტავს ფანჯარას და მიღიმის.

„დავტირით უდროოდ დაღუპულ...“

ქვევითკენ მივყვები ჩვენს ვიწრო ქუჩას. ჩემს პირდაპირ, ზედ ცხვირწინ თოკი ეშვება. მე გვერდით ვხტები. მემაწვინე ქალს ვეჯახები.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — მეკითხება შავებში ჩაცმული ქალი.

— არაფერი, არაფერი.

ნაცრისფერ ჩანთაში ორ ქილა მაწონს დებს და თოკს აბამს ჩანთაზე, თოკი მალლა ადის, ჩანთა ააქვს, „დავტირით უდროოდ...“

ათი წლის ვიყავი. თოვდა სოხუმში, იშვიათად თუ მოთოვს სოხუმში. იმ დღეს თოვდა. დახვეული რკინის კიბეები ავირბინე. მამა კარგად იყო მაშინ.

მამას ღამე მეთევზეებთან უნდა წავეყვანე. იქ უნდა გავვეთია ღამე და გათენებისას, გათენებისას კი არა, უფრო ადრეც, კატარღით ზღვაში გავიდოდი. იმ დღეს მე ძალიან ბედნიერი ვიყავი, იმ დღეს, როდესაც თოვდა სოხუმში და ჩვენი სახლის დახვეულ რკინის კი-

ბეზე ავრბოდი. კაცი, რომელსაც ბაბუ-
აჩემი ერქვა, სახლში არ იყო. რომ ყო-
ფილიყო, აუცილებლად წინა ოთახში
იჯდებოდა, გაზეთით ან წიგნით ხელში,
წიგნიდან ამომხედავდა გაბრაზებული,
ხმას არ გამცემდა...

— დედა, — დავიძახე და შუა ოთახ-
ში შევედი. არც ის იყო, დათვლილი
პალტო სწრაფად გავიხადე და საძინე-
ბელი ოთახისაკენ წავედი. ძალიან მინ-
დოდა უკვე დამეწყო ღამისთვის სამ-
ზადისი. კარი შევალე. მაღალჭერიანი
ოთახის შუაგულში თოკზე მამა ეკიდა.
მის ფეხებს ქვევით წაქცეული სკამი
ეგდო, რალაც ვიყვირე, გავიქეცი და
მამას ავახტი. თოკი მაგრად დაიჩხა. მა-
მის თავს ზევით ორივე ხელი მაგრად
ჩავავლე თოკს და ქვევით ჩამოვქაჩე,
რომ ჩამომეგლიჯა. თოკი რკინის კა-
უჭზე იყო შეკრული, რკინა ძლიერად
ჩაჭედებულიყო კერში, კიდევ ვცადე
ჩამოგლეჯვა, თოკი ძლიერად ირხეოდა
აქეთ-იქით ოთახში. მხოლოდ მაშინ
დავხედე მამის სახეს. მისი მკვდარი,
ღია თვალები უნებებიდან გაღმობერი-
ლიყვნენ, ისე, როგორც ბავშვობაში
ჩვენი სულით დაბერილი და კოჭიდან
გაღმოსული, ჯერ გაღმოსული და არა
ვაფრენილი საპნის ბუშტები. დაგვიანე-
ბული იყო ყველაფერი. მე თოკს ხელე-
ზი ვავუშვი და მაგრად ჩავეხუტე მამას,
ისე როგორც თვითონ მიხუტებდა
ხოლმე. მამას თეთრი პერანგი ეცვა.
მახსოვს, თოკი ირხეოდა მამასთან და
ჩემთან ერთად, მთელი სხეულით ვეკვ-
როდი მის გახევებულ ტანს. თოკი კი
ირხეოდა, არ ჩერდებოდა. ის გვაქანა-
ვებდა მაღალჭერიან საძინებელში, უხა-
როდა, თოკი ცხოვრება იყო თით-
ქოს და დაგვიცინოდა თავისი სიძლიე-
რით. ვის გიფრენიათ მამასთან ერთად
ასეთ ღამაზე საქანელაზე?!

„მოვისვენე“, — ეს სიტყვა იყო, რაც
პირველად გავიგონე იმ კაცისაგან, რო-
მელსაც ბაბუაჩემი ერქვა. „მოვისვენე“;

თქვა მაშინ, როდესაც შემოვივლია, ოთახ-
ში და ზეწარგადაფარებული მამაჩემი
დაინახა. სანამ ოთახში შემოვივლიოდა,
მანამდე იცოდა, რომ მისმა შვილმა
თავი მოიკლა, რას ფიქრობდა გზაზე, ან
რას ამბობდა, როდესაც სახლში მოპ-
ყვებოდნენ ვიღაცეები, არ ვიცი. მაგ-
რამ მისგან პირველად რაც გავიგონე,
ეს იყო „მოვისვენე“.

პანაშვილებზე მოჰქონდათ გვირგვი-
ნები, ლურსმნებს აჭედებდნენ კედ-
ლებში და გვირგვინებს მათზე მამაჩე-
მივით კიდებდნენ. უმეტესობაზე ეწე-
რა „დავტირით უდროოდ დაღუპულ
თემურს“.

ახლა მე ჩავივლი ამ ქუჩას და აღა-
რაფერზე არ ვიფიქრებ, უნდა ჩავიარო
და არ ვიფიქრო. სამსახურში ბიჭებს
ვნახავ და აღარ ვიფიქრებ.

ქვევიდან ნელა ამოდის შუახნის ქა-
ლი, რომელსაც გახუნებული პალტო
აცვია და ბაზრის ჩანთა უჭირავს ხელ-
ში. სახეზე ეტყობა, რომ ჩანთა მიიმეა,
უკვე მოუსწრაა ბაზრიდან დაბრუნე-
ბა, ანდა შეიძლება ნათესავთან ეძინა
ღამე, რომელსაც სტუმრები ჰყავდა და
დარჩენილი საჭმელი გამოატანა. იქ იქ-
ნებოდა იმიტომ, რომ ასეთ გაცვეთილ-
პალტოიანი ქალი ამდენს ვერაფერს
იყიდა ბაზარში და სწორედ ფეხით
ამოვიდოდა ამ დაკიდებულ ქუჩაზე.
თანაც ასეთ ქალს ნაღდად მდიდარი
და სტუმრიანი ნათესავები ეყოლება,
რომლებიც სუფრის ალაგებაში და
ჭურჭლის დარეცხვაში ჩანთას გაუვსებ-
დნენ ნარჩენი საჭმელებით.

ალბათ ქმარიც არა ჰყავს ამ ქალს,
ჰყავდა და მოუყვდა, ან გაშორდა, ან
არც არასოდეს ჰყოლია, ძალიან საცო-
დავები არიან ასეთი შუახნის, უქმ-
როდ დარჩენილი, გახუნებულპალტო-
იანი, გაწვალებული და დაღლილი ქა-

ჯამალ თოფშოშია
მომხრობავი



ლები. დედაჩემოვით მეცოდებიან ისინი.

— თემურ, — კიდევ მეძახის, ვიხედები...

„მარინა ერთი წელია წასულია...“

„ ბიჭის ლოვინი ცარიელია...“

„სათამაშო ლომი მოწყენილია...“

„კოტიკა მალე მოკვდება...“ ქალი მიახლოვდება, ჩვენ ვუახლოვდებით ერთმანეთს. მე რომ წაქცევის არ მეშინოდეს, მოგვიდებდი ამ ჩანთას ხელს და ავუტანდი აღმართზე. არ შემძლია, არა, არ შემძლია...

— ქალბატონო, მომეცით ეგ ჩანთა. ქალი უნდობლად მიყურებს და ჩანთას უკან სწევს.

— ავატანინებთ, ქალბატონო.

— რას?

— ჩანთას.

— ამატანინებთ?

— დიახ.

— მაღლობთ, შვილო, თვითონ ავიტან, — რწმუნდება იმაში, რომ წართმევა არ მინდა.

— მომეცით.

ღრმად სუნთქავს ქალი, დგას და ისვენებს. მე ხელიდან ვართმევ ჩანთას და ვუყურებ. — წავიდეთ, — მეუბნება ცოტა ხანში. ორივენი ნელა მივდივართ აღმართზე. ისე მძიმეა ჩანთა, მიკვირს როგორ მოჰქონდა, თუმცა მე ვარ სუსტად და ალბათ იმიტომ მეჩვენება. არაფერიც არ მეჩვენება. ნათესავეები ეყოლება კეთილი, ო, რა კეთილები ხართ ეს ნათესავეები...

ვიღლები და მეც ქალი მგონია თავი, ასევე შუახნის, დალილი და ვაწვალეზული...

ვალწევთ აღმართის დასასრულს.

— წადი, შვილო, ახლა. დიდი მადლობა.

— მშვიდობით.

— შენი თავი დიდხანს უცოცხლოს დედაშენს.

მე მივდივარ. „შენი თავი დიდხანს უცოცხლოს... დიდხანს უცოცხლოს“, — მომყვებიან მისი სიტყვები. გმადლობთ, ქალბატონო.

აეროფლოტის სალაროსთან უამრავი ხალხია.

— დაიშალეთ, — ყვირიან მილიციელები.

— რა მოხდა? — კითხულობენ ახალი მისულები. მეც მათ ვუერთდები.

— აი აქ, აი აქ. ამ ადგილას დაეწია, ავტობუსის კარებს აღებდა, შესწრება უნდოდა, შოფერმა არ გაუღო, — ტირის ახალგაზრდა ლამაზი ქალი.

— დაიშალეთ, დაიშალეთ.

— კაი დროს იცით თქვენ მოსვლა, — ეუბნება კაცი ჩვენი უსაფრთხოების დამცველებს.

— დაგვესიზმრებოდა? — ყვირიან ისინი.

— ალბათ ერთი ათი წუთი დასდევდა, — ამბობს ჩემხელა ბიჭი.

— მერე ვერ დაიჭირეთ?

— ჩვენხელა დანას გვიქნევდა, რომ გამოვეკიდებოდით...

— რომ მოკლა, მერეც დავდევდით.

— რა მოხდა, რა, — კითხულობს ფერდაკარგული ქალი.

— ბიჭმა ბიჭი მოკლა დანით.

— სულ აჩება.

— ავტობუსის კარები რომ ვერ გააღო, მაშინ დაეწია.

— ზურგში ურტყა.

— რომ დაეწია, ზევიდან დაახტა ზურგზე და კიდევ ურტყა.

— რატო დედა, რატო მერე...

— რას აკეთებ აქ?

მე ვფხიზლდები. ისევ აეროფლოტის სალაროებთან ვდგავარ, ჩემს წინ დაბალი მილიციელია.

— მე?

— არა, მე.

— არაფერს.

— აბა რა გინდა, აქ რო დგახარ.

— მე?

— შაყირის გუნებაზე თუ ხარ, ჩაგიყვან განყოფილებაში და იქ ვიშაყიროთ.

— არა, სულ არა ვარ.

— გაიარე, სანამ დროა.

მივდივარ. ალბათ სამსახურში მიდიოდა ან ინსტიტუტში გოგოსთან... დე-

დასთან... პური მიჰქონდა სახლში, რა მნიშვნელობა აქვს, ზურგში ურტყა, როგორ სტკიოდა ალბათ, როგორ არ უნდოდა. ავტობუსის შოფერმა კარი არ გაუღო. რომ გაეღო... ზურგზე აჯდა და ურტყამდა დანას...

— ცუდად ხარ, შვილო? — მეკითხება ვილაც ქალი.

მერე ბაგეებს ამოძრავებს. მე აღარ მესმის. ქუჩა მიჰქრის ჩემს თვალწინ. ქუჩამ ჩამიქროლა ხალხიანად, მატარებელივით, მატარებლის ფანჯრებზე გადმოფენილი მგზავრებივით...



ახლა კოტიკას სადარბაზოსთან ვდგავარ.

თვალეები რომ გავახილე, პირველად სასწრაფო დახმარების მანქანის სახურავი დავინახე, მერე სამი თეთრხალათიანი, ერთს შპრიცი ეჭირა ხელში.

— უკეთა ხართ? — მკითხა სულ ახალგაზრდა ვოგომ, რომელსაც „კალბაკიდან“ ქერა თმები მოუჩანდა.

— უკეთა ვარ.

წამოვჯექი საკაცეზე. ექიმი ჩემზელა იქნებოდა.

— დაწექით, დაწექით, — მითხრა ექიმმა.

— არა, გმადლობთ, ახლა კარგად ვარ. გააჩერეთ მანქანა.

— როგორ გეკადრებათ.

— ანალგინი ან დიმედროლი თუ გაქვთ, გამიკეთეთ და გამიშვით.

— გაშვების უფლება არა მაქვს, ანალგინს კი გავიკეთებთ; — ძალიან „მედიცინურად“ მითხრა.

როგორ ვერ ვიტან „უფლება არა მაქვს, ამას კი...“ იმადლებიან რაღაცას.

ექთანმა ანალგინის ამპულა გატეხა და შპრიცით ამოიღო წამალი.

— გადაბრუნდით.

— არა, ვენაში, — ვუთხარი მე.

ერთი სული მქონდა, გადავმხტარი-ყავი.

— ვენაში არ შეიძლება, გენაცვალე.

— შეიძლება. მე თვითონ გამიკეთებია.

ერთმანეთს ისე გადახედეს, მიგზვდი, ჩემს მორფინისტობაში ეჭვი აღარ ეპარებოდათ. მე გამიხარდა. ექიმებს ეშინათ მორფინისტების. ვიცოდი, გამიშვებდნენ.

გაოცებულ ექთანს შპრიცი გამოვართვი, გავიკეთე. ექიმი გაკვირებული მიყურებდა.

მანქანა გაჩერდა. ყველანი სასწრაფო დახმარების შენობასთან გადმოვედით. ჩემს წინ „ფიატმა“ დაამუხრუჭა. ჩემი სტუდენტობის ამხანაგი იყო. სწრაფად ჩავჯექი მანქანაში.

— წადი, — ვუთხარი თამაზს. მანქანა წავიდა. — რა იყო, ბიჭო? — მკითხა თამაზმა.

— არაფერი, ნაცნობები იყვნენ... საბურთალოში გამიყვანე.

— როგორა ხარ?

— კარგად. ახლა ბიჭი მოკლეს ზემელზე.

— მერე?

— რა მერე?

— რა და რო მოკლეს.

— არაფერი.

— გუშინ ქეთისთან ვიყავი, ვარიანტი იყო პატარა. აი, ფილოლოგიურზე რომ სწავლობდა, დიდი მკერდი რომ ქონდა. მოკლედ, მე რო ვუყვარდი. მაგარი ნაშები იყვნენ, მაგრა ვიგრიალეთ.

მე თამაზს ვუყურებდი, ის წინ იხედებოდა, ოღონდ თვალწინ აშკარად წუხანდელი „გრიალი“ ედგა.

— აბა, მაგრად იგრიალეთ?

— „ჩერესჩურ“.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასე უნდა დავკარგოთ ერთმანეთი?

— არა, კაცო.

— ხოდა, გამოიარე.

— აქ გააჩერე. — ვუთხარი მე.

— კარგად იყავი.

ჯამალ თოფურჩიძე
მოთხრობები

— კარგად იყავი და გამოიარე!
აუცილებლად გამოვივლი.
აუცილებლად.



„თემურ!“, — მეძახიან და სადარბაზოდან ვიხედები. „გამიწყალა ამან კიდეც საქმე“. ანაღვინი მოქმედებს, წაქცევის მაინც აღარ მეშინია. კოტიკას ოთახში შევდივარ. საწოლის გვერდით ლალი ზის. ლალის ჩემს დანახვაზე თვალები უნათდება, ამას თუ განათება ჰქვია. ეს ორი ობოლი რაღას გადაეყარა ერთმანეთს.

— როგორ ხარ? — იმ ქვეყნიდან მეკითხება კოტიკა.

— ცუდად, კოტიკ, — კარგადაც რომ ვიყო, მაინც შემრცხვებოდა კოტიკასთან ამის თქმა, მე ყოველთვის მერიდებდა მიძიმე ავადმყოფთან ვთქვა — „კარგადა ვარ“.

— კარგია, რომ მოხვედი, — მეუბნება ლალი.

მე ვკვდები. კოტიკას თავი გაზრდილი აქვს, თვალები ჩავარდნილი და ჩაბნელებული, საბანი თითქოს თავის გაგრძელებაა მხოლოდ, სხეული არ იგრძნობა მის შიგნით.

— პალტო უნდა იშოვო ახალი, ეგ ძალიან გაიცრიცა, — მეუბნება კოტიკა.

- ხო.
- ხო კი არა, უნდა იშოვო.
- ვიშოვი, კოტიკ, აბა რას ვიზამ.
- არ მიყვარს, როცა მაწყნარებენ, ეგ შენ მაინც იცი.

- ხო.
- ფერი არა გაქვს სახეზე.
- სახეზე მექანიკურად ვისვამ ხელს.
- გუშინ დაგირეკე, — ამბობს ლალი.

- ვიცი, დედამ მითხრა.
- იცი, დღეს უკეთაა კოტიკა.
- არ გინდა, — ამბობს კოტიკა.
- სხვა? — ძალათი ვუღიმი ლალის.
- რა ვიცი.

— გუშინ ძალიან მტკიოდა, — მეუბნება კოტიკა...

- დღეს?
- დღეს ისე არა, საღამოს დამიწყებს.

— არ დაგიწყებს.
— დამიწყებს. ეს ტკივილები რომ არ მქონდეს, ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, სიარულსაც შევძლებდი. მთავარია ტკივილები მომეხსნას და კარგად ვიქნები.

- მალე მოგეხსნება.
- ძალიან კარგად არის ადამიანის ტვინი მოწყობილი. ბოლომდე არასოდეს არ სჯერა, რომ კვდება.

- სისულელეს ნუ ლაპარაკობ.
- რამე რომ მოხდეს, ის შენი ნაჩუქარი კოსტუმი ჩამაცვი, — ისე მეუბნება კოტიკა, თითქოს სადმე გამგზავრებას აპირებდესო. არ სჯერა და იმიტომ მეუბნება ასე.

— ნუ გააწყალე საქმე.
ლალის ცრემლებით ეცემა თვალები. ეს გოგო მაშინ უფრო მიყვარს, როცა თვალები ცრემლიანი აქვს.

— ცოცხლებს არ ტირიან, — ამბობს კოტიკა.

- სულაც არ ვტირივარ, — პასუხობს ლალი და მხრებს ზევით ისე სწევს, ვითომ უკვირს მისი ნათქვამი.
- ცოცხლებს ტირიან სწორედ, მკვდარი რაღა სატირელია.



„თემურ!“, — მეძახიან. მე ვდგები და ფანჯრისაკენ მივდივარ.

— დალიე გუშინ? — მეკითხება კოტიკა.

სწრაფად ვტრიალდები მისკენ. ერთმანეთს ვუყურებთ. მერე ვუღიმი. კოტიკამ და მარინამ იციან, მე რომ მეშინია. ოღონდ ეს არის, კოტიკას ამაზე არასოდეს ვაუცინია.

- დავლიე.
- იმიტომაც არ მოხვედი ალბათ, — მეუბნება ლალი.



— ხო, იმიტომ.
 — მეც არ გამიკვირდა, — ლალი რაცას მანიშნებს თვალთ. მე ვერ ვხვდები.

— ძალიან მოუხშირე, — მეუბნება კოტიკა.

— არც ისე.
 — ძალიან, და მარინა შეირიგე, ეგეთი გოგოები ქუჩაში არ ყრია.

მე ჩუმად ვარ. ლალის ვუყურებ, იქნებ მივხვდე, რა უნდა. ლალი იატაკს ჩაშტერებია. წავალ და დავრეკავ.

— აუცილებლად ერთად უნდა იყოთ თქვენ. ნახავ, შენ კარგად იქნები.

— წავალ და საღამოს მოვალ, სამსახურში არ ვყოფილვარ.

— წადი, წადი, ოღონდ საღამოს გამოიარე.

— ხო, გამოვივლი. — კარებისკენ მივდივარ.

— ნეტა ისევ სკოლაში ვსწავლობდეთ, — იძახის კოტიკა.

აბლავლების მეშინია და არ ვტრიალდები მისკენ.

— აბა, ბიჭო? — ვითომ სკოლა მენანება, ისე ვამბობ და სწრაფად გავდივარ ოთახიდან.

ცივა გარეთ. თოვლი მიანც მოვიდეს. ლალიმ რა მანიშნა, არ ვიცი. ახლა რომ დავრეკო, კოტიკა მიხვდება. სამსახურში წავალ და იქიდან დავრეკავ. ფეხით წავალ, დრო რომ გავიდეს.

„თემურ“, — მეძახიან.

„ბიჭის ლოგინი ცარიელია“.

„მარინა წასტულია“.

„კოტიკა მოკვდება“.

ჩემს წინ მანქანები მიჰქრებიან. პირველზე თოჯინა მიმაგრებული. ვერ ვიტან ქორწილებს. როგორ შეიძლება გიყვარდეს ქორწილები ან პანაშვილები.

ალბათ ორი-სამი თვე იყო გასული მამაჩემის სიკვდილის შემდეგ. საღამო იყო, მე და დედა სასაფლაოდან ვბრუნდებოდით, ქარი ამოვარდა უცებ, ზღვაზე ხშირად იცის ასე. სანაპიროთი მოვიდიოდით, ზღვა ჯერ ძალიან არ ღელავდა, შავი იყო ოღონდ და ძალიან შორს

ასეთივე შავ ღრუბელს უერთდებოდა.

ყველა სადღაც გაბზოდა, ჩვენც გორც შეგვეძლო. ხეები თმაგაწეწილ, მოტირალ ქალებს გავდენენ. სახლამდე რომ მივადწიეთ, წვიმაც დაიწყო. ყველაზე მეტად მამა მშინი მეცოდებოდა, როდესაც წვიმდა. შესასვლელში რამდენიმე ლაბადა ეკიდა. მე და დედამ გავკვირდით. დედამ კარი შეაღო. გაეჩირაღდნენინათ ოთახი, თეთრსუფრაგადაფარებული ვრძელი მაგიდის თავში მოხუცი იჯდა, მეფისტოფელს რომ მიუგავდა ცხვირ-პირი და თავზე ედგა წითელი ქალღალისაგან გაკეთებული გვირგვინი. გვერდით ქალი ეჯდა. თეთრი საქორწინო კაბით მიხვდებოდით, რომ ქალი იყო. კალარაგარეული თმები აწეწვოდა, საშინლად გამზდარი იყო და შავი დამკვანარი ლოყები პომადით ჰქონდა შეწითლებული.

მეფისტოფელი უფრო მოკაცულიყო წელში. შავი პიჯაკი ეცვა. საჩვენებელ თითზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი უბრწყინავდა. კიდევ რამდენიმე კაცი და ქალი უსხდნენ მაგიდას. ისინიც ბებრები და მახინჯები. ერთს შავი ბაბთა ეკეთა პერანგზე.

— მოდიო, მამა, მოდიო, — ძალიან კეთილგანწყობით გვითხრა მეფისტოფელმა. ბებრები სახეს გვარიღებდნენ. თავები თფშებში ჰქონდათ ჩარკული და მდიანად ჰამდნენ. მეფისტოფელმა ქალღალისაგან გაკეთებული წითელი გვირგვინი მოიპრო თავიდან, თითქოს ამას რამე მნიშვნელობა ჰქონდა.

— რა არის? — იკითხა დედამ.

— სიურპრიზი, მამა, სიურპრიზი, — გაცინება სცადა ბებერმა, — მოდიო, შემოდაო.

მე და დედა შევედიო.
 ბებერი წამოდგა, ჭიქა შეავსო და დაიწყო:

— რა ვქნა, შვილო, აწი ვებრდები და მოვლელი დამპირდება მე. თემურმა წაიღო ჩემი ცხოვრება მარა, სული

ჯამალ თოფხარიძე
 მოთხრობები

მწარე ყოფილა. ვერ გადავყვეი. შენ შენი ცხოვრება გექნება აწი, მე კიდევ პატრონი მჭირდება, მშვენიერი ქალია ჩემი მარო, გავატარებთ ერთად ამ დღეებს, რაც დავგრჩენია. ცოლი გახდა ის ჩემი.

— ნამდვილად...

— ნამდვილად... — თავი წამოჰყვეს გათამამებულმა ბებრებმა.

— აგერ გვირგვინიც ქე დავადგიო, ხი, ხი, ხი, — ვითომ მოკვდა სიცილით ბაბთიანი და ისევ ჩარკო საკმელში თავი.

დედამ ხელი მაგრად მომიჭირა მხარზე. გავედით. ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. არც სინათლე აგვინთია ჩვენს ოთახში, ისე ვისხედით საწოლზე ორივენი. დედა ტიროდა. გარეთ გაუთავებლად და გულის შემაწუხებლად წვიმდა. შუშები ზრიალებდნენ ქარისა და წვიმისაგან. დედა კი ისევ ტიროდა და ინგრეოდა ქვეყანა, ისინი კი რაღაცაზე გულიანად იცინოდნენ, ხარხარებდნენ, მერე ცოტა ხანს ჩუმდებოდნენ, ვიღაცა რაღაცას იტყოდა, ისევ ატეხავდნენ სიცილს. მთელი სხეულით ვცახცახებდი. ისე, რაღაც უნდა მექნა, ამ უბედურ ღრეობას რომ დასდვომოდა საშველი და დედას აღარ ეტირა. ოთახიდან გავვდი. რომ გავდიოდი, უკვე ვიცოდი, რაც უნდა მექნა. ბებერს მუხლზე დაესვა საქორწინო კაბაში გამოწყობილი ურჩხული. წითელი გვირგვინი ისევ დაედო გველის თავზე, ამაზე უფრო გამხიარულებულიყვნენ პატივცემული სტუმრები. ქალები კისკისებდნენ, ცხვირსახოცებით იწმენდნენ სიცილის ცრემლებს და „რავა სულ ამფერი ციგანი იყავიო“ — გაჰკიოდნენ. ხმამაღლა.

საკუთნაოში შევედი და მამას ძველ თოფს ხელის ფათურით დავუწყვე ძებნა სიბნელეში. ცოტა ხანში ვიპოვე კიდევ და თითოთ მოვსინჯე სატყვიარი. ტყვია შიგნით იყო. თოფიანად შევბრუნდი.

მეფისტოფელი იცინოდა და რომ დამინახა, სიცილი შეწყვიტა და პირი დაიღარა, ღორბლი ჩამოუვიდა ტუ-

ჩიდან. სტუმრებმა ნეფის გაოგნებული სახე რომ დაიხანეს; მის მხერას პყვნენ და მათაც დააფჩინეს პირები.

მომარჯვებული თოფით ფანჯრებთან მივედი, ორივე სწრაფად გავიღე, თვითონ ფანჯრებს შორის კედელთან დავდექი და თოფი სუფრას მივუშვირე.

ახლა პირდაპირ სუფრაზე წვიმდა, ქარი ოთახშიც კიოდა და რამდენიმე წამის წინ გაშვებულ ბებრებს ცხვირპირში სცემდა, თმებს უწეწავდა, „რას შეები, ბაბუო“, ყვიროდა მეფისტოფელი. „რას შეები“, კიოდნენ ქალები და სულს ველარ იბრუნებდნენ. იმან, ბაბუაჩემი რომ ერქვა, წამოდგომა სცადა. ვესროლე, ტყვიამ თეფში გატეხა და ასხლტა. ქალებმა კივილს უმატეს.

— ამოვხოცავთ ყველას! — ავტარდი მე.

ისინი ისევ გაქვავდნენ.

რამდენ ხანს ვიდექი ასე, სუფრისკენ მიშვერილი თოფით, არ მახსოვს. ვიდაცის ხმამ მომიყვანა გონს.

— მოვკვდები, წიე, — მოსთქვამდა ქალი, — გაფიყინე. მოვკვდები.

ნეფის წითელი გვირგვინი, სველი და დაფლეთილი, ჩემს ფეხებთან ევლო.

— გაეთრიეთ, — ვოქვი და ყველა კარებს ეცა ნეფიან-პატარაძლიანად.

ვიცინოდი და ვტიროდი. ოღონდ დედა აღარ ტიროდა. სველ სახეს მიკოცნიდა ის და „არაო“, მთხოვდა ჩემი მარტოდ დარჩენილი და საცოდავი დედა.



„თემურ, თემურ!“ — ორჯერ იშვიათად მეძახიან.

არც ისე ბებრი დარჩა სამსახურამდე, მივალ და დავრეკავ. ალბათ კოტიკას რაღაც სჭირდება. ალბათ კი არა, სჭირდება.

„თემურ!“ — მეძახიან ისევ.

„ბიჭის ლოგინი ცარიელია.“

„მარინა წასულია.“

„კოტივი მოკვდება.“

საწინააღმდეგო მიმართულებით ახალგაზრდა კაცი მოდის, რომელსაც სახე თეთრი ბინტით აქვს ახვეული. ხელი ყბაზე აქვს მიდებული. ეტყობა, კბილი სტკივა. ძალიან ჰგავს ეს ხალხი მიცვალებულებს თავიანთი ახალი ფეხსაცმელებით, ახალი კოსტუმებით, ქაბათით, თეთრი პერანგებით და შავი გალსტუეებით, პიჯაკის გულის ჯიბეში სათვალეებით. სახეზე ბინტახვეულები რამდენიმე წუთის წინ გარდაცვლილები მგონია. ალბათ იმ ბიჭსაც აუხვიეს, დღეს რომ მოკლეს. კოტიკასაც აუხვევენ. მერე დამწუხრებული ნათესავები თეთრ პერანგს ჩააცმევენ, ახალ ფეხსაცმელებს უყიდის და ცოცხალს დაამსგავსებენ. მანამდე კი არავინ გამოჩნდება, სანამ არ მოკვდება... სანამ არ მოკვდება.

იმსაც აუხვიეს, რომ კარგად შეკვროდა კრიჭა. რომ კარგად... კარგად. ისეთივე ქერათმიანმა ქალმა აუხვია, როგორმაც მე წამოყვანა სასწრაფოში. ცოცხლები მკვდრებს ისე მაგარად უხვევენ პირს, თითქოს ეშინიათ სიკვდილის შემდეგ ის არა თქვან, რაც სიცოცხლეში დაუმალავთ, არავისთვის გაუმხელიათ, გულში დაუმარხავთ, რითაც დაღუპულან და რაც იმ ქვეყნად გაჰყოლიათ დარდად. სიკვდილის შემდეგ არა თქვან — ეშინათ, შვერცხვებით, თავი მოგვეჭრებაო.

მატარებელი თბილისის სადგურში შევიდა და გაჩერდა. ბაქანზე ქალი და ბიჭი გადმოვიდნენ ჩემოდნებით ხელში. ორივენი თვალებით ვიღაცას ეძებდნენ. ქალმა იცოდა, ვისაც ეძებდა. ბიჭს არასოდეს არ ენახა მამამისის ძმა. სურათებიდან იცნობდა მხოლოდ, საოჯახო, სქელი და გაფხეკილყდიანი ალბომის ფოტოებიდან.

— აი ბიძაშენი, — უთხრა ქალმა.

მოდიოდა საშუალოზე მაღალი, მხრებგამოლილი, გამხდარი ახალგაზრდა

კაცი, ლამაზი და მკაცრი, აღმოსავლური ნაკვთებიანი სახით. თეთრ კი და შავი შარვალი ეცვა. პიჯაკი გახსნილი ჰქონდა და პერანგის ფართე, ლურჯი საყელო პიჯაკზე ჰქონდა გადმოფენილი. უახლოვდებოდა ბიჭსა და ქალს. უცინოდა. ბიჭი უყურებდა, თვალს არ აშორებდა მამამისივით ლურჯ თვალებს და ჩალისფერ თმას და ფიქრობდა, რომ ქრისტეს ჰგავდა ის, ვინც მოდიოდა. მისი სისხლი და ხორცი უახლოვდებოდა, ერთადერთი დარჩენილი იმედი მისი, ერთადერთი საყრდენი მისი ბიჭობისა. მოდიოდა, უღიმოდა. ბიჭი ხედავდა ბიძამისის ზეგით მზეს და ეგონა, რომ მზეც მოჰყვებოდა ბიძამისს, შეიძლება ქრისტესაც იმიტომ ამსგავსებდა, რომ ახლა ქრისტე იყო ის მისთვის. დაიხარა და აკოცა. ბიძამისს მამამისის სუნი ჰქონდა.

— მე ვერ ვნახავდი, იმიტომ არ ჩამოვედი, — თქვა ბიძამისმა ძმაზე.

— ვიცი, — თქვა ქალმა.

— ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ, — თქვა კაცმა და ჩემოდნებს მოჰკიდა ხელი.

— წავიდეთ, — უთხრა მერე ძმისშვილს.

— მართლა მოიყვანა ცოლი? — ჰკითხა მამამისზე ქალს.

— ჰო, — უპასუხა ქალმა.

— სიბერეში სულ შეიშალა, — თქვა კაცმა და ბიჭს დამნაშავედ გაუღიმა.

ბიჭს როგორ ეხატებოდა ბიძამისთან შეხვედრა, ის კი მხოლოდ დაიხარა და აკოცა.

— მიმივა? — ჰკითხა კაცმა ჩანთაზე, რომელიც თემურს მიჰქონდა.

— არა. მაკოცე, — თქვა თემურმა და შერცხვა თავისივე ნათქვამის.

წამით გაოცება ჩაუდგა თვალეში ბიძამისს, მერე ის გაოცება სევდამ გაუღესო. ბარგი ასფალტზე დაუშვა. ათი წლის ბიჭი ხელში აიყვანა და მაგარად ჩაიკრა. ბიძამისს მამამისის სუნი ჰქონდა.

ჯეივალ თოფურში
ნოთხროვანი



ერთად ცხოვრობდნენ. ბიძამისი ოცდაათი წლის იყო და გურამი ერქვა. გურამს ცოლი ჰყავდა, და თემური ფიქრობდა, რომ იმაზე ლამაზი და კარგი გოგო არ იყო თბილისში.

ლექციების შემდეგ, როდესაც მედიკოს სახლში მოსვლის დრო დადგებოდა, გურამი ფანჯრიდან ქუჩას გაჰყურებდა. კერესელიძის ქუჩაზე ამოხვეულს რომ დაინახავდა, სადარბაზოსთან დადგებოდა, ხელში აიყვანდა და ისე ამოვიდოდა სახლში. მერე ისინი თავიანთ საძინებელში შედიოდნენ.

— თემური? სირცხვილია, გურამ, — ჩემად ეუბნებოდა ცოლი ქმარს.

თემურმა იცოდა მაშინ, რა უნდა ექნა, ეს ყველა ბიჭმა იცის. აწითლებული და რაღაც სულელურად ბედნიერი სახლიდან გადიოდა. ბიძამისს და მის ცოლს რომ მიყვებოდა ქუჩაში, მაშინაც ძალიან ბედნიერი იყო. გამვლულები ხშირად ჩერდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ. თემურს მაშინ დაძახებდა უნდოდა, რომ ის, ვისაც ასე უყურებდნენ, ბიძა იყო მისი.

მერე გურამი მას მხარზე გადაადებდა თავის გამხდარ და ძლიერ ხელს. მაშინ ბიჭი გრძნობდა, რომ ის მამაზე მეტი ხდებოდა მისთვის, რადგან ხელის მხარზე მშვიდად დადებით ბიძამისი მის ძმობასაც იღებდა თავზე და მამობასაც.

კვირა დღე იყო, გურამმა იპორტომზე რომ წაიყვანა და თეთრ ცხენზე შესვა. ლაგამი თვითონ ეჭირა ხელში და ისე დაჰყავდა მინდორზე, მერე გადმოხტა ბიჭი ცხენიდან და ახლა გურამი იჯდა მის ადგილას. წელში გამართულმა ჯერ ნელა ატარა ცხენი, მერე მიუშვა, დიდხანს აჰქენა...

ხშირად დაჰყავდა მერე იქ და მალე თემურმაც მიიჩვია ცხენი. „მაჯობებ, მალე მაჯობებო.“ — ეტყოდა ზოლმე ბიძამისი და თემურიც ხმამაღლა იცინოდა ამ თითქოს ძალიან ჩვეულებრივი სიტყვების გამო. დრო გადიოდა ყველანი ერთად ცხოვრობდნენ და თემურს ეშინოდა, ისეთი ბედნიერი იყო,

ტყუილად არც შეშინებია, ტყუილად არც არაფრის ეშინიათ, პათუმი ბედნიერების...

ბედნიერება შემოდგომის მზიანა დღეებზე ითაა, გეშინია, ცა არ მოირუბლოს, არ განაცრისფერდეს ყველაფერი გარშემო, არ ჩამოხრუნდეს მიწაზე იმიტომ, რომ იცი, შემოდგომაზე მალე უნდა მოკვდეს მზე.

თემურისთვისაც ერთხელ კიდევ მოკვდა მზე. თბილისში გადმოსვლის შემდეგ სულ ორი წელი ათბო მისი პატარა სხეული და იმ დღეს მოკვდა. იმ დღეს ჩამოხრუნდა თემურისთვის, როდესაც დილით სკოლიდან სახლში რაღაცაზე ადრე მიბრუნებულმა ბიძამისის მაგივრად მედიკოს საწოლში ვიღაც უცხო კაცი ნახა. რაც პირველად მოხვდა თვალში, მედიკოს შიშველი, თეთრი ფეხი იყო, და იმ ვიღაც უცხოს ბალნიანი ტორი.

„გურამ!“ — იყვირა ბიჭმა და გაიქცა სახლიდან. „გურამი!“ — განწირული ხმით ყვიროდა ბიჭი და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. „გურამი!“ — კიოდა ბიჭი და გაკვირებულ გამვლულებს ეჩახებოდა, ფეხებში უვარდებოდა, ეცემოდა, დგებოდა და ისევ გარბოდა. გარბოდა ბიჭი, თან ხალხის გაოცებულნი მხერა თუ სიტყვა მისდევდა. „მხეცო! — იდიოტო!“ — უყვიროდა ვიღაც ახალგაზრდა ქალი, რომელიც კედელს მიენარცხა, თემური რომ დაეჩახა მაშინ.

„ვამი შენს პატრონს!“ — დააწია ხმა მოხუცმა კაცმა, რომლის ჯოხსაც წამოედო თემური და წაიქცა.

„შენ მოუკვდი დედაშენს!“ — უკივლა ქალმა, რომლის ბაზრის ჩანთა ძირს ეგდო და იქიდან კარტოფილები ნელა მიგორავდნენ ქუჩაზე.

ყველა ეხშიანებოდა, ვისაც კი შეეხებოდა თემური, ყველა „კეთილ სურვილებს“ აწევდა გაქცეული ბიჭის ზურგს. არავინ ფიქრობდა, რატომ გარბოდა პატარა ბიჭი ასე გამეტებით. რატომ ყვიროდა ამ სახელს ან ვის გაურბოდა, რა უჭირდა, რისგან იყო გა-

მოქცეული ან საით მიქროდა ასე გამწარებულნი.

ორი თვე გაგრძელდა წამება. ორი თვის განმავლობაში დღეში ერთ-ორ სიტყვას თუ იტყოდა. დედა სკოლაში მიდიოდა და მასწავლებლებს ეკითხებოდა, რა მოუვიდა ჩემს ბიჭსო. ბიძამისი თავის რძალს და ცოლს ეკითხებოდა, თემურს რა სჭირს, ვეღარა ვცნობო.

ცოლი თავს გააქანებდა, ანდა რა ჰქონდა სათქმელი. დედა სშირად ტირილით ბიძამისმაც ჰკითხა ერთხელ სადილობის დროს და პასუხი რომ ვერ გაიგო, ჩანგალი დააგდო მაგიდაზე, ადგა და გავიდა ოთახიდან. მერე მოგვიანებით ბოდიში მოუხანდა, ჩემი შვილიცა ხარ და ძმაცო, იმიტომ მწყინსო, უთხრა. შეყვარებული ვარო. — უპასუხა ბიჭმა და გაიხარა ბიძამისმა, ადრე გეთქვა, შე კაი კაცოო, შეყვარებული ვინ არა ვყოფილვართო, — მერე რძალსაც უთხრა ჩემად და ცოლსაც.

ერთ საღამოს მთვრალი დაბრუნდა გურამი სახლში. არავინ იყო თემურის გარდა. შუა ოთახში დადგა და თემურს შეხედა თვალებში. ბიჭი ნელა წამოდგა სკამიდან და იმ ამბის შემდეგ პირველად შეხედა თვალებში. გურამს ცრემლი მოსდიოდა და უღიმოდა.

„რა“, — თვალებით ჰკითხა თემურმა.

„გავიგე ყველაფერი“, — თვალებითვე უპასუხა ბიძამისმა.

„ყველაფერი“, — გაიფიქრა თემურმა.

„სუყველაფერი, სუყველაფერი“, — გაიფიქრა ბიძამისმა.

თემური ნელა მიუახლოვდა, მერე ჩაიჩოქა მის წინ ისე, როგორც სალოცავის წინ იჩოქებენ.



მედიკო წავიდა. გავიდა შვიდი წელი. თემური, მეოთხე კლასის სტუდენტი, პრაქტიკაზე იყო მოსკოვში. ივლისის მთავრდებოდა. წამოსვლის წინ გამოიყვანა გურამი საავადმყოფოდან.

დღეძლი სტაციოდა. მერე კუტის წყლიც აღმოაჩინდა.

„წვეთი არ უნდა დალიოთ, დაიღუპებით.“ — უთხრა ექიმმა.

„დაღუპულია“, — გაიფიქრა თემურმა. იმ დღეს დაიღუპა ის, რომ გაიგო. უფრო ადრეც. მედიკო წავიდა. შვიდი წელი გავიდა და თემურს გურამი ფხიზელი აღარ ენახა. იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ დაისვენებდა გადაბმული სმისაგან. ივლისი იყო. ცხელია მოსკოვში. თბილისი იწვოდა სიცხისაგან და სარიბეგას სარდაფში მაინც გრილოდა, ხალხიც ცოტა იყო. ერთ მაგიდას, რომელიც კუთხეში იდგა, სახედაწითლებული მთვრალეები უსხდნენ. მათ შორის ერთი გამოირჩეოდა თავისი ფერმკრთალი სახით, ლურჯი, ოღონდ უკვე გახუნებული თვალებით, მოშვეებული თმებით და წვერით, და სუფთა, ძალიან სუფთა თეთრი პერანგით.

— დალიე რა, შე ბემურაზო, — ჰქია შეუესო გვერდით მჯდომმა ერთერთმა აწითლებულმა.

— მე, ბემურაზო? — ჰკითხა გურამმა.

— ხო რა, დალიე.

— უარი მითქვია როდისმე?

—

გურამმა კიდევ ერთი ჰქია დალია.

— დავთვერი, აღარ მინდა, — თქვა მერე.

— ჩვენ რა, გვინდა? — უთხრა წითურამ და კიდევ შეავსეს ჰიჭები.

— ჩვენი მშობლების ხსოვნა იყოს კიდევ ერთხელ, — თქვა ვილაცამ.

— ავდგეთ, — წინადადება შემოიტანა წითურამ.

ბარბაცით წამოდგნენ. გურამი არ ამდგარა.

— შენ რათ არ დგები? — ჰკითხა წითურამ.

— სულ ერთი არ არის?

— ადუ, ბიჭო! — დაუყვირა, ხელი

გაბაღალ თოფხარია
მოთხრობები



ჩაავლო და ფეხზე წამოაყენა. დალიეს. დასხდნენ.

გურამიც დაჯდა. ელიმებოდა.

— შენ რაღაც კარგ გუნებაზე ხარ. — არ ეშვებოდა წითურა.

— არც ისე.

— მაშ რათ იღიმები, მე დამცინი?

— არა.

— თავი დაანებე, — თქვა ვილაცამ. ისევ სვამდნენ.

— მაგ გახეთმი რა გაქვს გახვეული? ჰკითხა ისევ წითურამ.

— ეიფელის კოშკი.

— შაყრობ?

— არც ისე.

— თავი გაანებე. რას გადაეციდე.

— მაშ არ მეტყვი, რა გაქვს?

— ნახატია.

— ვისი?

— ჩემი.

— ჰყიდი?

— ხო.

— შენც ფიროსმანი ხარ, აი!

— ჩვენს ძმაცაცობას გაუმარჯოს, — ჩაიბურღლუნა ერთმა. დალიეს.

— მაჩვენე.

გურამმა მისცა.

იმან გახეთი შემოაცალა ნახატს.

— ვა, ტოყე მნე პეტროვ ვოლკინ რა, ეგ თევზი, პური, არყის ბოთლი, თევზი შექმული რათაა.

— მშოიდა.

წითურამ ნახატი ორი ხელით დაიჭირა და თავის მუხლს ჩამოარტა.

— რას შვრები, — დაუძახეს აქეთ-იქიდან.

— შარზე ხარ დღეს, ლოვიკ, — უთხრა გვერდით მჯდომმა.

გურამი წამოდგა. სავსე ღვინას ბოთლს მოკიდა ხელი და სარდაფას კიბეებს ნელა აუყვია.

— ეწყინა, — უთხრეს წითურას.

— ისე „ბაზდრავლიაიუ, გურამჩიკ,“ — სულ გამწარდა ლოვიკა, ხმა რომ არ გასცა.

— შენი ცოლი გათხოვდა. ქედანს გაყოლია. ახლა ფული სულ გექნება.

გურამი გაჩერდა. მერე შეტრიალდა მისკენ.

— მართლა? — ჰკითხა წითურას.

— ვა, ვითომ არ იცოდი, არა?

გურამი ცოტა ხანს ასე იდგა, რაღაცაზე ფიქრობდა და არავის უყურებდა.

— არ ვიცოდი, — თქვა რაღაც ნერვიულად. ისე კარგია, კიდევ კარგი. — გასვლა დააბირა.

— კიდევ კარგი რათა, აღარ იგულაგებს, არა?

გურამი მიუახლოვდა ლოვიკას. სახეში შესცინა. მერე ღვინით სავსე ბოთლი ჩაარტყა თავში, წითურა თითქოს ამას ელოდაო, ბოთლის ჩარტყმა და მისი ჯიბიდან გახსნილი დანის ამოღება ერთი იყო. ამოიღო და დაარტყა კიდევ, ქვევიდან დაარტყა მუცელში.

— მოკლა ამ შობელდადლმა! — იყვირეს სარდაფში.



„ბიჭის ლოგინი ცარიელია,“ „მარინა წასულია.“

„კოტიკა მოკვდება მალე და გურამი-ვით აუკრავენ სახეს.“

„თემურ, — აღარ მინდა, აღარ გამოგზებდავ. დავილაღე. თავი დამანებე.“

თვითმფრინავი ღამის სამ საათზე მიიღო თბილისმა. როდესაც დაშვება დაიწყო, ქალაქს გადავხედე. ერთი თბილისი და რაღაც იმედი მომეცა. სახლთან მიმატოვა ამ იმედმა. ჩაბნელებულ სახლს რომ შევხედე, მიმატოვა. კარი გასაღებით გავაღე და სანამ ოთახს გავანათებდი, რაღაცას დავეჭახე. ოთახის შუაში რატომღაც კარადა იდგა. გამიკვირდა. დედა საავადმყოფოში იქნება მეთქი, ვიფიქრე და აღარ გავანათე, ისე დავემვი დივანზე. კარი ნელა გაიღო. გული კინაღამ წამივიდა შიშისაგან. მაშინ მივხვდი, რისიც მეშინოდა. ვარდაცვილის მეშინოდა. უკვე მკვდრად ვთვლიდი ალბათ გურამს და იმის მეშინოდა.

— ვინა ხარ? — ვკითხე მე.

— კარინე ვარ.
მეზობლის ქურთის ქალი იყო, ზოგჯერ ეხმარებოდა დედას.
— რა გინდა, კარინე, ამ შუალამისას? — სული მოვიტევი მე.
— გურამი კვდება.
— რა მოხდა, კარინე?
— ვილაცაზ საზიზღარს მუცელში დანა დაურტყამს, მერე აპერაცია გაუკეთეს. მაინც კვდება. ექიმს უთქვია, დანა რომ არ დაერტყათ, მაინც ერთი-ორ წელში მოკვდებოდაო. — ქურთის ქალმა ოთახი ვაანათა.
— რატოა ასე არეული აქაურობა, კარინე? — ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ.
— ვალაგებდი.
— რატო ალაგებდი?
— გურამი ხო მოკვდება, ხალხი ხო მოვა, ზუბთა უნდა იყოზ.
— იქნებ გადაჩქეს, რა გეჩქარებოდათ, ქალო, რა სამზადისი აგიტყდათ.
— ზუბთა უნდა იყოს.
— საშინელება!
— ბატონო?
— არაფერი.
„საშინელება.“ ეს სიტყვა ხვდებოდა თავის ქალას გულის ცემასთან ერთად.
„საშინელება...“ თენდებოდა.
— ვინ, ვინ? — ეკითხებოდნენ დედა და ექიმი, — გურამმა რომ ვერ გაიხსენა სახელი.
— ძმა ჩემი, — თქვა გურამმა.
— ბოდავს. — თქვა ექიმმა.
— არა, რაღაც მომდის...
— თემური? — ჰკითხა დედა.
— ხო, თემური.
მე კარებთან ვიდექი და შევედი.
— გამარჯობა, — მითხრა მომაკვდავმა.
— გამარჯობა, გურამ. — ვუთხარი, დავიხარე და ვაკოცე. ცივი ჰქონდა გამხდარი სახე.
— რატომ ჩამოხვედი?
— პრაქტიკის ხელმძღვანელი ავად გახდა, — საცოდავად მოვიტყუე.
— ქუთრუშით? — დამცინა გურამმა.
მა.
— მართლა.

— როგორა ხარ.
— ისე, რა.
— შენ? — სულელურად ვკითხე.
— მეც. ვადით, — უთხრა დედაჩემს და ექიმს.
ისინი გავიდნენ.
— მაკოცე, — მითხრა ისე, როგორც მე ათი წლის წინ ვთხოვე სადგურზე. მე ვაკოცე.
— შენ მყავდი მარტო, — მითხრა გურამმა.
— მეც.
— შენ არ ღამტოვებ.
— არა, არა.
— ისე, ბევრი კი გაწვალე.
— რა მაწვალე, გურამ?
— რაც შენ სარდაფებში დამდეკვდი, ვაგალოთე მგონი?
— უშენოდაც კარგა მიყვარდა.
— საავადმყოფოებში გარბენინე.
— განუშლი.
— რაც შენ გითრევივარ ზურგით.
— არასოდეს.
ჩუმად იყო. მერე ღრმად დაიწყო სუნთქვა.
— გახსოვს? — მკითხა და ჩამაცქვარდა.
მე თვალები დავხუჭე და გავახილე. მივხედი რაზედაც მეუბნებოდა და არ მიწოდდა ახლა ამაზე ეფიქრა.
— ვერ მოვიკალი თავი.
ხმა ვერ ამოვიღე.
— მაგ დროს ცაცმა თავი უნდა მოიკლას. მე ვერ მოვიკალი. თუმცა თვითმკვლელობა ორნაირად შეიძლება: უცებ და ისე, როგორც მე ვქენი, ნელ-ნელა. როგორც მე ვავაკეთე, ასე უფრო სუსტები იქცევიან.
— რატომ მოვივიდა ჩხუბი, — ჩემი ჰკუთით. ვცადე სხვაზე გადამეტანა ლაპარაკი.
— მორჩი ახლა. ის არაფერ შუაში არაა, დაჩქარა უბრალოდ. ცხენი გახსოვს?
— როგორ არ მახსოვს.

ჯამალ თოფუჩიყა
მოთხრობები



— ცხენი მინდა, — თქვა გურამმა და წამოიწია ლოგინზე.

— რომ გამოგწერენ, ისევ წავიდეთ იქ. ანდა სულაც სოფელში წავიდეთ სადმე.

— ჰაერი მინდა.

წამოვხტი და ფანჯარა გავადე. არ შე-
მზინებია, ისე გავადე.

ბალატაში ექიმი, დედა და ექთანნი
შემოვიდნენ.

— ჰაერი მინდა, — შევედრა ექიმს.

— ჰაერი უნდა, — ვიყვირე მე.

— გადეთ ფანჯრები! — თქვა გურ-
ამმა.

— გადეთ, — გავიმეორე მე

— ღიაა, — უკვირდა ექთანს.

— გადი, — მითხრა დედამ.

— არ გახვიდე, თემურ! — მთხოვა
გურამმა.

— არა, ნუ გეშინია.

მკერდზე მომეყრდნო ზურგიით. გა-
ყინული ხელებით მაგრად ჩამებლაუჭა
მარჯვენაზე. ხელში გაუკეთეს ნემსი.

— ახლა დამშვიდდებით.

— ახლა გაგივლის, — ვუთხარი მე.

— გადი, — თქვა დედამ.

— შენ თვითონ გადი, — ვუყვირე
მე.

— გადით, — მითხრა ექიმმა და თვა-
ლი ჩამიკრა — ავადმყოფს მოსვენება
სჭირდება.

გურამმა უფრო მომიკრა ხელი.

— გაეთრე! — ვუყვირე ექიმს.

— რა მომდის? — იკითხა გურამმა.

— იცის ხოლმე ასე.

— რა?

— უბრალოდ უკმარისობა გაქვს.

— უბრალოდ, — გაიმეორა თავის
დასაჯერებლად.

— გაგივლის ახლა.

— გამივლის?

— გაგივლის.

— ეს ლურჯი კლდე რაღაა გარეთ?

— არ შეგიძინევია ადრე?

— არასოდეს.

გარეთ რასაკვირველია, არაფერი არ
იყო.

— ძალიან ლამაზია, — ვთქვი მე.

— ძალიან, ოღონდ ლურჯია.

— ხო...

— ჩაქრა კლდე. კვამლი არ
ვიდეს ის-ედაც არ მყოფნის ჰაერი...

— არ შემოვა, გურამ.

— ეს რაღაა?

გურამი წამოიწია უფრო. მეც წამ-
ოვდექი მასთან ერთად.

— შენ? — ჩუმად, ძალიან ჩუმად
ჰკითხა არაფერს გამოცეხული და შეში-
ნებული თვალებით. მერე მისი სხეული
მოეშვა და მკერდზე გადმომაწვა. შიში
გაქრა და დაუტოვა თვალებს მარტო ის,
რასაც სახტად დარჩენა ჰქვია. გურამი
გარდაიცვალა.

დედა ტიროდა.

— ბინტი, — დაიძახა ქერათმიანმა ექ-
იმმა ისე მშვიდად, თითქოს ჩვეულებ-
რივ გადახვევას აპირებდა. ექთანმა
მიაწოდა. ექიმმა ჯერ თვალები დაუხ-
უჭა, მერე სახეზე მაგრად შემოახვია
ბინტი, კარგად რომ შეკრულიყო კრი-
კა.



სამსახურიდან დარეკა კოტიკასთან და
ლალიმ უთხრა, რომ კოტიკას არ ეძინა.

— მარინასთან წავიდესო, მთხოვს, —
უთხრა ლალიმ.

— წავალ, — თქვა თემურმა.

დერეფანში მიდიოდა და რა უნდა
სჭირდებოდესო, ფიქრობდა, თანამშრო-
მლებს მექანიკურად ესალმებოდა. „წა-
ვალ, აუცილებლად წავალ“ — ფიქრო-
და თემური.

ის ახლა ქუჩაში იყო და მარინასთან
მიდიოდა. თუ დაბრუნებაზე უარს ეტ-
ყოდა, დაუჩოქებდა და ფეხებს დაუკ-
ოცნიდა თავის ცოლს, ერთადერთ ახ-
ლობელ ადამიანს, ვინც ცოცხალი რჩე-
ბოდა ამქვეყანაზე. კოტიკაც მოკვდებ-
ოდა და გათავდებოდა ყველაფერი. თე-
მურს დედა და შვილი რჩებოდა ამ-
ქვეყანაზე, მაგრამ როდის ყოფილა დე-
დას გავგო და ემეგობრა შვილთან ან
კიდევ შვილს მამასთან. მარინა რჩებო-
და, რომელიც შვილზე მეტად უყვარდა,



დღდაზე და კოტიკაზე. მეტად, თავის თავზე მეტადაც, რადგან თვითონ მოედომებინა განწმორება მასთან. იმის მერე განიზრახა, როდესაც მიხვდა, თავისი ნერვების, თავისივე გუნებისა და განწყობის ტყვე გამხდარიყო.

იცოდა, რისი შედეგიც იყო მისი ასეთი მდგომარეობა. ყველაფერი ახსოვდა. უბედურებაც ის იყო, ყველაფერი რომ კარგად ახსოვდა, რაც ენახა. ბედნიერი დღეები უფრო ადვილად ავიწყდება კაცს, უბედურება სულ ახსოვს, ტინისა და გულს უღრღნის, სულ თანა სდევს, იმიტომ რომ უფრო ნაღლია, ყველაფერზე ნაღლია, რაც კი რამ გაჩენილა ამქვეყანაზე.

მარინას კი არაფერი ბრალი მიუძღოდა მის უბედურებაში, ტყუილად იტანჯებოდა მისი უგუნებობისა და არეული ნერვების შემყურე. კარგადაც ყოფილა, მარინასთან ერთად ყოფილა კარგად, მაგრამ ისე მიუჩვეველი იყო მისი არსებისათვის ასეთი მდგომარეობა, რომ უკვირდა. ის უკვირდა, როგორ შეიძლებოდა კარგად ყოფილიყო. „აღბათ ისე არ არის რაღაცო“, „აღბათ ვტყუდები ან თავს ვიტყუებო.“

სამი წელი იცხოვრეს ერთად და ერთხელ, როდესაც მისმა ბიჭმა მამის ყვირილს კვილით უბასუხა, დაფრთხა თემური. ამით რაღას ვერჩი, ღმერთოო, ამით ხომ არაფერი დაუშავებიათ ჩემთვისო. დაფრთხა და გაიტრუნა. იმას ფიქრობდა მხოლოდ, „უნდა წავიდნენ ჩემგან, თორემ ყველაფერი გამეორდებათ, მარინეც დაიღუპება და შვილიც დამეღუპებაო.“

მეორე დღით გაუშვა ორივე. თავისი ხელით ჩააცვა ბიჭს ტანზე. თავისივე ხელით ჩაალაგა მარინას ტანსაცმელი ჩანთაში და გაუშვა მშობლებთან. ასე ჯობიაო, — მარინას უთხრა — თქვენთვისაც და ჩემთვისაც ასე ჯობიაო, — რაღაც სხვა ხმით ეუბნებოდა.

ერთი წელი აღარ იყვნენ მასთან. დამე უფრო ხშირად მთვრალი მიდიოდა სახლში, რომ მალე ჩასძინებოდა და არავინ და აღარაფერი გახსენებოდა.

ახლა კი ქუჩაში იყო, მიდიოდა მარინასთან და მათ უკან დაბრუნებაზე ფიქრობდა. საიდანღაც იმის იმედიც გასჩენოდა, რომ თავს მოერეოდა და კარგად იქნებოდა. შეიძლება კოტიკას საყვედურიც და გამხნეველაც დახმარებოდა ამაში. ისე გაჭარბებული იყო ამ გადაწყვეტილებით, რომ მეგობრის ავადმყოფობაც დავიწყებოდა ცოტა ხნით. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, მხნედ, არ ეშინოდა წაქცევისა და აღარავინ არ ეძახდა თავისისავე სახელს.

კარები მარინას ბებიამ გაუღო.
— გამარჯობათ, — თქვა თემურიმა.
— რა გნებავთ, ვაჟბატონო?
— მარინა.

— კილო რა გინდათ, კილო?
თემურს გაეღიმა.
— შემიშვით, თუ შეიძლება.
— არ შეიძლება! — უფრო გაკაბასდა ქალი.

— გამიშვით.
— ჩვენ ბროლიაგები, გიყები, ნენორმალურები და ლოთები კილო არ გვკვირდება.

— დამლაგებლები ან შემფუთავები კილო?

— უზრდელი, ეს!
— „მაშინ ჩამოკიდეთ კედელზე, რომ ბროლიაგები, ნენორმალურები და ლოთები კილო არ გვირდებათ, აღონდ ნენორმალურები არ დაგავიწყდეთ კილო.“

— დასტოვეთ სადარბაზო, მე თქვენ გელაბარაკებით! — იყვირა ქალმა.
თემურიმა ქალს ხელები მოხვია, აიყვანა, გადააადგილა და სახლში შევიდა. მარინას და ბავშვს დაუწყო ოთახებში ძებნა.

— წავიდა მარინა, გაფუქებული, ეს!
— უკან მისდევდა დედაბერი.
— წავიდა, — უთხრა მარინას დედაც. სკამიდან ადგა.
— როგორ, წავიდა.
— ერთი კვირაა.

ჯამალ თოფურიძე
მოთხრობები



— სად წავიდა, ბავშვი სად არის?
 — ბავშვი სასერიწოდ წაიყვანეს, მარინა ერთი კვირაა სოხუმში წავიდა.
 — რა უნდა სოხუმში ამ ზამთარში.
 — ისე, — უხერხულობა დაეტყო ქალს და ფანჯარასთან მივიდა.
 თემური უფრო მიუახლოვდა ქალს.
 — რატო? — ჰკითხა მერე.
 — მარინა, — გაჩუმდა ქალი, — გათხოვდა. — თქვა ბოლოს.
 თემურს გაეცინა.
 — ნამდვილად, — დაამატა მოხუცმა ქალმა.
 — არ შეიძლება, — თქვა თემურმა.
 — ერთი კვირა.
 — არა, არ შეიძლება.
 — ასეა, თემურ.
 — რატოა ასე. — თავისთვის ჩაიღპარაკა.

„არ შეიძლება, ასე რომ იყოს“, — გაიფიქრა და ქალს შეხედა.
 — ასეა, — თქვა ქალმა.
 „გათავდა ყველაფერი“, — გაიფიქრა თემურმა და ფანჯარას შეხედა. თოვლა გარეთ.
 — თოვს, — თქვა თემურმა.

მანქანა გადაკეტილ შლაგბაუმთან იდგა სულ ახლოს. თემური წინ იჯდა. მატარებელი გამოვლას აგვიანებდა. მძღოლი მანქანიდან გადასული იყო, სიგარეტს ეწეოდა და რუსის ქალს ეარშიყებოდა, რომელიც კიბის თავში ჯიხურთან იდგა და ყვითელი დროშა აეწია. გარშემო სულ თოვლი იყო. თემურის გვერდით კიდევ ერთი მანქანა იდგა. მანქანაში ახალგაზრდა გოგო იყო, რომელიც თემურს უყურებდა. თემური ექიმისთვის იყო წამოსული თბილისიდან.

კოტიკასთან მაშინ მივიდა, იმას რომ ეძინა. მაშინ უთხრა ლალიმ, რომ წყალტუბოდან ვიღაც ბულგარელი ექიმი უნდა წამოეყვანა, რომელზედაც რაღაც სასწაულებს ყვებოდნენ. ყოველ შემთხვევაში ერთი ნაღდი იყო, სენს ვერ გა-

ნეტრნაედა, მაგრამ ტკივილებს მთლიანად უხსნიდა კაცს. ამშვიდებდა აუცილებლად უნდა ჩამოეყვანა ექიმი, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა. ფული უნდა ეშოვა ოღონდ. მთელი სამამო ირბინა ფულზე და არაფერ რომ არ მისცა, თავისივე უფროსს მიადგამე სახლში. რცხვენოდა, მაგრამ სირცხვილის დრო არ იყო. კოტიკა ისე უნდა მომკვდარიყო, ტკივილს არ უნდა გაეწამებინა.

ლამე თავზე დაათენდა. დილით ვიღაც მძღოლი ძლივს დაიყოლია და ახლა გადაკეტილ შლაგბაუმთან იდგა სულ ახლოს. მძღოლი რუსის ქალს რაღაცას ელაპარაკებოდა. თემურის გვერდით მანქანა იდგა. მანქანაში გოგო იჯდა და თემურს უყურებდა. თემური თოვლს გასცქეროდა და ფიქრობდა.
 „მარინა აღარ დაბრუნდება.“
 „ბიჭის ლოგინი ცარიელი იქნება სულ.“

„კოტიკა მოკვდება, ოღონდ არ ეტკინოს კოტიკას.“
 უცებ მის გვერდით მდგომი მანქანისაკენ გაიხედა.
 „როგორ საშინლად მიყურებს“ — გაიფიქრა თემურმა გოგოზე.

მატარებელი გამოჩნდა. თემურმა მანქანის დაჯახების ხმა გაიგო. უკან მიიხედა. მთვრალეებით გატენილ მანქანას ბოძისთვის დაერტყა. ისევ აამუშავა რატომღაც ძალიან ვახარებულმა მძღოლმა და საშინელი სისწრაფით დაძრა ადგილიდან. მატარებელი ახლოვდებოდა.

თემურმა გოგოს შეხედა. გოგო შეშინებული თვალებით უყურებდა. თემურმა ახლა გამოქანებულ მანქანას შეხედა და მერე მატარებელს. უკნიდან დაარტყა. მანქანა ძლიერი დარტყმისაგან წინ გავარდა. ხის შლაგბაუმი ვაგლიჯა და ინერციით ლიანდაგებზე გადავიდა. თემურმა სულ ახლოს უზარმაზარი ფანარი დაინახა. კარი გააღო და გადახტა. მატარებელმა შორს გადააგდო მანქანა. თემური ახლა ჰაერში



იყო და მატარებლის ქაჩს მიჰყავდა მის გვერდით. თემურმა ერთი წამით, ალბათ უფრო ნაკლებითაც, თავის თავს მოჰკრა თვალი მატარებლის ფანჯარაში. ხელით სცადა ჩაბლაუჭება და იღრიალა სიმწრისაგან. მატარებელი ნელ-ნელა ჩერდებოდა. ვოვო კიოდა. ვაოგნებულმა მემანქანემ საყვირი ჩამოსწია რატომღაც. ახლა გაჩერებული მატარებელიც კიოდა, თითქოს მთელი ქვეყნისათვის უნდოდა გაეგებინებინა ეს ამბავი.

— მცივა, — ვილაცას უთხრა თემურმა. ის ვერ მიუკარა.

თემური თოვლზე ეგდო და სისხლი იყო თოვლზე.

— მიშველე, — თქვა და ხელი გაი-

შვირა მისკენ. იმან იყვირა და უკან გაიქცა. მერე სხვები მივიდნენ თან და მანქანით საავადმყოფოში წაიყვანეს.

ის გზაზე მოკვდა ვილაც უცნობის მხარზე თავმიღებულად.

— როგორ მცივა. — თქვა სიკვდილის წინ.

ნახევარი საათის შემდეგ გზა გახსნეს. მთვრალეები დააპატიმრეს. მანქანები წაიღო-წამოვიდნენ. ხალხი გაიფანტა. აღარავინ და აღარაფერი არ იყო გარშემო თოვლის გარდა.

დღემიწას თეთრი და სისხლიანი პერანგი ეცვა.

გამოუსწორებელი

ენწმირა ჯიჯაბაძემ ავტობუსის გაჩერებაზე იდგა ურეხში. პატარა ჩემოდანი ეჭირა, სცხელოდა და საშინლად ბრაზობდა, კაციშვილი მანქანას რომ არ უჩერებდა. ენვერა ციხიდან ნახევარი საათის გამოშვებული იყო.

ციხის უფროსმა, ლოყებლაყლაყა შალიკო ქათამაძემ მაგრად ჩამოართვა ხელი, კიდევ უფრო გაწითლდა მოზღვევებული გრძობებისაგან და უთხრა: ანგელოზივით ბიჭი ხარ, ენვერა, შენისთანა არ მყოლია არავინ, იცოდე, აქ თუ მოხვალ კიდევ, მე ვიცი შენი პატრისცემა. გადაეხვია და აკოცა, მერე ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი მოიწმინდა.

სატრეელი კი ჰქონდა შალიკო ქათამაძეს. საქმე იმაში იყო, რომ ურეხის ციხეს „რამკიანი“ ქურდი არ ჰყავდა, ვისაც რა მოეპრიანებოდა, იმას აკეთებდა. იყო მთელი დღე ერთმანეთის ლანძღვა და ცემა-ტყევა. ვერაფერს ვერ უხერხებდა პატიმრებს ამხანაგი შალიკო. ლაითურის ბანაკის უფროსობიდან სულ რამდენიმე თვის დაქვეითებული იყო და ამით კიდევ უფრო მცირდებოდა პატიმრების თვალში.

ენვერა ჯიჯაბაძე რომ მოიყვანეს,

სულ სხვანაირად წავიდა საქმე. არა, ენვერა ქურდი არ იყო. უბრალოდ, საშინელი ძალა ჰქონდა და უსამართლობას ვერ იტანდა...

რომ მოიყვანეს, ერთი კვირის განმავლობაში იმდენი ძალადობა ნახა პატიმრებს შორის, რამდენიც მთელი მისი ცხოვრება არ ენახა გარეთ. თითქოს მთელი ქვეყნის საშინელებას ამ პატარა ციხეში მოეყარა თავი, ნახა ენვერამ, ცოტა ხანს უყურა, მერე ვეღარ მოითმინა და ერთი თვის შემდეგ მამის მკვლელები, ცოლწაგებულები, საკუთარი ოჯახების გამცლელები, ჯიბის ქურდები და ხულიგნები ერთმანეთს სულ თქვენობით ელაპარაკებოდნენ.

ოთხი წელი იჯდა ენვერა, ხოდა, ეწყინებოდა შალიკო ქათამაძეს ასეთი კაცის გაშვება, აბა რა იქნებოდა.

ენვერაზე პირველად მაშინ თქვეს „უბედური ჰყავს გამჩნისო“, ჩიტას ძმა რომ გალახა. ჩიტა ბათუმში განთქმული საღისტი და მკვლელი იყო. იგი ხალხს ჰრდიდა ისეთი იარაღით, რომელსაც ანკესივით მოკაუჭებული ჰქონდა

ჯავახლ მოღვაწე
გიორგი ბერიძე



თავი. კაცს რომ დაარტყამდა, „ინსტრუმენტი“ შიგნით რჩებოდა. კრილობა სასიკვდილოც რომ არ ყოფილიყო, ოპერაცია მარტო იმიტომ ხდებოდა აუცილებელი, იარაღი გამოეღოთ სხეულიდან. ჩიტა ორმოცი წლის იყო, ძალიან შავი და უსაშველოდ გამხდარი, ორჯერ მკვლელობისათვის იჯდა. დაჯარილი უამრავი ჰყავდა. ეს ოფიციალურად. ისე რამდენი ჰყავდა ჩიტას გაფუჭებული, ღმერთმა და იმან იცოდნენ მხოლოდ.

ენვერა ჯიჯავაძეს იმ დილით მკვდარი ღედა ესიზმრებოდა. კოცნიდა, ეხვეოდა ქალს, ეღიმებოდა ძილში. მერე უცებ ღედად მოიშორა ენვერი, ოთახის კარები გააღო და მე უნდა წავიდეთ, უთხრა. ენვერიმ სიზმარშივე იცოდა, რომ ველარასოდეს ვერ ნახავდა, „არ დამტოვო, ღედა, არ დამტოვო“, ტირილით ბიჭი ღედის მუხლებთან ჩაჩოქილი...

— ენვერა, ენვერა ბიჭო, ენვერა, გაიღვიძე, რა გატირებს ბიჭო! — ტირილითვე აღვიძებდა თემური, მისი ბავშვობის მეგობარი.

თვალეები გაახილა.

— ღედა, — თქვა ენვერამ.
— დაწყნარდი, ენვერა, შენი ჭირი-მე, — სლუკუნებდა თემური.

ენვერამ თავი გააქნია, ცრემლები ჩამოიწმინდა, ერთ ადგილს ჩააშტერდა, სიზმარი დაუდგა თვალწინ „ღედა“, გაიფიქრა და კიდევ ერთხელ მოუკვდა თითქოს, ისე ჩასწია გულმა. თემურს ახედა.

— შენ რა გატირებს, ბიჭო?

— არაფერი, — თემური ვერ ჩერდებოდა.

— რა არაფერი, — წამოჭდა ლოგინზე ენვერა.

თემური სკამზე დაეშვა, თავი ხელებში ჩარგო.

ენვერა მივიდა თემურთან და შეაჯანჯლარა.

— რა მოგივიდა.
— ამირანა.
— ვინ ამირანა.

— ჩიტას ძმა.

— რა.

— ჩემ ლეილასთან გაუვლია, — ძლივს დამარცვლა გულამოსკენილმა თემურმა.

— რა მოხდა, ბიჭო, მერე? — გაეღიმა ენვერას.

— გაუუპატიურებია, ბიჭო! — უფრო აბღაველა თემური.

სალოცავი იყო ლეილა თემურისი, ყურებამდე იყო შეყვარებული და საერთოდ მსოფლიოში ისეთი გოგო თუ დადიოდა, ვერ წარმოედგინა.

ჯერ გათეთრდა ენვერა, სულ გათეთრდა, მერე ფანჯარასთან მივიდა, ნაწვიმარ ქუჩას გადახედა, უცებ რაღაც სიმშვიდე ჩაედვარა მთელს სხეულს.

— ამირანამ, ბიჭო? — ძალიან ჩვეულებრივად ჰკითხა თემურს.

თემური განაგრძობდა ტირილს.

— გაჩერდი, — თქვა ენვერამ.

ისეთი რაღაც იყო მის ხმაში, რომ თემური უცებ გაჩერდა.

— ნამდვილად იცი? — ჰკითხა ენვერამ.

— ნამდვილად.

— წავიდეთ.

ამირანა ნავსადგურში ნახეს. გრძელ სკამზე იჯდა, სიგარეტს ეწეოდა, პლანჩის საყელო აეწია და ზღვას გაჰყურებდა.

— ამირან! — დაუძახა ენვერამ. ამირანი ზანტად ადგა და მივიდა.

ენვერამ რამდენიმე ნაბიჯზე გაიყვანა.

— ატყუებენ, ბიჭო?

— ვის? — ჰკითხა ამირანმა.

— თემურას, ბიჭო, ეგებ ატყუებენ?

— რას?

— იმას.

— ნაღვლია.

— მართალს ამბობ?

— სტა პრაცენტინი!

— მერე შენ და თემურა ასეთი ახლობლები რომ იყავით, ბიჭო?

— რა იყო მერე.

— რატო, ბიჭო? — ენვერა ისევ გათეთრდა.

— ბრილიანტის ბეჭედი რომ მოგცენ, არ აიღებ, ენვერა?

— თემურა?

— ქალი პარანოდია, ენვერა. როს გავა პორტიდან, კაციშვილმა არ იცის. ცინც მიუსწრებს იმ გემს, იგი ღვემ-გზავრება უახლოეს ნავსადგურამდე, — ეტყობა ვილაც იდიოტისგან გაგონილი, ღრმა ფილოსოფიური აზრი გაიმეტრა ამირანმა, შორს გახედა ზღვას და გადააპურკყა.

— ერთად გაიზარდეთ.

— მერე ახლა უფრო ახლობლები არ ვართ?

ენვერამ მოწყვეტით დაარტყა და სველ ქვაფენილზე გაშალა. წამოაყენა, ისევ დაარტყა და ადრინდელ პოზას დაუბრუნა.

— ხვალე კიდევ ვცემ, — დააშვინა და თემური და ნავსადგურიდან გაიყვანა.

„უბედური ჰყოლია გამჩენს.“

„ამირანას ცემას ვის შეარჩენს ჩიტა.“

„მოკლავს...“

ორი საათის შემდეგ მთელმა ბათუმმა იცოდა, ჩიტას ძმა ნაცემი რომ იყო, უმეტესობა ფიქრობდა, „ის უბედურიო“.

„ის უბედური“ ჩიტამ საღამოს ნახა „ბერგზე“.

ჩიტას სიამოვნებისაგან გაელიმა. მზით ისედაც გარუჯული ბიჭები ჩიტას დახახვზე სულ გაშავდნენ.

— მოი, მოი, — უთხრა ენვერას და კბილები გამოაჩინა.

ენვერა ბიჭებს გამოეყო.

— რატომ გამილახე ბრავი, — შესცინა ჩიტამ და გახეთქილად გახედილი „ინსტრუმენტი“ თავისი მარცხენა ხელის გულზე ორჯერ დაირტყა.

— იცი შენ, — უპასუხა ენვერამ.

— იმიტომ ხომ?

— კი.

— კიდო რატომ?

— კიდევ იმიტომ.

— იმიტომ ხომ?

— კი.

ჩიტამ გაშავებულ ბიჭებს გადახედა, ჩაიმუხლა და სიცილით მოკვდა. მერე წამოდგა და საშინელი სისწრაფით

მოუქნია ენვერას ბასრი რკინა. ენვერა განტანგვრდით, პიჯაკს და პეჯეტს შერჩა „ინსტრუმენტი“. ენვერამ მარცხენა ხელი დაარტყა, ჩიტა უგონოდ დაეცა. ბიჭებმა რალაც უცნაური ხმები ამოუშვეს.

ერთი თვის შემდეგ ჩიტა საავადმყოფოდან გამოწერეს. მოკლავდა, იცოდა ენვერამ, საავადმყოფოსთან დახვდა, ქუჩის კუთხიდან უთვალთვალვდა, მერე ჩიტასათვის სრულიად მოულოდნელად კუთხეს მოწყდა, მივარდა, დაარტყა და უკან შეაბრუნა საავადმყოფოში.

ჩიტა ახლა ორი თვე იწვა. საავადმყოფოდან გამოსული აქეთ-იქით აცეცებდა თვლებს, უცებ დაინახა ჩასაფრებული ენვერა და გაიქცა. მეორე დღით ენვერასთან ვილაც ხანში შესული კაცი მივიდა, ისიც ჩიტასავით შავი იყო და გამხდარი, ხმა არ ამოუღია, ისე მისცა პატარა ბარათი ენვერას.

„ენვერა, საავადმყოფოდან გამოიშვი. ნუ გადავეკიდებით ერთმანეთს. არ მიცნობ, არ გიცნობ. ჩიტა.“ — ეწერა ქალაღზე.

მართლა აღარ გაჰკარებია ჩიტა ენვერას. ქუჩაში რომ წააწყდებოდა, ელიმებოდა. ჩიტა თავს დახრიდა და სწრაფად გაივლიდა.

ენვერა მაშინ ჩვიდმეტი წლის იყო.

ხშირად კი ჩხუბობდა ენვერა, მაგრამ რალაც ბედად ციხეში არ ხვდებოდა. ოცდასამის იყო, რომ დაიჭირეს. სახლში ბრუნდებოდა საღამოს, ქარხნიდან. ქუჩაში ორი მუტრუკი ფეხებით შემდგარიყო თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭზე.

„საწყალი“, — ერთი გაიფიქრა ენვერამ და მიეხმარა. ის ორი მუტრუკი ქალაქის მთავარ საავადმყოფოში მოხვდა, ენვერა კი ურეხის „სასწაულში“ აღმოჩნდა. ასე ეძახდნენ ბათუმელები ამ „დასასვენებელ ადგილს“. საქმე ის იყო, რომ მუტრუკები ბიჭის მამა და ბიძა აღმოჩნდნენ. მისი მორფის კეთე-
ჯააალ თოფუჩიპა
მომთროზიპი

ბის ამბავი გაეგოთ და იმიტომ სცემდნენ...

ენვერას არავინ არ ჰყავდა, არც დედა, არც მამა, არც ცოლ-შვილი, ბებია ჰყავდა მხოლოდ. ისიც ენვერას დაპატიმრების ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ხშირად ნახვდით ბათუმის სანაპიროზე ბირჟავიკებში შერეულ სამოცდაათიოდე წლის წელში მოკაცულ, ჯოხზე დაყრდნობილ ქალს.

— წადი, ბებია, სახლში, — ეუბნებოდნენ ბიჭები.

— ვიქნები ცოტას კიდო, სუფთა ჰაერი, — ჰაერს აბრალებდა ბებია „გაბირჟავიკებს.“ ისე კი აქეთ-იქით იყურებოდა, იქნებ სადმე თვალი მოეკრა, როგორც თვითონ იძახდა, თავისი გადარეული ენვერასათვის. მამა უკანასკნელად ენვერამ ათი წლისამ ნახა, თბილისი-ბათუმის მატარებლისაკენ ვიღაც ქერათმიან ქალთან ხელკავგაყრილი, ნასვამი და საშინლად კმაყოფილი სახით მიმავალი. გამოეკიდა ენვერა და მიუსწრო კიდევ მატარებლის კიბესთან.

— სად მიდიხარ, მამა? — ჰკითხა გაკვირვებულმა ბავშვმა.

— სად მივდივარ? — თავის თავსაც და ენვერსაც დაუსვა კითხვა მამამ.

— ხო? — გაუღიმა ბავშვმა.

კაცი დაიხარა და აკოცა.

— მალე ჩამოვალ მამა მე, მალე, თბილისში საქმე მაქვს პატარა და ჩამოვალ, — თქვა და უხერხულად ჩაახველა მამამ.

მამა ავიდა. მატარებელი ერთი შეინჯღრა და ნელა წავიდა. ეგ იყო და ეგ.

დედა ენვერას, სკოლა რომ დაამთავრა, მაშინ მოუყვდა. ერთ თვეში მოკლა ფილტვის კიბომ.

ღრო გადიოდა. ენვერა ქარხანაში მუშაობდა. ერთხელაც ის შეეყარა ენვერას, პირველი სიყვარული რომ ჰქვია. მისი უბნელი გოგო იყო, ადრეც იცნობდა. იმ დღეს რატომ შეხედა სხვა თვალით, თვითონაც არ იცოდა. „რადაცნაირად მომესალმა“, ფიქრობდა ენვერა. არაფერი რადაცნაირად არ მი-

სალმებია ის გოგო, უბრალოდ, თვითონ შეხედა მართლა რადაცნაირად შეხედა და რამდენიმე დღის შემდეგ ინსტიტუტთან დახვდა ლექციების მერე. სახლამდე მიაცილა რუსიკო. მერე კიდევ შეხვდა. მერე ზედიზედ რამდენიმეჯერ დაბოლოს როგორც იქნა აკოცა. ერთი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს.

„ამ დღეებში მივალ და ერთჯერ მამამისს, ცოლად რომ მიიღო, რა მოხდა მერე, უპატრონო რომ ვარ“, — ფიქრობდა ენვერა, მაგრამ აღარ დასცალდა, განზრახული სისრულეში მოეყვანა. არც რუსიკომ მოიკლა თავი ლოდინში. ენვერას დაპატიმრების ზუსტად წლისთავზე ხორცკომპინატის ახალგაზრდა და პერსპექტიულ საამქროს უფროსს, ტარიელ ბოცვაძეს გაჰყვა ცოლად. „შოთა რუსთაველი“ ნელა გაუყვა ოდესისაკენ. გემბანიდან რუსიკო ხელს უქნევდა ძველ და ახლად შეძენილ ბედნიერ მშობლებს.

ენვერას ბებიას სიკვდილი და რუსიკოს გათხოვება ყველამ იცოდა ციხეში ენვერას გარდა. ენვერას არ ეუბნებოდნენ. ბოლოს ერთმა მაინც წამოსძახა, ჩვენ რომ გვასამართლებ აქანე, იქინე მოგველო იმ „ნაშიზაო“. ენვერამ ხელში აიტაცა და კედელზე მიაყუდა.

— რა მოხდა, ბიჭო? — შეევედრა უცებ.

— დამიშვი, ენვერა, ძირს.

— რა მოხდა, ბიჭო?

— დამიშვი ძირს.

ენვერამ დაუშვა. იმან სიგარეტს მოუკიდა, გაიარ-გამოიარა საკანში.

— მცემ, რო გითხრა? — ჰკითხა მერე.

— რატომ უნდა გცემო, ბიჭო?

— სიტყვა მომე, რომ არ მცემ.

— სიტყვას გაძღვე, — მოუთმენლად იძახდა ენვერა.

— ყველა გიმალავს და მე გეტყვი. ამისთანა ამბავი უნდა იცოდეს ამან, — სხვებს გადახედა ამაყად.

— თქვი ახლა.

— გათხოვდა ის შენი რუსიკო, — თქვა და გაფითრდა შიშისაგან.

ენვერა ნელა დაეშვა იატაკზე დაჯდა. კარგა ხანს იყო ასე ჩუმად.

— შენ რაზე უნდა მეცემე მაგის გულისთვის, — თქვა მერე. ნარზე ავიდა და დაწვა. ხმა აღარ ამოუღია.

ბებიას ამბავიც ერთ კვირაში შეაპარეს.

— ე, გააჩერე! — გასძახა მანქანას ენვერამ.

ვიღაც დალოცვილმა გააჩერა. სულ ქალბატონი იყო მძღოლი.

— სად მიხვალ?

— სახლში, — უპასუხა დაუფიქრებლად ენვერამ.

— როგორ გავიგოთ მაგი.

— ზღვისპირზე გავიდეთ.

— საიდან მოდიხარ, ჯო.

ენვერას შერცხვა სიმართლის თქმა.

— ნათესავთან ვიყავი ურეხში.

— რა გვარის ხარ.

— ჯიჯავაძე.

— ბიძაშვილი მომიკლეს ჯიჯავაძეებმა ორი თვის წინ. — ცოტა ფიქრის მერე უთხრა მძღოლმა.

— მაშინ ურეხის „სასწაულიდან“ მოედვიარ, ზიბიდან დანა რომ გიჩანს, ამოიღე და დამარტყი, ხელის გამძვრევი არ ვარ. უკან დაბრუნებას მაგი მირჩევნია. — ნერვიულად და სწრაფად თქვა ენვერამ. მძღოლმა უკან მიხედა და მიხვდა, ენვერა სიმართლეს რომ ეუბნებოდა.

მანქანა სანაპირო ქუჩაზე გავიდა მალე, ხმა არც ერთს არ ამოუღია. ენვერამ სახლთან გააჩერებინა, მანქანიდან გადმოვიდა და სამამანეთიანი გაუწოდა.

— არ გრცხვენია? — უთხრა ქალბატონმა.

— გამომართვი.

— ფულს იქით მოგცემდი, ჯიჯავაძე რომ არ იყო, ბიძიკო! — თქვა და მოწვევით მანქანა ადგილს.

თვალი გააყოლა ენვერამ. „არის კარგი ხალხიო“, გაიფიქრა და სახლში შევიდა.

კარების ვაღების შემდეგ რაც ვიღაც ველად მოხვდა, დაგუბებული იყო. ენვერას საკანი გაახსენდა. ფანჯარა გაიღო. მერე ოთახს მიუბრუნდა. ბებია კედლიდან უღიმოდა. ენვერამაც გაუღიმა, ისე როგორც ცოცხალს. მერე ბებიას კარდა გაიღო, მის ძველ და შვე კაბებს გადახედა. ბებიას ნაქონი პატარა ყუთიც იღო შიგნით. კოჭის ძაფებს და ნემსებს ინახავდა ბებია ამ ყუთში. მეტი აბა რა უნდა შეენახა.

ფრთხილად გახსნა ენვერამ ყუთი, ოღონდ გაყვითლებული ქაღალდი ნახა. ვაშალა ქაღალდი.

„ბებია, — ეწერა ზედ, — არავინ არ მყავს მე შენს მეტი. ამ წერილს მე ვჩივი და ჩვენი მეზობელი ცაცა წერს. უნდა იცოდე, ბებია, და რუსიკო ვათხოვდა, ასე უნდოდა აღბათ ღმერთს, არ აცალეს, თლად ყველაფერში მაგიც არაა დამნაშავე. მოლოდინი ყველას არ შეუძლია. კაი გოგოს ნახავ კიდევ. თავს მიხედე ოღონდ, შენი ჭირიმე. რომ გამოხვალ მე შეიძლება აღარ დაგხვდე. თავს ნურც მაგაზე მოიკლავე. ჩემი სული შენთან ერთად იქნება სულ. აგი წერილი, ცაცას რომ ნახავ, იგი გეტყვის, სად იღობა. ცაცას კიდო ჩემი ოქროს ბეჭედი ექნება, ბაბუაშენმა რომ მაჩუქა ე მაშინ, გეიკეთე ხელზე და ატარე, შეიძლება ვიწრო იყოს შენიზა, მარა ნეკა თითზე მაინც ჩაგეტევა. ბებია, ნუ გამოესარჩლები ყველას, უსამართლობაზე თვალს ნუ დახუჭავ, მარა ნურც გადაირევი. ხომ ხედავ, რა გიქნა მაგ ამბავმა. აგი ოთახი არ დაკარგო შენ, აქანე ჩაწერილი ხარ და გეკუთვნის. მუშაობა დაიწყე და იქნება დაუსწრებელზეც ჩააბარო, შენ შემოგველე. შენისთანა გახსნილი ტვინი რომ მქონოდა, ქალი ვარ, მარა მინისტერი ვიქნებოდი ანდა პროფესორი. ცოლი შეირთე, მეგობარი და მომეღელი ვინდა. იმ ოქროს ბეჭდის და ამ ოთახის გარდა, ვერაფერს ვერ გიტოვებ. მენა-

ტრები ძალიან, ნამეტანი. მენატრები, შენს სურათს ვკოცნი. მშვიდობით ბე-
პია. მოგიკვდეს ბებია შენ, ჩემო კეთი-
ლო ბიჭო“. ენვერამ დაამთავრა წერი-
ლის კითხვა, ბებიას ლოგინზე ჩამო-
ჯდა, მერე დაემხო ლოგინს.

საქანში გატარებული, ტყუილად
დაკარგული ოთხი წელი, რუსიკო და
ბებია სულ ერთად გამოიტირა.

ორი თვე იყო გასული, რაც ენვერა
სუფთა ჰაერს ყლაპავდა, მაგრამ ნაღ-
დად არ ყოფნიდა მარტო სუფთა ჰაერი.
ორი თვის განმავლობაში ეძებდა სამუ-
შაოს, ბირველად თავის ძველ ქარხანა-
ში მივიდა.

— ენვერა, ხო იცი, ბიჭო, როგორ მი-
ყვარხარ, — უთხრა ენვერას დანახვაზე
ცოტა შეშინებულმა ქარხნის კომკავში-
რის მდივანმა.

— კი, — უპასუხა ენვერამ.

— დაჯექი, ბიჭო, რას ღვახარ.

ენვერა დაჯდა.

— ხოდა, რომ იცი როგორ მიყვარ-
ხარ, მაგიტომ უნდა გამოიგო.

— რა? — ჰკითხა ენვერამ.

— რა და, — გაიხეღ-გამოიხედა კომ-
კავშირის მდივანმა, თითქოს არ იცოდა,
არაფერ რომ არ იყო ოთახში იმათ გარ-
და.

— რა და, ხომ იცი ამათი ამბავი, —
თავი გვერდით გადაიქნია, რითაც უფ-
როსებისაკენ მიანიშნა, — შემჭამენ,
რომ წარგადგინო. რა ქენი იცი შენ,
პირდაპირ დირექტორთან შედი.

— რა გნებავთ, — უკმეხად ჰკითხა
დირექტორმა, მაღალმა და გამხდარმა
კაცმა, უკმეხად უთხრა, მაგრამ სიტყვა
„გნებავთ“ არ დაეწყებია, იმიტომ რომ
კარგად ახსოვდა, დირექტორი იყო.

— მე ჯიჯავაძე ვარ, ენვერი.

— მერე? — ჰკითხა დირექტორმა და
ნეკა თითოთ მარჯვენა ყური კარგად
შეარხია.

— თქვენთან ვმუშაობდი.

— არა უშავს,

— მერე დამიჭირეს და ერთი ოთხი
დღეა გამომიშვეს.

— მერე? — სიტყვა „მერე“ ძალიან

უყვარდა დირექტორს. ერთი თანამ-
დებობის პირის კაბინეტში მუშაობდა
გახდა ამ თანამდებობის პირის და ქვე-
შევრდომის ლაპარაკისა. უფროსი „მე-
რეს“ ხშირად ხმარობდა, თანაც ისე,
რომ ამ სიტყვით ხაზს უსვამდა, ისიც
ვიცი, მერე რა უნდა თქვა და საერთოდ
ყველაფრის აზრზე ვარო. ხოდა ამის
მერე, სიტყვა „მერეზე“ გიყვებოდა
დირექტორი.

— ისევ აქ მინდა გავაგრძელო მუ-
შაობა.

— მერე?

— მერე არაფერი, — თქვა ენვერამ
და გაიჟმდა.

— ენვერი ჯიჯავაძე, — ჩაიბურღ-
ლუნა დირექტორმა, დაფიქრდა, — ააა,
ორი კაცი რომ სცემე, არა? — გაახსენდა
ბოლოს.

— კი, — დაიმორცხვა ენვერამ.

— ბიჭო, ვერ თქვა ადრე, ამდენს
რომ მაღაპარაკებ?! — წამოდგა დირე-
ქტორი.

— როგორ ხარ ისე, ბიჭო? — ხელი
მაგრად ჩამოართვა.

— არა მიჭირს რა.

— დაჯექი, რას ღვახარ.

— მადლობთ, არ მინდა, — დაიმო-
რცხვა ენვერამ.

— დაჯექი, რომ გელაპარაკებო.

— მეყოფა, ოთხი ვიჯექი, — ხუმ-
რობა სცადა ნაციხარმა.

— დაჯ! — მოკლედ და ძალიან შინა-
ურთულად უთხრა დირექტორმა, ისე,
როგორც, ვთქვათ, მამის უახლოესი მე-
გობარი გეტყვის, ვითომ მოფერება-
გაბრაზებით.

— ენვერა დაჯდა.

— როგორა ხარ, რა არის ახალი, —
ნაძალადევი ღმილით ჰკითხა დირექ-
ტორმა და სიგარეტის კოლოფი გაუ-
წოდა (ეს ექსტი ფილმებიდან ახსოვ-
და).

— მადლობთ, არ მინდა.

— მოწვი.

— არ მინდა.

— მწ! — იმავე ინტონაციით, მოფე-
რება-გაბრაზებით უთხრა.

ენვერამ სიგარეტი ამოიღო და მაგღ-
დაზე დადებული სანთებელათი მოუცი-
და.

- რას შეგები, ბიჭო, რას?
- რას უნდა ვშვებოდე, გამოვედი
და მოვედი.
- დაგესვენა, ბიჭო, ცოტა.
- როგორ?
- როგორ ისვენებს ხალხი, წასუ-
ლიყავი სადმე, რა ვიცი, სოფელში სა-
დმე.
- სოფელი არ მაქვს.
- მაშინ სადმე, ისე.
- რა ვიცი, — თქვა ენვერამ და რას
მასვენებსო, გაიფიქრა.
- სხვა ჰა?
- რა ვიცი.
- ჯანმრთელობა ხომ კარგად?
- არა უშავს.
- ოჯახში ხო ყველა კარგად?
- არავინ არ მყავს ოჯახში.
- ოხ, სულ დამავიწყდა! — შეწუხ-
და დირექტორი. — ძნელი იყო ალბათ.
- რა.
- იქ.
- კი.
- პირველ ხანებში ალბათ უფრო.
- კი.
- მდაა, — გააგრძელა, — რა იყო,
ენვერი, რაზე შეწუხებულხარ, გენაც-
ვალე?! — ენვერამ გაკვირვებულმა
შეხედა, მერე იფიქრა, ალბათ ვერ ვაი-
გო ჩემი თხოვნაო და გაუმეორა.
- აქ მინდა ისევ მუშაობის დაწყება,
დახასიათება კარგი მაქვს, — ენვერამ
ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქალაღი
ამოიღო.
- აჰ, — შეიცხადა დირექტორმა —
აქ, ბიჭო?
- ხო.
- სო იცი, მე შენ როგორ მიყვარ-
ხარ?
- ენვერამ არაფერი არ უპასუხა.
- მე მგონი, შენც პატივს მცემ. ხო-
და, იყო პატივს მცემ, ნუ დამღუპავ,
ბიჭო!
- რატომ?
- დირექტორმა ზუსტად ისე მიიხედ-

მოიხედა კაბინეტში, როგორც კომპა-
შირის მდივანმა.

- ბიჭო, — ხო იცი ამათი ამბავი, —
ხმას დაუწია და თავი მარცხნივ გა-
დააგლო, ქვეშევრდომებზე მიანიშნა.
- დამიწერენ, ნაციხარი მიიღო, გა-
მაფუჭებენ, ბიჭო.
- უფლება გაქვთ ნაციხარის მიღები-
სა, აი დახასიათება.
- მერე?
- რა მერე.
- მერე დახასიათებით ვირბინო
მთავრობაში?
- ენვერა ადგა სავარძლიდან. დახასია-
თება გულმოდგინედ დაკეცა, გულის
ჯიბეში ჩაიღო, — დირექტორიც ადგა.
- ბოღში, — თქვა ჩუმად ენვერამ.
- არ გეწყინოს, ბიჭო, — დირექ-
ტორი კარებისკენ მიმავალს გაჰყვა.
- მეიცა, — გაახსენდა უცებ, —
აგერ შენ პაპიროსიზა, — სწრაფად ამ-
ოიღო ფული ჯიბიდან.
- ჩეიღე.
- ენვერამ ხელი ჩაუწია.
- ჩეიღე, რომ გელაპარაკები.
- ენვერამ კიდევ ჩაუწია ხელი.
- ჩღ! — ისევ მოეფერა და გაუმ-
რაზდა, თან თვალეში შეხედა.
- ენვერას საშინელი თვალეი ჰქონდა.
- მამასავით, — წაილულულა შე-
შინებულმა დირექტორმა.
- ენვერა გავიდა.
- დირექტორი მიხურულ კარებთან
იდგა, თუმნიანი ეჭირა ხელში და „გუ-
ლში არ ჩეიდოს ამ უპატრონოვო“,
ფიქრობდა.
- კიდევ რამდენიმე ადგილას მივიდა
ენვერა, ყველგან უარი უთხრეს. ორი
თვე კი გავიდა ამ სირბილში.
- „მეთევზედ წავალ, მაგის დედაც ვა-
ტირე“, — გადაწყვიტა იმ დღეს ენვე-
რამ.
- კანტორაში მივიდა. დირექტორი
ერთ-ერთ ბრიგადას გაჰყოლოდა ზღვა-
ში.

ჯამალ თოფურიაძე
მოთხრობები

— მეთევზე გჭირდებათ? — ჰკითხა ენვერამ მდივან ქალს.

— მაგი დირექტორის საქმეა, გენაცვალე, — გაუღიმა სანდომიანმა ქალმა.

— როდის იქნება?

— ზემამდე არ იქნება, გენაცვალე. — ისევ გაუღიმა.

— მადლობთ, გენაცვალე, — გაუღიმა ენვერამაც. ქუჩაში გავიდა ისევ და ძალიან მოშივდა. თემურს და ბიჭებს სანამ ვერ ნახავდა, ვერ შეჰკამდა. ბულვარში გავიდა, მალე გამოჩნდა თემური და კიდევ ერთი.

— წავიდეთ, ვჭამოთ, — უთხრა მეორემ. მეგობრები იყვნენ და არ რცხვენოდა იმათი, მაგრამ ახლა რაღაც სხვანაირად მოეჩვენა „წავიდეთ ვჭამოთ“, — და არ წაჰყვა.

— ნაჭამი ვარ, — თქვა და მშიერ კუჭს სიგარეტის კვამლი დაამატა.

— ქობულეთში არ წამოხვალ? — ჰკითხა მეორემ.

— რა მინდა ქობულეთში.

— ნაშებიზა.

— არა, — თქვა ენვერამ და გაახსენდა ოთხი წლის შემდეგ პირველად რომ ნახა თავისი ძველი „ნაშა“ გორკის ქუჩაზე.

ეთერმა გადაკოცნა, მოიკითხა და უთხრა: — ამოდი ჩემთან ამ საღამოს, მოშიებულნი იქნები შენ.

— საჭმელიც მაქვს და სასმელიც, — იწყინა ენვერამ.

— მაგას ვინ გეუბნება, შე შტერო, არ გაქვსო, ისე იქნები მოშიებული.

— ამოვალ, — გაუხარდა ენვერას.

— არც მახანია იქნება სახლში და არც პახანია (მახანია დედას ნიშნავდა, პახანია — მამას).

ავიდა ენვერა შავთვალა და დიდმკერდიან ეთერთან იმ საღამოს და მართლა მოიკლა შიმშილი.

— არ წამოხვალ, აბა? — ჰკითხა თემურმა.

— არა, — ენვერა ადგა, სახლისკენ წავიდა.

შუა გზაზე იყო, რომ გაახსენდა თავისი დაღაგებული ოთახი და საშინელი

სიმარტოვე იმ ოთახში, ერთი ატყურე-ლი სიმარტოვე. ზღვისკენ გაბრუნდა.

შუადღეს გადაშორებული იყო. პლაჟზე არ იყო ბევრი ხალხი. ენვერა სულ ნაპირთან მივიდა, გაიხადა და გაიშალა თბილ ქვებზე. „თბილისში წავალ“, ფიქრობდა ენვერა. „მეთევზედაც თუ ვერ მოვეწყვე, თბილისში წავალ, სამართალს მაინც ვიპოვი. მასე კი არაა მართლა საქმე, დახასიათება კარგი მაქვს“.

— სიგარეტი ხომ არ გაქვს, ბაბუა. — ჰკითხა ვიღაცამ.

ენვერამ შეხედა შეზლონგზე მჯდომ ჰალარა, პატარა და ძალიან სასაცილო ბაბუას. პატარა იყო და დიდი თავი ჰქონდა, საწყლად იყურებოდა და ძალიან საყვარელი იყო ამიტომ.

ენვერამ ორად გადაკეცილი შარგლის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მიაწოდა.

— გმადლობთ, ჭირიმე.

ენვერამ მოუკიდა.

პლაჟის ზემოდან რამდენიმე ბიჭმა და გოგომ ჩამოირბინა, ბურთის თამაში დაიწყეს. ენვერამ შეხედა. არც ერთს არ იცნობდა. თბილისელები იყვნენ. ენვერასაც მოუწონდა თამაში. ბურთი შემთხვევით სასაცილო მოხუცის შეზლონგს მოხვდა. ერთ-ერთმა ბურთი აიღო, თან მოხუცს შეხედა და სიცილი წასკდა.

ყველამ მოხუცს შეხედა, ყველას ვაცინა. ენვერასაც გაეღიმა.

ცოტა ხანში ვიღაცამ „ტოპკა“ დაარტყა, მოხუცს თავში მოხვდა, სათვალე გადაუვარდა.

— რას გავს ეს! — თქვა გაბრაზებულმა. ენვერამ სათვალე მიაწოდა. მოხუცმა გაზეთის კითხვა განაგრძო. ბოდიში მოუხადეს. ისევ განაგრძეს თამაში. თან იცინოდნენ.

კიდევ მოხვდა მოხუცს ბურთი. კიდევ ბოდიში მოუხადეს. იცინოდნენ. ენვერას აღარ ეღიმებოდა.

ორი წუთი არ იყო გასული, მესამედ რომ მოარტყეს თავში. სიცილით კედე-

ბოდნენ. ახლო მსხდომნი „აღშფოთდნენ“, ოღონდ ჩუმად.

— მორფიანი პაპიროსი ექნება მაგათ მოწეული, — თქვა მოხუცმა ვაბრაზებით.

მეოთხედ რომ მოარტყეს ბურთი, ენვერა წამოდგა და „არ გინდათ მაგფერი ამბავიო“, მოთამაშეებს გასძახა.

ისინი იცინოდნენ. ქვებზე ეყარა სიცილისაგან ზოგი.

მოხუცს ისევ რომ მოხვდა ბურთი თავში, ენვერამ ჯერ იმათ და მერე სასაცილო ბაბუას შეხედა, სასაცილო ბაბუა ჩუმად ტიროდა.

მერე რა მოხდა, ენვერას არ ახსოვდა. ერთი გაიხსენა მხოლოდ მოგვიანებით — ვიღაც გოგო მის წინ დაჩოქილი, ფეხებზე შემოხვეული რომ ემუდარებოდა, ძმას ნუ მომიკლავო.

ხუთი ბიჭი სცემა ენვერამ. ერთს ყბა ჰქონდა მოტეხილი, ერთს ნეკნი ჩატეხილი და ერთი უაზროდ ლაპარაკობდა. ორი გადარჩა. ენვერა ვერ გადარჩა მხოლოდ. დაჰიბრეს. ამ სამიდან ორმა, ვისაც ტვინის შერყევა და ყბა ჰქონდა მოტეხილი, სასამართლოს წინ ჩვენებები შეცვალეს, თავს იცავდნენ, თქვეს. ნეკნი ვისაც ჰქონდა ჩატეხილი, ვირზე შეჯდა, კასტეტი ჰქონდა მაგას, ისე რას დამაკლებდაო. მოხუცმა სასამართლოზე ბევრი იძახა, მე დამიცვაო, მაგრამ ენვერას ვერ უშველა მაინც. ენვერ ჯიჯავაძე აღრე ნასამართლევი იყო.

— ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, — გამოაცხადა ვანაჩენი მოსამართლემ და რა ვქნა, ამაზე ნაკლებს ვერ ვიზამდიო, ენვერას თვალებით უთხრა.

— შენი ჰირიმე, შენი, — შეეგება ციხის უფროსი შალიკო ქათამაძე ენვერას.

— როგორ ხარ, ბიჭო?

— გადასარევიად, — უპასუხა ენვერამ.

— იმისთანა ადგილი მოგინახე ჰაერთან ახლოს, ზედა ნარზე.

— მადლობთ, — თქვა პატიმარმა.

— მართალი რომ გითხრა, თან მეწყინა და რავა ვთქვა, თან მესიამოვნა...

— რა გესიამოვნა, შალიკო.

— რა ბიჭო და არ ვარგივარ ნოდ. წახვედი თუ არა, იმ დღიდან ძალი პატრონს ვერ ცნობს აქანე. არიან ისევ ერთმანეთის ცემა-ტყემაში. მომხსნიან, ბიჭო, ულუკმაპუროდ დამირჩება ოჯახი.

— მერე? — ჰკითხა ენვერამ და ქარხნის დირექტორი გაახსენდა.

— მერე ის, რომ, შენი ჰირიმე, შენ მოუვლი მაგათ!

— წავედი.

— ენვერა, მაგი ბეჭედი მოიძრე და დამიტოვე, წასვლის წინ მოგცემ, შენი ჰირიმე, ხომ იცი, არ შეიძლება. — სთხოვა ციხის უფროსმა, ვიდრე საკანში ვაგზავნიდა.

— თითს თუ მომიპირი, შალიკო, წაიღე, ბეზიას დატოვებულა, — უთხრა ენვერამ.

ენვერა ზედა ნარზე იწვა გისოსებიან ფანჯარასთან და ვარსკვლავებიან ცას უყურებდა.

ორი „ძველი“ ერთ „ახალს“ დედას აგინებდა საკნის მეორე ბოლოში, ერთ-ერთი შიგადაშიგ სილას ურტყამდა და ეუბნებოდა: ზეგ პასლენდი სროკია, ზეგე მაყუთი აქანე უნდა იყოსო.

„დაუხოცია მთელ ქვეყანას ერთმანეთი“, — ფიქრობდა ენვერა თავქვეშ ხელეზამოდებული. — „გადაუშლეთი ერთმანეთი, გადამწვარან ერთ დღეს. ჩაგოზონ ერთმანეთი. დედა ვატირე ყველასი“.

ორი თავისას აგრძელებდა. მესამე ტიროდა. დანარჩენი ოცი ჩუმად იყო.

მეიტან, ტკც, მეიტან, ტკც. — მონოტონურად ისმოდა საკანში ქვითინის აკომპონიმენტი.

„მოკლან, — ფიქრობდა ენვერა, — მოსაკლავია, აბა რა უნდა აქ!“

„მეიტან, ტკც. მეიტან, ტკც“.

ენვერა წამოიწია, ნარიდან ჩამოვიდა, საკანი გალიარა.

— რას ერჩით? — ჰკითხა მჩაგვრელებს.

— წაგებულშია, — ისე თქვა ერთმა, არც შეუხედავს ენვერასათვის.

— რამდენშია.

— ორმოცდაათი მანეთი გუშინწინ აქანე უნდა ყოფილიყო.

— დაანებე თავი, — თქვა ენვერამ.

— შენ ქურდი ხარ, ძამა?

— ამ ციხეს არ ჰყავს ქურდი, — უთხრა ენვერამ.

— ფუფლოა აგი.

— ზეგამდე ხო მიეცით დრო.

— არც ზეგ მოატანიებს.

— მე მაქვს მაგის ვალი და მე მოგცემთ ზეგ.

— გარედან შემოგყვა ვალი, ძამა?

— მაგი შენი საქმე არ არის, საიდან შემომყვა, მოგცემთ მაგის ფულს.

— ატვეჩაი ხარ შენ სიტყვებზე?

— ატვეჩაი ვარ, — უთხრა ენვერამ და გაბრუნდა.

— მეიტან, ტკც. — გაიგონა ისევ.

ერთს მარცხენა ჩაავლო ქეჩოში, მეორეს მარჯვენა, მაგრად მიართყმევიანა თავები ერთმანეთს. ერთი დაეცა. ენვერამ სწრაფად წამოაყენა წაგებული და გამწარებულმა უთხრა:

— მოგცემ ფულს და მიაშავე ამათ. თუ არ შეგიძლია, ნუ თამაშობ. თვარა ამათზე უარესი დღე დაგადგება, ნაბიჭვარო, შენ.

წავიდა ენვერა თავის ნარისკენ.

— დარჩენილა კარგი ხალხი ამ ქვეყანაზე, — თქვა ვილაკამ.

ენვერას ქალარა მძლოლი გაახსენდა, ნარზე დაიწყო აძრომა. უცებ ვიდრე იყვია. თირკმელთან ბლაგვი სხული შეუვიდა ენვერას, საშინლად აეწვა ხორცი. ენვერა შეტრიალდა, დანა გამოვიდა ტანიდან და ენვერას მკერდში ჩაჭრა ახლა. ენვერას ხელით ვინც წაიქცა, სისხლიანი დანა ეჭირა ხელში.

— მომკალი? — ჰკითხა ენვერამ.

იმან ისევ მკერდში ჩაართყა.

— მომკალი, — გაიმეორა ენვერამ.

კიდევ ჩაართყა.

სისხლი იღვრებოდა იატაკზე. საკანი ფეხზე ადგა. ისე ერთდროულად ადგა საკანი, როგორც სუფრაზე დგებიან გარდაცვლილის შესანდობარზე.

ენვერა ძლივს აბობღდა ნარზე, მერე გისოსებს ჩაეჭიდა, ჰაერი ღრმად შეისუნთქა, გახურებული სახე ცივ რკინას მიაბჯინა.

— რატომ გამაწვალე, — რალაცას თუ ვილაცას უთხრა ენვერამ.

მის გამხდარ დაწვებზე ნელა ეშვებოდნენ ცრემლები.

— რა დავაშავე.

სიცოცხლე სისხლთან ერთად გამოდიოდა სხეულიდან. ენვერა მოწყდა გისოსებს და იატაკზე დეწვა. ჯერ დედა დაინახა. მერე ბებია, მერე მოკვდა. საკანი დაჯდა.

— „მაბატიე, ენვერა, ბიჯოო...“ — ბლაოდა წაგებულთ.

თბილოდა გარეთ. ზღვიდან უბერავდა. იყო ძალიან კარგი სადამო.

გოგია

„უსამართლოდ, გოგია, უსამართლოდა, ბავშვები შეიცოდენ, ბიჭო“. თვეში ერთხელ მაინც ესმით მეზობლებს გოგიას ბინიდან გამოსული მისი ცოლის მარინას მოთქმა, ბავშვების წივილ-კვილი: დედააა, დედააა...

ამ დროს ყველამ იცის, რომ გოგია მთვრალია და მარინასა სცემს. არავინ

შედის მეზობელთან, არავინ ესმარება, იმიტომ, რომ კარგად ახსოვთ გოგიას ხელი ერთი მოხმარების დროს. კიდევ იმიტომ არ შედიან, რომ გოგია ხუთ წუთში ქალის ცემას მორჩება, გარეთ გამოვა, წელს ზევით შიშველი, უზარმაზარი, ბანჯგვლიანი და თვალეზამღვრეული. ღრმად შეისუნთქავს ღამის

სუფთა ჰაერს, ხის აივნის მოაჯირს დაეყრდნობა, სიგარეტს მოსწევს, მერე ისევ ოთახში შებრუნდება და დაწვება.

გოგია ორმოც წელსაა გადაცილებული, მართლაც უზარმაზარია, „ბობრიკი პრინოსკა“ აქვს და ტაქსზე მუშაობს. დალევა უყვარს, ოღონდ თავს იკავებს, იცის თავისი მურალი სიმთვრალის ამბავი. მხოლოდ თვეში ერთხელ თუ დალევს თავის „ბიჭებთან“ ერთად და სწორედ იმ დამეს არის ხოლმე წიოკი მის ბინაში.

„როცა ფხიზელია, ეგეთი არც არავინ არის ჩვენს უბანშიო“, — მეზობლები იძახიან გოგიაზე. ნამდვილად ვერცა. დამის სამი საათი რომ იყოს, არავის მოერიდება მისი გაღვიძება. გოგია ადგება, თავის ძველ პობედასაც გამოიყვანს ეზოდან და ისე წაყვება კაცს ქვეყნის ბოლომდე, ერთს არ გაიფიქრებს გულში, „რა დროს კაცის ლოგინიდან წამოყენება არისო“.

ეზოში ყველა ბავშვის დაბადების დღე ახსოვს გოგიას. ბავშვებიც ყველაზე მეტად მის სამუშაოდან დაბრუნებას ელოდებიან. ძია გოგი კარგ საჩუქრებს მიუტანს.

ძმაკაცებზე ხო „გადამკვდარია“, როგორც თვითონ იძახიან ძმაკაცები. გამოორჩეულად უყვართ.

„უკანასკნელს გაიხდის და მოგცემს“.

„ტანკს გადაუდგება შენი გულისთვის“.

„რეისავიკივით ვაყკაცია!“ — ამბობენ ტაქსის შოფრები.

ტანკზე არა, მაგრამ ტყვიანზე ორჯერ მართლა გადამდგარია გოგია ძმაკაცის გულისთვის, ქორწილში. მუცელზე და მკერდზე მარჯვენა მხარეს ორი დიდი იარაც აქვს. მეორედ რომ დაიჭრა, სწორედ იმ ქორწილში, სადაც მარინე გაიცნო, ბიჭებმა ზედმეტ სახელად „მატროსოვი“ დაარქვეს.

ოჯახშიც ხო უყვართ და უყვართ, განსაკუთრებით მარინას და უმცროს გოგოს. ბიქს ისე არა (ყოველ შემთხვევაში, გოგია ეგრე ფიქრობს). „რად გა-

ლაზე დედაო“, მწყერალად რომ ეტყვის ბიჭი, გოგია ბავშვივით თავს ჩაღუნებს. მერე ყელში ცრემლი მოადგება ბავშვის და ქალის სიბრალულით. გულზე უზარმაზარ მჯიღს დაიკრავს, „ვახ ჩემოო“, ჩუმად იტყვის და სახლიდან გავა.

ის ქორწილი სულ ახსოვს გოგიას, სადაც მეორედ დაიჭრა და სადაც მარინა გაიცნო. „რეისავიკ“ ანზორას ქორწილი იყო წყნეთში. ხალხიც უამრავი იყო, მანქანებიც და დაქირავებული დამკვერელებიც. გოგია ბიჭებში იჯდა, სვამდა, დუღუქი „პატარა გოგო დამეკარვას“ უკრავდა, მომღერლები მღეროდნენ, გოგია უკვე შეზარხოშებული იყო, ამ სიმღერაზე თავისი მანანა გაახსენდა, ძალიან რომ უყვარდა და ჯარიდან დაბრუნებულს გათხოვილი რომ დახვდა, ბოლმა მოაწვა გოგიას, არადა ისინი ხმამალა მღეროდნენ „პატარა გოგო დამეკარვა წითელპერანგო“, მანანას წითელი პერანგიც ახსოვდა გოგიას, ძალიან კარგად ახსოვდა და ამან სულ ვადარია, კინაღამ ტირილი დაიწყო. ღვინო დაისხა და დალია. მანანას დაკარგვა კარგა ხნის ამბავი იყო. იმის მერე გოგიასთვის ცოლის მოყვანაზე არავის არაფერი უთქვამს.

დალია გოგიამ ღვინო, თავი ასწია, მის წინ მანანა იდგა.

— გოგია, გაიცანი და გვერდითაც დაისვი, — ეგაც და ამის დაც ჩვენი ანზორას ცოლის ნათესავეები არიან, — აუხსნა მასპინძელმა.

— მობრძანდით, დაბრძანდით, — წამოდგა დაბნეული გოგია, ქალები დასხდნენ.

„როგორა ჰგავს“, — გაიფიქრა და ისიც ნელა დაეშვა სკამზე.

„ან ავლილი ან ჩავლილი ხომ არ გინახაავს“, — თავს იკლავდნენ მომღერლები. გოგიას აღარ ეტირებოდა, ქეიფი გრძელდებოდა, სუფრა წინ მიდიო-

ჯამალ თოფურჩიკა
მოთხრობები

და, თვრებოდა, მდებროდა, ილანძღე-
ბოდა.

გოგია ჯერ ვერაფრის თქმას ვერ
უბედავდა მის გვერდით მჯდარ გოგოს,
რომელიც ძალიან გავდა მანანას. ცოტა
კიდევ რომ მოეკიდა ღვინო, შეჰკადრა
და სახელი ჰკითხა.

— მე მარინა, — უთხრა გოგომ და
გაუღიმა.

— კარგი სახელია, — შეეცადა გა-
მოცდილი სახე ჰქონოდა გოგიას.

— არა უჭირს რა, — ჩუმად თქვა
მარინამ.

— მე გოგია მქვია.

მარინამ კიდევ გაუღიმა. ღიმილმა
უფრო გაათამამა გოგია.

— თქვენა ძალიან გევხართ ერთ ჩემს
ნაცნობ ქალსა, ძალიან.

— ვისა?

— მანანასა, შეიძლება იცნობთ, ზემო
ვერაზე ცხოვრობდა ადრე.

— არ ვიცი, — თქვა მარინამ.

— სახით ხო გევხართ და გევხართ,
ხელებიც ძალიან გიგავთ.

— მე ლამაზი ხელები არა მაქვს, —
გაუღიმა მარინამ.

— არც იმას ჰქონდა ძალიან ლამა-
ზი, გიგავთ მხოლოდ, — ალაღად უთ-
ხრა გოგიამ.

მარინამ გაიცინა. გოგიაც მიხვდა
თავის მიამიტობას, იმასაც გაეცინა.

— სად არის ახლა ის გოგო, — ჰკი-
თხა მარინამ.

— გათხოვდა, — არ შეიმჩნია უხე-
რხელობა გოგიამ. ამ დროს მის ბელზე
ყანწიც მიაწოდეს და ამან უფრო არ
შეამჩნევინა.

ქეფი მთავრდებოდა, გოგია კარგ
გუნებაზე იყო და სწორედ იმას ეუბნე-
ბოდა მარინას, „მზიანი თვალები გაქვთ
თქვენა, თითქოს მზეები არიო“, იარა-
ღი რომ გავარდა ოთახში. ატყდა წით-
კი, თეფშების მტვრევა, ქალების კვი-
ლი. გოგიას ძმაცაცს ოთარას ესროდა
გაპობილი მთვრალი ტაქსისტი მალხაზა.
ოთარა დაიჭრა და მარჯვენა ფეხზე წაი-
წოქა, გოგია მაგიდას გადაახტა.

— არ მომეკარო გოგია, შენც მოგკ-

ლავო, — დასძახა მალხაზამ. ერთი შეი-
ვინა გოგიამ თავის ბედს გუნებოდა
„რალა ახლა, ის რომ ვიპოვეო“, მაგ-
რამ მაინც მოწყდა და პირდაპირ მალ-
ხაზასაკენ გაიქცა. იმასაც ესროლა მა-
ლხაზამ, დაჭრილი გოგია ბარბაცით უა-
ხლოვდებოდა, მალხაზა უკვე იხვეწებო-
და „ნუღარ მოდიხარო“, ამ დროს უკ-
ნიდან ხელები ამოუტრიალეს. გოგია
დაეცა.

მანანას შემდეგ ყველაზე კარგი დღე
გოგიას ცხოვრებაში ის იყო, მარინამ
რომ საავადმყოფოში ნახა. მართლა
მზეს უგავდა მარინასა თვალები. ჩუ-
მად ეჯდა ლოგინთან სკამზე.

— რათ შეწუხდი, მარინა, — უთხ-
რა გახარებულმა გოგიამ.

— შენა ხარ შეწუხებული, მე რა მი-
ჭირს, გოგია, — მშვიდად თქვა მარი-
ნამ. თავისი სახელის გაგონებაზე გო-
გია კინდამ ლოგინში დადნა.

— კარგი გოგო ხარ, მარინა, — უთ-
ხრა ცოტა ხანში გოგიამ და ხელზე ხე-
ლი დაადო. აღარცერთს ამოუღია ხმა.
იყვნენ ასე ჩუმად ძალიან დიდხანს. ნა-
ხევრად მიხურული დარაბიდან შემოსუ-
ლი მზის სვეტი მარინას მწვანე კაბის
კალთაზე ეცემოდა. არ ავიწყდებოდა
გოგიას ის მზე.

საავადმყოფოდან რომ გამოწერეს
გოგია, დიდხანს აღარ უფიქრია. ძალიან
მალე ჰამეს ბიჭებმა კარგი ქორწილი.

ცოლის ცემა მოგვიანებით დაიწყო
გოგიამ. ერთ ღამეს ლოგინში იწვნენ და
ისვენებდნენ სიყვარულის შემდეგ. გო-
გია სივარეტს ეწეოდა და ლაპარაკის
ხასიათზე იყო მოსული. ლაპარაკობდ-
ნენ, მერე გოგიამ რაღაც ჰირად ჰკითხა
— გოგო, გიყვარდა ვინმე? (იმას კი
ნანობდა, ნეტა არ მეკითხათო, საერ-
თოდაც ძალიან ლაპარაკის ხასიათზე
არ უნდა მოხვიდე ქალთან, თორემ იმი-
სთანას ათქმევინებ, მთელი ცხოვრება
სანანებელი გექნებაო).

ქალი ჩუმად იყო. ამ სიჩუმემ დაა-
შინა გოგია.

ჰა? — ვითომ სხვათა შორის, მაგრამ
დიდი გულის ფანცქალით გაუმეორა



კითხვა. ქალი ისევ ჩუმად იყო. ახლა გოგიამ სხვა რაღაცეებზე დაუწყო ლაპარაკი, მაგრამ ისევ იმაზე კი ფიქრობდა. მარინაც აჰყვა ლაპარაკში.

— მაშ, არავინ გიყვარდა? — ჰკითხა ისევ.

— მიყვარდა არა, ერთი, — უპასუხა ქალმა. გოგიამ მოისვენა, ახლა კიდევ სხვა ამბები მოჰყვა, მაგრამ ცოტა ხანში იმ გველმა, ეპვი რომ ჰქვია, ისევ ამოჰყო თავი.

— პირველად რად არ მიპასუხე?

— რაზე? — კითხვა დაუბრუნა მარინამ.

— აი, რომ გკითხე, გიყვარდა თუ არა ვინმე-მეთქი.

— რა ვიცი.

— რა რა იცი.

— დამანებე თავი! — გაბრაზდა მარინა.

— ესე იგი გიყვარდა! — უკვე ლოზინზე წამოჭდა გოგია.

— მე შენ გეკითხები რამეს იმ მანანაზე?

— ვითომ რატომ „იმ“ მანანაზე, ის მანანა კი მიყვარდა, მაგრამ შენც ხო მიყვარხარ, შენ და ისა სულ შენში მიყვარს! — წამოსცდა გოგიას.

— ხოდა, მეც მიყვარდა, — გაბრაზდა ქალი, — შენ მაშინ მნახე, ოცდახუთისა რო ვიყავი. მაშ როგორ ფიქრობ, მანამდე არავინ მეყვარებოდა?!

გოგია დაფიქრდა. მართალიაო, თქვა, ისე გული კი დასწყდა. კვლავ დაეშვა ლოგინზე, მაგრამ ახლა მეორემ შეაწუხა, ვაითუ უკოცნიაო, „ვერა, ვერ გკითხავ, სირცხვილია“, ფიქრობდა გოგია და წრიალებდა ლოგინში.

— ისა, — დაიწყო ჩუმად, მორიდებით.

— ისა, გოგო, აი გიკოცნია? — უფრო ჩუმად თქვა ბოლო სიტყვა, თითქოს არც უნდოდა, რომ მარინას გაეგო.

— ერთხელ მარტო, — უპასუხა მარინამ კარგა ხნის მერე. ისიც იმიტომ უთხრა, იცოდა, გოგია არ მოეშვებოდა.

გოგიამ სიგარეტს მოუკიდა. წამოდგა გაიარ-გამოიარა ოთახში.

— ვიცნობ? — ჰკითხა უცებ.

— რას გადამიკვიდე, კაცო, ხომ არ გაგიფდი ამ შუალამისას.

— ვიცნობ-მეთქი, თუ არა! — თქვა უკვე გაბრაზებულმა.

— რა ვიცი, იცნობ თუ არა.

— თქვენი სოფლიდან არის?

— ჩვენია.

ამ სიტყვამ სულ გააგიჟა გოგია, „ჩვენიაო“ ძალიან შინაურულ ნათქვამად მოეჩვენა.

— ვინ არის?

— გაგიფდი, შენ?

— ვინ არის-მეთქი!

— არც მყვარებია, მეგონა, რომ მიყვარდა, — გაიმართლა თავი მარინამ.

— ვინ არის.

— ჯუმბერა.

— აბა, ჯუმბერა?

— ვიორგისი.

— რომელი ვიორგისი?

— ჯუმბერა, ზაფხულში რომ დაიჭირეს მებელის სპეკულიანტობაზე.

ჯუმბერა მარინას სოფელში ცხოვრობდა, „აფო ჯუმბერას“ ეძახდნენ (აფერისტის შემოკლებულს), ზოგიც ლამაზ ჯუმბერას. ლამაზ ჯუმბერას ცოტა ეძახდა, იმიტომ, რომ ლამაზი რომ კაცს დაუძახონ, ცოტა უნდა უყვარდეთ, ჯუმბერა კი თითქმის არავის არ უყვარდა ერთი ორი გოგოს გარდა. არ უყვარდათ იმიტომ, რომ კაცი ვერაფერში დაენდობოდა. ბევრს იტყუებოდა, ყველა გოგოზე იძახდა „გაფაფორმეო“. თანაც ამ გაფორმების ამბავს რაღაც ბოროტად ყვებოდა, თითქოს კი არ ეცხოვრა, გაეწამებინა და მოეკლა ქალი. იმ გაზაფხულის მერე კი კოჭლი ვარდუას ნიკალა რომ დააჰყვინა, მთელმა სოფელმა შეიძულა. ახალი ჯარბოხდილი ციხეში გაუშვა. ნიკალამ კლუბის წინ სცემა და იმიტომ. გოგია კარგად იცნობდა ჯუმბერას და იცოდა, რა ვა-

ჯამალ თოფურჩიძე
მომხრობავი

შეკაცო იყო, მარინასაგან რომ გაი-
გო „ჯუმბერაო“, პირველად ესამოვნა,
„ლაჩარიო“, — გაიფიქრა, მაგრამ მერე
იფიქრა, იმას, ვისაც ვალმერთებ, რაღა
ის ლაჩარი უნდა ჰყვარებოდო. გავი-
ჟდა და ადგა. ადგა, ჩაიცვა და სახლი-
დან წავიდა. ერთი კვირის შემდეგ დაბ-
რუნდა. მთვრალი იყო. დაიდო თავისი
მარინა და გემრიელად ექეა. „ჯუმბე-
რაო“ თან შიგადაშვიდ ეძახდა. მეორე
დილით ისე გაიპარა სახლიდან, ვერ
გაიგო მარინამ. სალამოს თვალეში ვერ
უყურებდა. მერე ისევ შეაჩვია თავი,
თან გადაჰყვა, ძაღლივით უყურა თვა-
ლებში, ქალივით ემსახურა და ქალის
ნატკენი გული ისევ მოაღბო. მერე წა-
ვიდა და წავიდა ეგრე როგორც წესი.

იცოდა მარინამ, რომ თვეში ერთხელ
გოგიას აუცილებლად უნდა ეცემა. გო-
გია რომ სცემდა, მარინა ყვიროდა.
სტიკოდა და იყვირებდა, აბა რას იზამ-
და. დაპაღუბით მოსდიოდა ცრემლები,
„ნეტავ მოკვდესო“ გაიფიქრებდა, მაგ-
რამ ამას მხოლოდ ცემის დროს ფიქ-
რობდა, იმიტომ რომ ისიც იცოდა, ყო-
ველი ცემის მერე გოგია ბალიშზე დამ-
ხობილი ჩუმიდ ტიროდა, რომ მერე
ერთი თვე გოგია ხელის გულზე ატა-
რებდა, საერთოდაც ძალიან კეთილი
რომ იყო და ქვეყანას ერჩია თავისი ჯუ-
მბერანაკოცნი მარინა. ცხოვრობდნენ
და იყვნენ ეგრე სიყვარულშიაც და,
როგორც წესი, თვეში ერთხელ ცემა-
ტყეპაში.

იმ დილით გოგიამ ტაქსი ქაშუეთთან
გაჩერა. ეკლესიაში შევიდა, სანთელი
იყიდა და წმინდა გიორგის ხატთან და-
ანთო.

— მამატიე, შენი სახელის ჰირიმე, —
თქვა ჩუმიად, — ზედმეტი მომივიდა.
შენ სახელს ვფიცავარ, ხელს აღარ და-
ვაკარებ, აღარა, მე მოვკვდე მაშინ.

წინა ღამეს მართლა ზედმეტი მოუ-
ვიდა გოგიას დაღუვაც და მარინას ცე-
მაც. ეკლესიიდან რომ გამოვიდა, ცო-
ტა შედავითი იგრძნო. საჭეს მიუჯდა
და წავიდა.

„რა უცნაურია, კაცო, — ფიქრობ-

და გოგია, — ეგ დალოცვილი თითქოს
ბოლომდე არა მწამს; მაინც შევებნა-
ცა, არსებობს, არ არსებობს; გაოგებ?“

— ღმერთო, მამატიე, — დააყოლა
ფიქრს და ასლა ის გაუყვირდა, თუ
ბოლომდე არა მწამს, რილასი მეშინიაო.

„არავინ იცის, არავინ“, — ქალაქის
მთავარ ქუჩაზე მიაჭროლებდა მანქანას
გოგია.

მთელი დღე იმუშავა. გარაჟში შეს-
ვლის წინ ბლომად კამფეტები უყიდა
ბავშვებს, მარინასათვის დილითვე ჰქო-
ნდა ნაყიდი წითელი თხელი თავსაფა-
რი. ქუჩის პირას სამი ბიჭი შეამჩნია,
მანქანას აჩერებდნენ, ისიც შეამჩნია,
ნასვამები რომ იყვნენ, მაინც გაუჩე-
რა, „ბავშვები არიან, შარს რამეს არ გა-
დაეყარონო.“

სამივე ჩაჯდა მანქანაში. ერთი წინ,
ორი უკან. მანქანა დაიძრა, წინ ვინც
იჯდა, თექვსმეტი წლის იქნებოდა, ქერა
თმა ჰქონდა, ლურჯი თვალები აქეთ-
იქით გაუბრობდა. დანარჩენი ორი შედა-
რებით მოზრდილები იყვნენ.

გოგიამ ცოტა რომ იარა, მერე ჰკითხ-
ხა, საით წავიყვანოთო.

— ბიჩაქემო, ამ ღამეს კი ვაწუხებთ,
მაგრამ დიღომში გვინდა რა, — უთხრა
ერთ-ერთმა — ვინც უკან იჯდა.

„შორიაო“, — გაიფიქრა გოგიამ, მა-
გრამ რაღას იზამდა, — წავიდეთ, —
თქვა და საბურთალოდან გადაუხვია.
ხმას არ იღებდა არც ერთი. არც გოგია
ამბობდა რამეს. არ უყვარდა მგზავ-
რებთან ლაპარაკი. დიღომში მისულები
იყვნენ, „საითო“ რომ ჰკითხა.

— წინ, ბიჩაქემო, სულ ბოლოში, —
ისევ იმ ხმამ უპასუხა. გოგიაც ბო-
ლომდე მივიდა.

— იქნებ ბარელამ მცხეთაში ჩაგვიყ-
ვანო, — სთხოვა წინ რომ ქერათმიანი
პატარა იჯდა, იმან.

„მოსული ვარ, არ ვაწყენინებ“, —
გაიფიქრა გოგიამ და მცხეთის გზას გა-
უყვა.

მალე მცხეთაში შევიდნენ.

— მარჯვნივ, — იგივე ხმა იყო. გო-
გიამ ჯვარისაკენ გადაუხვია.

„აქეთ რომ წაწლები არ არის?“ გაიფიქრა და ბასრი წვერიც იგრძნო უკნიდან კისერზე. მიხედვა სცადა, მაშინ წვერი კიდევ უფრო მიაწვა კისერს, კიდევ უფრო გაიბასრა. მარჯვენა საფეთქელთან კი იარაღის ლულა დაინახა.

— პირდაპირ იარე, არ გამოიხედო! — უთხრა პატარა და ქერათმიანმა, მერე ძალიან მშვიდად ამოიღო დანა და და გახსნა. გოგიამ თვალი მოჰკრა, ორი და ორმოცდაათკაციანი იყო, მაღაზიებში ეყარა, გაახსენდა მისდაუნებურად გოგიას და გაუყვირდა, რამ გამოხსენა, რა ღროს ამაზე ფიქრიაო.

— რამდენი გაქვს? — ჰკითხა ქერათმიანმა და ირონიულად გაუღიმა.

— არ ვიცი, — უპასუხა გოგიამ. პასუხი გასცა თუ არა, პატარამ სილა სტიკა და დანის წვერი ხორხზე მიაკირა. უკანა ორმა ხმამალა გაიციინა. გოგიამ დაღმუვლა, საკეს მარჯვენა ხელი გაუშვა და ხელუკუღმა ხეტქა პატარას. ხელის გარტყმა და უკნიდან იარაღის ტარის ჩარტყმა თავში ერთი იყო.

— ისე გასაღდები, ვერავინ გაიგებს, — კომენტარი მოჰყვა თავში ჩარტყმას. ისევ გაეციინა სამივეს. გოგიას გახეთქილი თავიდან თბილი სისხლი კისერსა და ზურგში ჩასდიოდა.

— რამდენი გაქვს? — გაუმეორა პატარამ კითხვა.

— თვითონ ნახე, — უთხრა ნაცნობმა ხმამ პატარას.

— გააჩერე, — უთხრა ამესამემ. გოგიამ გააჩერა.

— გადაჭექი. პატარა გადახტა, მანქანას შემოურბინა, გოგიას მხარეს კარები გააღო. გოგია გადაჯდა პატარას ადგილას, დანისა და იარაღის თანხლებით. პატარა საკეს მიუჯდა. ჯერ გოგია გაჩხრიკა, მერე მანქანა.

— სამოცდაათია, — უთხრა უფროსებს.

— გორისკენ დააწექი, პავლიკასთან. პატარა „დააწვა“.

— კიდევ ვექნება, — უთხრეს უკნიდან.

— რა? — უაზროდ იკითხა გოგიამ.

— გვაწყობს, — თქვა პატარამ და ახლა იმან გააწნა ხელუკუღმა. გოგიამ კიდევ ამოიგმინა და მუშტი ხეტქა ცხვირში ქერათმიანს.

საშინელი ტკივილი და ხმაური ჩაუდგა უცებ თელს სხეულში.

— დაიცენტრე, სად ისვრი! — იყვირა ერთმა.

— გზიდან გადაიყვანე! — ბრძანა იმან, ვინც ისროლა. მანქანამ გზიდან გადაუხვია. გაჩერდა. სამთავე გაიქცა.

გოგიას მარცხენა ბეჭი ძალიან სტიკიოდა. მანქანის კარი გააღო. გზაზე გასვლა დააპირა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დაეცა პირაღმა. „ვარსკვლავებიც კი არ არის ცაზე“, — გაიფიქრა გოგიამ და გონება დაკარგა, მერე ისევ მოუვიდა, იმას თუ გონება ერქვა, იმიტომ, რომ არც არაფერი სტიკიოდა, არც ის ახსოვდა, სად იყო. „შენი სახელის ჰირიმე, ღმერთო, მალე გაათენე...“ ფიქრობდა გოგია და კედებოდა, „მალე გაათენე, მარინა მელოდებო, მალე, ჩემი მარინა, ღმერთო“...

ერთი თვის დასაფლავებული იყო გოგია. ბავშვებს ეძინათ. დამე იყო. მარინა ტახტზე იჯდა, საზამთროდ წინდებს უქსოვდა შვილებს. ერთი თვე იყო გასული და გოგიას მოფერებას მოკლებული ქალი სურვილს დილიდან დაღამებამდე შრომაში და თავისივე სხეულში კლავდა.

ქსოვდა და უცებ რაღაც ძალიან ძლიერმა დაუარა სხეულს, შიშვიით ძლიერმა. წამოაყენა ფეხზე ამ ძალა და ოთახის შუაგულამდე მიიყვანა. ნელა დაეშვა იატაკზე მარინა, მერე დაეგდო, ისე როგორც მაშინ, გოგია რომ სცემდა ხოლმე, ცრემლები დაპალუპით მოსდიოდა, არ ყვიროდა ოღონდ, მაგიდის ფეხს ორივე ხელით ეხვეოდა, სახეს უსვამდა და ჩურჩილებდა — „მცემე. გოგია, შენი ჰირიმე, ბიჭო, მცემე!“

საბჭოთა თავისუფლება

ვერსიის ვებ-გვერდი

თ ბ ი ლ ი ს ი

თბილისს თან დაჰყვა მომხიბლავი იდუმალეობა:
აქ აწმყო წარსულს არ გაურბის, არ ემალება.

მარადისობა ცრემლებს აფრქვევს მთაწმინდის კალთას
და აქვე ისმის „ინდი-მინდი“ ვაჟთა და ქალთა.

ერთხელ იმ კალთას წრფელი ცრემლი ვაჰკურე მეც და
ცრემლს, იქ შედწეულს, სიმხურვალე გაუსაკეცდა.

თბილისმა ჟამთა ქართველიებს ისე გაუძლო —
დროთა კავშირიც დაიცვა და შეებედს გაუსწრო.

აქ ნანგრევებშიც გამაღარია უდრეველობა
და თვით ნგრევამი სუფევს რაღაც უნგრეველობა.

ფუნიკულორზე რომ მიცოცავს ვაგონი, თურმე
მასაც ჰყოლია უბილავი ერთი მეურმე.

ან ეგ ჭადარი, ფესვმაგარი და მარტოხელი,
ბრძენია, როგორც ფიროსმანის ყარაჩოლელი.

თბილისო, მე შენს სახინკლეთა ღრიანცელს ვნატრობ,
ხან შენთან ერთად წავიგიჟებ, ხან ეშხით მათრობ.

გთხოვ, მომაკვდავსაც დამილოცე გზა ბედნიერი —
შენს წმინდა მიწას მიმაბარე, მყავ შენმიერი!

თბილისს თან დაჰყვა სანეტარო იდუმალეობა,
მას დაემონა ვარსკვლავები დიდრონთვალეობა.

თბილისში, თუ გწამს ჯადოქრობის გზები საცისკრო,
ხელმისაწვდომი არის რომიც და სან-ფრანცისკოც.

აქ ნახავთ პუშკინს, პასტერნაკთან ბაანით გართულს,
აი, მოუხმო გალაკტიონს — ისმენს მის ქართულს.

მეც ყოველ კოხტა აივანს და ყოველ სასურავს
თბილისელივით ვესალმები ამხანაგურად.

და ვინც წასულა თბილისიდან, მან იცის კარგად,
რომ თბილისიდან გადაკარგვა მართლაც არ ვარგა.

რომ ეს ქალაქი არ გაგწირავს, არ გაგაწიბილებს,
თვით მაშინაც კი, როცა თითქოს სხვაგან გაცილებს.

მაგრამ თუ მიეც დავიწყებას ეგ სათნო მცნება,
შენსავე გულში ქაშვეთს მწარედ ჩაეცინება.

ვით ირმის ნახტომს ვერ შეუცვლი ფხასა და იერს —
მწამს მე თბილისის უკვდავება... მრავალჯამიერ!..

ქართველთა მიწა

მცირეს გეტყვიან, ქართველთა მიწავ,
და განა ათასკილომეტროვან
გზებით გვიზიდავ, მართლაც, მეგობართ —
ო, სულ სხვა ემხით, შენს მადლსა
ვფიცავ!

გინდ ჯაგლაგ ლაფმას და გინდ ბედაურს
მივაგელვებდე თავქუდწაგლეჯით,
ზეიმით მთვრალს თუ მარცხით უბედურს —
ისევ შენ მისმოზ და გეაჯები.

მიზიდულობის ეგ სტიქიონი
გვიცავს და ღმერთმაც ნუ აგვარიდოს.
მან მიიზიდა გალაკტიონი

სამარადქამოდ...
სამარადისოდ...

სიმონი სინათლეს ჰკარგავდა დღითი დღე,
ხელს აფათურებდა აქეთკენ, იქითკენ.
ხან პური, ხან ჭიქა — პირს მიღმა მიჰქონდა,
მაგრამ შეუცდომლად განჭვრეტდა სტრიქონთა,
რადგან თუ პოეტი პოეტს ლექსს უკითხავს —
სიტყვასაც ვერ დაძრავს, მგოსნისთვის უხილავს.

ო, საქართველოვ, ცრემლსაც შეგვიშრობ
და არც მოლხენას ჩაგვითვლი კვეხნად.
შენ ხარ რუსული მუზის მეორე
და სათაყვანო აკვანი ქვეყნად!
მაგრამ, ვაგლახ, თუ გადაგივიწყეთ,
ან, დემერთმა ნუ ჰქნას, გაგწირეთ სამტროდ —
გათავდა, რუსი პოეტის სახელს
ვერც დავიჩემებთ და ნურც კი ვნატრობთ.

ქართული ქვეყნები

ქვეყნებო, თქვენთა ექოთა ჟღერა
მე იმ ბაღდადეღ ბალღივით მჭერა.


თქვენით ვამოწმებ ხმის ჟღეროვნებას,
როგორც ეს მგოსანს მოეთხოვება.


ოდონდ ნუ ეძებს ვგ ჩემი ექო —
გზას უკაცრიელს და საცალფეხოს,

გეზს ნუ მიიკვლევს ვიწრო ბილიკად,
სხვა ტომთა ხმებთან იქუსოს ერთხმად.

... ვიცი, რუსად რომ არ ვშობილიყავ,
ქართველკაცობას ვარჩევდი ქვეყნად!

თარგმნა შ. შ. მარბველაშვილმა





კლასიკანდრო შუთათელაძე

მოსაზრებანი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ ორ ტომში ნარკოზონიკ ზოგიერთ ზოოგექნიკურ და ზოოდოგიურ ვაკინებზე

ჩვენ ერის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნა. უკვე გამოცემულია ამ მრავალტომიანი ენციკლოპედიის პირველი და მეორე ტომი, რომლებსაც დიდი ინტერესითა და სიხარულით შეხვდა ჩვენი საზოგადოებრიობა. ქართულ და რუსულ პრესაში არაერთი საინტერესო წერილი მიეძღვნა ამ ძვირფას შენაქენს. პირველი ორი ტომის შინაარსი და მაღალი პოლიგრაფიული დონე იმაზე მეტყველებს, რომ ენციკლოპედიის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ და სამეცნიერო რედაქციებმა, მთავარი რედაქტორის, პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის მეთაურობით, დიდად წაყოფიერი მუშაობა გასწიეს.

ძნე სამეცნიერო რედაქციების მუშაობაში მთავარი და ძნელი საკითხი ალბათ მაინც სამეცნიერო ტერმინოლოგიის მოწესრიგება იყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, თითოეული სამეცნიერო დისციპლინის საფუძველს მისი ტერმინოლოგია შეადგენს. ტერმინოლოგია ის საფუძველია, რომელსაც ემყარება წერილობით გაფორმებული მეცნიერების ესა თუ ის დარგი.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ ორ ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცხოველეობას, რომელიც, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის — საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აგრეთვე ზოოლოგიას. წარმოდგენილია დედაშიწის ზედაპირ-

რის თითქმის ყველა ზოოგეოგრაფიული ოლქის ცხოველები, განსაკუთრებით კი საქართველოს მდიდარი ფაუნა.

მეცხოველეობა ანუ, როგორც ძველად უწოდებდნენ, მეჭოგეობა ძველი დარგია. ქართველი ხალხი უსოვარი დროიდან მისდევდა ცხოველის მოვლა-მოშენებას და დიდ წარმატებასაც მიაღწია ამ დარგში. ისიც უღვაწა, რომ ქართველ მეჭოგეს ძველთაგანვე ჩამოყალიბებული უნდა ჰქონოდა ყველა საჭირო ცნების შესატყვისი ტერმინი მეჭოგეობაში. და მართლაც. ისეთი სიტყვები, როგორცაა ძროხა, ცხენი, ცხვარი, ღორი, თხა და მრავალი სხვა, აგრეთვე მათი სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების აღმნიშვნელი სპეციალური სახელწოდებები, რომლებიც ისმარებოდა თხუთმეტი საუკუნის წინათ, თითქმის უცვლელად შემორჩა თანამედროვე ქართულ ენას.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე საქართველოში (ბევრ შემთხვევაში მის ფარგლებს გარეთაც) გავრცელებული თითქმის ყველა სახეობის ცხოველისა და ფრინველის, აგრეთვე მათი სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისათვის არსებობს სპეციალური სახელები, მაშინ როდესაც ზოგიერთ სხვა ენაზე, სპეციალური ტერმინის უქონლობის გამო, მათი ზოგიერთი სახელწოდება აღწერილობით გადმოიცემა.

როგორც ძველად, ისე ახლაც მეცხოველეობის ცალკეული დარგის ლექსიკიდან თავისი სიმდიდრით და მრავალფეროვნებით განსაკუ-



თრებით გამოირჩევა „ძროხის ლექსიკა“, „ცხვრის ლექსიკა“, „ხუნის ლექსიკა“ და სხვ. სქესობრივ-სახეობრივი ჯგუფების უმეტესად სრულყოფილად გვაქვს ძროხის, ცხვრისა და ზოგჯერ სხვა ცხოველის მიხედვით, რომლებსაც ქართულის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეძიება ძველთაგანვე.

სულხან-საბა ორბელიანს თავის ქართულ ლექსიკონში უხვად აქვს შეტანილი მეცხოველეობის და ზოოლოგიის, კერძოდ ცხოველისა და ფრინველის სახელწოდების აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც იწვევს, სამწუხაროდ, სრულად არ ვსარგებლობთ და არც ვიცავთ მათ. ზოგიერთ ავტორს ხშირად, ნაცვლად იმისა, რომ იხმაროს ქართულ ლექსიკონში შეტანილი მეცხოველეობისა და ზოოლოგიის ტერმინები, სხვადასხვა ნათესაარი შეაქვს ზოოლოგიურ, ზოოტექნიკურ და ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში.

ყველაზე უფრო სამწუხაროა ის, რომ ზოოტექნიკური და ზოოლოგიური ტერმინის სწორად ხმარებისათვის ქართული ფურნალ-გაზეთები სუსტად იბრძვიან. ჩვენი ფურნალ-გაზეთების ფურცლებზე მოთავსებული წერილებში ხშირად შეხედებით ტერმინოლოგიურ შეცდომებს, რასაც დიდი ზიანი მოაქვს ერთიანი ქართული ზოოტექნიკური და ზოოლოგიური ტერმინოლოგიის დამკვიდრების საქმეში. თითოეული სპეციალისტი თავისებურად წერს და ხშირად ერთსა და იმავე საგნის აღსაწერად სხვადასხვა ტერმინს ხმარობს.

ტერმინოლოგიური შეცდომების სახეა ზოგჯერ წიგნები, ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურა. არაიშვიათია შემთხვევა, როდესაც ქართულში ისეთი უცხოური სიტყვა გადმოაქვთ, რომლის შესატყვისი გვაქვს. რუსული ენიდან თარგმნისას ქართული შესატყვისის განმარტების ნაცვლად ხშირად პირდაპირ თარგმნიან, რასაც კუროღაშემდე მივყავართ ხოლმე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზოოტექნიკურ, ზოოლოგიურ და ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში არსებულმა ასეთმა არეულობამ ბუნებრივად იჩინა თავი მეცხოველეობის ლიტერატურაშიც. სამწუხაროდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ვერც ქართულმა საბჭოთა ენციკლოპედიამ შეძლო მთლიანად თავიდან აეცილინა ტერმინოლოგიური შეცდომები.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ ორ ტომში ჩვენ შევნიშნეთ ზოგიერთი დასაწანი შეცდომა. უპირველეს ყოვლისა შეცდომად მიგვაჩინა ბარბარისმბობა, როგორც საჭიროების გარეშე შემოტანილი უცხო სიტყვები და სხვა ენის ნორმების მიხედვით შექმნილი ქალკა. მაგალითად, ენციკლოპედიის პირველ ტომში დაბეჭდილი სტატიები „ალური“ და

„ამერიკული ჩორთავალი“ ტერმინოლოგიურად გაუმართავია. ტერმინ „მერანის“ ნაცვლად გამოწვინი კომპოზიციის „ჩორთავალი“-ს ხმარება დამახინჯება, მიუღებელია დიაგნოზიკური აღწერის აღმნიშვნელი ქართული „მერანის“ ნაცვლად უცხოური წარმომავლობის ტერმინ „ჩორთი“-ს ხმარება. შეცდომა აგრეთვე ალურის აღმნიშვნელი ტერმინ „ოთხასში“-ს ნაცვლად ტერმინ „ნავარდი“-ს ხმარება.

ქართულ ენას ძველი დროიდან საჭირო სისრულით მიეპოვება ცხენის სვლის სხვადასხვა ხერხის აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც დამოწმებულია ქართულ წერილობით წყაროებში და ძველ საქართველოში მალაღანეთთარებულ მეცხენეობაზე მეტყველებენ. საქართველოს ცხენის საკუთარი თვითმყოფი ჯიშები განთქმული იყო ქვეყნის გარეთაც. მეცხენეობა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგანს წარმოადგენდა, ვინაიდან მას დიდი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოში, ასეთი მალაღანეთთარებული მეცხენეობის მქონე ქვეყანაში არ ჰქონოდათ ცხენის სვლის ხერხის აღმნიშვნელი ტერმინები.

ცხენის სვლის ხერხის აღმნიშვნელ ქართულ ტერმინთა დადგენისათვის ერთ-ერთი სარწმუნო წყაროა სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი, რომელშიც ვკითხულობთ: „სლვა-სიარული. სიარულიცა მრავალსახე არიან, რამეთუ სლვანი სხვადასხვაობით განიყოფებიან:..., ცხენთა გოგმანთ სიარულსა — თოხარიაობა; სხვარაგს კეთილსა სიარულსა — მერანობა;“. ტერმინებს — „მერანსა“ და „თოხარიაობა“ საბა შემდეგნაირად განმარტავს: „მერანი კეთილმოარული ცხენი“; „თოხარიაობა ცხენი კარგ მოხარულე“. საბას ქართული ლექსიკონის ქართულ-თურქულ ნაწილში მოცემულია ტერმინების — „მერანი“-ს და „თოხარიაობა“-ს თურქული შესატყვისები, რომელთა მიხედვით დასტურდება, რომ მერანი დიაგნოზიკური აღწერით მოხიარულე ცხენია, ხოლო თოხარიაობა — პარალელური აღწერით. საბასეული განმარტება — „მერანი კეთილმოარული ცხენი“ — ნიშნავს კარგ მოარულს, ჩინებულად მოარულს. მსგავს განმარტებას იძლევა რუსულ ენაზე ცნობილი რუსი ლექსიკოგრაფი ვ. დალი: „Рысак конь с доброй рысью“. მართლაც, ალური მერანობა რომელიც მერანი დადის, საუკეთესოდ ითვლება. მერანობა — სწრაფი ალურია (საშუალო თოხანსა და ნაბიჯს შორის). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით მერანი კარგი, სწრაფად მოხიარულე ცხენია.

საბასეული ტერმინი „მერანობა“ შესულია დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრან-



ციულ“ ლექსიკონში ფორმით „მერანობა“. იგი წერს „მერანობა — ННОХОДЬ, рысь, amble trot“ ავტორის მიერ „მერანობის“ შესატყვისად მოცემული რუსული „ННОХОДЬ“ და ფრანგული „amble,“ უმართებულოა, ვინაიდან ამ ტერმინებით აღური თოხარიკობა აღინიშნება, ასე რომ, აღური „მერანობის“ შესატყვისად რჩება მხოლოდ რუსული „РЫСЬ“ და ფრანგული „trot“, რაც ხავერდით სწორია. დიაგნოზიკური აღური, რომელიც ქართულ ენაზე ცნობილია „მერანობის“ („მერანობის“) სახელწოდებით, სხვა ბუნებრივ აღურთან ერთად ახასიათებს ცხენს უძველესი დროიდან. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „მერანობა“ ცხენოსანთა ლაშქარში მთავარ აღურად ითვლება. ის საშუალებას აძლევს ჭარის ნაწილებს მოძრაობის მაღალი ტემპი შეინარჩუნონ. მოძრაობა ცხენოსანთა ლაშქარში ნაცვლური წარმოებს, ე. ი. თანმიმდევრული მონაცვლეობით ნაბიჯისა, მერანობისა და ოთხახმისა.

ტერმინი „ჩორთმავალი“ გამოწავლი კომპონენტია, რომლის პირველი კომპონენტი „ჩორთი“ უცხოური წარმომავლობისაა. როგორც პროფ. ხ. ჭიჭიამ გაარკვია, ტერმინი „ჩორთი“ ეკუთვნის ალათაურ (თურანულ-მონგოლურ) ტომბრივ სამყაროს. ალათაურ თურქ ტომთა ერთ-ერთ ენაზე — შორულ ენაზე (კრასნოიარსკის მხარე), რომელზედაც ლაპარაკობს ჩრდილოეთ ალთაის და მთაშორეთის მცირერიცხოვანი მოსახლეობა — შორელები, დიაგნოზიკური აღურს „ჩორთიში“ მჭკია, ხოლო ცხენს რომელიც ამ აღურით მარბის, — შორელები „ჩორთიში“-ს უწოდებენ. კრასნოიარსკის მხარეში მცხოვრებნი ხაკასელებიც, რომელთა ენა ალათაურ ენათა ოჯახში შედის, ტერმინ „ჩორთს“ იმავე მნიშვნელობით ხმარობენ. ტერმინ „ჩორთს“ აღურის მნიშვნელობით ქართული ენის კიდეები არ იცნობენ. უცნობია ტერმინი „ჩორთი“ ქართულ ხალხურ პოეზიაშიც.

როგორც ცნობილია, მწერალი კ. გამსახურდია თავის სამწერლო პრაქტიკაში განსაკუთრებით ერიდებოდა თურქულ-მონგოლურ სიტყვებს. ამ რას წერს ეს ტერმინი „ჩორთი“: „მეჩოთობოდა „ჩორთი“ და ამიტომაც განვახებელ რუსთაველისეული სიტყვა „ოთხახმით“ წაყვანა ცხენის... საჭირო შემთხვევაში ხაიდან ისეხსოს სიტყვა თანადროულმა ქართველმა მწერალმა? დაუშრეტელი რევიერუარი ჩვენი ენისა ეს განლაგთ ძველქართული და ჩვენი ტომების მრავალკლოვანი დიალექტები“

ტერმინი „მერანი“ ქართულ ლიტერატურაში ცნობილია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, ხოლო ტერმინი „თოხარიკი“ —

XI საუკუნის მხატვრული ძეგლის „ვეფხისტყაოსნი“ ქართული თარგმანიდან. რუსულ ტერმინი „მერანი“, როგორც ჩანს, ცოცხალი ხალხური მეტყველებიდან აქვს აღებული. მან პირველმა გამოიყენა და დაამკვიდრა ქართულ პოეტურ მეტყველებაში მშვენიერი უღრადობის სიტყვა. „ზედა ჯდა შვება ტაბისა, — მერანი რამე შვია“, — (204,2). ხალხურ პოეზიაში მერანი სწრაფად მოხარული ცხენს ნიშნავს... „ცხენი მზად უდგას გმირთ-გმირსა, კანშიული ტურფად მერანი“ (ლექსი „მეფე ერეკლე მეორის გლოვა“). ნიკოლოზ ბარათაშვილთანაც მერანი სწრაფმავალი ცხენია. ტერმინი „მერანი“ ილიასაც აქვს გამოყენებული. „აგერ რაღშიდან ისეკუა ყარაბაღულმა მერანმა“ (ლექსი „ინჩიარო“) და ა, შ.

როგორც ვხედავთ, ტერმინები: „მერანი“ და „მერანობა“ რომლებიც ქართულში აგერ რვა საუკუნეა იხმარება და მაღალგანვითარებულ მეცხენეობაზე მეტყველებენ, შეიცვალა შორული წარმომავლობის ტერმინებით — „ჩორთმავალი“-თ და „ჩორთი“-თ, რაც შეცვლილმა.

სტატიაში „აღური“ არის კიდევ ერთი უზუსტობა: რატომღაც პარალელური აღური ტერმინით „თოხარიკი“ აღინიშნება. თოხარიკი პარალელური აღურით მოხიარულე ცხენია, ხოლო თვით აღურს თოხარიკობა ეწოდება მრავალმნიშვნობა ანუ პოლისემია, რომელზეც ერთი და იგივე ტერმინი იხმარება სხვადასხვა ცხენის აღსანიშნავად — ხომ ნაკლია რაც გვაქვს, რატომ ვკარგავთ? აქვე, ცხენის პარალელური აღური ორი ტერმინით — „თოხარიკი“ და „ჩორლათი“ აღინიშნება და „ჩორლათი“ ფრჩხილებშია ჩასმული, ხოლო სტატიაში „მერიკული ჩორთმავალი“ იგივე აღური მხოლოდ აზერბაიჯანული წარმომავლობის ტერმინით — „ჩორლა“ აღინიშნება. ჩვენი აზრით, გაუმართლებელია ერთი და იგივე ცხენის სხვადასხვა ტერმინით აღინიშნა. სწორი იქნებოდა უპირატესობა მიგვეცა უფრო მონერხებული ტერმინების — თოხარიკისა (ცხენი) და თოხარიკობისათვის (აღური), რომლებსაც ქართული ენა მეთერთმეტე საუკუნიდან იცნობს.

უმართებულოა აგრეთვე ცხენის ხელის ხერხის აღმნიშვნელი „ოთხახმის“ (ოთხით სვლა) ნაცვლად „ნავარდის“ ხმარება სტატიაში „აღური“, ვინაიდან ამ ტერმინს ქართულ ენაზე აღურის მნიშვნელობა არც ჰქონია და არც აქვს. ტერმინი „ოთხახმი“ ცნობილია რუსთა-

ალექსანდრე ძუთათაშვილამ გოსაზრებანი ქართულნი საბჭოთა ინტელიგენციის პირველ ორ ტომში წარმოდგენილ ზოგიერთ ზოოტექნიკურ და ზოოლოგიურ ტერმინებზე

ულის „ვეფხისტყაოსნიდან“: „ავთანდილ იგი მინდორი: ოთხ-ახმით გარდაიარა“ (178,1).

როგორც ვხედავთ, მეცხენობის მრავალსა-
უკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველ ხალხს
ძველთაგანავე ჩამოყალიბებული ჰქონდა ბუ-
ნებრივი ალურის აღმნიშვნელი ყველა ტერმი-
ნი (ნაბიჭი, მერნობა, თხზარეობა, ოთხახმი
ჯდა სხვა).

ამგვარად, ანგარიში არ აქვს გაწეული იმას,
რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-
მიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გა-
მოცემულ (1959) სოფლის მეურნეობის ტერმი-
ნოლოგიაში შეტანილია ტერმინები — მერა-
ნი, მერნობა და ოთხახმი. ტერმინები — მე-
რანი და ოთხახმი შეტანილია აგრეთვე ქარ-
თული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

დამახინგებად მივიჩნავთ აგრეთვე ტერმინ
„ძროხა“-ს ნაცვლად „მსხვილი რქოსანი საქო-
ნელი“-ს ხმარება, რომელიც რუსული „круп-
ный рогатый скот“-ის კალკია. ტერმინი
„ძროხა“ ანუ ძველი ფორმით „ზროხა“ უძვე-
ლესი ქართული ტერმინია. ამ სახელწოდებით
აღინიშნებოდა და დღესაც აღინიშნება ჩვენს
სასოფლო-სამეურნეო ცხოველის სამეურნეო
მხრივ ერთ-ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი სა-
ხეობა, რომლის მოშენებას ქართველი ხალხი
უხსოვარი დროიდან მისდევდა. „ძროხა“ შინა-
ური ცხოველის ისეთივე ზოგადი სახელია,
როგორც „ცხენი“, „კაამი“, „ცხვარი“, „თხა“,
„ვირი“ და სხვა.

ზოგადი მნიშვნელობით იხმარება ტერმინი
„ძროხა“ ქართულ ხალხურ პოეზიაში. „კა-
ლაზედ შემოფენილა ფშავლის ძროხა და
ცხვარი“ (ლექსი „რჭულიანსა და ურჭულოს“).

ზოგადი მნიშვნელობითივე ხმარდება ტერმინ
„ძროხა“-ს ქართველი მწერლებიც (შოთა რუს-
თაველი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა და
სხვა). „წმამვე ძროხაში მე მიკრეს თავი...“

„გყარაულობლით ძროხასა ღამე“, „...გაშლილი
ძროხა მოგროვდებოდა...“ (ილია ჭავჭავაძე,
პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიკური ყა-
ჩაღის ცხოვრებებიდან“); „ცხვარი და ძროხა აპს-
ხმია ჭლას და ჭლის პირებსა“ (ვაჟა ფშავე-
ლა, „შემოდგომა მთაში“).

ტერმინი „ძროხა“ (ზროხა) ზოგადი მნიშ-
ვნელობით შესულია აგრეთვე ლექსიკოგრა-
ფიულ ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, სულ-
ხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ზროხა —
ზოგადი სახელი არს ყოველთა ზროხათა. ხო-
ლო მამალსა ზროხასა ეწოდების ხარი და დე-
დალსა ფური...“ დავით ჩუბინაშვილის მიხედ-
ვით ტერმინ „ზროხა“-ს რუსული ეკვივალენ-
ტია „крупный рогатый скот“ (იხ. ქართულ-
რუსულ-ფრანციული ლექსიკონი ქმნილი და-
ვით ჩუბინაშვილის მიერ. სასტატუსტერბურდი. 1840,
გვ. 695). საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის მიერ 1959-წელს გამოცემულ სოფ-

ლის მეურნეობის ტერმინოლოგიაშიც ტერმი-
ნი „ძროხა“-ს რუსულ ეკვივალენტად მი-
შულია „крупный рогатый скот“ მნიშვნელობით ტერმინი „ძროხა“ შესულია
ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც.

როგორც ცნობილია, თბილისის სახელმწი-
ფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტ-
ზე, ქართული ზოოტექნიკური მეცნიერების
ფუძემდებლებიდან ქართული ზოოტექნიკური
ტერმინოლოგიით დიდად იყო დაინტერეს-
ებული ცხოველთა მოშენებლობის და გენეტი-
კის კათედრის გამგე დოცენტი ნიკოლოზ ო-
სელიანი, რომელსაც ამ საქმეში დიდი დეწ-
ვლი მიუძღვის. მან, შეიძლება ითქვას, პირ-
ველმა, ბევრი ქართული ზოოტექნიკური ტერ-
მინი დააწესა. თავის ბრწყინვალედ წაკით-
ხულ ლექციებში — გენეტიკასა და ცხოველ-
თა მოშენებლობის მეცნიერებაში — ის ხარის-
და ფურის ზოგად სახელად ტერმინ „ზრო-
ხა“-ს ხმარობდა.

ზოგადი მნიშვნელობით ტერმინი „ძროხა“
შესულია საქართველოს ზოოტექნიკა-ვეტერი-
ნარიის სასწავლო საკლავი ინსტიტუტის სას-
წავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში,
როგორც, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო
ცხოველთა კვების პროგრამასა და სახელმძღ-
ვანელოში, მეძროხეობის პროგრამასა და სა-
ხელმძღვანელოში, სასოფლო-სამეურნეო ცხო-
ველთა ფიზიოლოგიის პროგრამაში და სხვა.

ტერმინი „ძროხა“ ზოგადი მნიშვნელობით
შესულია საქართველოს სსრ სოფლის მეურ-
ნეობის სამინისტროს მიერ გამოცემულ სხვა-
დასხვა ცნობარში, როგორცაა „სასოფლო-სა-
მეურნეო ცხოველის სახელთა ცნობარი“ (გა-
მოცა ორჯერ. 1964, 1972), „ცნობარი სა-
სოფლო-სამეურნეო ცხოველთა უღუფის შე-
საღვენი“ (გამოცა ორჯერ. 1972, 1974).

ტერმინი „ძროხა“ ზოგადი მნიშვნელობით
შეტანილია ვ. კაბანაძისა და შ. ხუნდაძის მიერ
შედგენილ მე-2 კლასისათვის განკუთვნილ
ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელო „ბუ-
ნების კარში“, რომელშიც ვკითხულობთ:
„აღვიანმა მოიშინაურა: ძროხა, ცხვარი, ცხე-
ნი, ღორი, კატა, ძაღლი და სხვა“.

როგორც ვხედავთ, ტერმინ „ძროხა“-ს თა-
ვისი ზოგადი მნიშვნელობა არ დაუკარგავს,
როგორც ზოგიერთი მკვლევარი გვარწმუნებს.
მას მხოლოდ დედალი ცხოველის მნიშვნელო-
ბა არ მინიჭებია, ის ტერმინ „ფური“-ს სი-
ნონიმი არ გახდარა. ახლო წარსულში ზოგი-
ერთი მკვლევარი გარდა ტერმინისა „ძროხა“
დედალი ცხოველის მნიშვნელობას იხეთ ზო-
გად სახელბესაც კი ანიჭებდა, როგორცაა
„ცხვარი“, „თხა“, „ქათამი“, მაგრამ, ჩვენდა
სამედინეროდ, ეს მოსაზრებაც უსაფუძვლო
აღმოჩნდა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ
თვით ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მო-

ერ გამოცემულ სიტყვაშიც ხარისა და ფურის ზოგად სახელად მოცემულია: ტერმინი „ძროხა“ (იხ. სოფლის მეურნეობის სიტყვანი. თბ., 1971). ასეა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომის მაკეტშიც.

როგორც ირკვევა, მთავარი სარედაქციო კოლეგიის ზოგიერთი წევრიც კი უპაჟოფლოა ამ საკითხის არასწორი გადაწყვეტილებით. იორას წერს ამის შესახებ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი: „რქოსან პირუტყვს მადვილად ზროხა-ძროხა ეწოდება, მამალს — ხარი, დედალს — ფური, ძროხა რომ ამჟამად ფურს მივაკუთვნეთ არ არის სწორი, „ძროხა“ ზოგადია“ (იხ. ნიკო კეცხოველი, მეცხრე მთავ გადავირეთ. თბ., 1976, გვ. 18).

ვინაიდან გადაწყვეტილება ტერმინ „ძროხა“ ტერმინ „მსხვილი რქოსანი საქონელი“ შეცვლის შესახებ რედაქციამ პირველი ტომის მაკეტის დაბეჭდვის შემდეგ მიიღო, ამიტომ ყველა სტატიაში ეს ცვლილება ვერ განხორციელდა, რაც არე-დარევას ჰქმნის. ასე, მაგალითად, ტერმინი „ძროხა“ შეცვლილია „მსხვილი რქოსანი საქონელი“ ზოგიერთი სტატიის სათაურსა („იარაღი რქოსანი მსხვილი რქოსანი საქონელი“ და სხვა) და ტექსტში, ხოლო ზოგიერთი სტატიის ტექსტში ტერმინი „ძროხა“ ან ზოგადი მნიშვნელობით იხმარება, ან კიდევ ტერმინ „ფურისა“. სტატიაში „ადრეულთა“ ვიკოზულობით: „ნაცარა უჯრ., კლმუხური, ყირ. ძროხა...“ ამავე სტატიაში უფრო ქვემოთ წერია: „ყუზახ. და ახტრახანული ძროხა...“, ამ სტატიაში ტერმინი „ძროხა“ ზოგადი მნიშვნელობით არის გამოყენებული.

ზოგადი მნიშვნელობით იხმარება ტერმინი „ძროხა“ აგრეთვე სტატიაში „ბატონია წინა კუქისა“, „ანოა“, „ადენომატოზი ფილტვისა“ და სხვა, ხოლო სტატიაში „ავსტრია“ ტერმინი „ძროხა“ ტერმინ „ფურის“ მნიშვნელობით იხმარება. ამავე დროს რიგ სტატიაში პარალელურად ტერმინი „ფურიც“ იხმარება. როგორც ვხედავთ, ამ საკითხში არავითარი თანამშრომლობა არაა დაცული.

ტერმინ „ძროხა“-ს, ამ ქართულ ხალხურ და ამასთან ადელსახმარ, ადელწარმოსათქმულ და სპეციალურ სიტყვას, რასაკვირველია, ვერ შეცვლის ისეთი აღწერილობითი გამოთქმა, როგორცაა: „მსხვილი რქოსანი საქონელი“. ეს უკანასკნელი საბოლოოდ ქართულ ენაში, ბუნებრივია, ვერ დამკვიდრდება, ვინაიდან ის ვერ აკმაყოფილებს ქართული ენის წესებს და ნორმებს, არ შეესაბამება მის სულისკვეთებას, ხასიათს და ისტორიას, არ იძლევა ორიენტაციას მხოლოდ ერთ ცნებაზე (მსხვილი და რქოსანი სხვადა ბევრია, მაგალითად, კამერი). გარდა ამისა, ის მოუხერხებელა ტერმინია, მას

არა აქვს ლერეცავილობა, ე. ი. შესაძლებლობა სხვა ტერმინი წარმოქმნას და ა. შ. ტერმინი „ძროხასაგან“ შეიძლება ვაწარმოთ: მექსიხე, მეძროხეობა, სამძროხე და ა. შ. მიუტყვებელი შედეგია იქნებოდა, რომ იაკობ გოგებაშვილის მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე შედგენილ „დედაენაში“, „ბუნების კარში“, აგრეთვე სხვა სახელმძღვანელოში ტერმინი „ძროხა“-ს ნაცვლად „მსხვილი რქოსანი საქონელი“ შეგვეტანა.

ენციკლოპედიის მეორე ტომში მოთავსებულია სტატია „ბატკანძერი, კრავიჟამია“, რომლის ავტორია ა. ჭანაშვილი. სტატიაში ვითხულობთ: „საქართველოში — კავკასიონზე და სამხრ. მთიანეთში (4800-მ-მდე ზ. დ.), ბუღაზს კლდის ნაპარტებში შავარდნისებრთა ოჯახის მტაცებელი „ბატკანძერი, კრავიჟამია“. საქიროა აღინიშნოს, რომ მემზოფ ფრინველი, რომელსაც ავტორი ბატკანძერის და კრავიჟამიას სახელწოდებით აცნობს ქართველ საზოგადოებას, არის ქართველი ხალხისათვის ძველთაგანვე კარგად ცნობილი ორბი, რომელიც საქართველოში მობინადრე ფრინველის სახით გვხვდება ფშავ-ხევისურეთში, თუშეთში, სვანეთში, აფხაზეთის მაღალმთიან ზონაში და სხვ. ორბისათვის „ბატკანძერის“ და „კრავიჟამიას“ შერქმევთ, ხოლო ტერმინ „ორბით“ სხვა სახეობის ფრინველის (სვავის) აღნიშვნა, ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელია.

ქართულ ხალხურ პოეზიაში, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში, იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ მოხსენიებული ორბი სწორედ ის ფრინველია, რომელსაც რუსულად „Бородач, Ягнатики“ ეწოდება. ორბი ძალიან გამბედავია, გარეგნული შესახედია ორბი არწივს ჰგავს. ხალხურ პოეზიაში, ისევე როგორც არწივს, შავარდენს, ქორს, მიმინოს, ორბსაც გამოსტავდნენ როგორც ვაკაცობის სიმბოლო. სამწუხაროდ, ზოოლოგიის სახელმძღვანელოა და ფრინველების ნომენკლატურულ ტერმინოლოგიაში ტერმინ ორბის (ისე როგორც ზოოლოგიაში სხვა ფრინველის სახელწოდების) მნიშვნელობა მართებულად არ ესმით. ამ ძველისძველი ხალხური სახელწოდების გადასხვაფერება კი არ შეიძლება.

ტერმინები — ბატკანძერი, კრავიჟამია, ბატკანიჟამია, წვეროსანი მებატანი, რომლებსაც აშეამად სხვადასხვა ავტორთან ვხვდებით ორბის მნიშვნელობით, ქართული ენის ბუნებისა-

აღმუხსნელმა მუთათაულმა ამოსჯივანი ქართული საპროტა მენცროლოგიის პირველ ორ ტომში წარმოშობილ ზოგიერთ ზოოტექნიკურ და ზოოლოგიურ ტერმინზე



თვის შეუფერებელი სიტყვებია, რომელიც ორბის რუსული სახელწოდების „НОРДНА, ЯГНАТИნი“-ის კალკია და ბარბარისმად თვლება. სტატიაში არის სხვა ხასიათის შეცდომაც. მაგალითად, სტატიის მიხედვით ორბი ან, როგორც ავტორი წერს, „ბატკანძერი, კრავიკამა შავარდინსებრთა ოჯახის ფრინველია“, რაც სწორი არ არის. უნდა იყოს ქორისებრთა ოჯახი.

ენციკლოპედიის პირველ ორ ტომში ადგილი აქვს აგრეთვე ზოგიერთი ტერმინის უმართებულად ხმარებას. ასე მაგალითად, ზოგ სტატიაში ტერმინი „მატყლი“ იხმარება „ბეწვის“ (ძუძუმწოვარი ცხოველის თმოვანი საფარველი) მნიშვნელობით, რაც სწორი არ არის, ვინაიდან „მატყლი“ არის ცხვრის ბეწვის სახეობითი სახელწოდება. პირველ ტომში, სტატიის სათაურში ვკითხულობთ: „ანგორული თხა, ძვ. სამატყლე ჭიშის თხა“. თხის მიმართ ტერმინ „მატყლი“-ს ხმარება უმართებულაა, ვინაიდან თხის თმოვან საფარველს მატყლი არ ჰქვია. მატყლს მხოლოდ ცხვარი იძლევა. როგორც ცნობილია, მრეწველობაში დასამუშავებელი ბეწვის ძირითად მასას მატყლი (ცხვრის ბეწვი) შეადგენს (დაახლოებით 85 %), რომელიც სხვა სახის ბეწვთან შედარებით საუკეთესო ტექნოლოგიური თვისებით განიჩნევა. კარგი სართავი თვისებით განიჩნევა ანგორული თხის ბალანი, რომელიც ცნობილია „მუხარის“-ს სახელწოდებით.

უმართებულაა აგრეთვე აღქმისებრთა ოჯახის ძუძუმწოვარი ცხოველის „ალბაკა“-ს ბეწვის მიმართ ტერმინ „მატყლი“-ს ხმარება (სტატიაში „ალბაკა“). ალბაკა იძლევა სტეკს (აქლემის ბეწვი), რომელსაც კარგი სართავი თვისება აქვს. მისგან წმინდა შალის ქსოვილი მზადდება, რომელიც უხეშ მატყლზე უფრო ძვირად ფასობს.

სტატიაში „ავღანეთი“ ტერმინი „ვირი“-ს მნიშვნელობით ტერმინი „სახეღარი“ იხმარება, რაც უმართებულაა. როგორც ცნობილია, ქაჩაჩაინების რიგის, ცხენისებრთა ოჯახის შინაური ცხოველის ეს წარმომადგენელი ყოველთვის „ვირის“ (რუს. овца) სახელწოდებით იყო ცნობილი (იხ. სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, აკადემიის მიერ გამოცემული სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიერ გამოცემული „სოფლის მეურნეობის სიტყვანი“ და სხვ.). ტერმინით „სახეღარი“ ცხენის, ვირის, ჯორის გამოყენების ერთ-ერთი ხერხი აღინიშნებოდა ყოველთვის.

უმართებულად იხმარება ტერმინი „აწვეერი“ სტატიაში „აწია“. სტატიაში ვკითხულობთ: „ცენტრ. ა-ის ზეგნებზე გვხვდება აწვეერი (იავი)...“ ამ სტატიაში „ცხოველთა სამყაროს“ ავტორია ა. ჯანაშვილი. ტერმინი „აწვეერი“-ს

ხმარება იაკის სახეობით სახელწოდებად უმართებულაა. თვითონ ა. ჯანაშვილი თავისი ნაშრომში „ზოოგეოგრაფიაში“ არ ხმარობს ამ ტერმინს. ის წერს: „ოლქში მეტად ვიწრო არეალი უკავია იაკს, რომელიც გვხვდება ტიბეტის ზეგანზე“, საშუალო სკოლის ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოში მიღებულია ტერმინი „იავი“ (იხ. შ. სპატაკიძე. ბუნება. თბ., 1977). სტატია „აწვეერი“-ს მიხედვით აწვეერი არის საკიდარი ხარი, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ გამოიყენებოდა საოჯახო მეურნეობაში, რაც სავსებით სწორია. შინაური იაკიც შეიძლება გამოიყენოს როგორც საკიდარი ცხოველი. მხოლოდ ამ ფუნქციის შესრულებისას იქნება ის აწვეერი. როგორც ეხედვით, ძროხისებრთა ოჯახის მცოდნევი ცხოველთა — იაკისათვის აწვეერის დარქმევა უმართებულაა.

სტატიაში „ბრანანტული ცხენი, ბრანანსონი“ და „ბუღოლიური ცხენი“ დედალი ცხენის მნიშვნელობით გამოყენებულია ტერმინი „ფაშატი“, რაც უმართებულაა. როგორც ცნობილია, ფაშატი ჰქვია დედალ კცოცს, ხოლო დედალ ცხენს ყოველთვის ჰქვია ეწოდებოდა (სინონიმი ბრდალი). პირველ სტატიაში მწარმოებელი მამალი ცხენი აღინიშნება ტერმინ „ჩაილილი“, ხოლო მეორე სტატიაში ტერმინ „უდაყით“. ასეთი არე-დარევა დაუშვებელია.

მეორე ტომში დაბეჭდილია სტატია „ბარი, გავაზი“. ამ ორი ტერმინით სტატიაში აღინიშნება დიდრონი საუკეთესო მონადირე ფრინველი, რომლის რუსული შესატყვისია „БАРЬ-НАДН“ აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ტერმინებს „ბარის“ და „გავაზის“ სინონიმებად დასახელება ასევე შეცდომაა, ვინაიდან ამ ტერმინებით შავარდინსებრთა ოჯახის ორი ცხვრდასხვა სახეობის ფრინველი აღინიშნება. ვხეულობთ ბატონიშვილს თავის ნაშრომში „აღწერა სამეცნიერო საქართველოსა“-ში დასახელებული მკვანს საქართველოში გავრცელებული შავარდინსებრთა ოჯახის ყველა ფრინველი. ესენია: შავარდნი, გავაზი, ბარი, მარტანი, თულშავი, ალალი, კირკიტა. ასე რომ, ეს სტატია ეტება დიდრონი საუკეთესო მონადირე ფრინველს — გავაზს (რუს. ВЯЛОНАН) და არა ბარს. ტერმინით „ბარი“ კი აღინიშნება გავაზის მსგავსი მომცროსი მტკიცებელი ფრინველი, რომლის რუსული შესატყვისია ДЕРНИК. სამწუხაროდ, ფრინველი ბარი ალალის სახელწოდებით შესულია პირველ ტომში.

ტერმინ „გავაზით“ რომ შავარდინსებრთა ოჯახის დიდრონი ფრინველი აღინიშნება, ეს სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონიდან“ ჩანს. საბა ტერმინ „გავაზს“ არ განმარტავს, მაგრამ ასახელებს მის უცხოურ, თურქულ შესატყვისებად „უთალაღუსა“ და „ბალბანს“. ტერმინი „უთალაღუს“ მომდინარეობს



„ოთელგა“ ან „ოთელგა“-დან, ასე უწოდებენ გავაზს შუა აზიის ხალხები — თურქმენები და სხვები, ხოლო „ბალბანა“ მომდინარეობს ამ ფრინველის სპარსული სახელწოდებიდან (აქედანაა რუსული სახელწოდებაც „бальбан“).

იოანე ბატონიშვილის ნაშრომებშიც ტერმინებით გავაზი და ბარი ორი სხვადასხვა სახეობის ფრინველი აღინიშნება. მის რუსულ-ქართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: **БАЛБАН** — გავაზი. ფ. მძლავრისა და მტაცებლის ქორის გუარია (იხ. ხელნაწერი, ფონდი H, № 2328). კალმასობაში ტერმინი „გავაზი“ შემდეგნაირად აქვს გამარტებული: „გავაზი — ღიდროანის ფრინველებისთვისცა და ჭერნისათვისცა გამართული კარგია, გარნა ორი ერთად უნდა მოუტოო გავაზი: რომელიც რიგ-რიგ და უწყებენ ცემასა და ისე შთამოაგდებენ წეროსა, ხოლო ჭერანსა თვალებში დაუწყებენ კლანეთი ცემასა და დაბრკოლებენ მოსსა სირბილსა, და მაშინ მოტეული მწვეგარი ადვილად შეიპყრობს მას ჭერანსა“. ხალეჟიკოლონ მსახლეებში წერს: „ბარი მონადირე ფრინველი, გავაზსა ჰგავს“ (იხ. ლილი ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაკრატონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები. თბ., 1967).

სტატიაში „არხანგელსკის ოლქი“ არის ასეთი ბუნდოვანი გამოთქმა: „ხლომოგორის მაღალბროდუქტული ჭიშის მეწველი პირუტყვი“. იგი ქართველი კაცისათვის გაუგებარია, ვინაიდან ტერმინი „პირუტყვი“ ტერმინ „ცხოველის“ სინონიმი და კონკრეტულად რომელ სახეობაზეა ლაპარაკი სტატიაში არ ჩანს. პირუტყვაა — ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა და სხვა. უმართებულთა აგრეთვე ტერმინ „მეწველის“ ხმარება. აქ საკითხი ეხება ხლომოგორული ჭიშის ძროხის პროდუქტულობის სარქო მიმართულებას და არა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. იმავე მნიშვნელობით სტატიაში „ალასკა“ ვკითხულობთ: „აშენებენ სარქო საქონელს“. აქაც გაუგებარია, რა სახეობის „საქონელს“ აშენებენ. სტატიებში „არაფლო“, „ახალი მამულლო“, „ახალი ნიჩბის“ წერია „მემოსტნეობა-მერქვეობის საბჭოთა მეურნეობა“. ტერმინ „მერქვეობა“-ს ხმარება საბჭოთა მეურნეობის სახელწოდებაში მართებულად არ მიგვანია, ვინაიდან მერქვეობა მეცენარებაა, რომელიც შეისწავლის რძის შედგენილობასა და თვისებას, მისი მიღების და რძის პროდუქტად გადამუშავების ტექნოლოგიას და არა მემცხოველების დარგი. ასეთი მეურნეობა არის სპეციალიზებული ორდარგაანი საბჭოთა მეურნეობა, სადაც მემცხოველების დარგი — მემცხოველობა შეხამებულია მემცენარეობის დარგთან — მემოსტნეობასთან. ასეთი ტიპის საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო საქმიანობა მიმართულია იმისკენ, რომ უსასხლეობა მო-

მარაგოს ბოსტნეული კულტურებით და მემცხოველობის პროდუქტებით: რძით (უშუალოდ ან ხალა, ხორცი. ამიტომ მეურნეობის სახელწოდება უნდა იყოს „მემოსტნეობა-მემცხოველობის საბჭოთა მეურნეობა“, ხოლო მეურნეობამ ფრინველზე არასწორად შედგენილი წარწერა უნდა გაასწოროს.

სტატიაში „ბაზი“ მონადირე ფრინველის წაფვას რატომაც წერსანა უწოდებენ, რაც უმართებულთა. წერსანას (тренировка) და წაფვას (дрессировка) შორის განსხვავება ღიდა. ამ სტატიაში საქმე გვაქვს ქორის, მიმინოს და სხვა მონადირე ფრინველის წაფვასთან (გამართვასთან) და არა წერსანასთან. წაფვა არის ცხოველის სისტემატური ზემოქმედებით მასში გამოუმუშავდეს და განკუთვნილი ადამიანისათვის. გარკვეული მოქმედება და ჩვევა, ხოლო წერსანა არის სისტემატური ვარჯიში რაიმე საქმეში, რომელიც ფიზიკურ სიძარღვს და რომელიმე მოძრაობის მარჯველ შესრულებას მოითხოვს.

ენციკლოპედიის მეორე ტომში მოთავსებული სტატია „ბოსელი, გომი, გომური“ არაა დაწერილი თანამედროვე დონეზე. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ბოსელი“ არ არის ტერმინი „გომისა“ და „გომურის“ სინონიმი, რაც სულხან-საბას ქართული ლექსიკონიდანაც ჩანს. გომურია (რუს. Хлев) არის მსუბუქი ტიპის სადგომი სხვადასხვა ცხოველისათვის, რომელიც უფრო დამასახათებელი იყო წარსულში ერთპიროვნული მეურნეობისათვის. ამჟამად კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გვაქვს უფრო კაპიტალური ტიპის სპეციალიზებული ნაგებობანი სხვადასხვა სახ. სამ. ცხოველისათვის, როგორცაა: ბოსელი (საძროხე), სალორე, ფარები (საცხვრე) და ა. შ. სტატია თავისი შინაარსით უფრო გომურს ეხება, ვიდრე ბოსელს. ტერმინი „გომური“ კი ენციკლოპედიაში შესატანი არ იყო (არცაა შეტანილი სოფლის მეურნეობის სიტყვანში). ენციკლოპედიაში უნდა შესულიყო თანამედროვე დონეზე დაწერილი სტატია „ბოსელი“ (რუს. Скотный двор), რომელიც, სამწუხაროდ, ვერ გავიდა.

პირველ ტომში დაბეჭდილია სტატია „აღმართური ცხვარი, სამატყლო-სახორცი“. წმინდამატყლის ცხვრის ჭიშისა. ხომ არ იქნებოდა აქ უფრო ზუსტი, წმინდამატყლიანის ნაცვლად „წმინდასაწმინისაინ“ გვეხმარა? ეს ტერმინი შესულია სოფლის მეურნეობის ტერმი-

ალექსანდრე მუთათელიამ გოსსარბინი ძარბოლი სპაპოთა ინფიკლოპედიაში პირველ ორ ტომში წარმოდგენილ ზოგადიან ზოგობაში და ზოგოლოგიურ ტერმინზე



ნეოლოგიაში, აკადემიის რუსულ-ქართულ ლექსიკონში და სხვ. ტერმინი „წმინდასაწმინსიანა“ ჭოშის მაჩვენებელი იქნებოდა, ხოლო სამატულო-სახორცო მიმართულებისა ამ ჭოშში. „საწმინსი“ ძველი ქართული სიტყვაა. საწმინსიც მატულია. მაგრამ საწმინსი უკველგვარ მატულს კი არ ჰქვია, არამედ მხოლოდ ერთგვაროვანს. გავიხსენოთ თუნდაც საყოველთაოდ ცნობილი „ოქროს საწმინსი“ ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. მაგრამ თუ უპირატესობას ვაძლევთ ტერმინს „წმინდამატულიანს“, ხომ უნდა დავიცვათ ის ტომის ყველა სტატიაში? სამწუხაროდ, ამით არავინ დაინტერესებულა. მაგალითად, სტატიაში „აწერბაიჯანული მთის მერჩოისი“ გვხვდება ტერმინები: წმინდამატულიანი, უხეშმატულიანი, ხლო სტატიაში „აწერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ იმავე მნიშვნელობით წერია: „ნაწმატულიანი“, „მქიმემატულიანი“. დაუშვებელია ასეთი არეკვარება.

სტატიაში „ანგორული თხა“, ტერმინ „ნევის“ ნაცვლად „დედალი თხა“ წერია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ ენას არ გააჩნია დედალი თხის აღმნიშვნელი ტერმინი. მაგრამ ეს ასე არ არის. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით დედალი თხა აღინიშნება ტერმინით „ნევი“. როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე ტერმინები — ვაცო და ნევი რეალური სქესის განსაზღვრელი საგანგებო სიტყვებია თხაში, როგორც ხარი და ფური ძროხაში, ვერძი და ნერბი ცხვარში, ტახი და ქუბი ღორში და ა. შ. როგორც ჩანს, დღევანდელი ქართული ენის ეს თავისებურება. სამაგრიოდ ტერმინი „ნევი“ იხმარება სტატიაში „არჩვი“, რომელშიც ვკითხულობთ: „რქები აქვს ვაცებსაც და ნევეებსაც“. ესმება საკითხი: თუ ტერმინით „ნევი“ შეიძლება აღნიშნოს დედალი არჩვი — ანტილოპის სახეობის გარეული ცხოველი, რომელიც გარეგნული შესახედლობით თხას ჰგავს, რატომ არ შეიძლება ამ ტერმინით თვით დედალი თხა აღინიშნოს? ტერმინი „ნევი“ ხომ „თხის ლექსიკაში“ შედის.

დედალი ღორის აღსანიშნავად ენციკლოპედიაში ორი ტერმინი იხმარება — ნევი და ქუბი. მაგალითად, სტატიაში „გარეული ღორი“ იხმარება „ნევი“, ხოლო სტატიაში „ბერქმირული ღორი“ იხმარება „ქუბი“. ჩვენი აზრით, დედალი ღორის აღნიშვნა ტერმინით „ნევი“ უმართებულა.

საიროსა შევხვით აგრეთვე ტერმინ „მესაქონლეობას“, რომელიც სტატიაში ხან ძველი მეჭოგეობის, ხან თანამედროვე მეცხოველეობის, ხან კიდევ მეძროხეობის მნიშვნელობით იხმარება. ასე, მაგალითად, სტატიაში „აღიღებულები“ ვკითხულობთ: „...მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მებაღეობას“. აქ ტერმინი „მესაქონლეობა“ ტერმინ „მეჭოგე-

ობის“ ნაცვლად იხმარება, რაც მართებულად არ მიგვაჩნია.

სტატიაში „აწერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ ტერმინ „მესაქონლეობა“ ტერმინ „მეძროხეობის“ მნიშვნელობით იხმარება. სტატიაში წერია: „განვითარებულია მესაქონლეობა, მეცხვარეობა“. „მეძროხეობის“ მნიშვნელობით სხვადასხვა სტატიაში (მიმართულებების ჩვენებით) იხმარება: „სახორცე მესაქონლეობა“ (სტატია „აღმა-ათის ოლქი“); „საძრეო-სახორცე მესაქონლეობა“ (სტატია „ავსტრალიის კავშირი“); ზოგ სტატიაში „მეძროხეობის“ მნიშვნელობით „მეცხოველეობაც“ კი იხმარება. მაგალითად, სტატიაში „ადიგენის რაიონი“ ვკითხულობთ: „სახორცე-სარძევე მეცხოველეობა“, ხოლო სტატიაში „არგენტინა“ წერია: „სარძეო მეცხოველეობა“. თვით ტერმინი „მეძროხეობა“ ენციკლოპედიის პირველი ორი ტომის არც ერთ სტატიაში არ გვხვდება.

ზოგ სტატიაში ტერმინი „მესაქონლეობა“ თანამედროვე ტერმინ „მეცხოველეობის“ მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად, სტატიაში „არაბები“ წერია: „(არაბების)... ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა ნახევრად მომთაბარე მეურნეობა და მიწათმოქმედებას მომთაბარულ მესაქონლეობას (ცხვარი, თხა) უთავსებს“, ხოლო სტატიაში „ავღანეთი“ ვკითხულობთ: „...მთიანი რაიონების მოსახლ. ძირითადი საქმიანობაა მომთაბარე მეცხოველეობა, უმთავრესად სახორცე-სამატულე მეცხვარეობა“.

როგორია საკითხის ისტორია და როგორ მოხდა ამ ტერმინების ერთმანეთში არევა? ტერმინ „მესაქონლეობას“ დღეი ხნის ისტორია არა აქვს. „მესაქონლეობა“ ნაწარმოებია სიტყვიდან „საქონელი“, რომელიც, პაატა გუგუშვილის ცნობით, შინაური პირტუცკის აღმნიშვნელ სიტყვად სალიტერატურო ენაში მხოლოდ XIX საუკუნიდან ვრცელდება (იხ. პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტომი მესამე, თბ., 1959, გვ. 428-439).

ძველ ქართულში ტერმინები „მესაქონლე“ და „მესაქონლეობა“, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პ. გუგუშვილი, საერთოდ არ გვხვდება. როგორც კურიოზი, პ. გუგუშვილმა ისიც კი აღნიშნა, „რომ დღემდე არსებულ ერთადერთ ქართულ „მესაქონლეობის“... ლექსიკონში გამოჩენილია სიტყვა „მესაქონლეობა“. ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ლექსიკონში არც ტერმინი „მესაქონლე“ გვხვდება.

შინაური სახოფლო-სამეურნეო ცხოველის მოშენებას ძველ საქართველოში მეჭოგეობა ეწოდებოდა. ქართული ენა სოფლის მეურნეობის ამ ფრიალ მნიშვნელოვანი დარგისათვის

სხვა სახელწოდებას არ იცნობდა. მექოვეონა მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა, რომელიც განვითარდა სპილენძ-ბრინჯაოს (ენეოლითის) და ბრინჯაოს ხანაში (მ-1 თახ-წელული ძვ. წ.), როდესაც მოშინაურებული იყო სასოფლო-სამეურნეო ცხოველის მნიშვნელოვანი სახეობები: ძროხა, ცხვარი, თხა, ვიჯი, ცხენი, აქლემი, ჩრდილოეთის ირემი. დარგის სახელწოდება „მეჭოვეობა“ ქართველმა კაცმა ჭოგედან აწარმოვა, ვინაიდან აღმაშენის საწარმოო მოვლავრობის ძირითად ობიექტს ჭოგი წარმოადგენდა. ვისაც ჭოგი შეეძებ, ე. ი. ვინც მეჭოვეობას მისდევდა, მას მეჭოვეს უწოდებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რუსული „Животноводство“-ს შესატყვისად დამკვიდრდა ტერმინი „მეცხოველეობა“, რომელიც მეცნიერულად უფრო ზუსტად აღმოჩნდა, ვიდრე ძველ ქართულში მიღებული „მეჭოვეობა“ და მეცხრამეტე საუკუნიდან ცნობილი „მესაქონლეობა“.

ამჟამად ტერმინ „მეჭოვეობა“-ს ხმარობენ იმ ხალხის მეცხოველეობის თანამედროვე ექსტენსიური ფორმების აღსანიშნავად, რომლებიც მოხეტიალედ და ნახევრად მოხეტიალედ ცხოვრებას ეწევიან. ტერმინების „მეჭოვე“ და „მეჭოვეობა“-ს ნაცვლად ლიტერატურაში, სამეცნიეროდ, ფეხს იკიდებს ტერმინები „მესაქონლე“ და „მესაქონლეობა“, რაც სწორად არ მიგვაჩინა. როგორც ცნობილია, ენას ხალხი ქმნის. ქართველმა ხალხმა შორიულ წარსულში შექმნა ტერმინები „მეჭოვე“ და „მეჭოვეობა“ და უნდა დავიცვათ ის. სამეგრელოში კვარაცხელიებს, არქანიებს, ქარღვეებს და სხვებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ცხოველის მოშენებას მისდევდნენ, მეჭოვეებს უწოდებდნენ და არა მესაქონლეებს, ან კიდევ მეჭოვე-მესაქონლეებს, როგორც უმართებულოდ წერს ზოგიერთი მკვლევარი. ჩვენი აზრით, არაფრით არ არის გამართლებული ძველ საუკუნეებზე დაწერილ ისტორიაში ტერმინების — „მეჭოვე“ და „მეჭოვეობა“-ს ნაცვლად თანადროული ტერმინების (და ისიც არასაკირო) „მესაქონლე“ და „მესაქონლეობა“-ს ხმარება.

ამჟამად ქართულ ენაზე სოფლის მეურნეობის იმ დარგს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ცხოველის მოშენებას მისდევს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისათვის, მეცხოველეობა ეწოდება. მეცხოველეობაში 17 დარგი შედის. მათ შორის მემძროხეობა, მეკამეჩეობა, მეცხვარეობა, მეთხეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, მეცხენეობა, მევიარეობა, მეჭორეობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა, მენადირეობა, მეძაღლეობა, მეაბრეშუმეობა. ტერმინებს — ძველ მეჭოვეობას და თანამედროვე მეცხოველეობას ან მემძროხეობას ტერმინი „მესაქონლეობა“ ვერ შეცვლის, ხოლო მათ

პარალელურად ხმარებას, როგორც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშია, არე-დარე დასაყვეს აქვს ქართულ ენაში. მეცხოველეობის რომელიმე დარგის აღსანიშნავად სავსებით საკმარისია ერთი ტერმინი. ამიტომ ტერმინი „საქონლე“, როგორც სწორად ფიქრობს მკვლევართა ერთი ჯგუფი, ოთხფეხა სასოფლო-სამეურნეო ცხოველის — ხვადავის ან ძროხის მნიშვნელობით სრულებით არ არის საკირო. ტერმინით „საქონლე“ გამოისატება მხოლოდ ერთი საგანი — შრომის პროდუქტი.

სტატიაში „ავღანეთი“ გვხვდება ასეთი უზენაესი აღწერილობითი გამოთქმაც „მსხვილი რქოსანი მესაქონლეობა“. ვაკუბარია, რისთვის დასაქირდა სტატიის ავტორს ქართული ენისათვის შეუფერებელი ამ ჩიქორთული გამოთქმის ხმარება. მეცხოველეობაში მომუშავე რომელი ქართველი კლდეურნე იტყვის ამას. ის, ვინც ქართული ზოტექნიკური ტერმინოლოგია ცოტად თუ ბევრად იცის, „მსხვილი რქოსანი მესაქონლეობა“-ს არ იტყვის. რქოსანი ან რქიანი არის ცხოველი და არა დარგი, რქოსანი მესაქონლეობა, კუროზია. ამის ავტორს ისღა დარჩენია, რომ ასეთი დარგის სპეციალისტს „მსხვილი რქოსანი მესაქონლე“ უწოდოს.

ქართულ ენაზე ცნობილია შინაური ცხოველის ორი კრებითი სახელწოდება — მსხვილფეხა და წვრილფეხა. მსხვილფეხა — ძროხა, კამეჩი, ხოლო წვრილფეხა — ცხვარი, თხა, ღორი, წიგაჭერი — ფრინველი (ის. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მემძროხეობის მიმართულების გამომხატველ ტერმინებშიც არე-დარევაა. ზოგ სტატიაში „სარძევე“ წიარია, ხოლო ზოგში „სარძევი“.

პირველ ტომში გვხვდება ფაქტობრივი შეცდომებიც: ერთმანეთშია არეული ძროხის ჭიშების ძველი და ახალი სახელწოდებები.

მაგალითად, სტატიაში „ადრეულობა“ დასახელებული ანტრანაული და უაღმესური ძროხა ერთი და იგივეა. ამჟამად ძროხის ეს ჯიში დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში და სოფლის მეურნეობის ენციკლოპედიაში შეტანილია „უაღმესურის“ სახელწოდებით („ანტრანაული“ ძველი სახელწოდება). ერთი და იგივეა აგრეთვე ყირგიზული და ყაზახური ძროხა. ამჟამად ჯიშის სახელწოდება შემდეგნაირად იწერება: „ყაზახური (ყირგიზული) ჯიში“.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სასოფლო-სამე-

აღმესხანდრე მუთათელაძემ
მოსაზრებაში მართული საბოლოო ენციკლოპედის პირველ ორ ტომში წარმოადგენილ ზოგიერთ ზომბანდნობარ და ზოგი-
ლოგიურ ტერმინებზე



ურნეო ცხოველის ჯიშებზე დაბეჭდილი სტატიების სათაურები ერთნაირად არაა გაკეთებული, რაც შედომად მიგვაჩნია. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ძროხის ერთ-ერთ ჯიშზე დაწერილი სტატიის სათაურია: „აირშირული ჯიში მსხვილი რქოსანი საქონლისა“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სათაურში შეცდომაა ტერმინ „ძროხას“ შეცვლა „მსხვილი რქოსანი საქონელი“-თ. უნდა ეწეროს — „აირშირული ჯიში ძროხისა“ (ასეა დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც). თუ ეს ფორმა სწორია, რატომა მაშინ სხვანაირად გაკეთებული ცხვრის, ცხენის, ღორის და თხის ჯიშებზე დაწერილი სტატიების სათაურები. ასე, მაგალითად, „ალთაური ცხვარი“, უნდა ეწეროს „ალთაური ჯიში ცხვრისა“, „არაბული ცხენი“, უნდა ეწეროს „არაბული ჯიში ცხენისა“; „ბერქშირული ღორი“, უნდა ეწეროს „ბერქშირული ჯიში ღორისა“; „ანგორული თხა“, უნდა ეწეროს „ანგორული ჯიში თხისა“ და ა. შ.

დასასრულ, გვინდა შევხვთ ჩვენ მიერ შენიშნულ ზოგიერთ კორექტურული და სტილისტური ხასიათის შეცდომებს. მაგალითად, სტატიაში „კანთოცეფალოზი“ წერია: „ვაღმყოფი ღორებიდან 80%-ზე მეტი იღუპება“. ამ წინადადებაში ტერმინი „ღორის“ ხმარება მრავლობით რიცხვში სწორი არ არის. როგორც ცნობილია, სიტყვა „ღორი“ ერთ ცალ საგანსაც აღნიშნავს და კრებულსაც. იქ, სადაც თვით ენის ბუნება არ მოითხოვს, არ არის საჭირო მრავლობითი რიცხვის ხმარება. აღნიშნულ წინადადებაში მრავლობითი რიცხვი ძალადაა ჩაჩხირული, რაც ამახინჯებს წმინდა ქართულს.

სტატიაში „ანგორული თხა“ ვკითხვართ: „რქები აქვთ ვაცებსაც და ნეწვებსაც“. აქაც მრავლობითი რიცხვი ნახმარია რუსული ენის გავლენით... უნდა ეწეროს მხოლოდობითი ფორმით: „რქა აქვს ვაცსაც და ნეწვსაც“. სტატიაში „ბეკონი“ წერია: „ხორცის პროდუქტი, რასაც აწვადებენ საგანგებოდ გასუქებული ღორების ნაკლავისაგან“, უნდა იყოს: „...ღორის ნაკლავისაგან“. სტატიაში „ბარი, გვაზი“ ვკითხვლობთ: „ბ-ს წვრთნიან ფრინველებზე, კურდღლებსა და ქურციკებზე სანადიროდ“ უნდა ეწეროს: „...ფრინველზე, კურდღელსა და ქურციკზე სანადიროდ“.

ენციკლოპედიაში გვხვდება უმართებულო ფორმის სიტყვებიც. ასე, მაგალითად, სტატიებში „ახალთექური ცხენი“ და „ბაზი“ წერია: „ზრდასრული“, უნდა იყოს „ზრდადასრულებული“. პირველ სტატიაში გვხვდება სიტყვა „ცხენსაშენი“, უნდა იყოს: „ცხენთსამომშენებლო“. სტატიაში „აარეულობა“ ვკითხვლობთ: „კალმუხური ძროხა“. დაწერილობა „კალმუხური“ სწორი არ არის. უნდა იყოს „კალმუხური“. სტატიაში „აღვირი“ წერია „ცხენის აღჯამულობის ნაწილი...“ უნდა იყოს „...აჯამულობის“...

ასეთია ჩვენს შენიშვნების არასრული ნუხხა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ და მეორე ტომზე. აქ მოყვანილი მაგალითები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ზოოტექნიკურ და ზოოლოგიურ ტერმინოლოგიაში დაცული არ არის ენის სწმინდე. ვფიქრობთ, ენციკლოპედიის მესვეურები გაითვალისწინებენ ჩვენს მოყრდნეულ შენიშვნებს.



რეცენზია თუ პასკვილი?

შარშან „ციხის“ მე-ჩ ნომერში ლისტამბა შ. ინჟირველის რეცენზია ჩვენს წიგნზე „ჭადრაკის ანბანი“. გაგვაოცა წერილის შეურაცხყოფელმა ტონმა. სურვილმა, რაღაც არ უნდა დაჭდეს, ლაფში ამოსვაროს, გაათახსიროს სახელმძღვანელო, რომელიც მეორე ათეული წელია შეძლებისამებრ ემსახურება ქართველ ჭადრაკის მოყვარულებს. როგორც ჩანს, ავტორმა წერილიც იმისთვის დაწერა, რომ წიგნისთვის ინკვიზიტორული განჩენი გამოეტანა: „გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წიგნში თითქმის არ არსებობს როგორც საქადრაკო, ისე ჭადრაკის სწავლების მეთოდის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად დაწერილი გვერდები“ და „ის ყოველად გამოუსადეგარია დამწყები მოჭადრაკისთვის და შეიძლება მხოლოდ ზიანი მიაყენოს მოჭადრაკის ჩამოყალიბებას“. როგორც ხედავთ, რეცენზენტმა უმძიმესი ბრალდება წამოგვიყენა, დანაშაულიც დაგვწამა, რა თქმა უნდა, ასეთი რეცენზია პასუხს მოითხოვს.

ჭერ თვით წიგნის შესახებ. რეცენზენტმა შეგნებულად გვერდი აუარა მის შინაარსს, თუნდაც თავების ჩამოთვლით, რადგან ეს არ იყო მისთვის ხელსაყრელი. ბევრს ვეღარ მოიტყუებდა.

„ჭადრაკის ანბანი“ ორჯერ გამოიცა (1968 და 1974 წწ.) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რეკომენდაციით.

სახელმძღვანელოს თორმეტ თავში განხილულია ჭადრაკის თეორიის (ენდშპილის, მიტელშპილის, დებიუტის) ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, მოთხრობილია ჭადრაკის და მისი განვითარების ისტორია, ახსნილია საქადრაკო კომპოზიციის ბუნება და მოკლედ ნაშრობობა საქართველოში ჭადრაკის წარსულსა და აწმყოსზე. სახელმძღვანელო აგებულია, როგორც ეს წინათქმაშია აღნიშნული, თამაშის პრაქტიკული სწავლების პრინციპით. ამიტომ მასში ბევრია სასწავლო-საილუსტრაციო მასალა, რომლებიც უპირატესად ამოღებულია საბჭოთა მოჭადრაკეების, მათ შორის ქართველი ოსტატების პრაქტიკიდან.

წიგნში მოცემულია ჭადრაკის ის ელემენტარული ცოდნა, რითაც აუცილებლად უნდა შეიარაღდეს დამწყები მოჭადრაკე, თუ სურს შემდგომში დაოსტატება. ამიტომ სახელმძღვანელოში მოცემულია მხოლოდ დადებითი, პოზიტიური ცოდნა. ყველა თეორიული დებულება განმარტებულია მკაფიო მაგალითებით ოსტატთა პრაქტიკიდან, შემდეგ დასტამბულია სამაგალითო პარტიები და ბოლოს, ცოდნის გასამტკიცებლად, დამოუკიდებლად სახანალო პოზიციები. თითქმის ყველა მაგალითი, პარტია, პოზიცია, ამოცანა და ეტიუდი (ინანი 500-ზე მეტი) წარმოადგენს სხვადასხვა დროის ცნობილ მოჭადრაკეთა შემოქმედების საუცხოო ნიმუშს.

წიგნში დამწყებ მოჭადრაკედ იგულისხმება მკითხველი, დამოუკიდებლად რომ შეუძლია გაიგოს წაკითხული. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ დამწყების მაგიერ ნორჩ მოჭადრაკეს მოვიხსენიებდით. ბავშვს თამაშს მწვრთნელი ასწავლის. სწორედ ამიტომ „ჭადრაკის ანბანი“ მწვრთნელებს დამხმარე სახელმძღვანელოდ შევთავაზეთ.

სქელტანიანი, მრავალსაკითხიანი სახელმძღვანელო არ არის დაწვეული შეცდომებისაგან, უზუსტობებისაგან. ეს ორივე გამოცემის წინათქმაში აღვნიშნეთ.

რეცენზენტს წიგნში არაფერი მოეწონა. თხუთმეტობახიან სახელმძღვანელოში მან ვერ დანახა რაიმე ნათელი, მისაღები. ვერც ის, რომ პირველად ქართულ ენაზე ერთი უძის ქვეშაა მოქცეული საქვეყნოდ აღიარებული დიდოსტატებისა და ოსტატების ბრწყინვალე პარტიები, რომელთა უბრალო გაცნობაც დიდად სასარგებლოა. რეცენზენტი გვედავება თეორიულ განსაზღვრებებში, მასლის დლაგბაში, სწავლის მეთოდის, ისტორიისა და მხა-



ჭობის საკითხებში. მისი განხილვის, კრიტიკის ძირითადი მეთოდია ლიტონი და სუბიექტური განცხადებები, დაუსაბუთებლად დებულებისა თუ განხილვის უსწროდ, შეცდომად გამოცხადება, სიყალბე და ცილისწამება.

ჩვენ არ გამოვეცილებით რეცენზიაში აღძრულ ყველა საკითხს. ეს ძალიან შორს წაგოყვანა. შევვებებით მხოლოდ რამდენიმეს, რომელიც განხილვაში კარგად ჩანს რეცენზენტის კრიტიკის დამახასიათებელი ხერხები.

რეცენზენტი ბევრგან ვკისპყვედურებს სწავლების მეთოდის გამო. მას მიაჩნია, რომ ახშირად ვცოდავთ ამ საკითხში და საერთოდ ამ მხრივ სახელმძღვანელოში არც ერთი ახსნა-განმარტება გამართული არ არის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. თავად კი არსად ვგვიჩიარებს თავის შეხედულებას. მაგრამ მისი გაგება ძნელი როდია თვით რეცენზის მიხედვით.

მ. ინკვირველის მეთოდოლოგიური აზროვნების მკაფიო მაგალითია შემდეგი ფაქტი. იგი გვიყვინებს, რომ წიგნში „არასაკმარისად არის გაშუქებული“ ეტრულისტ გ. ნადარეიშვილის შემოქმედება. ჭერ არავის ხმენია, რომ დამწყებთათვის ჭადრაკის სახელმძღვანელოში გარჩეული ყოფილიყოს ცტრულისტის შემოქმედება. წიგნში არის ცალკე თავი „საჭადრაკო კომპოზიცია“, რომლის არსებობა რეცენზენტმა არ მოიხსენია. ამ თავში განმარტებულია ამოცანისა და ეტრულის არსი, ახსნილია ტერმინები, საილუსტრაციოდ მოყვანილია საქართველოს პრობლემისტებისა და ეტრულისტების, მათ შორის გ. ნადარეიშვილის შემოქმედების ნიმუშები. მეთი რა უნდა იყოს თამაშის ელემენტარულ სახელმძღვანელოში კომპოზიციის შესახებ? სხვათა შორის, რეცენზენტი იმასაც ვგვაყვედურებს, თითქოს სხვებთან შედარებით გ. ნადარეიშვილს ჭებადლება დაკავალით. რეცენზენტი არაკომპეტენტურია ქართული ჭადრაკის ისტორიის საკითხებში. პატარა წერილში, რომელშიც მიმოხილულია საქართველოში ჭადრაკის მდიდარი წარსული და აწმყო, ყველას თავისი დამსახურებისამებრ მივწლო. ნაამაგარი არც ჩვენს ცნობილ ეტრულისტს დავუკარგეთ.

ზოგჯერ რეცენზენტი პირდაპირ მივითითებს სწავლების თითქოსდა მეთოდურ შეცდომაზე. მაგალითად, ცუგკვანგის ახსნასთან დაკავშირებით.

თავში „შამათი ეტლით“ დიკარამაზე აღბეჭდილია შამათის პოზიცია. მერე განმარტებულია, რომ შამათი ქიშებისა და ანოზიციის დახმარებით მიიღება. იქვეა ასეთი შენიშვნა: „ეტლით დაშამათებში დიდი ცუგკვანგის როლი“. მაგრამ სიტყვა ცუგკვანგის მნიშვნელობა ამ ადგილას არ არის განმარტებული. მისი ბუნება და შინაარსი ახსნილია ორიოდ სტრაქონის შემდეგ, როცა დაფზე ცუგკვანგის პოზიცია შეიქმნა. რეცენზენტის აზრით, ცუგ-

კვანგის მსგავსი გაცნობა თურმე ლეგენდული მოკლებული ყოფილა. რატომ? ამის ახსნა უნებნა. მას ცუგკვანგის ჩვენი განმარტებაც არ მოსწონს. მაგრამ აქაც ლიტონი განცხადებით კმაყოფილდება.

მაგრამ ზოგჯერ გვაცნობს თავის შეხედულებას ისეთნაირად, თითქოს იგი ერთადერთი და სწორი ყოფილიყოს. ამ, მაგალითიც: მისი აზრით, გამხლოებული პაიკის ახსნა აუცილებლად უნდა დაგვეწყო ცენტრალური ძე პაიკის შემცველი პოზიციის გარჩევა-ანალიზით. რაკი ასე არ მოვიქცით, მისვე გამოგვიტანა განაჩენი — „ავტორი ვერ ერკვევა საჭადრაკო თეორიის ნიუანსებში“. ჩვენ ახსნილ გვაქვს საერთოდ გამხლოებული პაიკის ბუნება, რადგან ასეთი პაიკი არაცენტრალურად შეიძლება იყოს. შემდეგ კი საილუსტრაციოდ, სხვა მაგალითებთან ერთად, მოვყვანეთ მ. ბოტვინიკის ერთ-ერთი პარტიიდან გამხლოებული ძე პაიკის ტიპური შემთხვევა.

რეცენზენტი გვიწყნებს თავების — „პოზიციური თამაში“ და „კომბინაციური თამაში“ ასეთი თანმიმდევრობით დალაგებას. ეს გავეთეთ პ. რომანოვსკის ორტომულის „მეტელშპილის“ მიხედვით. რა არის ამში ცუდ? ასე მოიქცენ, მაგალითად, ა. კობლენცი და გ. ლისიციანი თავიანთ სახელმძღვანელოებში.

რეცენზენტს მოჰყავს რ. რეტის ცნობილი სიტყვები („ჭერ უნდა ვისწავლოთ კომბინირება, ვიდრე მოვისწავლოთ პოზიციურ თამაშს“). მაგრამ სხვა გამოჩენილ სპეციალისტებს (პ. რომანოვსკის, ა. კობლენცს, გ. ლისიციანს) მიანიჩიათ, რომ თუშცა ყველა დამწყებ მოჭადრაკეს ხიბლავს ტაქტიკური, კომბინაციური თამაში, ეს სასულეებით არ უშლის მას ხელს იცოდეს პოზიციის შეფასების ეტალები, პირიქით, მათი ცოდნა კომბინაციას მინიშნებს. როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაშიც რეცენზენტს სურს თავს მოვავხვიოს მაინცდამაინცის შეხედულება, რომელსაც იგი იჩიარებს.

როცა რეცენზენტს არ შეუძლია შემოკთავაწოს საკუთარი გაგება-განსაზღვრა, ავტორიტეტების შრომებიდან მოჰყავს ციტატები და მათ ჩვენსას უპირისპირებს. თუ აზრები დემთხვა, მაშინ გვსაყვედურებს — ცუდი ქართული პერიფრაზია, თუ არ დემთხვა, მაშინ ჩვენს განსაზღვრას უწუხტოდ, შეცდომად აცხადებს. მაგალითად გამოადგება სწორი კომბინაციის კანონზომიერების ჩვენი განმარტების კრიტიკა.

ჭერ რეცენზენტს მოჰყავს ჩვენი განსაზღვრა („საქირია აღინიშნოს, რომ კომბინაციური თამაში პოზიციურის გაგრძელებაა. ყველა სწორი კომბინაცია კანონზომიერია. მას აწუადებს წინა პოზიციური თამაში შემთხვევითი კომბინაცია არ არსებობს“), მერე აკეთებს ისტორიულ ექსპურსს მ. ეივასა და ი. ბონდარევის შრომებიდან. საბოლოოდ მასაც გამო-



ყავს, რომ შემთხვევითი კომბინაცია არ არსებობს და იგი ყოველთვის კანონზომიერია. მაგრამ ჩვენ განსაზღვრა მონაცემებზე მიჩინა, რატომ? ამას არ ამბობს. შეითხველი თავად უნდა მიხედვს. როგორც ჩანს, მას არ მოსწონს ჩვენი გამოთქმა — კომბინაციას „ამსაზღვრეს წინა პოზიციური თამაში“. ალბათ უნდა დაგვიწერა, როგორც ი. ბონდარეცკის აქვს: „მოტივები შეიძლება სხვადასხვა გზით შეიქმნას — გეგმიანად ან ერთბაშად“ (თარგმანი ყველგან ჩვენი. თ. გ.). ვანა ორივე განსაზღვრაში არ იგულისხმება კომბინაციის წინამორბედი თამაში? კომბინაცია კომბინაციიდან არასოდეს წარმოიშობა.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. ეტლების მრავალპიკიან ენდშპილში უპირატესობის რეალობების გზად რეკომენდაციას ვუწვევთ მარტივ (ერთპიკიან) ენდშპილამდე დაყვანის მეთოდს, სადაც მოგვების თეორიული პოზიციები არსებობს. რეცენზენტი ამ რჩეულ-დარიგებას შეცდომად მიიჩნევს. მოჰყავს ი. ავერბახის, ვ. სმისლოვისა და გ. ლევენფოშის სიტყვები, რომ გამარტივებულ ეტლების ენდშპილში მართლაც დამკვეთი მხარის წაგებისგან დაღწევის შესანი. რა თქმა უნდა, ეს ასე თუ უპირატესობის მქონე მოკლარაქე პიკების გაცვლით თამაშს თეორიულ საყიშო პოზიციამდე დაიყვანს. რომელი ჭკუათმყოფელი მოკლარაქე გადაიყვანს მრავალპიკიან ეტლების ენდშპილს მარტივში, თუ გამარტივების ნათელ გზას ვერ ხედავს. რეცენზენტს თავად მოჰყავს ვ. სმისლოვისა და გ. ლევენფოშის მონოგრაფიიდან ამონაწერი, რომ ეტლების მარტივ ენდშპილამდე დაყვანა, რომლის შეფასება უსიტად შეიძლება, მნიშვნელოვანი ტაქტიკური ხერხია, რომელიც საჭიროა მოხერხებულად გამოიყენოთ. სწორედ ეს აზრი გვქონდა მხედველობაში, როცა დამწყებ მოკლარაქეს უპირატესობის რეალობის გზას ვთავაზობდით. იგი გამართლებულია მეთოდოლოგიის თვალსაზრისითაც.

საკვიყნოდ გავრცელებული ჭეშმარიტებაა, რომ ენდშპილებს შორის ყველაზე რთულია ეტლების ენდშპილი, რადგან ჭკრ კიდევ ბევრი პოზიცია არ არის ღრმად შესწავლილი და დამკვეთ მხარეს ყაიბის მიღწევის დღეი შესანი აქვს. რეცენზენტი არ იზიარებს ამ შეხედულებას (ეს მისი საქმეა), მაგრამ, როგორც სჩვევია, არაფერს ამბობს, რომელი ენდშპილია, მისი აზრით, ყველაზე რთული.

რეცენზენტი გვისაყუველთერებს, რომ „კომბინაციური თამაში“ ძირითადად აღებულია ი. ბონდარეცკისა და გ. ლისციანის (და სხვა ავტორთა) ნაშრომებიდან იხე, რომ მათი სხეუნებაც არ არის.“ რეცენზენტს მხედველობაში აქვს კომბინაციის იდეების დასახელება. მას უნდა ვუხიბათ, რომ ამ დასახელებათა ნათლიას (გ. ლისციანს) აღარავინ ახსენებს, რად-

გან ისინი საყოველთაოდაა გავრცელებული თვით ი. ბონდარეცკიმ წარმოიხსენიანა, თუმცა თითქმის მთლიანად გაიმორა გ. ლისციანის შემოღებული დასახელებები. რაც შეეხება იმას, რომ სახელმძღვანელოს არა აქვს დართული გამოყენებული ლიტერატურის სია, გამოშცემლობამ არ ჩათვალა იგი საჭიროდ. ასეთი სია არა აქვს ი. ბონდარეცკის, ა. კობლენცის, პ. რომანოვსკის და სხვათა წიგნებს. თურმე ჩვენ უნდა გვიქონოდა.

რეცენზენტი ცილს გვწამებს, რომ წიგნი კომპილიაციაა, ამასთან უბადრუკიც. მაგრამ, როგორც სჩვევია თავს არ იწუხებს ამის დამტკიცებით. ჩვენი სახელმძღვანელო აგებულია ათობით სხვა მსგავსი წიგნის გათვალისწინებით და არა გადმოღებით. ამას აღვიღად მიხედვოდა, რომ შეეჭიბრებინა ისინი ერთმანეთისათვის. მან ისიც ვერ შეამჩნია, ანდა შეგნებულად არ დანახა, რომ, მაგალითად, ჩვენს წიგნში „ენდშპილი“ თეორიული ნაწილის თავში გამოტანილი კაპაბლანკას რჩევის წიგნში ბევრი სხვადა განსხვავებული ცნობილი სახელმძღვანელოებისაგან, რასაც აუცილებლად შეამჩნევდა კეთილშობილურნი რეცენზენტი და თავის ობიექტურ შეფასებას მისცემდა.

ცილისწამებაა ისიც, თითქოს გადმოგვიქართულდებინოს აღვლები (ყველა წიგნში რომ ერთნაირად წერია) ი. ბონდარეცკის, გ. ლისციანის, ი. მაიზელისის და სხვათა წიგნებიდან და საკუთრად წარმოგვედგინოს. ასეთი ბრალდებაც დაუსაბუთებლადაა წამოყენებული. რეცენზენტი იმასაც ამბობს, თითქოს წიგნში არის „აოფსასიანი ფრაზები, ფსევდო-უარნალისტური წყალი“, „პარტიების კომენტარებში შეივალავი ჩართულია ავტორისეული ბუნდოვანი და მცდარი მოსაზრებანი“, მაგრამ მას სრულებით არ აინტერესებს ყოველივე ამის დასაბუთება.

რეცენზენტს ბევრი რამ არ მოსწონს თავში „დებიუტი“.

ყოველი დებუტის შემდეგ იგი შენიშნავს: „გამოტოვებულია ბევრი დებიუტი“, მაგრამ არ ასახელებს რომელი. სახელმძღვანელოში დებუტებს მხოლოდ ერთი თვე ეძღვნება. ამიტომაც (პრაქტიკული სწავლების პრინციპით) არ შეგვიტანია თანამედროვე პრაქტიკაში თითქმის მივიწყებული რამდენიმე სადებიუტო სისტემა. სწორედ ასე მოიქცა, მაგალითად, ი. როხლინიც თავის წიგნში „შახმატი“ (1959 წ.).

„საერთოდ დებუტების შესწავლა გამოტებით მიუღებელია“, წერს რეცენზენტი, როცა გვიწუხებს იტალიურ პარტიამდე ევანის გამბიტის ახსნას. ეს მისი სუბიექტური აზრია; რაც, რა თქმა უნდა, სხვებისთვის სავალდებულო

თენგიზ შიროვაძე
რეცენზია თუ პასპვილი?

არ არის. მაგალითად. ა. კობლენცი დებიუტების ახსნას შეფის გამხილვით იწყებს („შეკლდა შახმატნი იგრი“, 1982 წ.).

რეცენზენტს ვერ გაუგია რას ნიშნავს წინადადება: რტის დებიუტში „ფიგურების განვითარება საკუთარ ბანაჟში“. ჭადრაკი რომ გაეშალა და რამდენიმე სვლა გაეკეთებინა, მიხვდებოდა, რომ თეთრი ფიგურების განვითარება არ სცილდება პირველ სამ პირიფონტალს. ეს სწორედ იმ ამონაწერის შინაარსია, რაც იქვე თავად მოჰყავს ა. სოკოლსკის წიგნიდან.

გვისყვედურებს, რომ ფრანგული დაცვის შინაარსი არასწორად გვაქვს ახსნილი. მაგრამ როგორ უნდა იყოს, თავად, როგორც მუდამყამს, არაფერს ამბობს.

რეცენზენტისთვის არც სიყალბეა უცხო. ორი მხედრის დაცვის განხილვისას მან თავად შექმნა უპირობა და მერც, როგორც დღონ კიხობიძე, შეუთია ქარის წისკილებს.

სახელმძღვანელოში მოცემულია ორი მხედრის დაცვაში თეთრებით და შავებით თამაშის ტაქტიკა. თეთრებისთვის ნათქვამია: „კონტრათამაშს შავები იწყებენ 63 პაიკზე თავდასხმით. ამ დებიუტის არჩევნისას მზად უნდა იყოს პაიკის შეწირვისთვის“. შავებს ვურჩევთ: „ორი მხედრის დაცვაში შავების ტაქტიკა ასეთია: ისინი იღებენ შეწირულ პაიკს, შემდეგ კი უკან აბრუნებენ მდგომარეობის გასათანაბრებლად“. რეცენზენტმა თეთრებისთვის ვანკუთვნილ ნათქვამში მოხსნა პირველი წინადადება, რითაც უპირობა შექმნა და თითქოსდა „აღმოჩინა“ ქირკილებს — „ასე, ჩემო მანახეო, ხან ისე და ხან ასეო“.

სხვათა შორის, რეცენზენტი მაშინაც ქირკილებს, როცა თავად ვერ ერკვევა საკითხში და უცოდინარობას ჩვენ გვიყოფინებს.

მოდრავი ცენტრის განსაზღვრამი მას თურმე არ გაუგონია „პაიკების შეუფერხებელი წინსვლა“. ჩანს, არ წაუთიხავს ბ. ბარანოვის წიგნი — „შტურმ კოროლეცკოი კრემლისი“ (1971 წ.). იქ მე-7 გვერდზე წერია: „მოდრავის ისეთი ცენტრს უწოდებენ, როცა ცენტრალური პაიკები (ერთი ან ორი) თავის გზაზე არ ხვდებიან წინააღმდეგობას და შეუძლიათ წინსვლით შექმნან გადაწყვეტი შეტევის წინაპირობა“. როგორც ხედავთ, აქ არ არის პაიკთა რიცხობრივ უპირატესობაზე საუბარი, რასაც რეცენზენტი მოითხოვს.

ყველაზე ხშირად სპეციალისტები ცვლიან თავიანთ აზრს სადებიუტო ვარიანტების შეფასებაში. ამიტომ დამწყებ მოჭადრაკეს ვურჩიეთ უპირატესად არ მიიღოს ავტორიტეტის რეკომენდაციაც, შეეცადოს ანალიზით საკუთარი შეხედულება შეიმუშაოს იმ ვარიანტებზე, რომელთა გამოყენებებს აპირებს. ეს შეგონება არ მოსწონს რეცენზენტს; „ეს იმას ნიშნავს,

დღეა ენის შემოსწავლელ ბავშვს მოთხოვნი კრიტიკულად მიუღვეს და საკუთარი შეხედულება შეიმუშაოს, მაგალითად, რუსთაველის შემოქმედებებზე“.

ე. ლასკერი „ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელოში“ (1987 წ.) წერს: „ვისაც სურს გამოიმუშაოს ჭადრაკში დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, იგი აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს უპირატესად გადაღებისას და მოუფიქრებლად, სხვების მიერ გამოყენებული ვარიანტებისა და წესების გამოყენების ჩვევისაგან“. ა. მაიხვლისის „შახმატის“ (1960 წ.) შესავალით ე. ლასკერი ამბობს: „მე მაინც შეტი შევიძინე გამოცდილებიდან, განსაკუთრებით წაგებებისაგან, ვიდრე რომელიმე უჩინის ან რომელიმე ისტატის ავტორიტეტის ბრმა დაჭრებით“.

ვის უფრო დაეჭრება: ჩვენს რეცენზენტს, თუ ე. ლასკერს?

არც ის მოსწონს, რომ ხშირად ვიშორებთ სიტყვას „ფიზიკადა“. დიას, დაწყებული მოჭადრაკე მუდამ ფიზიკადა უნდა იყოს კრიტიკულ მომენტში, საქირა ეს მას ბევრჯერ შევახსენოთ. ჩვენ ასე მიგვიჩინა რეცენზენტიც ფიზიკადა რომ მომკიდებოდა კრიტიკას, ბევრი ლაფსისი არ გაეპარებოდა.

შ. ინწირველი სრულებით არაკომპეტენტურია მსაჯობის საკითხებში. ამიტომაც მისი შენიშვნები ვერ უძლებენ კრიტიკას.

იგი წერს: „მკეთავში „თამაშის სავალდებულო წესები“ — ავტორის ხელი შეეხო საჭადრაკო კოდექსს! მაგ. მე-3 პუნქტი (გვ.13) რებუსია — ყოველ შემთხვევაში დაწყებთა თვის მაინც, ხოლო მე-6 პუნქტი კი უხეში შეცდომაა. მკითხველს შევახსენებთ, რომ გიორგაძეს საერთაშორისო არბიტრის წოდება აქვს!“

იხადება კითხვა: ვინ უნდა იხაუბროს საჭადრაკო კოდექსის შესახებ, თუ არა უმაღლესი სამსაჯო თანრიგის მქონე კაცმა? ალბათ არც იმის უფლებაა მქონდა, რომ გამოვეცი წიგნი „ვიდრე ჭადრაკს მიუსწდებით“ (1974 წ.) რომელშიც სსრ კავშირის საჭადრაკო კოდექსია განმარტებული. მთავარი მაინც ისაა, სწორად ხსნის თუ არა მსაჯი კოდექსის პუნქტებს. რეცენზენტი ამ ბრალდებაში არ დაღატოვს თავის ხატლს. ისე ამბობს რებუსია, შეცდომაა, რომ არ გაემართავს შეცდომის რაობას, არ მოჰყავს სწორი განსაზღვრა. ამიტომ ნურც ამჯერად დავეჭრებთ მას.

„თამაშის სავალდებულო წესების“ მე-3 პუნქტში ვკითხულობთ: „როქის გაკეთებისას ჭერ უნდა გადაადგილდეს მთვე, შემდეგ კი ეტლი. თუ დაირღვა ეს თანმიმდევრობა, რაც თამაშის წესის დარღვევას ნიშნავს, მაშინ (ორი გაფრთხილების შემდეგ) მეფესა და ეტლს აბრუნებენ საწყის მდგომარეობაში და ეტლიათ



აკეთებენ საჯარიმო სვლას. თუ ეტლით სვლა შეუძლებელია, მაშინ დანაშაული დაუსჯელი რჩება“.

რა არის აქ გაურკვეველი, რბუსი? პარტივალ ახსნილია როქის წესი. რა თქმა უნდა, იგი წამოყალიბებულია „სსრ კავშირის საქადრაკო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად. კოდექსის მე-8 (მოსკოვი, 1959 წ.) და მე-9 (მოსკოვი, 1969 წ.) გამოცემების მე-10 მუხლში წერია: „თუ როქი ეტლით სვლითა დაწეებული, მაშინ დამნაშავეს შენიშვნა მიეცემა“, ხოლო ლ. გარკუნოვისა და ი. ზრაუფესკის „სუდეის-ტვო შანაატნის სორევენოვანი“ (მოსკოვი, 1959 წ.) მოცემულია ამ მუხლის შემდეგი განმარტება: „რაც შეეხება შეცდომას, რომელიც როქის გაკეთების თანმიმდევრობასთანა დაკავშირებული (იგი ეტლის მოძრაობითა დაწეებული), მაშინ ეს შეცდომა უნდა განიხილებოდეს როგორც თავის ფიგურისთვის ხელის მოკიდება და ამ საფუძველზე უნდა მოვითხოვოთ სვლა ეტლით“.

ასეთი იყო როქის წესი, როცა „ჭადრაკის ანბანი“ დაიწერა. 1977 წლიდან ამ წესში შეტანილია შემდეგი კორექტივი: თუ შეუძლებელია როქი, მაშინ ხელშეხებული ეტლით საჯარიმო სვლა უნდა გაკეთდეს (ლ. აბრამოვი, ი. ზრაუფესკი, ი. კარახანი „ორგანიზაცია და სუდეისტვო შანაატნის სორევენოვანი“, მოსკოვი, 1977 წ.).

ახლა გავცნოთ მე-8 პუნქტს. „თუ პარტიის მსვლელობის დროს გამოაშკარავდა საწყის მდგომარეობაში ფიგურების არასწორი განლაგება, აღმოჩნდა, რომ მეფე ქიშის ქვეშ ყოფილა დატოვებული, მაშინ პარტია უნდა გათამაშდეს იმ პოზიციიდან, სადაც შეცდომა იქნა დაშვებული“.

სადაა აქ უხეში შეცდომა? ეს პუნქტი აგებულია კოდექსის მე-9 გამოცემის მე-18 მუხლის შესაბამისად. აი, რა წერია ამ მუხლში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე: „თუ დადგინდა, რომ პარტიის დასაწყისში ფიგურები არასწორად იყენებ განლაგებული, მაშინ პარ-

ტია თავიდან უნდა გათამაშდეს. თუ პარტია გაკეთდა სვლა, რომელიც ეწინააღმდეგება 7-11 მუხლებში მოცემულ წესებს, მაშინ პარტია გათამაშდება იმ მოქმეტიდან, სადაც ეს სვლა გაკეთდა“. ოღონდ საჭიროა ითქვას, რომ ქიშის ქვეშ მეფის დატოვება, რომელზეც ლაპარაკია მე-8 პუნქტში, თამაშის წესის დარღვევის კერძო შემთხვევაა.

საინტერესოა, რაში დაინახა რეცენზენტმა უხეში შეცდომა, რომ მკაცრი მსჯავრი გამოუტანა ამ პუნქტს?

კიდევ შეიძლებოდა საუბარი შ. ინჭირველის პარტენოიების თაობაზე. მაგრამ მოყვანილიც საქმარისია იმის ნათელსაყოფად, როგორი ტენდენციური და სუბიექტური, დვარქლიანი და შეცდომებით ხავსე რეცენზია დავწერა მან.

ამ სიტყვების შემდეგ არ გვინდა მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ვამტიკებდეთ, რომ სახელმძღვანელო უნაკლო იყოს. წიგნის მეორე გამოცემაშიც საგანგებოდ ვწერდით: „სახელმძღვანელო არ არის დაზღვეული ხარვეზებისა. ავტორი მაღლობით მიიღებს შენიშვნებს“. „ჭადრაკის ანბანს“, სამწუხაროდ, კიდევ აღმოაჩნდა ნაკლოვანებები (ერთ-ორს რეცენზენტიც წააწყდა), რომლებიც შემდგომ გამოცემაში უნდა გასწორდეს. საჭიროა, მაგალითად, უფრო ვრცლად გაშუქდეს შორეული ოპოზიციის, შესაბამისი უჯრების თეორიის საკითხი, გაიმართოს ზოგი წინადადება, დაზუსტდეს ზოგი განსაზღვრა, ცნობა და სხვ.

და ბოლოს, რატომ სდუმდა შ. ინჭირველი 18 წლის განმავლობაში, თუ იცოდა, რომ „ჭადრაკის ანბანს“ შეეძლო ზიანი მიეყენებინა ახლავარდა მოჭადრაკეთათვის? სწორედ უკანასკნელ წლებში საქართველოში ბევრი ნიჭიერი ახლავარდა დაწინაურდა და ბევრ მათგანს (მათი სიტყვით) „ჭადრაკის ანბანიც“ წაუციოხავს. ალბათ ღმერთს უნდა ვუშაბდოდეთ, რომ ისინი არ დაზარალებნენ. მაშ, რამ ააღებინა კალამი რეცენზენტს?





როცა გალაქტიონის ლექსების მეორე კრებული გამოვიდა, მაშინ ჭირ კიდევ უმაწვილმა კაცმა ტერენტე გრანელმა თქვა თავისი პატარა სიტყვა გალაქტიონზე და თქვა, როგორც ვიცი, ამგვარი რამ:

„გალაქტიონმა დაიმსახურა პოეტის წმინდა სახელი რამდენიმე ლექსით. ჩვენ მას ვღებულობთ, როგორც პოეტს“.

პოეტი!

განა რა უნდა მიემატოს კიდევ! რომელია ის როგორი ეპიოტი!

ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა — ჰემშარიტი პოეტი — და მივაუთვნოთ ის ვაჟს, ბარათაშვილს, აკაკის, ილიას, გალაქტიონს.

რა გამოვა ამით?

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი: ილია იმედიანი პირობები

როგორ ვერ ჰგუობს ვერანაირ ეპიოტებს ილიას პიროვნება.

ყველაზე უწარმეზარი ეპიოტი, რაც კი ქვეყნად დაიქმნება, ილიასადმი მისაღვებული ხელაღვე მცირდება, კნინდება და კარავს თავის შინაარსს.

ახვევ უფერულდება და არაფერდება სიტყვა ჰემშარიტი, თუკი მას დავურთავთ იმ კაცის სახელს, ვისაც ის არ ეუთვანის. ჩვენეული ეპიოტი უნებო კაცი და მისი ლექსი არ გაბრწყინდება, შეიძლება უარეს მდგომარეობაში კი ჩავაგდოთ, ვისაც ვაქებთ. ამიტომ, არც ლევ ოზეროვის გამონათქვამი გამოვადგებოდა აქ, ჩემს წერილს რომ წაუშვებდარე.

„მითხარი, რა ეპიოტი გაქვს და გიტყვი, ვინა ხარ შენი!“

ოზეროვი აქ გულისხმობს ზუსტ ეპიოტებს. და თუკი ჩვენც ზუსტი ეპიოტი მივუსადაგეთ ამა თუ იმ კაცს, მხოლოდ მაშინ იქნება ეს გამონათქვამიც გამოსადგე.

ერთხელ შოა მღვინეი მიუწვევიათ რომელიღაც გიმნაზიაში. გიმნაზიელებმა საღამო გაუმართეს პოეტს. სიტყვებითა და ყვავილებით შეამკეს, ცამდე აიყვანეს; დაბოლოს, საღამო რომ დაშთარდა, პოეტი ეტლში ჩასვეს, აღდრთოვანეულმა გიმნაზიელებმა ცხენების გამოხსნა მოინდომეს ეტლიდან თურმე, რათა თვიონთონ შებოძონ ეტლს, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოუჩინა ფხა გიმნაზიის დირექტორს და უმაწვილები დაუშოშინებია: ხვალ რომ აკაკი გვეწვიოს, უმაწვილებო, ეტლში ვინ შევაბათო. დამცხრალან გიმნაზიელებიც.

ართუ ყველა კაცს, ყველა სიტყვას თავისი ადგილი აქვს.

ძველი ჩინელი პოეტები, თუკი თავიანთ ლექსებში სანთელს ახსენებდნენ, — ღამეო, არ დაწერდნენ. სანთელი თუ იწვის, ღამე თავისთავად იგულისხმება. ხოლო თუკი წვის, ფრანგები ამაზე — წვისო, ამბობენ და მტტი

არაფერი. მოკლედ და კონკრეტულად, მე ვგულისხმობ სიტყვის გაუფასურებას. მთლიანად ეპიოტის გაღარბებას, მოუწოდებას. ამ ეპიოტს დღეს ყველაზე მეტად მოუხმობენ ჩვენი კრიტიკოსები. მოუხმობენ უადგილოდ. არადანიშნულებიხამებრ.

აქედანვე შინდა სამაგალითოდ ავიღო ჩემდამი მოძღვნილი ლერი ალიმონაკის წერილი „კოლხური მზის სადღებელი“. მე მადლობელი ვარ მეგობარი კრიტიკოსისა, მისი ყურადღების ღირსი რომ ვახდა ჩემი ლექსების კრებულები. მადლობელი ვარ იმ დიდი გულისა და სიტყვებისა, რაც მე მომაგო, და რითაც კარგა ხანს კიდევ მომქონდა თავი. მაგრამ დღეს მგონია, ეს მაინც გადაჭარბებული იყო.

მართალია, ეს წერილი 1975 წელსა გამოქვეყნებული, მაგრამ რაკილა ჩვენს დღევანდელ სათქმელში ბუნებრივად შემოდის, ამიტომაც გავისენე.

კრიტიკოსი წერს: „მურმან ჭაბუბურია პირველსავე წიგნში გამოკვეთილი სახით წარუდგა მკითხველს“.

მე ყოველწამს ვერ შეგახსენებთ, მაგრამ, შინდა აქედანვე აიღოთ გეზი და თქვენი მოავარი გულისხური მიაქციოთ სწორედ ეპიოტს. ამ შემთხვევაში „გამოკვეთილს“, — „მურმან ჭაბუბურია პირველსავე წიგნში გამოკვეთილი სახით წარუდგა მკითხველს. სადა სტრიქონი, ნატიფი, დახვეწილი. სტრიქონში იმეორი აზრი, ასოციაციებით აღქმული. სტრიქონშორისი სივრცეები, პოეტური სახეები, — სიმბოლური, შინაგანი სმენით გაფაქიზებული მუსიკა; ფერისა და ბერის სინთეზი. — ორმაგი ასოციაციის შერწყმა. ალიტერაცია — ბუნებრივი, ფერ-შეწყობილი. მსუბუქად ხმოვანი. არის ლექსისა შინაგანი მჭერიანი განათებული. რიტმი მრავალხმოვანი და ქმედითი. პოეტური თვალი — სამყაროს მჭვრეტი.

თითქოს სიტყვები რაციონალური აზრის ან თუნდაც ირაციონალური პოეტური აზრის წარმოსაჩენად კი არ ეწყვილებიან ერთმანეთს, არამედ დამოუკიდებელი არსებობა რომ შეიძინონ, პოეტური კონტექსტი ისინი ცოცხლობენ ვითარცა სულიერი არსებანი.

პოეტს შეუხისხლბორცვება ეს სიტყვები, ინტუიციურად გრძობს სიტყვის პირველად არსს. გარკვეული დიდუმი აღებულება, გაშინაგანებულება, ხილვითია. მასა და ბუნებას შორის მაგური ძაფებია გაბმული“.

მურმან ჭაბუბურია
მშენებელი, მშენებელი, მშენებელი



ნამეტანია, ღმერთმანი!

ერთსაც ვიტყვი, მე შემძლო ეს ამბავი მართლად ღმერთი აღიშინებისთვის მეთქვა ცაღვე, მაგრამ არღვანაც ეს ამბავი ჩვენი კრიტიკის საერთო მიმართულებასაც გამოხატავს, მიტომაც გამომაქვს ამჯერად საჭაროდ.

მაგრამ აბა მოვუსმინოთ „კოლხური მზის სადიდებლის“ სხვა ადგილს:

„მურმან ჭკუბურია სწორად არა, მაგრამ მაინც მიმართავს სტრიქონის ჩიქოვანისეულ კონსტრუქციას. ეს კონსტრუქცია ტაქსისა ამდენად ინდივიდუალ-სპეციფიურია, მისი მზა სახით გადატანა აშკარა უხერხულობას ქმნის. ასეთებია: „თხა დაკარგა თუ უღარუნე ექვნი?“ „ცირა დაჯარგე თუ თბილი წვიმა?“ „ბუხრის ნაფოტი თუ ბუხრის კვამლი...“

ეს უველაფერი, დიდი ხნით აღრე, რევანს თვარამეშ მიმიითთა, და, მეც მგონია, კარგა ხანია არ ვადგომარქვს ჩიქოვანისეული ლექსის კონსტრუქცია, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. მთავარია, რომ კრიტიკოსი სწორად მსჭედილობს.

სხვა მაგალითი:

„ასეთ შედარებებს უნდა მოერიდოს პოეტი“, — წერს აღიშინავი. — „ქალიშვილი — აპრილის ტოტია“. „მიქაქეთ ურმებთ თივა-ზაფხული“ — ამ სახის შედარებთა ვარირება დაუსრულებლად შეიძლება.“

მართალია კრიტიკოსი:

ერთი ურემი თივა თუ ზაფხულია, მაშინ ნამეტანი ბევრი ზაფხული დაგვიგროვდება უთქოდ. ასევე შეიძლება სატირთო მანქანას მიჰქონდეს თოვლი და შედარებაც იქვე მიუსადავო: მოაქვთ მანქანით თოვლი — ზამთარი.

საყურადღებო შენიშვნა მომცა აღიშინავმა.

კიდევ ერთი მაგალითი:

„მურმან ჭკუბურია ერთსა და იმავე აზრს თუ განწყობილებას მრავალგზისი ვარიაციით გვთავაზობს.“

კრიტიკოსი აქაც პირმართალია. აქაც და კიდევ ბევრ ადგილას, როცა ის ენება ჩემს მღარე ლექსებს.

ამაში კი დამეხმარა და დამაჭერა კრიტიკოსმა, მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას, მისივე ზემოურ მოსმობილი ქება-დიდებანი ირწმუნოს კაცმა, თორემ მომავალში რას შექმნის იგი, თუკი „კოლხური მზის სადიდებელი“ უკვე ხელთა აქვს!

არც ერთი ავტორი არ არის 1977 წლის მაძილზე არც ერთ კრიტიკოსზე ნაწყენი. არც ერთი სუსტი კრებული არ გამოსულა, არც ერთი უხეირო ლექსების ციკლი არ დაბეჭდილა. ამაზე კარგს რას ინატრებს ქართველი მკითხველი. ეს რუსმა იკითხოს, ფრანგმა და ინგლისელმა, გერმანელმა და ესპანელმა, და კიდევ სხვათა და სხვათა, იმათ იკამათონ, ჩვენთან მხოლოდ „მშვენიერი“ ლექსები იწერება. ჩვენც ეს კუ-

თხე გვანტერებს სწორა კუთხეც ამ „მშვენიერ ლექსებს“ ენება. გვანტერებს აგრეთვე გვანტიკოსის ეპითეტი, ის ერთადერთი სიტყვა, რომაც უველაფე მეთად ვლინდება ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის ღირსება თუ ნაკლი.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1977 წელი.

სერგი ჭილაია. წერილი ენება კარლო კალაძის პოეზიას.

„მამა“, ეს არის რწმენის, ოპტიმიზმის „ჯადოსნური ძალით ვაბრწყინებული პოემა, ჩვენი ეპოქის სულითა და გულით გამთბარი სანტიტერესო პოეტური ძეგლი...“

როგორც ვხედავთ, „ოპტიმიზმის ჯადოსნური ძალით ვაბრწყინებული პოემა — სანტიტერესო ძეგლად იქცა“, — თუკი მინცდამაინც ორივე ეპითეტის მოხმობა სურდა კრიტიკოსს, მაშინ რიგით მაინც უნდა მოესმოდ, ჯერ „სანტიტერესო“ ეთქვა, შერე კი — აღმატებული — „ჯადოსნური“, რაკილა ჯადოსნური სანტიტერესოვე მეთა.

შემდეგ:

„პოეტის მიერ გაშიფრულია და დაუფარავად ამოკითხული ჩვენი ეპოქის ქარიშხლიანი და ვნებათაღელვით აღსავსე ერთბაშად რიგით გამშული ბოროტისა და კეთილის ბრძოლა“.

გავუსვათ ხაზი: „გაშიფრულია... ბოროტისა და კეთილის ბრძოლა.“

ვინა მარჯველაშვილი:

„ჩანსულ ჩარკვიანმა — მყარი და მტკიცე რწმენის კედელი აღმართა თავისი მკიანხელების სულის საყრდენობად, სანიმედო და სანუგეშო და სანიმუშო და საგალითო და.“

პუშკინი ერთადერთ ეპითეტს ხმარობს.

ძველი ბერძნები ერთს ორს ან სამ ეპითეტს მიმართავდნენ. მაგრამ სამზე მეტს არა, როგორც წერს ფსევდო-ლონგინე.

მარჯველაშვილი წერს:

„საყრდენობად, სანიმედო და სანუგეშოდ, სანიმუშოდ და სამაგალითოდ“.

მცირე დაფიქრება უნდა და უველა აქ მოხმობილი სიტყვა შეიცვლება ერთი სიტყვით.

ეთერ სახვამე:

„არ არის სტრიქონი (შედეგ კახიძის პოეზიაში) რომელიც მართალი არ იყოს“.

თამარ ერისთავი:

წერილი ენება შოთა ნიშინიანძეს.

„პოეტს ღმერთი ერთი კალმის მოსმით ციდან მიწაზე ჩამოჰყავს“.

„პოეტი დაღის მხარგაშლილი თავის განახლებულ სამშობლოში და შეხვარის მის ბუნებას, შრომასა და ბარაქს...“

მერვე:



„პოეტო აფხიზლებს თავის ხალხს, თავის ქვეყანას, ცდილობს ააჩიროს შურისა და მტრობის კოლმხარები და სიხარულიან-ტივილიანი ცხოვრების, — ნამდვილი, ქმედითი, ნათელი ცხოვრების კარიბჭისაკენ უნათებს გზას თავისი ჩირაღდებით...“

აქი ზემოთ თქვა რეცენზენტმა, პოეტი მხარგაშლილი დასაბიჯებლად თავის განახლებულ სამშობლოში, მის ბუნებას, შრომას და ბარაქას შეხმარისო...

ამგვარივე შეუსაბამობა დავით მჭედლურის წერილში, სადაც ის წერს:

„ამ ლექსში ჩანს (ღაპარაკია ალუდა არაბულის ლექსებზე) პოეტის პიროვნება — გულწრფელი, უსაზღვროდ ერთგული და თავგამებულად ახალგაზრდა შემოქმედი ვალდებული თავისი სამშობლოს მთაბარის ჳერტიტო...“

არ დაგვიწყდეთ, რომ ალუდა არაბული განსაკუთრებით, არ დაგვიწყდეთ ის ამბავიც, რომ ალუდა არაბული ვახლავთ პოეტო, და როგორ უნდა გავივით ახლა კრიტიკოსის სიტყვები „ვალდებული თავისი სამშობლოს მთაბარის ჳერტიტო“—ო, რომ წერს პოეტზე, ვისაც, ჩვენის აზრით, არამედღარამც არ შეიძლება არ აწუხებდეს თავისი მშობლიური კუთხის დაცვრილებს, არ შეიძლება არ აწუხებდეს, რადგან ის ქართველია და მოყვარე თავისი მთაბარისა.

სოსო სიგუა:
„მას (ტავუ მებურიშვილს) არ უბრძოლია სიასლეთა დასამკვიდრებლად, იგი მუდამ მოძრაობდა შექმნილი ტრადიციის რკალში“.

„მათ ავლიათ აზრობრივი და ემოციური სიღრმე. ამიტომაც მალე გავიწყდება. ისინი გამოიწველია გარკვეული ფენების გემოვნების დასაკმაყოფილებლად.“

„მე მერვენება რომ მას (ტავუ მებურიშვილს) კარგად არცა აქვს გააზრებული საკუთარი პოეტური სამყაროს მთავარი კონტურები“.

„ზოგადი სტილი, რომელსაც ემორჩილება ტავუ მებურიშვილი, მე ნაკლებად მივიღავს და მაღელვებს.“

აი, ასე წერს კრიტიკოსი.
მაგრამ ამა მოვუსმინოთ მისეულ დასკვნას:
„ვიმედოვნებ, რომ პოეტი საბოლოოდ გამოეთხოვება ყალბი რომანტიკის ნოტებს და განავითარებს იმ ნამდვილ და სასიციო ცხელ განწყობილებას, რომლითაც ვიცნობთ და ვაფასებთ მას, როგორც კარგ და საინტერესო ლირიკოსს“.

ეთიპეტურად „კარგი და საინტერესო“, მე მგონია, რაღაც მოზოდიშებასავითაა იმის გამო, რაც ადრე ილაპარაკა კრიტიკოსმა.

შალვა ამისუღაშვილი:
„ფრიდონ ხალვაშის პოეზიას დიდი სიხარულით ანერთად დიდი სევდაც თან ახლავს მუდამ“.

„დიდი სიხარული... დიდი სევდა... თან კიდევ ეს „მუდამ“.

ფრიდონ ხალვაშის პოეზიას სიხარულით ანერთად სევდაც ახლავსო, რომ ეთქვა რეცენზენტს, განა არ აჯობებდა?

„ზაზა აბზიანიძე:
წერილი ენება ირაკლი აბაშიძის პოეზიას. რას გვეუბნება ახალს კრიტიკოსი? ერთი ქართული რომანიდან ასეთი ადგილი მაგონდება: ერთი გმირი ეუბნება მეორეს მესამე კაცის გამო: გაციანით, ეს კაცი პოეტიაო. იმ მეორე კაცმა, არც აცია, არც აცხელა და უცებ იკითხა: „რა აწვალეხს?“ რა თქმა უნდა, კრიტიკოსი პოეტი არაა, მაგრამ კრიტიკოსი მაინც შემოქმედია უპირველესად და მე ვკითხავდი ზაზა აბზიანიძეს: რას მიაგენი?“

კრიტიკოსი წერს ირაკლი აბაშიძის ორტომეულზე. უფრო სწორედ, ორტომეულის პირველ ტომზე, სადაც მხოლოდ ლექსებია მოთავსებული. ცნობისათვის ვიტყვი, რომ ეს პირველი ტომი 400 გვერდს მოიცავს, ცნობისათვის ვიტყვი, აგრეთვე, რომ ზაზა აბზიანიძის წერილი „ლირიკის ძალა“ დაბეჭდილია გაზეთში რუმბრიკით „კრიტიკა“. ოღონდაც, კრიტიკა არაა ეს. ზაზა აბზიანიძე ამ 400 გვერდიანი წიგნის არც ერთ სტრიქონზე არ გამოთქვამს რაიმე შენიშვნას. ამიტომაც, ეს წერილი შესაძლებელი იყო სხვა შინაარსის მომცველი რუმბრიკითაც დაბეჭდილიყო. ოღონდაც მოსაწახი იქნებოდა რუმბრიკის სახელწოდება.

ამ რამდენიმე წლის წინათ, ჟურნალმა „ვოპროსი ლიტერატურის“ ლევ ონეროვის სტატია გამოაქვეყნა. წერილი ენებოდა გვეგნი ევტუშენკოს შემოქმედებას. ონეროვის სტრიქონ-სტრიქონ ჰქონდა განხილული ევტუშენკოს პოეზია და მოჰყავდა სათანადო ადგილები სხვათა და სხვათა შემოქმედებებიდან, სადაც, კრიტიკოსის აზრით, ევტუშენკოს ვადამოქონდა სხვათა შანგი: ჯერ დაასებლებდა კრიტიკოსი პასტერნაკის, ცვეტაევის, მიაკოვსკის და მერე იქვე მიუწერდა ევტუშენკოს სტრიქონებს. ახლანან გამოკვეუნდა რუსი კრიტიკოსის ლობანოვის წერილი ანდრეი ვოზნესენკის პოეზიაზე. მეტად საძაფრე წერილი.

ცოტათი ადრე, ვალენტინ კატაევმა ფრიად ჩინებული შეფასება მისცა ანდრეი ვოზნესენკის და როგორც მახსოვს, ასეც თქვა, — ანდრეი ვოზნესენსკი დიდი რუსი პოეტიაო.

თუკი რუსები არ ერიდებიან თავიანთი საქვერულ დროში პოეტების გაკრიტიკებას, ჩვენ რა მოგვდის, ნუთუ ჩვენ იმის ნებაც კი

მშრმან ჯაბუშვილი
მშვიინარი, უმშვიინარი, უმშვიინარი

არა გვაქვს, რომ შეინიშნა მინც მივცეთ ჩვენს უფროს კოლეგებსა და მეგობარ-პოეტებს? განა ჩვენ ცოტა გვაქვს საკამათო და თავსატეხი?

თმა — თეთნულდმა თუ აიჟყა
თოვლისფერი ქელი,
ხმა — თითქოსდა ჭურისთავზე ხაბთ
ღვინის სცლოდენს,
და თითები — ფიჩხის კონა, იმნარად
უთრის,
თითქოს ძუის წვრილ მახინდან
გულწითელას ხსნიდეს...

„ამ სტრიქონმა მაძულა გამოვხმარებოდი ზურაბ კუხიანიძის ახალ წიგნს“, წერს კრიტიკოსი რევაზ მიშველადე და გჭრთნ რომ ეს ასეა. პატარა ეტიუდვით იკითხება ეს წერილი. მაგრამ არ მომეწონა ამ წერილის ბოლო, სადაც კრიტიკოსი ნამეტანი სიმალიდან არიკებს პოეტს, თუ როგორ მოიქცეს აწი, და მკითხველსათვის სათქმელი სიტყვა პირდაპირ ავტორზე გადააქვს.

(დაახლოებით ამგვარი ტონით ესაუბრება რილკე ერთ ახალგაზრდა ავტორს, მაგრამ იქ რილკე თავის აზრს ბარათის მეშვეობით აწვდის ჰაბუკს, საქვეყნოდ კი არ ასწავლის ჰუკუს), თანაც, რევაზ მიშველადემაც ხომ იცის, რომ პოეტის დარიგებას მინცდამინც დიდი აზრი არა აქვს, თუკი ის მართლა პოეტია.

რევაზ დანილია:

„ე. კვიციანიშვილის ლექსი — „აღვანში ვიყავ“ — მაღალმხატვრული მეტყველების, ცინცხალი რიტმისა და ცეცხლოვანი მუსიკის საუკეთესო ნიმუშია“.

დავითფლოთ ამ ერთ წინადადებაში მოხმობილი ეპითეტები.

„მაღალმხატვრული, ცინცხალი, ცეცხლოვანი, საუკეთესო“.

თან ეს ოთხი ეპითეტი რაიმე ერთ საგანს, ერთ მოვლენას კი არ განსაზღვრავს, არამედ — მაღალმხატვრული დაერთვის მეტყველებას, ცინცხალი — რიტმს, ცეცხლოვანი — მუსიკას, და საუკეთესო კიდეც — ნიმუშს. ვითომც, ნიმუშიაო, რომ ეთქვა ყოველგვარი სხვა ეპითეტის გარეშე კრიტიკოსს, რაიმე დაშავდებოდა? მაგრამ, მე ვიცო, ასეც რომ დაწერა, თვითონ ეშვარ კვიციანიშვილს ალბათ ეს „ნიმუშია“ კი ენოთარებოდა. ასე მგონია, რადგანაც ამგვარი რამის ფაფქებებაში თვითონ ეშვარ კვიციანიშვილის ზემორე დასახელებული ლექსიც შეხმარება.

აღვანში ვიყავ, კედელს ვეყუდე, ურმის კოფოზე იქად მამალი, ლულს ვსვამდით, ხუთში ვიყავ მეტყუთე, — რაა სასირცხო ან დასამალი... სოფლის ბოლომდე ცხენმა მათრია, ვინ მრჯიდა, თავი რომ მოვიკალი...

ყველა პოეტი თვითონ მიახვედრებს ხოლმე კრიტიკოსს, თუ რა შეიძლება მასზე ვთქვათ. და რა არ შეიძლება. პოეტი თვითონა მუდამ უამს თავისი თავის კრიტიკოსი. ზემორე მოხმობილი ლექსის გამო შეიძლება ითქვას, თუ რა აღამიანურია მისი ავტორი, მაგრამ არამცადა არამც არ შეიძლება ითქვას:

„ე. კვიციანიშვილის ლექსი „აღვანში ვიყავ“, მაღალმხატვრული მეტყველების, ცინცხალი რიტმისა და ცეცხლოვანი მუსიკის საუკეთესო ნიმუშია“.

კრიტიკოსი სხვა ადვილას წერს: „ვერდიბრის მშვენიერი ნიმუშია „აღვანში“. იქ — საუკეთესო ნიმუში იყო, აქ — „მშვენიერი ნიმუში“.

დავით მჭედლური: „დიდი ფოთოლცვენა“. რეცენზია ეხება მამუკა წიკლაურის ახალ კრებულს.

რეცენზენტი გვეუბნება: „მამუკა წიკლაურის ლექსები „თანამედროვე პოეტის მერ არის დაწერილი, მათში ჩანს ჩვენი დრო, — მთელი მისი მასშტაბებით“.

აბა მოვუსმინოთ ერთხელ კიდეც: „მათში ჩანს ჩვენი დრო, — მთელი მისი მასშტაბებით“...

ავტრ სხვა ამონაწერიც: „პოეტის არსებაში არის უნიკალური ძალა, რომლისთვისაც უცნაო — ყოველგვარი სიუსუსტე“.

შემდეგ: „დიდი ფოთოლცვენა“ უაღრესად საინტერესოა კრებულია, ხოლო მისი ავტორი ერთ-ერთი საყურადღებო პოეტი, რომელიც თამამად იკვლევს ახალ გზებს და მეტად საინტერესო, ორიგინალურ მოდელებს გვთავაზობს...“

კრიტიკოსი ასე ამთავრებს თავის სიტყვას: „მაგრამ არაფერი მითქვამს იმ მშვენიერი ლირიკული ლექსებზე, რომლებიც საკმაოდ აა წარმოდგენილი მამუკა წიკლაურის ამ კრებულში...“ ამ სიტყვების მერე დავით მჭედლური ჩამოთვლის მამუკა წიკლაურის „მშვენიერი ლექსების“ სათაურებს და ექვე დასძენს: „და სხვა მრავალი...“

ეხე იგი, როგორც რეცენზენტმა იანგარიშა, ექვსი მშვენიერი ლექსი გვაქვს, სათაურებიც ვიცით, „და სხვა მრავალი“ კი რაც არ უნდა მომხდარიყო, ორზე ნაკლებ „მშვენიერ“ ლექსს მინც ვერ იგულისხმებდა. თან არ დავავიწყდეთ, „მაგრამ არაფერი მითქვამს იმ მშვენიერი ლექსებზე“, — ასე თქვა კრიტიკოსმა თავისი წერილის ბოლოს.

არ უნდა დავავიწყდეს ის ამბავი, რომ, რახაც ჩვენ ვიტყვით ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მუშეგობათ, იმას, თუკი ყველა ქართველი მკი-



თხველი არა, ზოგი მინც წაიკითხავს, ხოლო ჩვენ ზოგ მკითხველს, ასე მაგონია, პირდაპირი მნიშვნელობით მიაქვს გულთან გაზეთისა და ურნალის სიტყვა, ამიტომაც, დღეი სივრთხილდა საქირო, — მევენანებ რომ ვაზს წაშალი მიკლოს, ვაზი ნაკლებ მოსავალს მოკვეცებს, მაგრამ არც შედმეტე შაბამანი უნდა მიახსუროს, თორემ ფოთლები მოეწვება.

აი, კიდევ ერთი მაგალითი მოუწოდებობის: გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. ლადო ავალიანი: „სულის მინდორი, სულის უფსკრული“.

რეცენზენტი წერს:

„სულის მინდორზე უდარდელად მიმოგებებთან ასე უფლები, სულის უფსკრულში გადახედვას კი ბედავენ მხოლოდ ერთეულელები“.

„არაან პოეტები, რომლებიც თითქმის სიცოცხლის მიწურულს პოულობენ თავიანთ პოეტურ „გადასახედს“, — წერს იგი, — პირადად მე ასეთ პოეტად წარმომადგება ვრიგოლორბელიანი.“

ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილმა, კრიტიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვრიგოლორბელიანისგან განსხვავებით, სიჭაბუკეშივე გადაიხედა „სულის უფსკრულში“.

„სწორედ ამ ცოტა ხნის წინ, — გვეუბნება ლადო ავალიანი, — მოულოდნელად წაწაწადა კიდევ ერთ „სულის უფსკრულს“. მხედველობაში მიაქვს ახლგაზრდა პოეტის ენვერ ნიჟარაძის ლექსი — „პამლეტი ჭინსით“.

„ახალი თაობის ნიჟერი ქართველი პოეტი იმ ჩვენთვის კარგად ცნობილი პამლეტის „სულის უფსკრულში“ გვახედებს დღევანდელი გადასახედდან.“ — ასევის კრიტიკოსი.

ფურცლავ ურნალ „განთიადის“ ნომრებს. გივი ვარდოსანიძე: „უინი სიცოცხლისა და პოეზიისა“.

„ახლა როცა გონების თვალს ვავლებთ ქართულ საბჭოთა პოეზიას, ჩვენს წინ შავანდად მოსილი არა ერთი კორიფე აღიშარება“, — წერს კრიტიკოსი.

დავკვირდეთ:

„ჩვენს წინ შავანდად მოსილი არა ერთი კორიფე აღიშარება.“

შემდეგ:

„ქარღო კალამე ახალი პოეტური აზროვნების შესატყვისი დეტალებით გაამდიდრალექსის ტექნიკა, აღმოაჩინა ახალი სამკაულები, გაამრავალფეროვნა კომპონენტები...“

კარგი იქნებოდა კრიტიკოსს თავისი აზრი სათანადო მაგალითებით დაესაბუთებინა.

რაკილა რაიმეს ამტკიცებ, აუცილებელია ამ

მტკიცების გამაგრება, თორემ ისე ნათქვამი სიტყვა არასარწმუნო ხდება.

სარწმუნოა, ჩემის აზრით, ურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნებული სოსო სიგუას წერილი: „მთავარი მინც მამული არის“.

„მისი (ჯანსუღ ჩარკვიანის) სტრაქონების მიღმა ჩანს არა მოზღინარი, არამედ დაფიქრებული, შემკრთალი და ზოგჯერ დაწუნებულ პიროვნება... მან მშვენივრად იცის, რომ უფროვე გეუჭრებთან, როცა ქვეყანას სჭირდები...“

„პოეტი ფსიზული რეალისტია.“ — წერს კრიტიკოსი.

„უღტი ეპითეტია ნაფიქრი, განცილილი და მონახული.“

კიდევ ერთი წერილია „განთიადში“ დაბეჭდილი ჯ. ჩარკვიანზე. ამ პატარა წერილის ავტორი გურამ ასათიანი ვახლავთ.

„სად არ შეხვდებით ამ აღამაინს, — წერს კრიტიკოსი, — საქართველოს რომელ კუთხეში, რომელ დაწესებულებაში, საწარმოში, რომელ ბილიკზე, რომელ გზაჯვარდინთან...“

და შემდეგ:

„უველა მის მიერ გამოვლილი გზები რომ შეეკრიბოთ, ალბათ დედაშინს შემოსწვდებოდა.“ მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ამით არ იხატება მინც პოეტის პორტრეტი. მოგზაურის პორტრეტი კი იხატება.

სადღაც წამიკითხავს, ერთ პოეტს ასეთი ეპითეტი ჰქონდა: „ცხრა წელიწადი რომ კედელს უყურებდა.“ ის პოეტი დაჩოქილი ყოფილა კედელთან ცხრა წელიწადი და ფიქრებში ყოფილა დათქმული.

ნამეტანი სმამალდა დაწერილი აგრეთვე ავთანდილ ნიკოლიშვილის სტატია: ამ პატარა წერილს სათაურიც ასეთი გამოვიანი აქვს: „მოთვინიერებული ცეცხლი.“

მე რომ ა. ნიკოლიშვილის საპასუხო წერილს ვწერდე, ასეთ სათაურს გამოვიყენებდი: აწი რაქნას პოეტმა?

კრიტიკოსი წერს:

„შოთა ნიშნანიძემ მხატვრული შემოქმედების მთავარი და ძირითადი ფუნქცია მის პოეზიაში სწორედ იმ ღვთაებრივი და უჩინარი ცეცხლის მოთვინიერებით შექმლო...“

კარგად დავკვირდეთ:

„ღვთაებრივი და უჩინარი ცეცხლის მოთვინიერებით შექმლო.“ და შემდეგ:

ეს ცეცხლი ავსებს მის პოეზიას იმ ჭადოსნური სიბოთი...“

„ჯადოსნური სიბოთი“ ახლავს ალბათ ვალა-

მუშაზან ჯგუზაშვილი
მშვენიერი, მშვენიერიანი, მშვენიერიანი

კრიტიკის პოეზიას: შეიძლება ამ კონტექსტშიც არ იყოს სიტყვა „სიბნობა“ თავის ადგილას, მაგრამ ჯადოსნური კი ნამდვილად შეიძლება ითქვას ვალაკტონის პოეზიაზე. შოთა ნიშნაიძის პოეზიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი კი, ჩემის აზრით, ენერგიაა, — და ეს სიტყვა ესადაგება მის პოეზიას უფროაზრულ მტრად.

აქ ისევ მოვიგონოთ ვალაკტონი:
„ცეცხლი — აკაკი, გვირი — ვაჟა, ბრძენი — ილია...“

პოეზია შოთა ნიშნაიძისათვის მხოლოდ ტუბილი სიტყვა არ არის. ამ მხრივ იგი ილიას სიბრძნისა და სიბრძნის შთამომავალია. „არა მარტო ტუბილი ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნად ცაში“, ბრძანებდა ილია. ამ პოეტურ ლოზუნგს ახლებურად აღრმავებს, ხსნის და განმარტავს შ. ნიშნაიძე. „თავი რომ დავანებოთ ამ უხერხულ შედარებას, არც ეს სიტყვებია თანმიმდევრებით დალაგებული, ჯერ უნდა ამოხსნას და მერე უნდა გაღრმავდეს, ასეა მართებული. ეს დაუწერებელი კანონიერება, ბლოკის ერთი ლექსისა არ იყოს: „Ночь. Улица. Фонарь Аптека...“ ამ სიტყვების გადაადგილება არ შეიძლება, რა ენაზედაც არ უნდა ითარგმნოს. ჯერ დამე უნდა იყოს, მერე ქუჩა, მერე ფარანი და ბოლოს, იმ ფარანის შუქზე წარწერაც გამოჩნდება: ავთოაქი. ეს უფლაფერი სიზუსტის გამოა მოხმობილი.

არაზომიერების მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ ა. ნიკოლეიშვილის წერილი.

ზომიერების მაგალითად შეგვიძლია მოვიხსნათ იმავე შურნალში გამოქვეყნებული სარგის ცაიშვილის წერილი.

კრიტიკოსი წერს:
„ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალ საუკუნეში ქართველ ხალხს ჰყავს პოეტი და მისი სახელია ვალაკტონ ტაბიძე“.

არავითარი ეპიტეტი, არც დიდი, არც ბრწყინვალე, არც გენიოსი; არც აღტაცების ნიშანი წინადადების ბოლოს, — რა უბრალოდა ნათქვამია: „ქართველ ხალხს ჰყავს პოეტი...“

კიდევ ერთი არაზომიერების მაგალითი. სერგე ბილაია:

„პოეტმა (რევან მარგანმა) — წერს კრიტიკოსი, — პოეზიის განუყოფელ ნაწილად აქცია ბუნების სიყვარული“. ეს ფრაზა მოქცეულია წერტილსა და წერტილს შორის. ცერაფერი გავიგე. ეს რევან მარგანმა აქცია პირველად დედამიწაზე პოეზიის განუყოფელ ნაწილად ბუნების სიყვარული, თუ, რას გულისხმობს კრიტიკოსი. აქი თვითონვე წერს კრიტიკოსი: „პოეტურ ნაწარმოებში ფრაზების, სიტყვების შერჩევას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს,“ და რატომ დავივიწყა ის ამბავი, რომ ასეთივე გადამწყვე-

ტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კრიტიკოსის ნაწარმოებში ფრაზების, სიტყვების შერჩევა არც ერთ!

შურნალი „კრიტიკა“. 1977 წელი.
კონსტანტინე ამირიძე: „გოყვარდეთ ადამიანთა მოღვაძე“.

წერილი ეხება ანა კალანდაძის პოეზიას, მის „ჩრეულს“.

კონსტანტინე ამირიძის წერილს აკლია ავტორისეული მიმართება განსახილველი კრებულისადმი. რაღაც საერთო აზრთა კრებულისადანა თითქოსდა ამოკრეცილი მისი სათქმელი: „ანა კალანდაძე მწიგნობარის მკვლელობის, სახეებისა და მოვლენების არსში ღრმად წვდომის და მისი შუქის ხაზებზე არკელოდ ნიშანთვითებათა მხილველი შემოქმედი“. — წერს ის.

ეს წიგნი გვაგონებს ათასწლეულის ქართული ვაზის ერთ სახეს და ლამაზ მტევანს, რომელშიც შეიძლება აქა-იქ ნაკლები მარცვლიც ურევია, მაგრამ ფერა ანსამბლში ისე არიან ჩართული, რომ მათი სინაკლები არც შეიგრძნევა...“

ეს ხომ ნებისმიერ პოეტზე შეიძლება თქვას. მთავარია, კრიტიკოსმა მიგვაჩვენოს, თუ რაითი განსხვავდება ეს თუ ის პოეტი სხვა პოეტთან, მიგვაჩვენოს მარტო მისეული; ის, რაც მარტოდენ მისი არის და სხვებს იქ წილი არ უღვევთ.

ამგვარივე სათქმელი გვაქვს შოთა სულაბერიძის მიმართაც, რომელიც წერს:

„სიყვარული, ერთგულება, მამულიშვილობა, პირისუფლობა, აკარგანობა, თავდადება, ძმობა, მეგობრობა, ამხანაგობა, ერთსულოვნება, სიბრალული, თანაგრძნობა, გულშემატკივრობა, სიყვით, პატიოსნება, ნამუხიანობა, კაცურ-კაცობა, ადამიანობა, — აი, ის მაღალი ზნეობრივი სამყარო, რომელიც გულის ფიცარზე აქვს აღმეჭვილი პოეტს და რასაც მღელვარებით უმღერის მისი ჩანგი.“

რომელიც პოეტის ჩანგი არ უმღერის ამას მაგრამ მოვუსმინოთ შოთა სულაბერიძეს, როცა ის ამ უხესიტყვაობიდან პირდაპირ სათქმელზე გადადის:

„თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ იონებ ნონეზილს არცთუ ცოტა აქვს ისეთი ლექსებიც, სადაც ლირიზმი და ემოცია შეცვლილია მშრალი დეკლარაციულობით, მოჩვენებითი პათოსით, ენეტყუილაციით...“

„ამას თვითონ პოეტიც გრძნობს და მღელვარებით ეკითხება საკუთარ თავს:

ხომ არ მაკლია მართლაც სიმშვიდე და ფიქრობიან ხშირად წყვილად დარჩენა?

მე დავუმატებდი: ავაშენა ღმერთმა კრიტიკოსს ავაშენა და პოეტიც! ასე არ სჭობია, გულში თუ რამე ემეო შეგვეპარა, ვთქვათ კიდევაც, ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი სატიკვარი და ხაწუხარა.



„ვისაც ასეთი ეჭვი არ აღებურის, — წერს შურნალ „კრიტიკაში“ სერგი ჭილაძე, — ვისაც ასეთი კოხვა არ აწუხებს, ის, პირდაპირ უნდა ითქვას, მეტისმეტად იოლად უყურებს პოეტის დანიშნულებას და მოვადიდებას...“

მინდა აქვე ვთქვა ისიც, რომ შ. სულაბერიძე, როცა პოეტს რაიმეს უყუხებს, პირდაპირ, საოცარი სიზუსტით მოუხსენებს ეპითეტებს, და ეს ამბავიც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმას, რომ ამგვარმა კრიტიკოსმა უფრო ხშირად უნდა აიღოს კალამი ხელში და წეროს ისე, როგორც ფიქრობს.

მე მინდა კარგად ვამიგოს კრიტიკოსმა და პოეტმაც, ვფოთ გულმმართველი, უფრო გულწრფელი, მითუმეტეს, როცა ამგვარი რამ კაცს არ ამჯობლებს.

პოეტად ვისხენიები,
თუმცა ხარი ვარ ლაბაო;
ჩემისთანები ბავაზე
ასი, ათასი აბაო...

დადაბლდა ამ სიტყვებით ვაჟა?
ისევ შურნალი „კრიტიკა“, 1977 წელი.

ამ რამდენიმე წლის წინათ, გიორგი ნიშნია-ნიძემ შურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილი — უტახტე. კარგა ხანსა გიარა, მაგრამ მე მაინც მახსოვს იმ წერილით გამოწვეული განწყობილება. მახსოვს ყველა სტრიქონი, რაც კი გ. ნიშნია-ნიძემ მოიხმო თავისი წერილის საბუთად, და რაც მთავარია, მახსოვს ის ამბავი, რის გამოც დაიწერა ის წერილი. იქ იყო საუბარი მუხრან მაჭავარიანის ქართულზე, მისი ენის თავისებურებაზე. სამახსოვრო საუბარი იყო, მიმზიდველი ტონით გამართული. გ. ნიშნია-ნიძის თვალით (გულის თვალით, გონების თვალთ, თუ სულის თვალთ) წაკითხულმა მუხრან მაჭავარიანის ლექსებმა მეც ერთხელ კიდევ ახლებურად წამაიოთხეს თავი. მაღლობა მას.

ამას ყველაფერს ახლა „კრიტიკის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ჩანსულ ღვინჯილიას წერილი მაგონებს. საკმაოდ მოწონილი წერილი. ეს წერილი მუხრან მაჭავარიანის ჩრდილო ლექსების კრებულს ეხება.

კრიტიკოსი წერს: მუხრან მაჭავარიანის ხმა არც ერთ ხმაში არ აგვრევიაო. კრიტიკოსი წერს იმაზე, თუ როგორ უყვარს მამული პოეტს, მისი წარსული, სულხან-საბა, ვახტანგი, და ასე შემდეგ... სწორია. კეთილი და პატიოსანი. კრიტიკოსი წერს იმაზე პროზაში, რაზედაც პოეტი გვესაუბრება პოეზიით, თანაც უფრო ნათელი, სადა და მიმზიდველი ენით.

ჭ. ღვინჯილიამ ხშირად იცის პრობლემების წამოჭრა. უნდა, რაიმე ახალი კუთხით დაგვანახოს ჩვენი ცხოვრების ესა თუ ის მხარე. და ეს აუცილებელია ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის. ზემოთ დასახლებულ წერილშიც გაიღვებებს ხოლმე მისეული ფრაზა, მაგრამ

ასეთი ადგილები, სამწუხაროდ, წერილშიც ტა:

„ი, ერთი ფრაზა, რაც მართლა ღირს დასლომებად:

„უკან მობრუნებულ მწერას ვილაც აძაღებს თითქოს, წინ იყუროს ფიქრმა.“

ამის გვერდით კი ასეთ ფრაზასაც წააწყდებით, თითქოს ლექსის ორგანიზმში ნაწილები იყოს გადანაცვლებული“.

მივუბრუნდეთ ისევ ეპითეტს.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი: „დოდო ჭუმბურიძის ლექსები ხასიათდებიან უშუალოობით...“

„საკუთარ სულში უკვდავებისა და იღუმალი ღვთაებრივის ძიება ამ ლექსს ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად აქცევს...“

ვახტანგ ხარჩილავა:
„ამ წიგნში მრავლად მოიპოვება ისეთი ლექსები, რომლებიც კარგად გვიჩვენებენ ავტორის დიდ შესაძლებლობებს.“

„ეს ლექსები დასტურია იმისა, რომ მათი ავტორი დიდად ნიჭიერი, მაძიებელი პოეტია.“
ყველაზე მეტი წერილი მაინც „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული. ორად-ორი წერილია დაბეჭდილი შურნალ „ცისკარში“, აგრეთვე შურნალ „მნათობში“; არც „კრიტიკაში“ გვქონია კარგი მოსავალი. კარგი იქნებოდა, კაცს მოეძია, თუ რამდენი პოეტური კრებული გამოიცა 1977 წელს, მაგრამ კრიტიკა ხომ მართო ერთ წელიწადს გამოცემული კრებულს არ განიხილავს. ამიტომაც, გაცილებით მეტი და მეტი წერილი უნდა გამოქვეყნებულიყო ჩვენს სალიტერატურო შურნალ-გაზეთებში.

მე მინდა ორიოდ სიტყვა გითხრათ გასული წლის „ცისკრის“ მეექვსე ნომერში გამოქვეყნებულ თამაზ ჭილაძის წერილზე: „აკაკი წერეთლის პოეზია“.

როგორც ჩანს, მაინც პოეტის ხელშეწყობა პოეზიაზე წერა, მწერლის ხელშეწყობა, ხოლო კრიტიკოსის ნაწერიც მაშინაა კარგი, თუკი ის კრიტიკოსი მწერალიცაა, თავისი მტკიცე და მყარი პოეზიითა და ჩანსა ყველაფერში, გააჩნია თავისი ხმა, თავისი სამყარო; ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვთხოვთ მწერალს, თორემ რა ხდება: ფუთობით წერილები იწერება, დრო გადის, და ისევ და ისევ პოეტებისა და მწერლების მიერ შეთხზული კრიტიკული წერილები თუ ეხსები რჩება შთამომავლობას, — ასე შემოგვრჩა ილიას, აკაკის, ვაჟას წერილები. ასე შემოგვრჩება სხვა საუკუნეშიც აღბათ გამსახურდიას წერილები. კონტანტინე გამსახურდიას, როგორც მის სახელოვან წინაპრებს, მრავალი კრიტიკო-

მშრმან ჯბუბურიძე
მზვანიძერი, უმზვანიძერი, უმზვანიძერი



ხი ჰყავდა გვერდით, მაგრამ მათი ნაწერები, რაც დრო ვადის, სულ უფრო ჰკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას.

ამას ყველაფერს თამაშ კლიამის წერილი მალაპარაკებს. მწერლის მიერ წაკითხული აკაკი ისევ და ისევ ჩვენი თანამედროვეა, ჩვენი წინმავალი კაცია. და სწორედ ამ მხრივია ეს წერილიც საინტერესო. მწერალმა, როგორც იტყვიან, ახლებურად წაიკითხა აკაკი და ჩვენც წავგაკითხა:

მთავა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჰეს გასწყვეტს ვიპრობა-გმირი...

„ეს ორი სტრიქონი „თორნიც ერისთავიდანაა“, — წერს თამაშ კლიამე, სადაც თითქოს მათი ადგილი ნამდვილად არ უნდა იყოს, რადგან ის ლექსი, რომელსაც პოემაში ჰქაროვთელთა ლაშქარი მღერის, უფრო დამარცხებულს შეეფერება, ვიდრე ძლიერამოსილსა და გამარჯვებით ვალადებულ ლაშქარს, რომელიც ახლაც დაესმარა რა სხვებს. გამარჯვებული ბრუნდება თავის ძლიერსა და თავისუფალ სამშობლოში და ასეთ ლექსს კი მღერის“.

„რა თქმა უნდა, ეს პოეტური დაფხუსია, — წერს შემდეგ თამაშ კლიამე, — მაგრამ ისეთი ტრაგიკული ვითარების შედეგია. ისეთი ჭეშმარიტი ტკივილისაგან არის დაზადებული, რომ არ შეიძლება თავად მუითხველი არ მიჰყვებ ამ აზრს, არ გააგრძელონ ეს აზრი და არ დაფიქრდეს მრავალი რამის გამო“.

აქ კიდევ ერთი ადგილი ამ წერილიდან:

„მართალია, მისი (აკაკის) თითქმის ყველა ლექსი იმღერება, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, არა მარტო იმიტომ, რომ შელოდაურია, არამედ იმიტომ, რომ ესმარება ჩვენი ცხოვრების რომელიმე კონკრეტულ მოვლენას, აქტუალურია და მნიშვნელოვანი.“

ასეთია პოეტის, მწერლის მიერ წაკითხული აკაკი.

ჩვენს დღევანდელ კრიტიკას, შეიძლება ითქვას, სწორ მიმართულებას აძლევს ფურნალ „მნათობის“ მეექვსე ნომერი გამოკვეთებული წერილი „შემოქმედების სათავე“. ამ წერილის ავტორს, რომან მიმინოშვილს, ერთ ადგილას მოაქვს მურმან ლებანიძის ლექსი:

ეგ არაფერი, რომ გღეხაკამა გაიქალქოს...
რომ ძველ ვენახში, ჩვენს ვენახში ხარი
ბალახობს...
ეგ არაფერი, რომ ჩვენები, ძველები
გაწყდნენ,
ხოლო ასლები მახრჩობელა დასლებში
დასხდნენ!...
რომ განმა ვაზი, ჩაქრა კერა
მრავალტანჯული,
რომ მუტლის ქონთ დღეს სამოსი გვაქვს
აჩაჩული,

რომ უბე-ჯიბე ზელის კუჭკუჭით დაჯავრული,
— პატიოსნება ხომ არ წახდა ჩვენმა,
რაქული!

„რამდენად მართალია, რაც აქ არის ნათქვამი? — კითხულობს კრიტიკოსი და შემდგომ აგრძელებს, — პოეზიასთან რომ არ გვექნოდა საქმე, ვიტყვი, როგორც არაერთხელ გვითქვამს და გავითმე დაგვიწერია: „ჩვენში, სამწუხაროდ, აქა-იქ კიდევ გვხვდებიან ახალგაზრდები, რომელნიც იოლ ცხოვრებას ესწრაფვიან და სარფიან ადგილებს ეტანებიან“, და ასე შემდეგ. — ეს სრული სიმართლე იქნებოდა, მაგრამ ეს არ არის პოეზიის ენა, ეს არ არის პოეტური სიმართლე. არც ეს ლექსი უნდა დავიფიქროთ და არც მუსხრან მაჭავარიანის შემდეგი ლექსი.“ — წერს რომან მიმინოშვილი:

არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“,
უარყოფითი დაჰკარგა ქურდა!
არა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა, —
შენსავით მტერმა იცხოვრა შენმა!
საქმე იმიტომ უფროა ცუდი,
რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!
სცდება, ვინც ვინმეს სიდიცებს უქებს!
ვინც იომენს, ისიც არაა ბრძენი!
საქმე მაშინდა იქნება უკეთ,
ვითაა, როცა შეიგნებს ბევრი!

რომან მიმინოშვილის მიერ მოხმობილი ლექსი, ჩვენს დღევანდელ საფიქრალსა და სალამბარაკოს ერთგვან. „საქმე იმიტომ უფროა ცუდი, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!“ „საქმე მაშინდა იქნება უკეთ, ვითაა, როცა შეიგნებს ბევრი!“

არაფერი არ დაწერია 1977 წელს კრიტიკოსების მიერ პოეზიის ძირითად ტენდენციებზე, პოეზიის დანიშნულებაზე, მის დამოკიდებულებაზე მთავარ სასიცოცხლო ძარღვთან — კლასიკასთან. ჩვენს ეროვნულ ტრადიციებზე, თანამედროვე მსოფლიო პოეზიასთან მიმართებაზე, — ამის სანაცვლოდ, როგორც ვთქვი, იწერება მსუბუქი რეცენზიები, ხობა-შესხმანი, პანეგირიები.

„ადამიანის სულიერი საწყარო იმდენად რთულია, რომ ის, რაც მისი სულიდან გამოდის და ის, რაც მის სულიერ განვითარებასვე ემსახურება, არ შეიძლება იყოს მარტივი, სწორხაზოვანი, წინასწარ განაგარიშებულ სქემებზე აგებული“, — წერს რომან მიმინოშვილი.

ერთხელ კიდევ უნდა გადავიკითხოთ:
„არ შეიძლება იყოს მარტივი, სწორხაზოვანი, წინასწარ განაგარიშებულ სქემებზე აგებული...“

ვაი, რომ უმოთვრებად ამ „წინასწარ განაგარიშებულ სქემებზეა აგებული“ დღევანდელი ჩვენი კრიტიკა!



ცოტა რამ მინდა ვთქვა 1977 წელს ჩვენი უფრანგ-გაზეთების უფრცლებზე ორი პოეტის კამათის გამო, შოთა ნიშნაიანიძისა და მამუა წყლაურის კამათის გამო.

საქმე როცა პოეტის ეხება, ძნელია სიმართლის დადგენა. აქ ყველაფერი, როგორც იტყვიან, გემოვნებაზეა დამოკიდებული. თავისთავად ეს გემოვნებაც ცალკე ათას რამეზეა დამოკიდებული. გემოვნებას განაპირობებს პიროვნების ხასიათი, განათლება, ქვეყანა, რომლის შევიდოცა ის, იმ ქვეყნის სოციალური მდგომარეობა და ასე შემდეგ... მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გემოვნებას ვერ შეცვლის ვერც განათლება, ვერც გონება და ვერც ნიჭი. გემოვნება, ბოლოს და ბოლოს, გემოვნებაზეა დამოკიდებული. ამიტომაც ამბობენ, ალბათ, გემოვნებაზე არ კამათობენო.

„გილაგამეშიდან“ მოკიდებული მოდის ჩვენამდე ურითმო ლექსი.

ძველია რითმიანი ლექსიც. ხოლო თუკი მათ ხანმოკლეზე დავფიქრდებოდით, ურითმო ლექსის მინც უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო მიწაზე და კაცს მერე უნდა შეესწავლა მისი რითმებით გაწყობა.

თვითონ ადამიანიც უპერანგოდ ჩნდება, მაგრამ მერე სწავლობს თავისი ტან-ფეხის შემოსვა-გალამაზებას სხვადასხვაგვარი ტანსაბურჯებით და სამკაულებით.

ურითმო ლექსი უფრო ახლოს იყო ბუნებასთან, პირველქმნილ წყაროსთან. ურითმო ლექსის მწერალია პომეროსი, მარადი მეწინავე პოეტების ლეგიონებისა. ურითმოა „დაბადება“, „ახალი აღთქმა“. ურითმოა ჩვენი სავალბოლები.

ხანი გამოსდა და კაცმა ისწავლა ტან-ფეხის შემოსვა, ისწავლა ლექსის რითმებით გაწყობა-გალამაზება.

კაცი დაიძრა თავისი მყარი ადგილიდან და წავიდა წინ. იმდენ რამეს გადაეყარა ეს კაცი გზა-გზა, იმდენ რამეს შეეხსოვრებოდა, — აზრი მისი დაქუცმაცდა, დანაწევრდა.

კაცის ეს წინსვლა სხვადასხვა სახელით მონათლეს X საუკუნის დიდმა პოეტებმა.

ელიოტი კითხულობს:

«Где то знание, которое мы потеряли в познаниях?».

როდკე ამბობს:

«Нас унижает наш успех».

რუსმა პოეტმა ველიმირ ხლდენიკოვმა ეგრიფოლდებულ „პიპეზე“ ნახევარი საუკუნით ადრე შიატოვა თავისი შექმნილი მშობლები, ნათესავები და ტან-ფეხ შემომარცვლმა ბუნებას მისცა თავი. ჭერ იანგარიშა, რამდენი უხამაროდლო ხოცვა-ფუტეცა ატყობილა დღემიწაზე და თავისი თანამედროვე პოეტების მიერ „მსოფლიოს თავმჯდომარედ“ აღიარებული — „მსოფლიოს გამოცეთიშა“.

ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული.

ახალი კვირტი რომ მოდის, ძველს აგდებს და მის ადგილს იკავებს. ან უბრალოდ ძველის გაგრძელებაა მხოლოდ.

დღევანდელი ურითმო ლექსის მოპარბება (ამ ურითმო ლექსში მე ამჟერად ვვულისხმობ ყველანაირ ლექსს, გარდა რითმიანისა) თავის დიდ კანონზომიერებებთან ერთად თავად რითმიანი ლექსის წყალობაც არის.

იმდენად დაიხვეწა და ამაღლდა რითმიანი ლექსი, რომ ჭერი დაგვანახა.

იხეც არ იყოს, ვახიხედ-გამოიხედდა ახალგაზრდა პოეტმა და დაინახა, რომ მასზე ღონიერი პოეტები, რომლებიც რითმიან ლექსებს წერენ, — რუსთაველს, აკაკის, ვუფას, ილიას, გალაკტიონს მინც ვერ ედრებოიან, — აილო და თავად მიმართა ურითმო ლექსს. მართალია, ამ ახალგაზრდა პოეტებს, ჭერ-ჭერობით არაფერი შეუქმნიათ რითმიან ლექსებთან შედარებით, მაგრამ დრო ხომ თანახარადა აქვს ორივე მხარეს, რამაც ექვს ვერ შევიტანთ.

ეს მხოლოდ ერთი მხარეა საკითხისა.

მთავარი მინც იმ პირველყოფილებისაკენ მიდრეკია, იქით წასვლაა, საიდანაც დაიწყო ყველაფერი.

ხიროდ მინახავს, რამისე რომ დაკარგავს კაცი გზაზე, ისეც მიბრუნდება უკან ხოლმე და ისეც თავიდან წამოჰყვება იმ გზას, რადგანაც ჰგონია, რომ დაკარგულს ასე უფრო ადვილად იპოვის.

ასეთი ხასიათის კამათი ჰქონდათ რუსებს ამ ათიოდე წლის წინათ. მერე მორიგდნენ მოკამათენი და გადასწყვიტეს: რითმიანი და ურითმო ლექსი ერთმანეთს ხელს ვერ შეუშლიანო; ერთიც გვექონდეს და მეორეცო.

ორი ქართველი პოეტი ვერ მორიგდა; საერთო ვერ გამონახა. კამათი, 1977 წელს დაწებულში, ვრძელდება.

მე კი ჰგონია, რომ ეს კამათი არც უნდა დაწებულყო.

ერთი პატარა ქალაქის ნავლექი დამრჩა ძველი ამონაწერიდან, რაც სადმე უნდა ჩამეგდო ჩემს სიტყვაში, მაგრამ ვერ გამოვიყენე. აი, რა აზრს გამოთქვამს კრიტიკოსზე ფრანგი მწერალი ბულვერი:

„ის უნდა იყოს თამამი, რათა პირში გაკიცხოს ვასაკიცი. ის უნდა იყოს დიდსულოვანი, რათა სხვისი არ შეეშურდეს. უნდა ჰქონდეს ტალანტი, რათა შეაფასოს. უნდა იყოს მცოდნე, რათა შეადაროს. უნდა უქრიდეს თვალს, რათა დაინახოს. უნდა ჰქონდეს მახვილი ყური, რათა აღიქვას მუსიკა. უნდა ჰქონდეს გული, რათა იგრძნოს...“

„დაუყოპოთოთ ამას, — ამბობს ედგარ პო, — ნიჭი ანალიზისა და სრული გულგრილობა იმის გამო, თუ რას იტყვის განაწყენებული ხალხი და ჩვენ მივიღებთ კრიტიკოსს“.

ზურაბული



ნოდარ კაკაბაძე

საქართველოსა და ქართული ლიგარაგურის უახლესი რუსეთში გარბენის დამოკრახივლ რუსუბლიკაში

„საქართველოზე ფიქრი ჩვენ მხოლოდ ახლახან დაიწყეთ“.

ადოლფ ენდლერი

გდრ-ის ცნობილი პოეტის, ესეისტისა და მთარგმნელის ადოლფ ენდლერის გამოთქვაში, რაც ჩვენ წინამდებარე წერილს ეპიგრაფად წავუშმდვარეთ, თავისებურ ფრთიან სიტყვებად იქცა, რომელთაც სხვებაც იმეორებენ. ენდლერის ფორმულასავით შეკუმშული და კონცენტრირებული დებულება იმას გულისხმობს, რომ საქართველოს ფენომენის, ქართული კულტურის, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის სერიოზული, სისტემატური, მეთოდური გააზრება გერმანულენოვან (და, მე ვიტყვოდი, საერთოდ, დასავლეთევროპულ) სამყაროში ფაქტიურად ჩვენი საუკუნის II ნახევარში დაიწყო.

ცხადია, გასულ საუკუნესა და ჩვენს საუკუნეშიც არსებობდა ცალკეული, მეტწილად შემთხვევითობასა და პირად სიმპათიებზე დაფუძნებული ცდები ქართული კულტურის „ჩასმისა“ მსოფლიო კულტურის კონტექსტში. უმთავრესად ეს იყო საქართველოში შემთხვევით მოხვედრილი მოგზაურის ან მწერლის მხოლოდ თვალის მეშვეობით მიღებული ვიზუალური, ევროპელთა ეგზოტიკური ცნობისმოყვარეობის დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილებები, ზოგიერთი მათგანის პიროვნება და ნაწერები (ჩვენი მათდამი უღრმესი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობის მიუხედავად, სიმართლე მაინც უნდა ითქვას)

ჩვენში უფროა ცნობილი, ვიდრე მათსავე სამშობლოში (მაგალითისათვის აქ შეიძლება დავასახელოთ არტურ ლაისტი, არტურ გუნდაკარ ზუტნერი, რიჩარდ მეკელაინი და სხვები). საქართველომ ზოგიერთი სწავლულის ყურადღება ქსისტოლოგიურ თუ ბიზანტინოლოგიურ პრობლემებზე მუშაობისას მიიქცია — ე. ი. ეს იყო შუაღობითი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რიკოშეტული“ და არა თავისთავადი, უშუალო დაინტერესება საქართველოს ფენომენით.

არაიშვიათია აგრეთვე ზოგიერთი სლავისტიკისა და რუსისტიკის ქართველოლოგიური ინტერესები (ლერმონტოვის „მწირი“, მიაკოვსკი, პასტერნაკი, ტიხონოვი და სხვები, ბუნებრივია, მათში საქართველოს გაცნობის სურვილს ბაძებეს).

როგორც ვხედავთ, არსებობს საქართველოს რეცეფციის სხვადასხვა სახეები და გზები.

ბოლო ხანებში თანდათანობით გამოიკვეთა საქართველოს ფენომენის უშუალო, თავისთავადი, „უანგარო“, „თვითმიზნური“ დაინტერესება. ამასთან თანდათანობით თვალთა ზოგბეჭდილებებს ცვლის გონებისმიერი, ინტელექტუალური და მხატვრულ-ესთეტიური შეცნობისა და აღქმა-ათვისების ტენდენცია.

განსაკუთრებით შეიმჩნევა ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოსადმი, ქართული ხელო-



ენებისა და ქართული ლიტერატურისადმი ინტერესის სავანებო გაცხოველება გდრ-ში. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ზედოვად დაიბეჭდა პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე შესრულებული წიგნები და ალბომები ძველი და ახალი ქართული სელოვნების შესახებ, რომელთა ავტორები გერმანელი და ქართველი სპეციალისტები არიან.

რამდენჯერმე გამოცა წიგნი ფიროსმანზე. გდრ-ის პატარა ქალაქებშიც კი ხშირად შეხვდებით ფიროსმანის ნაშუაგვრების საკმაოდ კარგ მოზრდილ რეპროდუქციებს, რომელთაც მკვიდრად დაადეს ბინა გერმანულ ოჯახებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1977 წელს ლაიფციგში ბრწყინვალედ გამოცემული, რუსულად მეფისაშვილისა და ვახტანგ ცინცაძის „ძველი საქართველოს სელოვნება“, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც იყიდებოდა და დიდი გამოხმაურებაც გამოიწვია.

... 1949 წელს საბჭოთა კავშირში პირველად მოგზაურა გდრ-ელმა ლირიკოსმა კუბამ (კურტ შარტლმა) და ამავე წელს გამოქვეყნა ლირიკული რეპორტაჟების წიგნი — „ფიქრები თვითფრინავით ფრენის დროს“ („გედანენ იმ ფლუგე“ ფერლაგ ფოლკ უნდვისენ, ბერლინი, 1949). იყო მოსკოვში, ლენინგრადში, და ბოლოს ჩამოფრინდა თბილისშიც. „...მოსკოვი, ლენინგრადი და თბილისი უზარმაზარი ქვეყნის მხოლოდ 3 ქალაქია და 3 განსხვავებული იერსახე და მე არ შემიძლია თქმა, რომელია ყველაზე მშვენიერი.

რომელია ყველაზე დიდი კომპოზიტორი: ბეთოვენი, მოცარტი თუ ბაი? ვინ არის უდიდესი მხატვარი: რემბრანდტი, ვოიკა თუ რუბენი? ასეთი შედარება-დაპირისპირება ყოველთვის გაუმართლებელია.“

კუბა არ ივიწყებს ქართულ ცეკვებსაც, ქართველთა პლასტიკურობას: „ქართველებს მერტ ცეცხლი აქვთ ფეხებში და მათი ფეხის წვრტების მოძრაობაც უფრო ამბლედებელია, ვიდრე მთელი ზოლივფულისა, თუნდაც მასინაც. როცა მისი ბინადარნი იგრინებთან და კონსულსებით იკვანებიან. ქართველთა ფეხები ციბრუტივით ტრიალებენ პარკეტზე, ხოლო მთელი სხეული უძვავია, ხეღვების მოძრაობა სასრებიდან მოლივლივებს. უკრავს შმაგი, ფაფარაყრილი მუსიკა, მაგრამ, ორასწაწელულის გამოცდილების მქონე ქართველი ადამიანი ყოველივე ამაზე მწვიდად ზვდება. ცუკვისა და მუსიკის ბანგი არც სახის სკვეტებს უმაწავს ადამიანს და არც კიდურებს არ უგრებს. რა დასანიათა. რომ მხოლოდ არ დღითა ვართ ამ ქალაქში. კოქს რომელ საც მთელ მოსოვლ... შეუძლია... რიტ: ესთუტ

შეუბურველი სიცოცხლის სისარული, რა... სავლელ ადამიანს აშინებს და თავისი უბადრუკი, ნორმირებული, ბუქედდესმული, სამჭვის გავილტრული და გაცრალი ცხოვრების მიმართ შეტრწუნების გრწონას უჩენს. ლამაზად ფრიალებენ ქართველი ქალები კაბები, არაფერი აქ უწმანურობის განცდას არ ბადებს, არც ერთი „შემთხვევითი“ მოძრაობა არ აშინვლებს ბარძახს. შანსონტე-ქალის იაფფსიანის სიშეშვდე აქ ისე იმპქმედებდა, როგორც დამუაუბული ლიბონათი. მაგრამ ქართული ცეკვის მიბაძვა ისე ადვილი არაა, როგორც ბუვიუვისა...“

საქართველოში ინახვენ და უფლიან თავიანთ ტრადიციებს და ადა-წიხებს. მათ ცხოვრების ახალ უადას უთანხმებენ. თუმცე ზოგებერთ ფრომბუტუ ადასთა თმობენ...“

კუბა „ოტელს“ დაწერბა რუსთაველის თეატრში, მსახიობების გვარებს არ სახელებს (ადათა ქართული გვარები დავიწყდა), მაგრამ ეს იყო აჯაგი ბარბაზა და ეასპის „ოტელსო“, რომ არ გეცოდნოდა, რომ ოტელსო შემსრულებელი თეატრკიანია იყო, ნამდელიად პოლ რობსონის ძმა გვეგონებოდაო, — ეფინებს იგი, — ჩვენი დროის საუკეთესო შემსრულებელი ყოფილა ოტელსო როლიანო. იგი ამქარად ჩრდილივდა მთელს ანსამბლს, მხოლოდ, ასე თუ ისე, იაგო უწევდა გვარკან პარტნიორობასო, ბრწყინვალე მსახიობაო!

ამავე თეატრში შილდრის „უჩალები“ საუკეთესო დადგმა ჰქონიათო, — დასძენს კუბა.

თბილისის ერთ-ერთ სკოლაშიც ყოფილან, სადაც 16 წლის გოგონას ვიქტორ ჰოუგოს ლექსების საკუთარი თარგმანი, აგრეთვე საკუთარი ლექსებიც წაუკითხავს. ყოფილან პიონერთა სახალმეშიც. დამით მამადავითეც ასულან. ჩვენს ქვემოთ ვარსკვლავებით მოქედლი თბილისი ვართმბულიყო, ხოლო თავზე ღრუბლიანი ცა გვეფარაო. წვიმა, მაგრამ მანც გაუნძრვლად ვიდექით ტერასაზე, რადგან თვალწარმტაცი სილამაზისათვის თვალი ვერ მოგვეწყვიტაო.

როგორც ვხედავთ. კუბაც, ასე ფიქვით, ძველი ტრადიციის გამგრედებელია: ისიც საქართველოს უფრო მეტად ფასადს, „გარეგნობას“, ზედაპირს, ამჩნევს და გვიჩვენებს, ვიდრე ჩვენს ზენტალობას, ჩვენს არსსა და ეროვნულ მასიანთს. ჩვენს კულტურასა და სულიერ თვისებებს. მისი გამოცემა პლავატური და დეკლარატულია. კუბას დაკვირვებები მანც უმთავრესად თვალის შთაბეჭდილ-

...მდარ პაბაბაძე
აპარტიველოს და ქართული ლიტერატურის უბნის რედაქცია ბირგანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ზებია და ისიც მიუზღავს გარკვეულ სარკს ეკოლოგებს, საქართველო და თბილისი კუბას მიერ ფაქტიურად ტრადიციულად, ძველი ტრადიციების და კლიშეების მიხედვითაა დანახული და წარმოადგენილი. არც გაეშტუ-ნება, მ დღემში შეუძლებელი იყო საქართველოში „სულში“ შეღწევა.

კუბა გერმანულ მკითხველებს შეუმოწმებელ „ფაქტებსაც“ სთავაზობს. ქართველები თავიანთ ქვეყანას „გურუისას“ უწოდებენ.

თბილისში უფროსი გადავწყვიტე, რაც შეიძლება მაღელ წაყვითხა ღაღო კეცხოველი ისა და შოთა რუსთაველის ნაწარმოებები. როგორც ჩანს, კეცხოველიც მწერალი ჰყო-ნია.

... 1972 წელს გღრ-ელმა ღირიკოსმა აქსელ შულციმ თავდაპირველად შურნალ „ნოი დოიჩე ლიტერატურ“-ში („ნდლ“, № 11, 1972, გვ. გვ. 41-45) გამოაქვეყნა თავისი ღირიკული ტრიპტიქი — „ქართული შთაბეჭდი-ლებანი“: „წინადალი“, „ქართული ბაზარი“ და „ფიროსმანის სურათები“, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილი გახდა და მტკიცედ დაიმკვიდრა გღრ-ის ღირიკაში კუთვნილი ადგილი „ქართული ბაზარში“.

სამივე ლექსი ურითმოა და მათი „პულსი“ პროზაულ მეტყველებასა მიახლოებული. ესაა ქართული ღანღშაფტის, ქართული ეთნიკური და ეთნოლოგიური გარემოს, ქართული ურცავ-ცხოვრების იმპრესიონისტული ჩანახატები.

...საერთოდ უნდა ითქვას, აქსელ შულციმ ლექსებშიც ჩანს მხოლოდ ეთნოგრაფიული ხა-ქართველო, ტრადიციული, ტრადიციული, ხეხილიანი, მთაგორიანი, ღბინისა და ქვეყნ-ბის საქართველო — ერთი სიტყვით, ჩანს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ფასადი, „გარეგნო-ბა“... მგარამ ეს ფასაგებიცაა, ისიც ორიოდ დღით იყო საქართველოში.

გღრ-ელმა ღირიკოსმა ქალმა ევა შტრიტ-მატერმა 1968 წ. თავის მეუღლესთან, ცნო-ბილ მწერალთან ერვინ შტრიტმატერთან ერთად რამდენიმე დღე დაჰყო უახუბგში. ამ მი-ღებულში შთაბეჭდილებების შედეგად შეიქმ-ნა ლექსი „პუშკინი. მოგონება უახუბგზე“, რომელიც შევიდა 1978 წ. გამოცემულ ლექ-სთა კრებულში „სინუმიხაგან მე ვქმნი სიმ-ღერას“.

უახუბგი დანახული და განცდილია ამ ლექ-სში პუშკინის პოეზიის ასპექტში — პოეტ ქალს უახუბგში უკვლავური პუშკინს აგო-ნებს: თერგვი, ცხვრის ფარაც, ურმები, მწუე-ნსები... საქმი ისაა, რომ ევა შტრიტმატერი, სამწუხაროდ, ქართულ ლიტერატურას არ იცნობს და მისთვის უახუბგი, სამხედრო გზა, თერგვი და ა. შ. ახოციარებულია მხოლოდ პუშკინის პოეზიასთან. ლექსთა ამავე კრებუ-

ლში მოთავსებულია ევა შტრიტმატერის მეორე ლექსი — „მეგობრებისადმი“, რომელშიც სოხუში მეგობრებთან ერთად გატარებულ შემოდგომას იგონებს.

იმავე 1978 წელს გამოქვეყნდა მეორე გღრ-ელი ღირიკოსი ქალის ზარა კარსის ლექსთა კრებული — „შელოცვანი“, რომელშიც მოთავსებულია საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსების მცირე ციკლი — „საქართველო, ფოტოგრაფიები“ და ცალკე ლექსი „ჩვერის მონასტერი“ ეს ლექსები მცირეოდენი შემო-კლებით დაიბეჭდა „ლიტ. საქარ.“-ში 1975, მ. ოქტ. (თარგ. ვ. კახიანიშვილისა).

კაცმა რომ თქვას, ეს ურითმო ლექსები იმდენადაა მიახლოებული პროზასთან (განსაკუთრებით ეს ითქმის მცირე ციკლზე, რომლის ლექსებს ფორმაც კი აღარა აქვთ ლექსებისა: ისინი არც ტაქტებად და არც სტროფებად აღარაა დაყოფილი, რომ ისინი თა-მანად შეიძლება მივიჩნიოთ პოეტური, ღირიკული პროზის ნიმუშებად.

1974 წ. მაშინ ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორმა, გღრ-ის მეცნიერებათა აკადემიისა და საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, დღეს ვიამარის კლასიკური გერმანული ლიტერატურის საკვლევი და სამუზეუმი ძე-ვლების გენერალურმა დირექტორმა, ვალტერ დიციმ, რომელსაც გღრ-ის რამდენიმე პრემია აქვს მიღებული, გამოაქვეყნა გამოკვლევა (1978 წ. 25 იანვარს წინასწარ გღრ-ის აკადემიის ხელმოწე რამ წაიკითხა) — „რენესანსის სივრცე, დრო და კლასობრივი შინაარსი“, სადაც საქმო ადგალი აქვს დათმობილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და საქართველოში რენესანსის პრობლემას. ძა-ღიან მოსულედ ამ წიგნის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართული ნაწილის დასკვნები შემდეგა:

არსებობს მხოლოდ ერთი რენესანსი და არ არსებობენ რენესანსები. არ შეიძლება რენესანსის ცნების მეტისმეტი გაფართოება, არ შეიძლება ის, რასაც ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ერნსტ რობერტ კურციუსი „რენესანსების მომრავლებას“ („Vervielfachung der Renaissancen“) უწოდებდა.

დივი არაორჭოფულად, კატეგორიულად უარყოფს აკადემიკოს კონრადის კონცეფციას, რის მიხედვითაც რენესანსული მოძრაობა დასტურდება მე-8 — მე-12 საუკუნეების ჩინეთში, მე-14 — მე-16 საუკუნეების შუახაიხა და ირანში და სრულდება მე-14 მე-16 საუკუნეების ევროპაში. დივი შენიშნავს, რომ ისეთი ელემენტების დაქმნა, როგორცაა სიცოცხლის ხალისი, ქალიხა და მისი როლის ამალდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ერეტიკული აზროვნების არსებობა ლიტერატურაში და ა. შ. ქერ კიდევ არ ამტკიცებს რე-

ნესანსულობას. მსოფლიო რენესანსის თვორით რენესანსი იძარცვება სპეციფიკური, არსებითი შინაარსისაგან და გადაშეწვებით კრიტიკული მხიბვარებით (რენესანსისათვის არსებითი ნიშანია ანტიფეოდალური ოპოზიცია და ბიურგერული ორიენტაცია). დიცივს მიხედვით, ევროპოცენტრისმის დაძლევა ვერ მოხერხდება კვლევის ობიექტის „ევრაზიული“ გაფართოებით.

საქართველოში, დიცივს აზრით, არ დასტურდება რენესანსის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი, რის გარეშეც რენესანსის არსებობა შეუძლებელია: სახელდობრ, მობრუნება ძველდროებისკენ, ანტიკური სამყაროსკენ, მისი კულტურის ფორმებისკენ. საქართველოში ყოველთვის შენარჩუნებული იყო ანტიკური კულტურასთან კავშირის უწყვეტობა, ამიტომ აქ არ შეიძლება რენესანსი რომ ყოფილიყო (გ. ი. აღდგენა, აღორძინება ანტიკური კულტურისა, რადგან აღდგენა, აღორძინება შეიძლება იმისა, რაც აღარ არის, რაც შეწყდა, და ა. შ. საქართველოში კი ანტიკური კულტურის მემკვიდრეობა მუდამ ცხოველმყოფელი იყო).

შემდეგ ვალტერ დიცივს ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის საკითხს, რისი გარკვევაც ამ გრანდიოზულ ნაწარმოებს როგორც ქართული ლიტერატურის, ასევე მსოფლიო ლიტერატურის განვითარების პროცესში კუთვნილად იღობს მიუჩნედა.

მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, განაგრძობს დიცივს: „ვეფხისტყაოსანი“ სარაინდო, საკარო რომანია. ამ აზრს იცავდა ჯერ კიდევ კეთილადგანწყობილი თვითნაწავალი არტურ ლაისტი, შემდეგ იგივე შეხედულება მეცნიერულად დასაბუთეს და პოპულარული გახადეს ისეთმა მნიშვნელოვანმა სწავლულებმა, როგორც იყვნენ ნ. მარკ, ვ. შიშმაროვი და ზევრი სხვა, აგრეთვე ფრანგი და ინგლისელი მკვლევარებიც.

მეორე შეხედულებას იზარებენ შ. ნუკუბიძე და მისი მოწაფეები: „ვეფხისტყაოსანი“ რენესანსული თხზულებაა.

ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში გამოიკვეთა მესამე შეხედულებაც, განაგრძობს დიცივს, რის თანახმადაც „ვეფხისტყაოსანი“ არც სარაინდო რომანია და არც რენესანსული თხზულება. ის უარჩევად ეროვნული ნაწარმოებია, ქართული ეროვნული ეპოსი (პეტრე შარა).

ცალკე გამოყოფს ვალტერ დიცივს „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელის ავსტრიელი პოეტის ჰუგო ჰუპერტის შეხედულებას, უკეთ, შეხედულებებს, რომლებშიაც დიცივს სამართლიანად ამჩნევს შეუსაბამობას და შინაგან წინააღმდეგობას.

ერთი მხარე, ჰუპერტის თანახმად, „ვეფხისტყაოსანი“ „რენესანსული მონუმენტია“, მეორე მხრივ, ტიპოლოგიურად იგი ისეთი ნაწარმოე-

ბია, რომლის მსგავსი იმ დროს არც დახვეწილია და არც აღმოსავლეთში არ მოიძებნება. დიცივს ეხება მხრივ, გარეგანი ფორმის მიხედვით „ვეფხისტყაოსანი“ სარაინდო რომანია იმ ტიპისა, როგორც იმ დროს დახვეწილ ევროპაშიც მოიპოვებოდა.

„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსობრივად რენესანსულ თხზულებად მიჩნევა, ბოლო ფორმის მხრივ — სარაინდო რომანად, როგორც სწორად აღნიშნავს დიცივს, შეუძლებელს ხდის მსოფლიო ლიტერატურის განვითარების პროცესში „ვეფხისტყაოსნისათვის“ ადგილის მიჩენას.

თვითონ ვალტერ დიცივს თავს იკავებს და არ ეტყობა ამ დავაში, რადგან მას ამისათვის საჭირო სპეციალური ცოდნა აკლია. მაგრამ ჩვენს ჩვენი მხრივ დავძენდით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს პეტრე შარაის მტკიცება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არც რენესანსული თხზულებაა და არც სარაინდო რომანია, არამედ ის არის უარჩევად ეროვნული ნაწარმოები, ქართული ეროვნული ეპოსი. თითქოს რენესანსული თხზულება ანდა სარაინდო რომანია ეროვნულობას, ეროვნულ ხასიათს გამოირიცხავდეს! * განა კრეტენად დეტრუას სარაინდო რომანებია ან ვოლფგანგ ფონ ეშენბახის „პარციფალი“ — ეროვნულ თავისებურებებს, ნაციონალურ ხასიათს არ ამჟღავნებენ?

...1975 წ. გდრ-ის ცნობილია ლირიკოსმა და მთარგმნელმა რაინერ კირშია გერმანულ ჟურნალ „როიე დოიჩე ლიტერატურ“-ში დაბეჭდა საქართველოს თემისადმი მიძღვნილი ორი ლექსი: „გაგრა საღამოს“ (რომელიც 1968 წლის 27 სექტემბერს დაუწერია) და „სილნაღის გზა“ (რომელიც აგრეთვე 1968 წელს შექმნილია).

„გაგრა საღამოს“ მოკლე, 4 ტაქტიანი ლექსია, რომელიც მთლიანად პოეტის მსუბუქი მელანქოლიური განწყობილებითაა გაჭერებული. უნდა ითქვას, რომ აქ აბსოლუტურად არ არის მიზნად დასახული ადგილობრივი კოლორიტი, დადამაფტური ან ყოფითი სურნელის გადმოცემა.

„სილნაღის გზა“ კი სწორედ დადამაფტური ორი ლექსია, რომლის ერთ-ერთ მიზანს ადგილობრისა და გარემოს კოლორიტის აღდგენა შეადგენს (რაინერ კირში ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების თარგმნისას ერთხანს სილნაღში

* ჩვენი შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ ენაზე გამოთქმული გვაქვს წერილში — „რამდენიმე მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის თაობაზე“ („მნათობი“, № 9, 1977).

ნოღარ კაბაბაძე
საქართველოსა და ქართული ლიტერატურის უახლესი რეცეფცია ბერბანინის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

დაბინავდა, მას ძალიან მოსწონდა ეს პაწია, კლდევანი, უმტვერო, გაღვინანი ღამაზი ქალაქი, საინდნაც ალაზნის ველის უბრწყინვალესი პანორამა იშლება).

ახსანიშნავია, რომ ლექსებს, რომლებიც რაინერ კირშია უფრნაღში დაბეჭდა, ახლავს ცნობილი ვლადიმე პოეტის, კარლ მიკელის ბოლონიტუვაობა — „კირშის ლექსები“, სადაც „სიღნაღის გზის“ თაობაზე შემდეგს ვკითხულობთ: „იდილიამ „სიღნაღის გზა“ 1972 წელს მენცინერებათა აკადემიის ერთ-ერთ კოლოკვიუმის დროს კამათი გამოიწვია. ლირიკოსმა დაიკემ განაცხადა, ლექსს ავლია პოეტურობა, ლანდშაფტის უბრალო აღწერა არავის მამდღესო. ენდლერმა პოლემიკურად განმარტა: დაკვირვებებზე ლექსის დაუქანა მადღფარდოვნების წინააღმდეგაა მიმართული. სამწუხაროდ, ენდლერმა ამით ლირიკოს დაიკეს დებულება თავისდაუნებურად აღიარა, მე კი აღტაცებული ვარ ამ ლექსით. კ. დ. ფრიდრიხს* კავკასია რომ დეხატა, წესხტად ასე დახატავდა, გზა მოჩვენებითადაა უკაცრიელთა, მკითხველი ლექსის ბოლოში, ავტორი რომ მძუთრი „შენობით“ მიმართავს და თანაც ეთხოვება, არის სწორედ მეგავრა, რომელიც ამ გზაზე მიდის. მეგავრის სვლა დაუძახავია, ეს არის მოძრაობა დაკვირვება, ღამაზი წუთი. [...] მთიან წლებში ჩვენ ყველანი ვცდიდით თავს ლანდშაფტურ ლექსებში; კირშის ეს ლექსი იმდროინდელი საწყისების ნაყოფია...“

1975 წელსვე ვლადიმე ვლადიმერს და მწერალმა ქალმა, ადოლფ ენდლერის მიუღღმე, ელკე ერბმა გამოაქვეყნა თავისი პირველი წიგნი — „ექსპერტიზა. პოეზია და პროზა“, რომლის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი საქართველოსა და ქართული კულტურისადმი მიძღვნილი.

პროზის განყოფილებაში შედის უსიუეტო, დოკუმენტურ-რეპორტაჟული პროზაული ესეის უნარის ნაწარმოები — „ჩვენი ყოფნა უცხო ქვეყანაში — საქართველოში“, რაც მას 1974 წელს დაუწერია:

ელკე ერბის ეს ნაწარმოები უნარულად ერთნაშნა განსაზღვრებას არ ექვემდებარება: იგი შედგება ლანდშაფტების აღწერის ხისაგან, მოგონებებისაგან, ასოციაციებისა და რემინისცენციებისაგან, ვიზიონებისაგან (ავტორის პირჯომიდან გადაუქვართ ბერლინში, პარიზში და ა. შ.); ექსპერტიზისაგან გერმანულ და ქართულ ლიტერატურაში: შოთა რუსთაველის, მებბელის და დავით გურამიშვილის პოეტურ-მხატვრულ სამყაროებში. ერბის ამ პროზაული ესეის ცენ-

* კასპარ დევიდ ფრიდრიხი (1774—1840), გერმანელი რომანტიკული ფერწერა, უპირატესად ხატავდა ბუნების სურათებს, პეიზაჟებს.

ტრშია მოქცეული გერმანულენოვანი მკითხველისა და ერბის მიუღღმის, პოეტური მთარგმნელის, ადოლფ ენდლერისათვის დავით გურამიშვილის პოეტური კოსმოსის აღმოჩენა, რაშიც მათ რაღაც ფრანსუა ვიოიანსებური და გიუნტერისებური* დინამიკა და იგრძნეს. ელკე ერბს გერმანული მკითხველი შემეყავს გურამიშვილის სამყაროში, მოჰყავს ციტატები მისი პოეზიიდან.

ელკე ერბის ესეი „სულხან-საბა ორბელიანი და მისი დრო“, რაც მან 1972 წელს დაწერა და „სიბრძნე სიცრუის“ პანც ფენრიპისეულ გერმანულ თარგმანს დაუროთ, გერმანულენოვან მკითხველს აცნობს მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიულ სიტუაციას (აქ საუბარია გიორგი XII-ზე, ვახტანგ V-ზე, არჩილზე, I ქართულ სტამბაზე), იმდროინდელი საქართველოს კულტურულ, ლიტერატურულ მდგომარეობას. ეს ყველაფერი გადმოცემულია ცოცხლად, ხატოვნად, ექსპრესიულად, პოეტურად — იგრძნობა, რომ ავტორი მეცნიერი კი არ არის, არაქედ ხელოვანია, პოეტი.

„სიბრძნე სიცრუე“ ელკე ერბი წერს: „მე არ ვიცნობ არც ერთ სხვა ასეთ კრებულს, რომელშიაც ამის სხვაგვარად არაფერი მიჰყვებოდეს და პირდაპირ სკულპტურულ მლახტიკურობას ქმნიდეს“.

მეორე ესეი „პოეტის ქვეყანაში“ შეეხება ძველი ტფლისის მომღერალთა და ტრუბადურის ოსებ გროშაშვილს. მთლიანად მოუვანილია ოსებ გროშაშვილის ლექსის „ქორწილი ჩვენს უბანში“ გერმანული თარგმანი, რაც შესრულებულია ადოლფ ენდლერის მიერ და შესულია ქართული პოეზიის ანთოლოგიაში („რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია“, I გამოცემა — 1971 წ., II გამოცემა — 1974). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გროშაშვილი გერმანულად კარგად ითარგმნება, საერთოდ, და ეს ლექსიც გერმანულად შეხასიშნავად შერის და იკითხება. საერთოდ, გერმანულ მთარგმნელს და ელკე ერბსაც საგანგებოდ მოეწონათ ოსებ გროშაშვილის პოეზია და მისი ლექსებიც შედარებით უკეთ დაქვემდებარა თარგმანს. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს, რომ ჭერ ერთი, როგორც ჩანს, მის პოეზიას აქვს ევროპელთათვის ხეციფიკური ეგზოტიკური მომხიბვლელი (ეტუობა, გროშაშვილის ორიენტალურ-თბილი-

* იოჰან კრისტიან გიუნტერი — (1695-1723) — გერმანული ადრეული განმანათლებლობის მნიშვნელოვანი ლირიკოსი. მისი პოეზიაში ერთმანეთს ერწყმის გოდება ყოფიერების წარმავლობის გამო, მიწიერი ტკბობის განდიდება და შეუფერავი, საკმაოდ ტლანქი სატირიკულიობა.



სური მენტალობა, პოეტური ხატები და მსოფლმეგობრება რადიკალურად განსხვავებულია ევროპულიდან და ამით იზიდავს მათ, მეორედ, სავარაუდოა, რომ გრიშაშვილის საგონობრივ-სიუჟეტური ლექსები თარგმანისთვის უფრო „მოსახელთებელი“ აღმოჩნდა.

1976 წელს გამოქვეყნდა ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ ნახსენები რაინერ კირშის ძალიან საინტერესო წიგნი — „სიტყვა და მისი გამოსხივება“, რომელიც, საერთოდ, ლირიკას და, კერძოდ, ლირიკის თარგმნის საკითხებს შეეხება.

კირში ალბა-ალბა მკითხველს უზიარებს ქართული პოეზიის ნიმუშების თარგმანზე მუშაობის გამოცდილებას, აქა-იქ აცნობა ქართული ლექსის, ქართული ლექსთწყობის თავისებურებებს.

ერთგან კირში ლაპარაკობს ვაჟა-ფშაველას „აღივლა ქოთელაურზე“ მის მხატვრულ თავისებურებებზე და მოკლედ განიხილავს ამ ნაწარმოების ერთ-ერთ რუსულ თარგმანს, რომელიც პუშკინის ზღაპარით იკითხებაო, რაც მთლიანად უგულბებელყოფს ვაჟას, ლექსთწყობის მხრივ ტლანქ, მახალთა და გარეგნული იერიით თითქოსდა მოუხერხებ, მაგრამ უადრესად ღრმა ჰუმანიზმის შემცველი ნაწარმოების არსებასო.

მავე 1976 წელს ჩვენს მიერ უკვე მრავალჯერ ნახსენებმა გდრ-ის თვალსაჩინო პოეტმა და მთარგმნელმა ადოლფ ენდლერმა დაბეჭდა წიგნი საქართველოზე — „საქართველოზე თსრბობის ორი ცდა“, რომლის ნაწყვეტები წინასწარ დაიბეჭდა უფრონად „ნოიე დოიჩე ლიტერატურა“-ში და ყოველკვირეულ გაზეთში — „ზონტაგ“.

სიმართლე რომ ითქვას, ამ ნაწყვეტების მიხედვით შიში და ექვე დაშინება, კეთილი სურვილისა და სიყვარულის მიუხედავად, ჩვენს მეგობარ ენდლერს „ფუჟი გასროლა“ ხომ არ გამოუვიდა: საქართველოს ნაცვლად რომელიღაც ადმოსავლური „მითიური“, ეგზოტიკური ქვეყანა ხომ არ აღწერა-მეთქი. მაგრამ ენდლერის თხზულების ცალკე წიგნად გამოსვლის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ჩემი შიში არ გამართლდა. როგორც ჩანს, ავტორმა უფრო იდო და გაითვალისწინა ქართველი მეგობრების შენიშვნები, შესაძლოა, ზოგი რამ თვითონაც დამოუკიდებლად ახლებურად ვაიხარა. ამას გარდა, ალბათ, მისი ნაწერის მთლიანობაში სხვა შთაბეჭდილების მომხდენი აღმოჩნდა, და ახლა ჩვენს წინაშეა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საქართველოს კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, საერთოდ, საქართველოს ფენომენის მცირე, კონსპექტური ენციკლოპედია, რომელიც, ჩემი აზრით, უკვალა სხვა გერმანულ წიგნზე ღრმად, უკეთ და ზედმიწევნით ჩასწვდა ქართულ ეროვნულ

ხასიათს, საქართველოს სპეციფიკას, ჩვენს ლირსებებსა და ნაქლოვანებებს, ჩვენს და კარგს — წიგნი დაწერილია გულწრფელი სიყვარულითა და სიბოთით, ქართული ეროვნული ხასიათის გაგების, წვდომის წრფელი სურვილით — ეს არც დითარაშობა ჩვენს სახობობად ავლენილი და არც ჩვენს განსაქიქებლად დაწერილი პასკალი. თუმცა ამ წიგნს ერთ-ერთი გერმანული რეცენზენტი „რაფსოლიას“ უწოდებს, — ეს არის მტნაკლებად ობიექტური, პირუთვნელი შთაბეჭდილება პოეტი კაცისა, ხელოვანისა. ეს არის უცხოელი პოეტის თვალთ დასახული საქართველო — ყოველგვარი შეღავათისა და აგრეთვე მოკირკიტე კრიტიკანაზმის გარეშე.

მაშასადამე, ადოლფ ენდლერის ეს წიგნი, ერთი მხრივ, არის საქართველოს, მისი კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ეთნოლოგიის, ყოფის, ქართული მენტალობის და ა. შ. ერთ-ერთა მცირე კომპენდიუმი, უცხოელთათვის მეტად გამოსადეგი მანდუხი, ცნობარი. აქ თავმოყრილია აგრეთვე საქართველოზე არსებული გერმანულენოვანი ლიტერატურის არსებითი და რეიტული ნაწილი (გიულდენშტატი, ბოდენშტეტი, ლისტი, ზუტნერები, ადოლფ დირი, ჰუპერტი და სხვები). იგივე რეცენზენტი ამის თაობაზე შემდეგს წერდა: „ენდლერს, რაც გერმანულების საქართველოსთან 800 მეტი წლის ურთიერთობას შეეხება, მთელი კვაკასიოლოგიაში ინსტიტუტის სამუშაო ჩაუტარებია“.

მეორე მხრივ, ეს არის საქართველოს პოეტური და ამდენად რამდენადმე სუბიექტური სურათი, საქართველო აღქმული ხელოვანის მიერ, რომელიც ბევრ შემთხვევაში უფრო ღრმად იხედება ერის კულექტორ ფსიქიკაში, ერის ხასიათში, ვიდრე მოგზაურები, ენათმეცნიერები და საერთოდ მეცნიერები, რადგან ეს უკანასკნელნი ცალკეული ფაქტებითა და ქვეყნის რომელიმე ერთი წახნავით ინტერესდებიან, პოეტი, მწერალი, ხელოვანი კი ცდილობს საქართველოს უნივერსალურ და ტოტალურ წვდომასა და გამოსახვას.

ყოველივე ამის გამო ადოლფ ენდლერის წინამდებარე წიგნი უანრულად ერთნისნა და ხასიათება-განსაზღვრებას არ ექვემდებარება: იგი მხატვრული ნაწარმოებისა და ლიტერატურული სტისი, მოგონებებისა და მოგზაურობის სურათების, იმპრესიონებისა და ფსიქოლოგიური ჩანახატების, დაკვირვებებისა და დასკვნების ორიგინალურ შერწყმა-შეგვარებას

ენდლარ კაპაბაძე

საქართველოში და ქართული ლიტერატურის უახლესი რეცეფცია ბირმანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

წარმოადგენს. წიგნი მსკვლავს კითხის, თბილი და ღბილი ჰუმორი, მასში შეინიშნება აგრეთვე უღვარძლო, უწყინარი ირონია და თვითირონიც — თვითირონია, ე. ი. ირონია მიმართული ავტორისაკენ, როცა იგი ზოგჯერ თავს ხამად ვრძნობს სპეციფიკურად ქართულ სიტუაციაში. მასში არ არის მხოლოდ, გოეტის ტერმინები რომ გამოყენებული. „ვარპიტ“ (სინამდვილი, რეალურად მომხდარი), არამედ იგი შეიცავს „დიპტუგნასაც“ (პოეზიას, ე. ი. მხატვრულ გამოხატვასაც). რაც არ ეწინააღმდეგება ამ „სინამდვილეს“. ენდლერს წიგნში გამოყვანილი ჰყავს გამოგონილი პერსონაჟები, რომლებიც ზოგჯერ კრებად ტიპებს (რამდენიმე რეალური პროტოტიპის გაერთიანებას) ანდა ქართული ეროვნული ხასიათის ზოგიერთი თვისებისა და ნიშნის გამკვეთრებულ მატარებლებს წარმოადგენენ. პერსონაჟებს შორის ვხვდებით ვრცნებარე პატრიოტებს, ნეიტრალურებს და ეროვნული ნიშანისტაც კი, რომელიც ასევე კრებად ტიპს წარმოადგენს და რომლის გამოსაძერწადაც ენდლერი, ცხადია, დაუახლოვებულად რამდენიმე რეალური პროტოტიპის „მასალას“ იყენებს.

ენდლერი იყენებს გათამაშებულ და გამოგონილ სიტუაციებს, რეალურ და ფიქტიურ დიალოგებს, ნაცნობებისა და მეგობრების წერილებსა და წარმოსახულ, შეთხზულ „დოკუმენტებს“. ენდლერის ეს წიგნი არამც და არამც არ წარმოადგენს რეპორაჟების ანდა დოკუმენტური ნარკვევების კრებულს. შეთხზული, ფიქტიური, წარმოსახული, ვიზონარული დიალოგის, გახასხების, უფრო მეტიც, კამათის, ჩხუბის მაგალითად გამოდგება „ვეფხისტყაოსნის“ გერმანელი მთარგმნელების ფანტასტიკური შეხვედრა-დევა, რაც მხატვრული ნაწარმოების სტილითაა შესრულებული. ერთმანეთს ხვდებიან და ჩხუბობენ (დახს, არ შეშლია, ნამდვილად ჩხუბობენ — ესეც ვარკვეული რეალური ვითარების მოდიფიცირებული გამოძახილია!) ჰუმორი, ჰუმორი და ჰერმან ბუდენზიცი. მათ კამათს ესწრებიან და რეპლიკებით მონაწილეობენ არტურ ლანსტი და ბერტა ფონ ზუტენერი...

„ვეფხისტყაოსნით რომ ზის და ამრევილი ნერვიულად ხელგან იფხვენებს იმის გამო, რომ ეს ჰქვყანა ბრმა მისი რითმების მიმართ, ვანა ეს ავსტრიელი ჰუმორი ჰუმორიტი არაა, რომელსაც მეტის უფლებით შეეძლო ეთქვა „ქართული ვარო“, ვიდრე ქუთაისის მახლობლად დაბადებულ ერთი რუსი მეტყველის ვაჟს, მიაკოვსკის, თვითონ ჰუმორტი რომ ჰყავდა თარგმანი?! 250 გვერდზე ჩაწიკვიკვირებული ჯვარედინი რითმები, შირი, რაგონი ქართულიად უწოდებენ, ვანა ხუმრობა საქმეა? რუსთაველის ეროვნული ეპოსის თარგმნის ჯერჯერობით ყველაზე წარმატებული ცდა —

კი მაგარა, სადა ხალხის მადლობა? „ტუშმარა ერთი ნაწილი (მოქმედება ხდება მსკვლავს ზევიცში, გღრ-ში, ზორბულ სოფელში). ერთ-ერთ ძველ ყოფილ წისქვილში, სადაც ენდლერი წერდა ამ წიგნს. სტუმრებში ის ქართველები იგულისხმებიან, რომლებიც ბუდენზიცი ვიგნა მხარში და მის თარგმანს ანიკებენ სხვა თარგმანთა წინაშე უპირატესობას ნ. კ.) მოხუც პროფესორ ბუდენზიცი შემოხვევია ჭრს, რომელიც დასავლეთის მხრიდან „შემოფრენილია“ — ფრთათა ქვეშე „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი მოუჩანს. ის ხელნაწერს თავდაჯერებულად ავლებს მუხის მაგიდაზე, შემდეგ ტრიუმფალური ხმით იწყებს კითხვას, თან ხაზს უსვამს რითმებზე უარის თქმას (ჰ მოყვანილია ნაწილები ბუდენზიცი თარგმანიდან). ჰუმორტი კი, დაბოლოებით და გამწარებული, თავისი „ვეფხისტყაოსნის“ მერო გამოცემის ახალთახალ ეგზემპლარს საციცხლოვით იქნევს და ჩლიფინებს: ჩემი თარგმანის 310-ე სტროფი, თუ ნებას დამრთავთ!“ და ჰუმორტი კითხულობს: (ჰ მოყვანილია ჰუმორტის თარგმანის ერთი ნაწილები). ჰუმორტი კატეგორიულად აცხადებს: — აი ეს არის რუსთაველი ეს არის „ვეფხისტყაოსანი!“ „ვეფხისტყაოსანი“—დაუნიებით იმეორებს ბუდენზიცი თავისი თარგმანის სათაურს და კუთხეში მიმჯდარ ჩია კაცს მიმართავს: — თქვენ რას ფიქრობთ, ლანსტი:—მე ჩემი თარგმანი „ვეფხისტყაოსნი“ დავსათარგმნე. შეიძლება რაღაც ვითხრათ ორივეს თარგმანის ხარისხზე?...

— თქვენ უფლება არა გავქვთ! — ერთხმად წამოძახებენ ბუდენზიცი და ჰუმორტი დათითქმის არ ესმით ერთი რადიო-ჟურნალისტის კითხვის წრიანია: — თქვენ „ლენინის ტყავიან რაინდს“ გულისხმობთ, რაზედაც მე ამასწინათ ერთ-ერთ გადაცემაში მივანიშნე? ნუთუ გერმანულად გვაქვს ეს ნაწარმოები? ო, ღურორის მოახდენს! — ამ დროს დუნელს არღვევს ახალგაზრდა ბერტა ფონ ზუტენერი (ქმართან ერთად „ვეფხისტყაოსანს“ რომ თარგმნიდა, მაშინ ბერტა ფონ ზუტენერი ახალგაზრდა იყო — ნ. კ.), რომელსაც ჰგონია, რომ კომპრომისული წინადადება წამოაუყენა: — ჩემს თარგმანს უბრალოდ ჰქვია „ვეფხისტყაო“? მეთანხმებით?

— უმასუხისმგებლო განცხადებია! — ამბობს მკაცრად ბუდენზიცი.

— დიდებულია! — დაცინის ჰუმორტი.

— თქვენ, თქვენ, — გაცხარდა ლანსტი, — თქვენ ბჭარედიც კი არ გქონიათ. მე, როგორც წავიკითხე, თქვენ ერთ ქართველს ნაწარმოები ჯერ დამტკრეულ ფრანგულზე ათარგმნიეთ, შემდეგ ტექსტი ფრანგულად გამართეთ და აქედან გერმანულად თარგმნეთ. დღერთო ჩემო, დღერთო ჩემო!

შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკების, ლანს-ტის, დორის, ზუტინების, ბლიაშკინების, ჰუბერტის, მეკელის და სხვათა „ოჯახს“ ახალი წერი შეემატა — ადოლფ ენდლერი, რომლის შემოქმედებაში საქართველო ებაზო-ლი კი არ არის, არამედ მისი შემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი და ორგანიზებული შემადგენელი ნაწილია.

ადოლფ ენდლერის წიგნი ორი ნაწილისაგან, ორი თავისაგან, ორი მოზრდილი ხეივა-საგან შედგება: „თხრობა საქართველოზე“ და „თბილისური ჩანაწერები“. პირველ ნაწილს ემიგრაციად წამძვარებული აქვს მანს კრისტან ანდერსენის სიტყვები: „... ერთი პატარა ჩიტი ჩამოქვდა და შეისვენა ჩვენს გემბანზე, პურის ნამცეცხები აყენა და საინიანდ წყალი მოსვა. საღამო ხანს დაღვტოვა და პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ გაფრინდა. მე ვთხოვე ჩიტუნისა, მოკითხვა გადაეცა კავკასიის მთებისათვის, მდინარეთა ნაპირების ჭაგანარებისათვის, სადაც ვეფხვი წყურვილს იკლავს ხოლმე, აგრეთვე ქალაქ თბილისისთვის და ჩერქეზეთის მშვენიერი ქალებისათვის“.

მეორე ნაწილის ემიგრაციად კი გამოყენებულია სტრეკოვიჩის პოლედერლინის ლექსიდან „გადასახლება“.

ადოლფ ენდლერის წიგნი, რომელიც მოცულაობით არცთუ ისე დიდია, შეუქმნულად, კონცენტრირებულად, კომპაქტურად განიხილავს საქართველოს მრავალ ასპექტსა და წახანჯს. და ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და ინტენსიური წახანჯვა ქართული ლიტერატურა; ქართული პოეზია. წიგნში გამოყვანილია ლიანის მებადე-აგრონომი, ხანშესული ქალი, კოლორიტული ფიგურა, ცოცხა ახირებულნი, სიგარეტის სიგარეტზე რომ ეწევა: „... უკი მას ქართულ პოეზიაზე აზრს შეეკითხებოდ, პასუხად მიიღებდი, რასაც საქართველოში ძალიან ხშირად გაიგონებთ: — რუსთაველი, მისი „ვეფხისტყაოსანი“ ჭერ კიდევ ბებიაჩემმა იცოდა ზებირად... (სიგარეტი) როგორც უკლებლად ყველა ქართველმა, მანაც წამოიძახა: — გალაკიონ ტაბიძე: ეს მსოფლიო მასშტაბის ლიტერატურაა! (გალაკიონისათვის ყოველი ქართველი უყოყმანოდ გასწირავს. XX საუკუნის ყველა სხვა პოეტს — ეს იყო იეიტის, ბლოკის, მალარმეს ბადლი და დიდი სიმბოლისტი, ხშირწვერიანი, ღვინისმოყვარული, რომელიც რამდენიმე წლის წინ წამოაბილით: — ზღვა! ზღვა! — ფანჯრიდან გადახტა, — ჩვენი საუკუნის უძნელესი და ყველაზე ხალხური ქართველი პოეტი“.

საერთოდ ენდლერის წიგნი სახეა ქართული პოეზიით — ავტორს არა მარტო ქართველ პოეტთა და ქართული ხალხური პოეზიის ნომოქმედის ღირსშესანიშნო თარგმანები მოჰყავს, არამედ ენდლერსაც იმეორებს ლათინური

ასოებით (მაგალითად, ქართულადაა ციტირებული გალაკიონის — „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლი“, „ქალაქში, მტვერის წაქცა ბავშვი“ და სხვ.) საერთოდ ქართველ პოეტთა შორის ყველაზე ხშირია გალაკიონის ხსენება, დამოწმება და ციტირება. არაკრებულ მეორედბა აზრს, რომ უკლებლივ ყველა ქართველი გალაკიონის მსოფლიო მნიშვნელობის ლირიკოსად მიიჩნევს და მზალა მას ანაცვალოს, მითვისს დათმოს, დაჩაგრის XX საუკუნის ყველა სხვა ქართველი პოეტიო. თვითონ ენდლერი კი გალაკიონს დაფინებით ყოველთვის მაინცადამაინც იეიტს, ბლოკსა და მალარმეს უახლოვებს. განსაკუთრებით ანათესავებს ირლანდიელ უილიამ ბატლერ იეიტსთან. იმის მიუხედავად, რომ გალაკიონი წინამდებარე წიგნში XX საუკუნის უდიდეს ლირიკოსადაც წარმოდგენილი, მაინც შესამჩნევია: ადოლფ ენდლერი აქ, ამ შემთხვევაში სხვების აზრს იმეორებს, რასაც ენდობა კიდევ, მაგრამ თვითონ ამის უშუალო განცდის საშუალება არა აქვს, რადგან გალაკიონი ჭერქველობით ღირსეულად, კონგენიალურად არც ერთ ენაზე არ არის თარგმნილი — დედანში მისი წაკითხვა კი ენდლერს არ შეუძლია.

სიხშირის მხრივ წიგნში მეორე ადგილს რუსთაველი იკავებს, რომლის სიდიადე ენდლერს, თვით მისივე თქმით, ჰუბერტის თარგმანმა აგრძნობინა. წიგნში სხვადასხვა გარემოებასთან კავშირში გვხვანტულია რუსთაველის ციტატები.

საერთოდ, ენდლერი ქართველ მწერლებს უბრალოდ კი არ ჩამოთვლის, არამედ ცდილობს თითოეული მათგანი, მისი ადგილი და სპეციფიკა თავისებური ფორმულისებური მოკლე ანოტაციის მეშვეობით წარმოავლინოს, გაკვითვალსაინოოს. ძალიან თბილად და სიყვარულით წერს ენდლერი ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილზე, რომლებიც რუსი მწერლების (განსაკუთრებით ილია ერენბურგისა და ბორის პასტერნაკის) წყალობით ყველაზე პოპულარულნი არიან ევროპაში.

XX საუკუნის ქართველ პოეტთა შორის, ამით გარდა, ციტირებული და შეკუმშულად დახასიათებულნი არიან: გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი და იოსებ გრიშაშვილი. გრიშაშვილი ენდლერსაც, თავისი ცოლის მსგავსად, მისი პოეზიის ძველტფლისური თემბაკიით აინტერესებს. აქაც დიდი ადგილი ეთმობა ძველ ტფილისს და ძველი

ნოღარ კაპაბაძე
საქართველოსა და ქართული ლიტერატურის უახლესი რედაქტორი ბარბანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ტვილისის ლიტერატურულ ბოქმას (იეთიმ გურჯი).

ცოცხალ ლირიკოსთა შორის ენდლერი ანა კალანდაძეს გამოჰყოფს.

კლასიკოსთაგან კონცენტრირებულად დახასიათებულნი არიან: „მებრძოლი კონსერვატორი“ გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი (ცატირებულია მისი „ცისა ფერს“), „სულიკოს ავტორი“ — აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა (შედარებით ვრცელია ვაჟას შემოქმედების თემატიკისა და პრობლემეტიკის თავისებური ანოტაცია).


არ ივიწყებს ენდლერი ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, (დამოწმებულია „ხასანბეგურა“, „ნეტავი გოგოვ მე და შენ“... და სხვ.), ქართულ გამოცანებსაც აცნობს მკითხველს (მაგ. „გარეთ ატლასი, შიგნით ათასი“). დავიწყებულნი არ არიან ის რუსი მწერლებიც, რომლებიც ბიოგრაფიითა და შემოქმედებით დაკავშირებულნი არიან საქართველოსთან (პასტერნაკი, პაუსტოვსკი, შკლოვსკი, ბელა ახმადულინა, ევტუშენკო). საგანგებოდ აღნიშნავს ენდლერი, რომ საქართველოში განსაკუთრებით პატივშია პოეზია და პოეტები — რომ ეს ყველგან და ყველაფერში იგრძნობა — ხალხში და ოფიციალურ წრეებშიც კი — ეს

ჩანს თუნდაც ქალაქის ქუჩების სახელგებობიდანაც კი. საუკეთესო ქუჩებს თბილისში პოეტების სახელები აქვთ მიკუთვნებული, რასაც ვერ შევხვდებით სხვა ქვეყნებშიც.

ხელოვნების სხვა დარგებიდან საგანგებოდ გამოყოფილია ქართული ფერწერა (ლიფერენცირებულად განიხილავს ნიკო ფიროსმანის, დავით კაკაბაძის, შალვა ქიქოძის, ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის მხატვრობას) და „მსოფლიოში ცნობილი ქართული ფილმი“. საქართველოს წარსული წარმოდგენილია წმინდა ნინოთ, დავით აღმაშენებლით, თამარ-მეფით...

საქართველოს თემა თანდათან უფრო და უფრო ინტენსიურად იჭრება გღრ-ელი პოეტებისა და პროზაიკოსების შემოქმედებაში — თანდათან იქცევა ზოგიერთი მათგანის შემოქმედების ინგრედიენტად, ორგანულ ნაწილად, განსაზღვრული იდეური და მხატვრული ფუნქციის მატარებლად. აღმათ, უკანმოუბრუნებლად წარვიდა ის დრო, როცა საქართველო გერმანელი მწერლების მხოლოდ ტურისტული შთაბეჭდილებებისა და გეოგრაფიულ-ლანდშაფტური ცნობისმოყვარეობის საგანს ანდა ეგზოტიკისადმი ხარკის გადახდის თავისებურ საბაზს წარმოადგენდა.





ქეთევან კინძურაშვილი

ლევან სუსხირიძე — წიგნის ილუსტრატორი

კომტური ნაწარმოების ილუსტრირების უნარი ალბათ მხოლოდ განსაკუთრებული მხატვრული აზროვნების მხატვრებს შესწევთ. ამ მხრივ საინტერესოა ლევან ცუცქირიძის წიგნის გრაფიკა, რომელიც სწორედ ისეთ განზოგადოებულ, სახვითი თვალსაზრისით რთულ პოეტურ თემებზე მუშაობს, რომელთა კონკრეტულ-სიუჟეტური დასურათება თითქმის შეუძლებელია — ვთა ფშაველა, ვალაკიონ ტაბიძე...

შემთხვევითი არ უნდა იყოს ლ. ცუცქირიძის დაინტერესება თანამედროვე საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი აღიარებული ნაწარმოებით — ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლით „რუსთაველის ნაკვალევზე“. აქ არ არის ერთი სიუჟეტური ხაზი, რომელსაც შეიძლება მისდლო და ნახატებით შინაარსი „მოჰყვე“. მაგრამ ლ. ცუცქირიძე ლექსებზე დაყრდნობით ქმნის წარმოსახვით მხატვრულ-პოეტურ ნაწარმოებებს, რომლებიც შეესატყვისება, ერწყმის ი. აბაშიძის პოეზიას.

ილუსტრაციები მხატვარმა თავდაპირველად ფერებში შექმნა (ქალაქი, ტემპერა, პასტელი, ფანქარი; გამოც. „ნაკადული“, 1973), შემდეგ იგივე კომპოზიციები შავი ტუშით შეასრულა მცირე ზომის (88X106 მმ) წიგნისათვის (გამომც. „მერანი“, 1974 წ.). ჩვენ ძირითადად სწორედ ამ უყანასკნელის მხატვრულ გაფორმებას შევხებით.

მინიატიურული წიგნი თავიდან ბოლომდე შავისა და თეთრის კონტრასტზეა აგებული. მხოლოდ სათაურია ხაზგასმული გარეკანზე ყავისფერი საღებავით. ნახატების რაოდენობა თვის ლექსების რიცხვით არის ნაკარნახევი. ნაწარმოების პირველ ნაწილში („შეველ ინდოეთში“) ყოველ ლექსს ორ გვერდზე გადაშლილი

ილუსტრაცია ერთვის, მეორე ნაწილში („პალესტინა, პალესტინა“) — ერთგვერდიანი. ილუსტრაციები განსხვავდება გარე მოხაზულობით, ფორმით, მაგრამ ფურცლის თეთრი ველი მათ ერთ ორგანიზმში აერთიანებს. წიგნის სწრაფად გადაფურცვლის დროსაც იგრძნობა, რომ გაზრებულია მისი ტექტონიკა — მხატვრული აქცენტები რიტმულად მონაცვლებენ.

გარეკანზე გამოყენებულ კომპოზიციურ პრინციპს ხაზობრივი დაყვით, აბზაცებით, რომლებშიც ცალკეული გამოსახულებებია ჩაწერილი, ხშირად იყენებს ლ. ცუცქირიძე. ხაზობრივი კომპოზიციური საფუძველი, თითქოს ხის ძელებიდან აგებული კონსტრუქცია კომპოზიციას დეკორატიულ ხასიათს ანიჭებს და მკაცრი გადაწყვეტით მონუმენტურობას სძენს. ნახატი არაფრის შესახებ არ მოგვითხრობს, მაგრამ ქმნის განწყობას, უშუალოდ შევყავართ ნაწარმოებში, უფრო სწორად, „ცუცქირიძისეულ“ მხატვრულ სამყაროში, რომელიც ლიტერატურული ნაწარმოების მოტივებზეა შექმნილი.

ამ პატარა კომპოზიციის ანალიზისას ჩვენ ვხმარებთ რამდენიმე განსაზღვრებას, რომლებიც ლ. ცუცქირიძის ნებისმიერ ნაწარმოებს ახასიათებს — მონუმენტური, დეკორატიული, „ცუცქირიძისეული“, ბოლო განსაზღვრება შემთხვევით არ არის ნახმარი. ლ. ცუცქირიძე ხომ მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალური ხედვის, საკუთარი სტილის მქონე მხატვარია.

ირ. აბაშიძის ამ ნაწარმოების, ან „პალესტინის დღიურის“ გაფორმებისას სხვა მხატვრები უშეტესად იტრუსალიმის ქართული ჭვრის მონახატერში აღმოჩენილ რუსთაველის პორტრეტს იყენებენ. ლ. ცუცქირიძე გვერდს უხვევს ასეთ



პირდაპირ გზას და თავისუფალი განწყობით ქმნის რუსთაველის სახეს, რომელიც უახლოვდება პოეტის თითქმის დაქანონებულ, გავრცელებულ პორტრეტს.

რუსთაველი წარმოდგენილია ეტრატის ფონზე, მთელი ტანით, გრძელ სამოსში გახვეული, ნაცნობი თავსაბურავით. დახვეწილი, პლასტიკურად ჩამოქნილი ფიგურით, ხელების მოძრაობით იგი საქართველოს ისტორიის წარჩინებულ პირობა შეუასაკუნებებს ფრესკულ გამოხატულებებს მოგვაგონებს. ეს თითქოს პოეტური აჩრდილია, რომელსაც დაეძებს ჩვენი თანამედროვე — ი. აბაშიძე.

გრაფილის ფორმა, ისევე, როგორც მხატვრის მიერ ზოგადი სხვა ილუსტრაციისათვის მოძებნილი ფორმები, რომლებიც ხან ჰქვია ფილასთან იწვევენ ასოციაციას. ხან — გადაშლილ წიგნთან ან ჭვართან, კიდევ უფრო მეტ დეკორატიულობას და მხატვრულ აზრს ანიჭებს ნახატს.

ლექის — „ფესვი“ — ილუსტრაციაში შვიდი სილუეტი, პირობითად გადაწყვეტილი, მქედროდ შერეული სამი ფიგურისა, ძლიერ მტკველია. ისინი ყველგან, ყოველ მხარეს რუსთაველის ნაკვალევს დაეძებენ.

სად ჩამოჭდა, სად გარინდა, სად შეჩერდა, სად აღმოხდა მშობელ ქვეყნის პანვი?

მათ შესტებში თითქოს გამოხატულებას პოულობს თვით ლექის მუსიკალური რიტმი.

მოპირდაპირედ რუსთაველის სილუეტია, რომელიც რეალურ ზმანებდა გვევლინება.

თითქოს ეხედავ, თითქოს მართლაც ნათლად ვხედავ, ჩუმს და ფერმკრთალს, ჯანმრთელსა და სულმრთელს.

მზისა და მთვარის პირობით-დეკორატიული გამოხატულებანი ხშირად გვხვდება ცუცქირიძის შემოქმედებაში. ისინი ლირიკულ-ეპიკურ განწყობილებას ქმნიან და აწონასწორებენ კომპოზიციას.

ლექს — „რუსთაველის ნაკვალევზე“ აზრობრივად რთულად ასახსნელი, მაგრამ ესთეტიკურ-ემოციური ზემოქმედების მხრივ განსაკუთრებით შთაბეჭედავი ილუსტრაცია ერთობს. მხრებაზიდული, თითქოს საკუთარ თავში განმარტოებული, ლირიკული, სევდიან ალსავსე ჭაბუკის ფიგურა რუსთაველის წინაშე მორთოლვარე მუხად წარმოგვიდგება.

მარჯვნივ კი პოეტია გამოხატული, დინამიურად გაშლილი მოსახსნობით, უკან გადაშლილი თით... მასში გაცილებით მეტი სიმტიკე, ძალა იგრძნობა. იგი წინ, მიმავალი გზებისკენ, მზისკენ მიილტვის.

ურთიერთშებრუნებული ორი ფიგურის მო-

ნაცვლობა ლექისის მოსვენარ რიტმულ წყობას შეესაბამება —

რა იშოვა,
რა წაავო, რა მოიგო,
რა დაკარგა,
ქვეყნად არვინ იცის.

ლექების მეორე ციკლის დასაწყისში მოცემული ნახატი თითო ფონზე მხოლოდ შავ გრაფიკულ ხაზებშია გადაწყვეტილი. მოკლესამოსიანი მამაკაცის ძლიერი ფიგურა, მოხდენილი მოძრაობით, მალა აწეული მარჯვენა ხელით, ერთი თემის დასრულებას მოასწავებს, ძირს დახრილი მეორე ხელით — ახლის დაწყებას.

ხაზობრივი ნახატი მოქნილია, მსუბუქი, თითქოს ამოსუნთქვია წიგნის სივრცეში, წერტილს უსვამს ერთ ციკლს და იწყებს მეორეს.

რუსთაველის „მონოლოგი“ იწყება „ხმით ჭერის მონასტრის გალავანთან“. რომელშიც იგი სამშობლოს მიმართავს.

შენგან განდგომა,
ო, ჭვარციველო,
მე რად დამბრალდა...

ილუსტრაციის მოჩარჩოება ეკლესიის სილუეტს მიუყვება. მის ჭრელში, თითო ფონზე, მოცვეულ ქალთა გამოხატულება, ხელში რომ თეთრი სანთლები უჭირავთ. სამი ფიგურა ერთ კომპაქტურ მონუმენტურ მასალ არის გაერთიანებული. ლექსი სამშობლოსადმი ღოცვად ჩაგვეხმის და მონუმენტური კომპოზიცია გვიძლიერებს ამ შერამენტებს.

ილუსტრაციის ლექსისათვის „ხმა სამრეკლოსთან“, წარმოგვიდგენს მგოსანს, ზარების ქვეშ, გადაშლილი წიგნით ხელში. თვით ლექსი, მართლაც, ზარების რეკვასავით გაისმის. ეს არის პოეტის ვედრება სამშობლოსაგან ყველა ჭირის ასაცილებლად.

აქმარე ჭირი, მტრის მონობა, ხეპრისი, არაბი, ამორე ცრემლი, ურჯულობა, წარღვნა, ქარაფი;

შენ გვედრებო, შენს დიდ გზაზე ლოცვიო მარგბო:

არ დაუკეტო საქართველოს პონტოს კარებო.

კომპოზიცია კომპაქტურია, მქედროდ შერეული და თანაც დინამიკით ალსავსე, თითქოს აქაც გუჟუნებენ ვედრების ზარები.

„ხმა კატაონთან“ ლექსთაწყობის მხრივ ერთობ ყველაზე შთაბეჭედავი და აზრობრივად მნიშვნელოვანი ლექსია. მის ილუსტრაციაში მხატვარი პირობით ფონზე გამოხატავს გრძელ სამოსში გამოწყობილ ხელაპურობილ დედებს.

შინაგანად დინამიკურია დედათა მყარი, მტიკე-ცე პოუები, უფრო სწორად, ერთიანი პოუა, საერთო მოძრაობა, უკანა პლანზე გამოხატული



სარკლის ტრილისაკენ რომ არის მიმართული, თითქოს ერის დაღადის გამოხატავს მხატვარი.

ლექსის — „ხმა გოლგოთასთან“ ილუსტრაციებში წარმოდგენილია შემართული ვეფხი, მისი ექსპრესიული გამოხატულება რკალურად არის მოხრილი. ფონზე თეთრი, ნახევარმთვარის მსგავსი მონახაზია, რომელიც მკაცრად უპირისპირდება მთლიან შავ ფონს. თეთრი რკალი მარცხნიდან მარჯვნივ ვიწროვდება და სრულდება ისევე, როგორც ვეფხის მოძრაობა მარჯვნიდან მარცხნივ. შავი ვეფხის და თეთრი რკალის ეს საპირისპირო მოძრაობა შინაგანი ძალით დაძვსება ნახატს და ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებს მას, როგორც მნიშვნელოვანიც არის ი. აბაშიძის მიერ ლექსის ბოლოს დასმული შეკობვა:

ო, ჩემო ღმერთო,
სოქეი, რაი არს ჭეშმარიტება!

...ყოველივე დასრულდა. აღესრულა შოთა რუსთაველი.

ველად ზვიადი,
ველად უცვლელი,
ათი დღე-ღამე
უქმელ-უსმელი
სენაკის თვისის ჭერს შესტკეპროდა:
სწამლა, სჭეროდა...

გამცნობს წარმოსახვითი „უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე“.

ნახატზე გამოსახული არიან ისინი, ვინც ი. აბაშიძის წარმოდგენით, სარკელის თავთან ედგა პოეტს და ამ მინაწერს აკეთებდა გრავირილზე, მათ თავზე, ზემოთ, მზეზეა და ნახევარმთვარეს შორის, კიდევ ერთხელ ვხვდებით „ვეფხისტყაოსნის“ „ცუცქირიძისეული“ სიმბოლოს — ვეფხის გამოხატულებას. ყალბზე შემდგარი, დაძაბული, მთრთოლვარე, ფართოდ გახსნილი ხახიო, თითქოს უჯანსყნაღად გაიბრძოლებს, შორეულ სამშობლოს მიაწვდის ხმას...

ეს ილუსტრაციები მხატვრულ-მუსიკალური რიტმით ამდიდრებენ წიგნს, კიდევ უფრო პოეტურს ხდიან ჩვენს დამოკიდებულებას ლიტერატურული ნაწარმოებისადმი.

თვეების, ხშირად წლების განმავლობაში უხდება ილუსტრატორს ლიტერატურულ ნაწარმოებზე ფიქრი, მისი გმირების სულიერ სამყაროში წვდომა. ლ. ცუცქირიძე ნაწარმოების პირველად წაიკითხისას იღებულ შთაბეჭდილებებს ეყრდნობა ილუსტრაციების შექმნისას და თუ უბრუნდება ლიტერატურულ წყაროს, მხოლოდ დეტალების დასაუსტებლად. წიგნზე იგი წინასწარი შავი მკაცრის გარეშე მუშაობს, მაგრამ გაფორმების სქემა მუდამ მკაცრად აქვს შემუშავებული. მხატვარი ნაწარმოებიდან ირჩევს და ასახავს იმ მომენტებს, რომლებსაც თავად სთვლის საჭიროდ, რომლებიც მის მხატ-

ვრულ აზროვნებას შეესატყვისება. მაგალითად „შუშანიის წამებისათვის“ რედაქციამ ლ. ცუცქირიძის რვა ილუსტრაციის გაკეთება სთხოვა, მან მხოლოდ ექვსი საკვანძო მომენტი ასახა და მიუხედავად რედაქციის დაინებული თხოვნისა, გაფორმების ხისტიმე არ შეცვალა. ცხადია, ეს ფაქტი საყუთარი მხატვრული მრწამსის ერთგულებას მოწმობს.

ლ. ცუცქირიძე თხოუმეტზე მეტი წიგნის გაფორმების ავტორია. მიუხედავად ამ წიგნების სტილისტიკური მსგავსებისა, მხატვარი ყოველ მათგანში ამბობს რაღაც ახალს. თუ დავუკვირდებით, ისინი პირობითად შეიძლება დავაჭაფოთო კიდევ — ერთი მხრივ, გამოიყოფიან 60-იანი წლების, მეორე მხრივ — 70-იანი წლების წიგნები.

პირველი ეტაპი „აღუდა ქეთელაური“ იწყება და „ვეფხისტყაოსნით“ სრულდება, სადაც მთელი სისხვსით გამოვლინდა ლ. ცუცქირიძის ინდივიდუალური სტილი.

შთაბეჭდვ, ფიზიკურად ძლიერ, ამავე დროს პლასტიკურ ფიგურებში, მათ აღნაგობაში იგრძნობა მხატვრის ოსტატობა. საგულისხმოა, რომ ლ. ცუცქირიძეს, როგორც ყოველ ნამდვილ მხატვარს, ანატომიის დაუფლება ხატვის უპირველეს და აუცილებელ საწყისად მიაჩნია. მხატვარი უდიდესი დამაჭრებლობით აშუშავებს ყოველ ფიგურას, შუქ-ჩრდილის ხაზი გადასვლებით მიუყვება კუნთების მოძრაობას, მაგრამ, ამასთანავე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს გრაფიკული ხაზი, რომლის პლასტიკურ მოძრაობაში ვლინდება ნახატის ინდივიდუალობა. ხაზობრივი ნახატი განსაზღვრავს სურათის დეკორატიულ ხასიათს.


შემდგომში სწორედ ხაზი რჩება წამყვან მხატვრულ საშუალებად. გაწაფულ, ფორმას ოსტატურად დაუფლებულ მხატვარს მხოლოდ ხაზის მოძრაობით შეუძლია მეტყველი გახადოს სიბრტყეობრივი, თუნდაც მთლიანად შავი გამოსახულება. კიდევ უფრო თავისუფლად, ვიდრე ადრე, მხატვარი აღიღებს ზოგაერთელემენტს. მას არავითარი პირობითობის, ექსპრესიული მოხატვის მისაღწევად ფიგურის მცირედი დეფორმაციისაც კი არ „შეშინა“.

წიგნინად წიგნამდე, სულ უფრო ღრმად არის გააზრებული მხატვრის მიერ მთლიანად წიგნის ორგანიზში, მისი ტექტონიკა.

ლ. ცუცქირიძის ყოველი ნამუშევრისთვის, 60-იან წელს მიეკუთვნება იგი, თუ 70-იანს, დამახასიათებელია მონუმენტურობა, ფრესკულიობა.

ფერად ილუსტრაციებიც, მიუხედავად ფერწერულობისა, ფერთა თავისუფალი მონა-

ქათეზან კინწმარაშვილი
ლივან ცუცქირიძე — წიგნის
ილუსტრატორი



ნუმერ რუსკა

ნავთობის სფეროს

პილავი ერთი გიგანტის დაღუპვა

დღივი ბრიტანეთის უკიდურეს სამხრეთ სა-
ნაპიროს მახლობლად ევროპის კონტინენტზე
ბრეტანის ნახევარკუნძულს გრძელ ზოლად გას-
დევს მსოფლიოში სახელგანთქმული „ვარდის-
ფერი გრანიტის ნაპირი“, რომელიც 1967 წელს
ერთხელ უკვე იმსხვერპლა ტანკერ „ტორი კე-
ნიონის“ დაღუპვამ. გაზაფხულის დაღვრამ და
მომავალი საზაფხულო სეზონისათვის მზადებამ
ჩვეულებრივი ახალი სიცოცხლე მოუტანა აქ-
ური სასტუმროებისა და თევზსაჭერების მესვე-
ურებს. მაგრამ მსოფლიოს ელვისებური სისწ-
რაფით მოედო ახალი ამბავი: 1978 წლის 16
მარტს ამერიკის კუთვნილი სუპერტანკერი
„ამოკო კალიზი“ საბედისწეროდ შეეხო გრუნტს
ბრეტანის (საფრანგეთი) ერთ-ერთი სოფლის
პორტალის მისაღობებთან. გიგანტზე ლიბე-
რული ალამი იყო აღმართული და „შეღლის“
(ცნობილი ფირმა ნავთობისა) კუთვნილი
280.000 ტონა ნავთობით დატვირთული სპარ-
სეთის უურდინ ლამაზის სრუტისაკენ მიემარ-
თებოდა. ლამის უბეში ნავთობს პატარ-პატარა
ტანკერებში უპირებდნენ გადაცლას და გაგზავ-
ნას ქალაქ როტერდამში. წარმოიდგინეთ, ამ
ნავთობის არც ერთ წვეთს არ მიუღწევია მო-
ლანდიამდე — იგი მთლიანად დაიღვრა. მღელ-
ვარე ზღვაში ტანკერის მართვის სისტემამ უღა-
ლატა. შეეჯახა თუ არა ფსკერით კლდის წვერს,
იგი შუაში გაიპო. 45 კაციანი ეკიპაჟი (მათ შო-
რის ქალებიც უოფილან) შევეულმფრენებმა
მთლიანად გადაარჩინა, მაგრამ ნავთობს, რა თქმა
უნდა, ვერაფერი ეშველა. საოცარი სისწრაფით

იფთჟა წყალში შევმა მასამ და რამდენიმე
საათში დანაგვიანდა მშვენიერი სანაპირო. სამ-
ხრეთ-დასავლეთის ძლიერმა ქარმა დაღვრილი
ნავთობი 2000 კვადრატული კილომეტრის სიგა-
ნეზე გაფანტა. კუბრად იქცა ბრეტანის ზღაპ-
რული სანაპირო 100 მილის სიგრძეზე. დანა-
გვიანება დაემუქრა ლამაზის კუნძულებისა და
დიდი ბრიტანეთის სანაპიროსაც. პორტალის
ათასამდე კომლი ეკოლოგიური კატასტროფის
ცენტრში აღმოჩნდა — ეს სოფელი ეკონომიუ-
რად მთლიანად დაშოკდებულია თევზჭერაზე.
ვიღაცას უთქვამს, უცაბედად მსოფლიოს უნა-
გვიანეს სოფლად ვიქცითო. ფაქტიურად, ეს
შემთხვევა აქაური მეთევზეებისათვის მომავალი
8-10 წლის მანძილზე უმუშევრად დარჩენას ნი-
შნავს. ორი კვირის განმავლობაში ებრძოდნენ
ფრანგი, ინგლისელი და დასავლეთგერმანელი
სპეციალისტები სტიქიისა და კატასტროფის
სასტიკ შედეგებს, მაგრამ ამაოდ. ამინდი ხელს
უშლიდა ნავთსაქიების დაუქნებას გემზე, რათა
სასწრაფოდ გაეთავისუფლებინათ ტანკერი დარ-
ჩენილი ნავთობისაგან და ამით ნაწილობრივ
მანც შეეჩერებინათ ზღვის ეს უმაგალითო და-
ნაგვიანება. ზარალმა ყველა წინანდელ შემთხ-
ვევას გადააბარა: დაკარგული ნავთობი, დაღუ-
პული გიგანტი, დანაგვიანებული ფართო ზონა,
დასასვენებელი სანაპიროები, თევზსაჭერები
და თევზსარეწები, სანაპირო ფაუნა და, თუ გა-
ვავარძლებთ, კიდევ სხვა უამრავი წვრილმანი,
რომელიც აქ აღარაა მოსატანი. თუმცა, ყველაზე
ნაკლებად ალბათ ნავთობისა და თვით სუპერ-
ტანკერის მფლობელები შეაწუხა ამ ამბავმა —
„ამოკო კალიზი“ 6 მილიონ ფუნტ სტერლინგად
იყო დაზღვეული, ხოლო თვით ნავთობი — 15

წერილი, რომელიც მივიღეთ ლონდონიდან,
დაწერილია სპეციალურად „ცისკრისათვის“.

მილიონად. „ამოკო კალიზის“ დაღუპვის ტრაგედია სწორედ იმაშია, წერს „დღილი მეილი“, რომ ის მოსალოდნელი იყო უფრო მეტიც, წინასწარმეტყველებს გაზეთი, ასეთი შემთხვევა არა ერთხელ განმეორდება მომავალშიც. რატომ? რაშია საქმე? რა არის მთავარი ამ მიწიდან?

ჩვენს საუკუნეს სპეციალისტები „ნავთობის ხანას“ უწოდებენ. აღმნიანს მიერ ხელვსურად მოპოვებული ნავთობის შეჭრა გარემოში დღით-დღე უფრო სერიოზულ ხასიათს იღებს და, შესაბამისად, კაცობრიობა დგება კიდევ ერთი ახალი პრობლემის წინაშე, რომელსაც გარემოს ნავთობით დანაგვიანება ეწოდება.

ძნელი წარმოსადგენია დღეს მსოფლიო ეკონომიკის განვითარება ნავთობის საბალოდის გამოყენებლად, რომლის ძირითადი მარტია უმთავრესად თავმოყრილია ე. წ. „მესამე მსოფლიოს“ ანუ განვითარებადი ქვეყნების ტერიტორიაზე, ხოლო დამუშავება და გამოყენება კი უპირატესად მიმდინარეობს განვითარებულ ქვეყნებში. სწორედ ამით აიხსნება სატანკრო საზღვაო მიმოსვლის ესოდენი განვითარება, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ნავთობის რეგულარული მიწოდება მისი მოხმარების ცენტრებში. 1973 წელს მსოფლიო ნავთობის წარმოებამ 2.800.000.000 ტონას მიაღწია, ხოლო მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ეს რაოდენობა 7,5 პროცენტით იზრდება. ნავთობის გადაზიდვის, მისი დამუშავებისა და მოხმარების ნებისმიერ ეტაპზე წარმოებს ნავთობის განსაზღვრული რაოდენობის უწყვეტი და გარდუვალი დაღვრა. მაგალითად: ნავთობის ეკატორიკალმა შეიძლება ამოაფრქვიოს ზღვაზე ან ხმელეთზე უფრო მეტი მასა, ვიდრე მოსალოდნელია; ნავთობში ტანკერს შეიძლება ავარი შეემთხვეთ და დაღვაროს ნავთობი, ან დაჰკარგოს ნავთობის განსაზღვრული რაოდენობა ექსპლუატაციის დროს; ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები მდინარისა და ზღვის წყლებში გაუშვებენ ნავთობის განსაზღვრულ ნაწილს; ბოლოდროინდელი ნავთობი შეიძლება გაიპაროს ცისტერნებიდან ან თვით მიღგაყვანილობიდან. სწორედ ახლახანს ასობით ტონა ნავთობის საწვავი გაიპარა გახეთქილი მაგისტრალური მილსადენიდან, რომელიც ფლოის (დღი ბრიტანეთი) ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას აკავშირებს ლონდონის პითროუს აეროპორტთან. გაპარული საწვავი მდინარე ჰემბლს შეუერთდა. არაერთი კვირის დაძაბული მუშაობა დასჭირდა დღი ბრიტანეთის ნავთობის ერთ-ერთ უდიდეს კომპანიას დანაგვიანების შედეგად მოტანილი ზიანის სალიკვიდაციოდ. ნავთობით დანაგვიანება მაერლიანაც ხდება. საწვავად გამოყენების შედეგად გაზაფქვული ნავთობის პროდუქტი, ხშირად დაუწვავ მიდროკარბონს შეიცავს დღი რაოდენობით. მაერლიან წვიმის წყალს იგი ზღვაში ჩააქვს.

გარემოს ნავთობით დანაგვიანება შედარებით ახალი, მაგრამ კემპარტი გლობალური პრობლემაა. დღი ბრიტანეთში იგი პირველად 1911 წელს წამოიჭრა, როცა მის სამხრეთ-დასავლეთით, სილის კუნძულების მახლობლად ჰქონდა ადგილი ასეთ ინციდენტს. 1967 წელს კი „ტორი კონიონის“ ცნობილი კატასტროფამ დააგვირგვინა ამ რაიონში პატარა-პატარა ინციდენტების მთელი სერია. ნავთობით დანაგვიანების მსხვერპლი არა მარტო ევროპა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროა. 1977 წელს მოხლოდა აშშ-ს ნაპირებთან ავარიების შედეგად დაიღვრა მილიონობით ტონა ნავთობი. ამერიკის ნაპირები არ სუფთავდება ისევე ენერგოულად, როგორც დღი ბრიტანეთისა, რის გამოც ნიუ-იორკის ზონაში ყოველწლიურად წყალში გაღვდება დაახლოებით 9,5 მილიონი ტონა ე. წ. მყარი ნავთობი. ნავთობით დანაგვიანება დედამიწის ზედა ნებისმიერ წერტილს ემუქრება. როცა სამხრეთ ამერიკის სანაპიროსთან დაიღვრა ტანკერი „ავარა“, ქარმა და ზღვის დინებამ დაღვრილი 40 ათასი ტონა ნავთობი ანტარქტიდისაკენ გააქანა, ხოლო ტანკერ „არგო მერჩანტი“ ავარიის შედეგად დაღვრილი ნავთობი 200 მილის მანძილზე გაწვა ოკეანეთს და გოლფსტრიმის დინებამ იგი დღი ბრიტანეთის ნაპირებისაკენ წამოიღო. როგორც გაზეთი „ლოიდ ლისტი“ აღნიშნავს, სავაჭრო საზღვაო მიმოსვლაში დაკავებული გემები მსოფლიო ზღვებსა და ოკეანეებში წელიწადში 1,6 მილიონ ტონა ნავთობს ღვრიან ტვირთის გადაზიდვის პროცესში და ამჟამად დაახლოებით 9 მილიონი ტონა ნავთობი უნდა ტვირთავდეს ოკეანეთა ზედაპირზე. თანამედროვე ტექნიკის ოპტიმალური გამოყენება მხოლოდ 0,3 მილიონი ტონით თუ შემცირდება ყოველწლიურად დაღვრილი ნავთობის რაოდენობას, მსოფლიო ოკეანის ზედაპირს ერთ მშვენიერ დღეს ნავთობის თუნდაც უაღრესად თხელი აუკი რომ გადაეკრას, ეს მოვლენა კატასტროფიულ ცვლილებებს შეიტანს გარემოში და ეტომოფეროში. ადგილი წარმოსადგენია, თუ რა დაემუქრებოდა წყლის ფაუნა და ფლორა (და არა მარტო წყლისას); გარდუვალად შეიცვლებოდა ოკეანიდან წყლის აორთქლების პროცესიც. რაც ატმოსფეროში შესაბამის ცვლილებებს გამოიწვევდა. ეს ცვლილებები კი შეიძლება კატასტროფიული აღმოჩნდეს სიცოცხლისათვის დედამიწაზე. ეს რომ მართლაც შეიძლება მოხდეს, სუპერტანკერ „მეტულას“ დაღუპვის ამბავის გახსენებაც საკმარისია. იგი მადელანის სტრუტური დაიშხვრა, როცა 210.000 ტონა ნავთობი გადაჰქონდა ერთი ქვეყნიდან მეორეში. კატასტროფის შედეგად ცეცხლოვანი მიწის სანაპირო გამდნარ ასფალტს დაემსგავსა და სწორედ ამან გამოიწვია 50 ათასი პირადის გაუღება. ასე რომ გაგრძელდეს, გულისხმობენ მეცნიერები, 80 წლის შემდეგ სიცოცხლე შეწყდება მსოფლიო ოკეანეში, გა-

მოანგარიშებულია, რომ ოკეანე აპკის სახით ზედაპირზე იკრავს 6,1 მილიონი ტონა რაოდენობის ნავთობს ყოველწლიურად. აქედან ერთ მესამედს ოკეანეს „უძღვნიან“ ტანკერები.

გავისხენით კიდევ რამდენიმე ფაქტი. 1964-76 წლებში სხვადასხვა მიწვევით დაიღუპა 198 ტანკერი. 1975 წლის იანვარში პორტუგალიის ერთ-ერთი საზღვაო პორტი აფეთქების საოცარმა გრგვინვამ შესძრა, ხოლო ქალაქის თავზე შავი ფერის კვამლის ვეებერთელა სვეთო აღიქმარა. აფეთქების ხმა დანის ერთ-ერთ ტანკერზე „იაკობ მერჩანტი“ გაჩენილ ხანძარს მოჰყვა, რომელიც 88 ათასი ტონა ნავთობით იყო დატვირთული. ამვე წელს პენსილვანიასთან მდინარე დელავერზე დაიწვა ბერძნული ნავთობშიდი „კორინთოსი“. მალაისის სრუტეში იაპონური სუპერტანკერი, 287 ათასი ტონა ნავთობით დატვირთული, რუქაზე აღუნიშნავ წყალქვეშა კლდეს შეეხო და წყლისმტკილი ხრახნი დაჰკარგა. 1977 წელს შოტლანდიის მახლობლად გაჰქრა ნანამის კუთვნილი ტანკერი „გრანდ ზენიტი“. არგორც გულისხმობენ, გემი ოკეანემ შთანთქა მძვინვარე ქარიშხლის დროს და ახლაც მის ფსკერზე უნდა იყოს ორი კილომეტრის სიღრმეზე 27 ათასი ტონა ნავთობით დატვირთული. არავინ უწყის, როდის უწერია ამ ნავთობს წყლის ზედაპირზე ამოსვლა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ბოლოს და ბოლოს ეს უნდა მოხდეს.

დასაბამიდან დღემდე აღამიანი გარემოში ეძიება სასიცოცხლო წყაროებს, ებრძოდა სტიქიას, თავის სახარვეზოდ იმორჩილებდა ბუნებას, ბუნებრივ გარემოს ხელოვნურად გარდაქმნიდა მისთვის საჭირო სამყაროდ. მიუხედავად უდიდესი მიღწევებისა, ეს წარმატება აღამიანს ძვირად უჭებოდა ხოლმე. ამის ნათელი მაგალითია გარემოს ნავთობით დანაგვიანების უდიდესი საფრთხე, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, შეიძლება დავასკვნათ, ტანკერთა ავარიები წარმოადგენს, მაგრამ რა არის ამ ნავთობშიდილა ასეთი ხშირი კატასტროფის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა, მათა ახაკი, ლიბერული ტანკერი „არგო მერჩანტი“, რომელმაც ამ ორი წლის წინათ 28.000 ტონა ნავთობი დაღვარა ოკეანეში, აგებული იყო 1978 წელს და ხანამ დაღუპებოდა, 18 ავარია და 2 ხანძარი გადაიტანა. გემი ჩამოსაწერი იყო არსებული სტანდარტების მიხედვით. იგი კი რეისზე გაგზავნეს, თანაც ისეთი სახიფათო ტვირთით, როგორც ნავთობია (მოგების ციურენებისაგან განა ასე აღვილია გაქცევა?). 1976 წლის დეკემბერში ლოს ანჯელოსში აფეთქდა ტანკერი „სანსინენა“, რომელიც აგრეთვე ლიბერის ალმით ცურავდა. აფეთქებამ ეკიპაჟს 11 წევრი იმსხვერპლა, ხოლო 75 მეზღვაური და დოკერი მძიმედ დაიჭრა. ასაკი — 50 წელი. ა. წ. 16 მარტს საფრანგეთის სანაპიროსთან დაღუპულმა სუპერტანკერმა „ამოკო კალიზმა“ დღი

ხნის წინათ მიადწია „საპენსიო“ ასაკს. ტანკერთა დაღუპვის კიდევ ერთი საგულისხმოდ შეზია მეზღვაურთა კვალიფიკაციის დონე. მათი, მაგალითად, უახლოეს წარსულში კაპიტანის დიპლომის აღება შეიძლებოდა შესაბამისი სწავლებისა და გამოცდის ჩაუბარებლად. 1975 წელს სცილიის სანაპიროსთან თავის ეკიპაჟთან ერთად დაიღუპა ლიბერული გემი „სიგალი“. კატასტროფის დამადასტურებელი არავინ გადარჩენილა, მაგრამ გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ ყველა სექციის ტორის, რომელიც გემს მართავდნენ, დიპლომი მხოლოდ კაპიტანს ჰქონია. მეზღვაურები შემთხვევით ყოფილან აუვანილნი აფრიკის სხვადასხვა პორტებში. თვით გემმა კი უკანასკნელი შემოწმება თურმე ხუთი წლის წინათ გაიარა. 1977 წლის 14-26 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა სამთავრობათშორისო კონფერენცია, რომელმაც განიხილა გარემოს დაცვის დარგში აღამიანის განსწავლის მეტად სერიოზული საკითხი. მიღებულ დეკლარაციაში მოწაწილებმა გამოთქვეს რწმენა, რომ გარემოს დაცვის გაღაღებელი ამოცანები საჭიროებენ ახალი სტრატეგიის ძიებას, რომელიც განვითარების საერთო პროცესის ჩარჩოებში მომილიზაციას გაუკეთებს ყველა არსებულ რესურსს. კონფერენციამ სამართლიანად აღნიშნა, რომ ამ პრობლემათა და მათგან გამომდინარე ყველა მოსალოდნელ ცვლილებათა გასაზრებლად სწორედ განათლება, სწორად გამოწული სწავლება თამაშობს პირველხარისხოვან როლს.

ტანკერთა კატასტროფა ზღვაოსნობის ისტორიაში ყოველთვის ხშირი ვახლდათ, მაგრამ ბუნებაში ხელოვნურად დაქცეული ნავთობის მიერ მოტანილი ზარალი წინათ ნაკლები იყო, ვიდრე ახლა, რადგან თვით გემები იყვნენ ნაკლები წყალწყობის. სუპერტანკერები აღამიანს ხელით ოდენმე შექმნილი ყველაზე უფრო დიდი ზომის მოძრავი მანქანებია. შორს, ღია ზღვაში აღვილია მათი მართვა, ხმელეთშუამოქცეულ წყლებში კი, პირიქით, საოცრად ძნელი როგორც ცნობილია, ტანკერთა მოცულობამ მნიშვნელადი ზრდა სამოციანი წლების ბოლოს დაიწყო. მათი ტვირთგადაზიდვის უნარი 500 ათას ტონამდე ავიდა. დღი მიღწევია, რა თქმა უნდა, კატასტროფებისა და მათ გამო გარემოს სასტიკი დანაგვიანების საფრთხე რომ არა.

ზღვაოსნობაში მთავარ რისკს კოლფოის საფრთხე წარმოადგენს. გასულ დეკემბერს სამხრეთ აფრიკის სანაპიროსთან უდიდესი ავარია მოხდა — ერთმანეთს შეეჯახა ორი სუპერტანკერი, თვითუღლი 400 მეტრი სიგრძისა. ორივეს ერთად გადაჰქონდა 660.000 ტონა ტვირთი. საქმე იმაშია, რომ გიგანტებს ველარსად გაქცე

წმუზბარ რწმსძმ
ნანამიონის საფრთხე



ცევა აღამიანი — ისინი უკვე არსებობენ და არსებობენ საკმაოდ დიდი რაოდენობით. რამ გა-
მოიწვია ასეთი ბუმი მათ მშენებლობაში? ტან-
კერების მფლობელთა უდიდესმა შემოსავლმა
— 4-7 მილიონი დოლარი მოგება ერთ რეისში.
ასე დაიბადა სურვილი ტანკერთა წყალწყვის გა-
მაღლებული ზრდისა.

არსებობს ნავთობშიღიათა გახშირებული კა-
ტასტროფების კიდევ ერთი სერიოზული მიზე-
ზი. იმ ქვეყნების საზღვაო სავაჭრო ფლოტი,
რომლებიც საზღვარგარეთული (ანუ სხვისი
კუთვნილი) გემების რეგისტრაციას, ე. ი. მათ-
თვის თავიანთი აღმის „მიჭირავებს“ არ ერი-
დებიან, უფრო ხშირად განიცდიან ავარიებსა
და კატასტროფებს, რასაც ფაქტიურად მათო-
ვის ყველაზე ნაკლები ზარალი მოაქვს — გემი
და მისი ტვირთი ხომ დაზღვეულია, ჩვეულები-
სამებრ! გარემოს დანაგვიანება, როგორც ჩანს,
მათ მოგებასთან შედარებით, აინუნშიაც არაა
მათთვის ჩასაგდები. გემთმფლობელები ცდილო-
ბენ თავიანთი აღრიცხვას პანაშის, ლი-
ბერიის, მონდურასის და სინგაპურის სახელ-
მწიფოებში. მეზღვაურებს ჭირაობენ აზიის, აფ-
რიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი
ქვეყნიდან, რომელთა ჭამაგირი ერთობ დაბა-
ლია. გარდა ამისა, ევროპულ სტანდარტებთან
შედარებით შეუძლიათ აიყვანონ ნაკლები რაო-
დენობის მუშახელი გემზე, ზუსტად იგივე სა-
მუშაო ჩასატარებლად. ისინი არ მოითხოვენ
სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, არ ჩივიან
პროფესიულ კავშირებში, ერთი სიტყვით, დუ-
მან, როგორც მოწები. ამ ქვეყნების ალამს
„მოსახერხებელ“ ანუ „იაფ“ ალამს უწოდებენ.
„მოსახერხებელი“ ფლოტი თვალსა და ხელს
შუა იზრდება. 1960 წელს „სხვისი“ აღმით ცუ-

რავა 1761 გემი; ხულ რაღაც თხუთმეტობდე
წლის შემდეგ ამ რიცხვმა 5947 მიაღწია. პირ-
ველ ადგილზეა ლიბერია. მან „თავისი“ ფლო-
ტის საერთო ტონაჟით გაასწრო მსოფლიოს
უდიდეს საზღვაო ქვეყნებს. დღეს „მოსახერხე-
ბელი“ აღმით ცურავს 5500 გემი და დაკავებუ-
ლია სამუშაოზე 200 ათასი მეზღვაური. გემე-
ბის მფლობელთა 70%-ს წარმოადგენენ ბერძ-
ნები, იტალიელები, ამერიკელები, რომლებიც
დაინტერესებულნი არიან ხსენებულ ქვეყნებში
მოქმედი საოცრად გამარტივებული წესებით
გემების რეგისტრაციითა და უმაგალითოდ ია-
ფი ბეგარით. ეს არნახული ხიიაფე ხელს აძ-
ლევს არა მარტო გემების მფლობელებს, არა-
მედ თვით იმ ქვეყნებსაც, სადაც გემის რეგის-
ტრაცია ხდება. ლიბერია, მაგალითად, თავისი
აღმის „გაჭირავებაში“ წლიურად 6 მილიონ
დოლარს იღებს.

გაერთიანებული ერების ერთ-ერთ საცია-
ლიზებულ საზღვაო ორგანიზაციაში, რომელიც
იმპ(ო)-ს სახელითაა ცნობილი, დღედაღამ არ
წყდება მუშაობა იმისათვის, რომ მიღწეულ იქ-
ნას უაღრესად პრაქტიკული და გონიერი შეთან-
ხმებები. ყოველივე ამას კიდევ ერთხელ გაუს-
ვა ხაზი 1978 წლის 7 აპრილს ლონდონში ორ-
განიზაციის მუშაკთა წინაშე გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის
კურტ ვალდჰაიმის გამოსვლამ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის მიღ-
წეული შეთანხმებანი სწორედ უტყუარი გა-
რანტია იმისა, რომ აღამიანმა თავიდან აიცი-
ლოს გარემოს დანაგვიანებით ახლად შექმნილი
საფრთხე. მსოფლიოს ხალხები ერთად უნდა
გაუმჯავდონ ამ გლობალურ პრობლემას.

ლონდონი



ქართული მემკვიდრეობა

ეპროპიუმი ქართულ ლიტერატურაში

დავით ლაშქარაძე, ეპროპიუმის-
პროგნოზი ქართულ ლიტერატურაში,
გამომცემლობა „საბჭოთა საჭარბო-
ველო“, რედაქტორი ელ. მალაძე,
1977 წელი.

„წიბნი წარმოადგენს XVII საუკუნიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე — თეიმურაზ I-დან ნიკოლოზ ბარათაშვილამდე — ქართულ ლიტერატურაში მომხდარ ძვრათა და გარდატეხათა სისტემატიური გამოკვლევების პირველ ცდას, სადაც ავტორი დასავლეთ ევროპისა და რუსული ლიტერატურის ორბიტში ქართველი მწერლების შემოქმედების განხილვის საფუძველზე გვიჩვენებს ქართულ სიტყვაკაშმულ ლიტერატურასა და აზროვნებაში ევროპეიზმის დამკვიდრების რთულ პროცესს“. ნაშრომის ეს მოკლე ანოტაცია თავიდანვე განგვაწყობს იმ დიდი ინტერესით, რომელიც თავისთავად ახლავს წიგნში დასმულ პრობლემას. ევროპეიზმის პრობლემა კარგა ხანია ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღების ცენტრში დგას, მაგრამ ასე საკულდაკულოდ, ასე მასშტაბურად აღნიშნული პრობლემა არავის გაუშუქებია. არადა, ქართული ლიტერატურის ევროპეიზმი სრულიად ახალ პლანში, ახალ სივრცეზე და სიბრტყეში წარმოგვიადგენს მშობლიურ ლიტერატურას, ანიჭებს ახალ სიღრმეს და მასშტაბურობას.

დავით ლაშქარაძეს ტევადი შრომა ჩაუტარებია. სწორ მცენიერულ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით ღრმად შეუსწავლია „აღორძინების ხანის“, „გარდამავალი ხანისა“ თუ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ მწერალთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მოთმინებით დაუძებნია ის კონკრეტული წიგნები, რომელთა ანალიზი არსებითად ცხადყოფდა ქართულ სიტყვაკაშმულ მწერლობაში ევროპული კულტურის სიკარბეს. ნაშრომში დასმული პრობლემის გაშუქებისათვის ავტორს ფრიალ მდინარე მასალა შეუგროვებია ალბონების ხანის თვალსაჩინო მწერლების ალბონური მემკვიდრეობიდან. ავტორი სრულიად

მართებულად ქრონოლოგიურ პრინციპს დამყარებია, რაც, ერთი მხრივ, იმ მწერალთა დავლის წარმოჩენას ისახავს მიზნად, ვისაც პრიორიტეტი ეკუთვნის ევროპეიზაციის შემოტანისა ქართულ მწერლობაში, მეორე მხრივ, ნათელ სურათს გვაძლევს ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზაციის განვითარების კანონზომიერ ეტაპებზე. ამ მიზნითაა პირველ პლანზე წამოწეული მე-17 საუკუნის ქართველი პოეტისა და ქართლის უიღბლო მეფის თეიმურაზ პირველის პოეტური მემკვიდრეობის მუცნიერული ანალიზი. ქართულ სიტყვაკაშმულ მწერლობაში ევროპეიზმის დამკვიდრებისა და ქართველი გეოგრაფიის ლიტერატურული გემოვნების „გვეგროვების“ თვალსაზრისით უთუოდ თეიმურაზ პირველის სიბრტყეზე განიხილება არჩილის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანის, თეიმურაზ მეორის, შამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, ანტონ პირველის, ბესარიონ გაბაშვილის მღაღარი შემოქმედება. ნაშრომის ავტორი გულდასმითა და მცენიერული კეთილსინდისიერებით განიხილავს აღნიშნულ პრობლემას, რითაც ნათელ წარმოადგენს გვიქმნის ქართული მწერლობის შინაარსეულ მხარეზე.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია „გარდამავალი ხანის“ მწერლების ლიტერატურული პრობლემა, რომელშიც კიდევ უფრო მკვეთრად გამოჩნდა ევროპული კულტურისადმი მძაფრი მიდრეკილება.

ნაშრომის მესამე თავი ქართველ რომანტიკოსებს ეძღვნება. ჩვენს აზრით, ნაშრომი მოიგება, ამ თავში მარტო იმ სამეულობო (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი) რომ არ შემოიფარგლებულიყო და გარკვეული ადგილი დაეთმო ამ პერიოდის სხვა რომანტიკოსებისთვისაც (ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებდა ვახტანგ ორბელიანის პოეტური ნიმუშები).

ასეთი სერიოზული ნაშრომის გამოცემისას მტი ყურადღების გამოჩენა მართებულად კარგა ქტობებს. მაგ. წიგნის 29-ე გვერდზე, სქოლიოში სახსებოთ სწორად სწერია „გ. ჭავჭავაძე“, მაგრამ 30-ე გვერდზე „მ. ჭავჭავაძე“ უხერხულია



არის და დაუშვებელიც. იმავე მი-ე გვერდზე ერთგან „კულტურანიზმი“ სწერია, მეორეგან (ოთხი სტრიქონის შემდეგ) „კულტურანიზმი“. ეს სიტყვა არც ისე მარტივი სიტყვა ვახლავთ და მისი სხვადასხვა ფორმით მიწოდება მკითხველს დააბნევს.

ავტორი, სამწუხაროდ, იშვიათად ხმარობს „სიბრძნე სიცრუისას“ სწორ ბრუნვებს: სულ-

ხანის ნაწარმოებს „სიბრძნე სიცრუისა“ და არა „სიბრძნე-სიცრუე“. ამის გამო ბელთა ვიხმაროთ „სიბრძნე სიცრუის“... „სიბრძნე სიცრუეში“ და სხვ.

რასაკვირველია, წიგნის მეცნიერული ღირებუბა ფრიალ თვალსაჩინოა, რასაც ქართული მკითხველი სიამოვნებით მიესალმება.

რამო კაცაძე.

ანთიგაული კელაპტრები

ნინო ჩიხლაძე, ღვაწლმოსილი მანდილოსნები, გამომცემლობა „საბჭოთა საბარათველი“, რედაქტორი შ. მირცხულავა, 1976 წელი.

„ღვაწლმოსილი მანდილოსნები“ ნინო ჩიხლაძის იმ თავაულებელი შრომის მორიგი ხასიათივან გაგრძელებაა, რასაც იგი ამდენი ხანია ეწევა. მსგავსი წიგნები არამარტო ჩვენი წარსულის სახელოვან აღაშინებზე მოგვიხსობენ, არამედ ისტორიულ-დოკუმენტური სიმართლით გვაცნობენ იმ ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. წიგნში მოთხრობილია მე-19 საუკუნის, ნაწილობრივ მე-20 საუკუნის დასაწყისის მოღვაწე ქალებზე, ქალებზე, რომლებიც პროგრესულად მოაზროვნე მამაკაცების გვერდით თავგამოდებით იღვწოდნენ ქართული ხალხის კულტურული-ლიტერატურული დაწინაურებისათვის ისინი ჰქმნიდნენ, წერდნენ, თარგმნიდნენ, დიდ ქველმოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ, გარკვეული წვლილი შექმნიდნენ მამულის კეთილდღეობის საქმეში.

„ღვაწლმოსილი მანდილოსნების“ ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ვახლავთ ისიც, რომ იგი აღნიშნული პერიოდის ლიტერატურულ ცხოვრებას რამდენადმე სრულად და ახლებურად წარმოგვიჩენს. ჩვენ დღემდე არ გვქონია ასეთი ხასიათის ნაშრომი. მართალია, ცალკეულ მონოგრაფიებში გაშუქებულია ამა თუ იმ გამოჩენილი ქართველი მანდილოსნის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ ამდენი უცნობი და მეტნაკლებად ნაცნობი სახელი ჩვენი სახელოვანი საზოგადო მოღვაწე და რევოლუციონერი ქალებისა ასე ერთბაშად პირველად ნინო ჩიხლაძემ გავიცოცხლა.

ავტორმა გამოიყენა ყველაფერი ის, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა: ჩვენს მუზეუმებსა და არქივებში დაცული დღემდე უცნობი ლიტერატურული დოკუმენტები, მდიდარი ეპიტოლარული მემკვიდრეობა, კერძო მიწერ-მოწერა, იმდროინდელ მოღვაწეთა წერილები, უფრანდ-გაზეთებში გაბნეული მრავალფეროვ-

ანი მასალები, ყოველდღიური ცხოვრებისეული ქრონიკები, მათი თანამედროვე მწერლებისათუ მეგობრების, ახლობლებისა და ნათესავების ოჯახებში შემონახული ხაინტერესო დოკუმენტები, თავად მის მიერ ჩაწერილი მოკონებები და თვალნათლივ დაგვანახა ქართული მოღვაწე ქალების საქმიანობა და როლი იმდროინდელი ცხოვრებით წამოკრილი რთული პრობლემების გადაწყვეტაში.

წიგნში ცალკეული თავების მიხედვით რამდენადმე სრულად არის წარმოდგენილი მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე ქალების ცხოვრება და შემოქმედება, რითაც მთელი ნაშრომი პატარა-პატარა დამოუკიდებელი მონოგრაფიების ერთ ხაინტერესო კრებულად წარმოგვიდგება.

წიგნისადმი ინტერესი მით უფრო დიდია, რადგან იგი მოგვიხსობს იმ ქალებზე, რომელნიც დღეს არსებითად მივიწყებული არიან. მათი წარმომჩენი და, შეიძლება ითქვას, პირველი ბიბლიოგრაფი თვითონ ავტორია. ამიტომ არ შეიძლება არ მივსაზღვროთ ნ. ჩიხლაძის შესანიშნავ ინიციატივას, არ მოვიწონოთ მისი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ჩვენი დიდებული წარსულის შესწავლისადმი.

მონოგრაფიაში აღწერილი ბერძენი, როგორც ვიცით, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხანაა, როცა დიდ სოციალურ ძვრებთან დაკავშირებით დაიწყო ეროვნულ-სოციალური თვითშეგნების გამოდკიცება და ფართო ნიადაგი მომზადდა გრანდიოზული წინსვლისა და აღორძინებისათვის. ავტორი მართებულად მივიჩნითებს წიგნის წინასიტყვაობაში ამ ხაინტერესო მოვლენასთან დაკავშირებულ ქართველი ქალების გონებრივ გამოფხიზლებაზე. მათ ამოქმედებასა და, დიდი ილიას წინამძღოლობით, განმათავისუფლებელ ბრძოლაში აქტიურად ჩაბმებაზე. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ არ გვეყოლია მწერალი ქალი; ვარდა ბარბარე ჭორჩაძისა, მაგრამ არც ოდესმე გვეყოლია იმდენი გონებაგადვიებული, პროგრესული ლიტერატურის მოტრფიალუ შთაგონებული მანდილოსანი, როგორც მაშინ, — შენიშნავს ავტორი.

ნ. ჩიხლაძე — დოკუმენტური მასალებით



მოგვიტბრობს, თუ როგორ ზრუნავდნენ და ეხმარებოდნენ ისინი სხვადასხვა ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებებს. მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ოცდახუთი წელიწადი იარსება ამ ქალების ხელშეწყობით. ქართველი მოღვაწე ქალები მეცენატობდნენ საყმაწვილო შურნალებს, მუშათა თეატრებს და მზად იყვნენ მზითვნიყვე კი ეთქვათ უარს, ოღონდ შურნალ-გაზეთების გამოცემა არ შეფერხებულყოფ.

წიგნის ავტორმა დიდი სიყვარულით დაგვიხატა მშობლიური ქვეყნისათვის ანთებული კელაპტრები—მე-19 და მე-20 საუკუნის ქართველი

ლი საზოგადო მოღვაწე ქალები: დომინიკა ერისთავი-განდგილი, ელისაბედ ორბელიანი-ტერინე სარაქიშვილი, ტასო მანაბელი, ნიკო ნიკოლაძის მეუღლე ოლღა გურამიშვილი, ვაჟა ფშაველას მეუღლე თამარ რაჟიყაშვილი და მრავალი სხვა.

წიგნის საღაო საკითხებზე ჩვენ არც გვიცდია ყურადღების გამახვილება, იმდენად დილია იმ შრომის ფასი, რომელიც ნინო ჩიხლაძეს გაუწევია „ღვაწლმოსილი მანდილოსნების“ შექმნით.

რამაზ ბორღაძე.

უხან დაპითაძე: ძლევა საქუნისა

გამომცემლობა „საბჭოთა აპარა“, ბათუმი, რედაქტორი ზურაბ ფირცხასლაიშვილი, 1978 წელი.

100 წელი შესრულდა მრავალჯანული, ოსმალთა სამასწლიანი ბატონობისაგან განწამები აპარის დედასაქართველოსთან შემოერთებისა. დღეს მზორი აპარა თავისი სილამაზითა და სიმშვენიერით ერთიარად ხილავს შინაურსაც და უცხო სტუმარსაც, მაგრამ ის ეროვნული სატკივარი, რაც წარსულმა შავმა წლებმა დაუღოვა, შეიძლება იქცავს, მარადიულ თემად შემორჩა აპარელ შემოქმედთ. ვინც აპარის ისტორიული წარსული იცის, აღნიშნულ თემას ბუნებრივად და ორგანულად მიიჩნევს აპარელ ხელეწათა შემოქმედებაში.

ეს ეროვნული სატკივარია გაშუქებული ახალგაზრდა ბათუმელი პოეტის ემენ დავითაძის ცალკე წიგნად დასტამბულ ისტორიულ პოემაში „ძლევა უკუნისა“. პოემაში ასახულია საქართველოს წარმტაცი კუთხის აპარის მძიმე წარსული, ის თავგანწირული ბრძოლები ოსმალთა წინააღმდეგ, რომელიც გასულ საუკუნეში წარმოებდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიღწევისათვის. მე აქ სრული შეგნებისა და ხაზგასმით აღვნიშნავ „ეროვნულ სატკივარს“, ვინაიდან აპარის წარსული დიხაც მძიმე დაღად აჩნდა ერთიან საქართველოს. „ძლევა უკუნისა“ მხატვრული ფერებით გამოხატავს იმ ეროვნული წყლულის მოშუშებას, რასაც აპარა-ახალციხის გამგებელმა, უებრო პატრიოტმა და მამულიშვილმა სელი ბეგ ხიმშიაშვილმა ჩაუყარა საფუძველი ხიხანის აჯანყებით 1815 წელს. „ხიხანის ამბოხი, — წერს წიგნის წინათქმამი ე. დავითაძე, — სწორედ იმ ბრძოლათაგანია, მეცხრამეტე საუკუნის კვირამაღში საქართველოს ერთხელ კიდევ

რომ მოაგონა ოსმალთა სამასწლიანი უღლით ნაწამები აპარა. ამ ბრძოლის მოთვე იყო თავდადებული მამულიშვილი და სარდალი სელი ხიმშიაშვილი. სწორედ, 1815 წლის ხიხანის ტრაგედიაშე შავმა ქართველთა და რუსთა ერთიანი ჯარის 1878 წლის ომი, რომელმაც ქედმოუხრელი აპარა დედასაქართველოს საბოლოოდ დაუბრუნა. ის, რაც დაიწყო ერთმა, დაასრულა მეორემ, ამიტომ ეს ორი ბრძოლა, არც ისე ხანგრძლივი დროით დაშორებული, ერთი დიდი ლაშქრობის ორი ეპიზოდია“.

პოემა წმინდა ეპიკური უაჩრისა. ავტორი ისტორიული სიუსტით აცოცხლებს გარდასულ ამბებს, იმ დაძაბულ ვითარებას, რაც ოსმალთა და აპარელთა შორის სუფევდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოსმალთა ბატონობამ უკიდურეს სისასტყეს მიაღწია.

შესაძლოა პოემაში არ იყოს მკვეთრა სიუსტე-ტური ხაზი გამოყოფილი, შესაძლოა ნაკლებ ჩანდეს თვით ხიხანის აჯანყების მეთაურის სელი ხიმშიაშვილის მხატვრული სახე, მაგრამ ავტორის მიზანი იყო იმ სიტუაციისა და ატმოსფეროს დახატვა, იმ ისტორიული ფონის დახატვა, ასე გამწვავებულ ურთიერთობას რომ ქმნიდა ოსმალთა ბატონობა. ამიტომ არის, რომ ნაწარმოებში გათარბული ქართველის ყული-ეფენდისა და ყაჩაღი ლევაჩის სახეები უფრო ჩანს.

ე. დავითაძის პოემის ღირსება, ჩემი აზრით, სავანებოდ უნდა მოიძიოს მის ლექსიკურ სიუსტეში. ავტორი აგრეთვე არ მისდევს პოემისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ რიტმს. „ძლევა უკუნისა“ დაწერილია სრულიად სხვადასხვაგვარი ინტონაციური რიტმით, რაც ნაწარმოებს ერთგვარად თავისებურ სტილს ანიჭებს.

მართალია, აქა-იქ აშკარად ჩანს ენობრივი თუ სტილისტური ლაფსუსები („თან უძილობით მოსისხლულს წანტად იუღლემდა თვალბს“,

„ენაუთქვამი“), ჩემი აზრით, გაუმართავია სტროფი: „სხვა აღარც რაი დასცალდა, კურცლები ზყარა ცხარ-ცხარი, ყველა იმას ეხვეოდა ვითარცა სკასა ფუტკარი“, განსაკუთრებით სტროფის რიტმულ ერთეულში დისონანსივით ეღერს მარცვალთა არათანაბარობა-

ერება და იგი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის გაპარული.

ეს ლაფსუსები ნაწარმოების ტექნიკურ სრულყოფას უშლის ხელს. სასურველი იქნება ავტორმა გააგრძელოს პოემის დახვეწა.

რამაზ ჩხატარაძე

მრავლისაღმომავლი დასაწყისი

რომანტ მუშეილი, სამი ქალი, გერმანულიდან თარგმან თინაიზ პატარაიამ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორები: გამსუბა ციცილაძე და თინა მგალები, 1978 წელი.

ჩემს მშობლიურ ენაზე ამ პატარა წიგნის გამოსვლა მრავალმხრივ არის საგულისხმო. როგორც წერილის „რომანტ მუშეილი: სამი ქალი“ ავტორი დავით დავლიანიძე გვაუწყებს, მუშეილის მოთხრობები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებიდან აქამდე მხოლოდ რუსულსა და ესტონურზე ყოფილა თარგმნილი (რამდენადაც ვიცით, რუსულად მარტოაღენ „ტონა“ და რამდენიმე ესეე უნდა იყოს გადმოღებული) და აი, ახლა ქართულადაც ვიხილეთ ავსტრიელი მწერლის სამი მოთხრობა. ეს ამბავი განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. გამოჩვევით უნდა ითქვას წიგნის მთარგმნელზე თენგიზ პატარაიამ, ვინც ითავა ეს საქმე, ყამირი ვახტება, ხნულში თესლი ჩააგდო და ნაყოფი ახარა. აგერ უკვე ხუთიოდე წელიწადია ჩვენ, მისი კოლეგები, მოწმენი ვართ იმისა, თუ რა შესაშური პატიოსნებითა და ავტორის პატივისცემით აქართულდება მთარგმნელი გერმანულ დედანს. ბევრი ღამე გაუტეხია და ბევრი ოფლიც უღვრია. ვინმეს შეიძლება კი ბევრაც გაუკვირდეს, ხუთთაბახიანი წიგნისათვის ხუთი წელიწადი ნამეტანი ხომ არ არისო. ამაზე ერთი რამ შეიძლება ითქვას: ვისაც დედანში მუშეილის ერთი მოთხრობა მანაც წაუკითხავს, არ შეიძლება არ იგრძნოს, თუ რა სიძნელეს აწუხდება მთარგმნელი მწერლის ქართულად ამტკუველებიას. რომანტ მუშეილი მე-20 საუკუნის დასავლეთევროპულ მწერლობაში ერთ-ერთი ურთულესი მოვლენა გახლავთ, ვისაც „...ესტეტიკური სინდისი ნებას არ აძლევდა ევლო გათელილი გზებით და რთული იდური თუ სტილისტური პრობლემები „ხელის ერთი მოსმით“ გადაეჭრა. მათემატიკური სიზუსტე მისი სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ამას ნაწარმოებთა შავი პირები და მწე-

რლის დღეურებაც მოწმობენ“ (დ. დავლიანიძე).

აქედან ჩანს, თუ რაოდენ ძნელად საველი უნდა ყოფილიყო მუშეილთან, როგორც მხატვართან მისასვლელი გზა-ბილიკები, როცა ყველა ლანქერზე ბეწვის ხედა გაღებული, წამისწამს რომ შეიძლება ჩინაგრეს და თან ჩაგიტანოს. ამ გზაწვირლებს ხანდახან ზღაპრულ, ურჩხულებით დასახლებულ საუფლოში გადაყვავართ, სადაც გამჭვრეულია კედლები წარმოსახვით და ნამდვილ სამყაროებს შორის, ფორმამეცვლილია იერსახე, დარღვეულია მითიანობა და ერთიანობა. ხატოვანებითა და ფილოსოფიური ანალიზით დაყურსული ინტელექტუალური პროზა, რომელიც შინაგანად უკიდურესად დამბულია, სიმბოლოებით დატვირთული მითოლოგიური წარმოდგენები ძნელად ამოსახსენელია და მთარგმნელს დამატებით სიძნელეს უქმნის. ამას თან ერთვის „სტილის მათემატიკური სიზუსტე“, რომელშიც წერილის ავტორი, ალბათ, სტილის უკიდურეს ლაკონიზმს, დამუხტულობას გულსხმობს; აქვე გასათვალისწინებელია აგრეთვე „მრავალმნიშვნელოვნება“ რაც წერილის ავტორის თქმით, თურმე „მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე ადვილ ღირსება“ ყოფილი (აქვე ძნელია თავი შეიკავო და არ შეიდავო დ. დავლიანიძეს. ნუთუ ეს ნამდვილად ასეა და მსოფლიოს უდიდესი მწერლები, ვინც სწორედ კლასიკური სინათლითა და სისადავით გამოირჩევიან, ამ „ღირსებას“ მოკლებული არიან? ან იქნებ სხვა რამეს გულისხმობს ავტორი? საცოდნელი კია.).

შოდა, ის გვინდა ვთქვათ, ყველაფერი ეს მეთისმეტად ართულებს თარგმანს. ჩვენ დედანს შევადარეთ ამ წიგნის დაახლოებით მესამედი და დავწმენდით, რომ დიდებული მთარგმანია, დონორი, მძლავრი ქართული, ფარადოვნებითა და სისხლ-ხორციით სავსე. ერთხელ კიდევ ვიგრძნობთ ჩვენი მშობლიური ენის ძალმოსილება. აბა, თუ ჩასდიე, ხინჯსა და წიდას სად არ იპოვი კაცი, მაგრამ განა ასე დაწვრილმანება შეგვეფერის? ასეთი წიგნებით, სამწუხაროდ, როდი გვანებვირებენ საქართველოს გამოცემელოებები.

გიორგი მახუტაძე



მთერ სახვამი, ცის სინაზღოვის, ბამოცეამლოზა „მირანი“, რიდატორი ც. კაროსანიძე, 1977 წლი.

ალბათ ბევრს უნახავს მიმტკნარებული დამეული ცის გამჭვირვალე ნისლეულიდან გამომკრთალი ვარსკვლავების სუსტი ციალი. ეს თითქოს თენთორეული, მოღლილი და გარანდებული ცთომილების მიძინების უამია. ამ დროს მთვარეც მკრთალ ბურუსშია მითვლემილი და გარს ხაოცრად შუქიერი რკალი აქვს მოვლდებული, რომელსაც სალიტერატურო ქართულში ბაკმი ჰქვია, გურიაში ბაკეს უწოდებენ, ზევსურეთში — მნავს... მანვის ნათელში გათქვეფილი ზეცის სიღურჯე იღუმალების ციაგით მოსახვს ჩამყუდროებული ბუნების გულმკერდს... ციმციმებენ სხივმიძვედარი, გადალიბრული ვარსკვლავები და ამ ციმციმის ნიღმეთიდან ცათიქვული ხმები მოხვერავს...

მას, ვინც ყურადღება მიჰქცია ეთერ სახვამის ლექსთა ახალი კრებულის წინა ყდის მარტივ, მაგრამ ვიტყვოდი, მანც ლამაზ გაფორმებას, ვფიქრობ, ზემოთქმულიან მიახლოებული ასოციაციები გაუჩნდებოდა. ლურჯ ფონზე თეთრი ასოები წერია წიგნის სათარი „ცის სიახლოვეს“... ეს წარწერა რატომღაც სწორედ ნახსენებ ცთომილთა სიფითრესა თუ სიფერმკრთალებს მახსენებს... ყდის მოხატულობა კრებულის ფურცლებზე დავანებული სამყაროს ანარკლის და ნათელი შესატყვისია. ეს ფაქტი განსაკუთრებით აღსანიშნავია მაშინ, როცა არაერთი პოეტური კრებულის გარეგნულ იერსახეს არაფერი აქვს საერთო წიგნის თემატიკასთან, მის წამყვან მოტივთან, ნაწარმოებთა შინაარსთან, ავტორისეული ჩანაფიქრის ფხვეულ მარცვალიან...

მკითხველი უცილოდ ნახავს ეთერ სახვამის ლექსთა კრებულში იმ განცდათა ხშიერ გამოძახილს, რაითაც მასაც უარსებია ოდესმე, ანდა არსებობს ამჟამად...

ცხოვრებისგან მიკერძებული არაერთგვარი ხედრის გამო ავტორი მწუხარეცა და მოხარულიც, დიმილჩამქრალიცაა და სვესრულაც, ურვეულიცაა და იმედნეულიც, ხოლო ამ დაუსრულებელ მოდულაციათა კვალობაზე თაღის ფერებით ჩასვდილ ლექსს გაჯაფხულის უჩრდილო ხმებით გათენებული სიმღერა მოსდევს, მტკინეული ფიქრის უხილავი ფერმეტით შეჭირვებულ სიტყვას ამქვეყნიური ყოფის ამო მხარეთა ხილვით ნაკვები ტონი ენაცვლება...

...ნებისმიერი პოეტის ნაქმნა და ნაჯახი ხიანათლი ნამავს ნინველობის ნებისერ დღეთა ნეტარი ფერი. მებსიერების ღია ხარკმელში წარ-

სულის თბილი სიო შემოდის და ნაღვლად ღოთი ფერავს ლექსის სტრიქონებს:

გახსოვს?
წილისგან ქობებს ვრავჯავდიოთ
გვიმირთ ეხურავდიოთ, ანდა ილერდიოთ...

ჩაიჭიროთეს ხანაატარა სიყმანვილის მოდულუნე და ხვერდევით რბილმა წლებმა... გულს სადარდელი შემოემატა, საფიქრალი გაუასმაგდა, საზრუნავი მოუბევრდა, სატიკვარი ენიაღაგა გაუქმქალდა და გადაეცალა ხილული სამყაროს მირაყული ილუზიების მსუბუქი ნისლის მქვირვალი კალთა. ლექსის ქსოვილი მასსოვარი დროის წარმავლობით ნაკარნახევი სინანულის ბეგრამ გაფონა. განცდილისა და გადატანილის კვლავ ვაცისკრებამ სათქმელს მისცა უფაქრების ინტიმური ინტონაცია:

ატაცებული ვტოვებდი მინას
და ქალკვარეთ მოგდევდი ცისფერს...

სამთელქვეყნო ბედნიერების ხატოვან სიმბოლოდ აღიქმება „ცის სიახლოვეში“ მილიონწლოებით მოგუზგუზე მზის გაუნეღებელი მხურვალება, სიზარეულე და სიყაშაშე.

უნდა დაიფიქრო, რომ დავიბრუნო ჩემზე ნახარჯი ცეცხლი უკლებლიც.

მხოლოდ ამგვარად თუ შეიძლება მისი სიბოთით ვალდადებულ ადამიანთა ვალში ამოსვლა. ერთგვარი რეგრევიით მიჰყვება მზის სხივი მთელს წიგნს. მკითხველი გრძნობს, რომ აქ ავტორი შორსაა მოჩენებთიად მართალი პოეციისგან, ჭიუტად ამოჩენებული აზრისა და პოეტური ახირების დუინეხული დაუმცბარლობისგან.

აღვილ და ადვილ საჩინოვდება ე. სახვამის ნაწარმოებთა ფილოსოფიური კონცენტრატ:

და უკუნითი უკუნისამდის
ერთიერთმანეთზე ასე მიისართვის:
ზეცა — მიწისათვის,
მიწა — პურისათვის,
პური — კაცისათვის,
კაცი — ზეცისათვის...

ძველქართულის ხმოვანებით დაყურსული მხატვრული სიტყვა, არქაზებულ გამოთქმითა საგრძნობი სიქარბე ე. სახვამის სტილურ თავიხებურებაზე მეტყველებს. იმედნად ბუნებრივია ამგვარი სიტყვა მისი ლექსის სტრუქტურაში, რომ არ შეიძლება საუბარი ლექსიკური ესთეტიკებით თვითმოზნურ გატაცებაზე.

ცაში დაკვირვებულ, თითქოსდა ბიბლიური იაკობის სიწმარულ კიბეს მიჰყვება მგზავრი და მოყვასთათვის სარგო საქმეზე ზრუნვა აწვალლებს; ღამის მნათობთა შუქმოსილ ტერწმი მიიკვლევს გჯახ და „თანამოსაყდრეთა“ ბედზე ფიქრი აქვს გულზე ამოუდებული... ეს მგზავრი, სხვა მრავალს შორის, „ცის სიახლოვის“ ავტორიც გახლავთ.

ამირან არაბული.





ცოტა რამ დედოფლების გამო

აას წინათ ჩვენი თანაგზრობელი ესაუბრა გამორჩენილ მოჭადრაკე ძალს, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩამკომუნს, ევროპის თასის მფლობელს, მსოფლიოს ოლიმპიურ ჩემპიონს გუნდურ ჩათვლაში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნანა ალიქსანდრას.

მამყვენებთ სუბარის მოკლე ჩანაწერს.

— ნანა, დღეს საქართველოში ქალთა საჭადრაკო ბუმი. ამ მოვლენის მეცნიერული ახსნა ალბათ მომავლის საქმეა. სანამ ეს არ მომხდარა, ხომ ვერ გვეტყვილით თქვენს აზრს ამის თაობაზე — რას უნდა გამოეწვიო ქალთა საჭადრაკის ამგვარი, თანაც ცალმხრივი აღმავლობა ჩვენში?

— მართალი ბრძანებაა, ამ მოვლენის ახსნა მომავლის საქმეა და იგი ერთნაირად მოითხოვს სოციოლოგის, ისტორიკოსისა და ქალთა საპედაგოგის შრომას, მაგრამ არის ისეთი, ასე უოქვით, ზედაპირული თუ თვალშისაცემი ფაქტები, რის მიხედვითაც რაღაც დასკვნის გაკეთება ახლავი შეიძლება. პირველი და, ჩემი ფიქრით, უმთავრესი მიზეზი, რამაც ქალთა საჭადრაკის აღმავლობას მისცა დასაბამი, ქალია — ნონა გაფრინდაშვილი. მისი არსებობის ფაქტმა, მისმა არნახულმა, უნიკალურმა წარმატებებმა, მისმა ტრიუმფებმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შალა აღუძრა ხალხს. ნონას ტრიუმფებმა გამოადგინა ქართველ ქალში გენეტურად არსებული უნარი „ქალთა მღერის“ ხელოვნებაში წვდომისა. ბოლო „ქალთა მღერის“ რომ ჩვენი დედებისთვის უცხო ხელი არ ყოფილა, ამას ყოველი, მშობის წინადაც კარგად აღსატურებს — „ვეფხისტყაოსნისა“ და ბიბლიის გვერდით იქ მრავალგზისა მოხსენიებული ქალთა. აი, ეს ნიჭი ქალთა მღერისა გამოადგინა ნონამ, ჩვენ ყველამ გავიარეთ „გზა უვალი, მისგან თელილი“, ასე რომ ჩვენი წარმატებებიდანც ნონას მოზრდილი წილი ერთ-

გება, თუმცა შემატებს კი რამეს მის უნიკალურ საჭადრაკო დიდებას ჩვენი ჩილდობები?!

მეუ ასე, ნონა ქალთა საჭადრაკის აღმავლობის მიზეზია. მეორე მიზეზია ჩვენი ხალხის ისტორიული დამოკიდებულება საჭადრაკისადმი. ეს ხალხი და ახლა უკვე გაღმწყვეტი მიზეზი — ესაა ის საყოველთაო ზრუნვა, რომლითაც ქალთა საჭადრაკო ჩვენში გარემოსილი, ის შესანიშნავი პირობები, რომელიც მას შეექმნა. გინდ დამიჯრეთ, გინდ არა: ქართველ მოჭადრაკე ქალებს გაცილებით კარგი პირობები აქვთ შექმნილი, ვინმე, ვოქვით, მოსკოველ მოჭადრაკე ქალებს. მოსკოველები საჭადრაკო ელიტის შუაგულში ტრიალებენ და უზადლო კონსულტაციები, რაც მათ შეიძლება მიიღონ თანამედროვეობის უდიდეს მოჭადრაკეთაგან, ერთგვარი კომპენსაციაა, ცხადია, მაგრამ რაც შეეხება, საკუთრივ საყოველთაო პირობებს, ამ მხრივ ქართველები კემპარტილ მიბაძვის ღირსნი ვართ, და აი, შედეგიც სახეზეა: როგორც თქვენ თავად აღნიშნეთ, მთელი მსოფლიო ხედავს ქალთა საჭადრაკო ბუმს საქართველოში!

— მამაკეთი, ნანა, მაგრამ მე, როცა ქალთა საჭადრაკის აღმავლობაზე ვლაპარაკობდი, სიტყვა „ცალმხრივი“ ეახსენე.

— მამაკეთა ქალთა გულსხმობლით, ხომ?

— დიას!
— ცხადია, ჩვენს წარმატებებთან მამაკეთა ნადვლი მოსატანი არაა, მაგრამ ალბათ არც ის ამბავია შემთხვევითი, რომ ბალანსი ასე დი-



ჩილოსმომგვრელადაა დარღვეული. ნიჭის ფე-
რეგით რომ ამის ახსნა სწორი არ იქნება,
სულთაღ ზღბუტი გურგენიძე გამოდგება. მისი
ფიქრები საქადრავო ნიჭი ცნობილია, მაგრამ
სულთი საქადრავო პროვინციაში ჩარჩა, მოწ-
ყვეტილი დიდ საქადრავო ბატალიებს, დიდ ტუ-
რნირებს და ორთაბრძოლებს. სადაც ის თამა-
შობდა, იქ მას მასწავლებლის მდგომარეობა
უფრო შეეფერებოდა, ვინმე მებრძოლისა. ამ
პირობებში მოჭადრავის სრულყოფილ ლაპარა-
კიც კი ზედმეტია. ნიჭიერი ბავშვი — ბიჭებს
ვგულისხმობ, რა თქმა უნდა — ბერია საქარ-
თველოში, მაგრამ ჩვენ ჭრ შედეგი ვინდა,
ეტყობა — მსოფლიო ჩემპიონი, ვიცა-ჩემპი-
ონი, სსრ კავშირის ჩემპიონი და მხოლოდ
ამის შემდეგ შევუქმნით ქართველ მამაკაცებს
იმგვარსავე პირობებს, როგორც ქალებს ვაჭქს
შექმნილი, არადა, საცა სამართალია, მამაკაცებს
მეტი ზრუნვა სჭირდებათ — ხომ არ შეიძლება,
ერთმანეთს შევადაროთ კონკურენციები, რომ-
ლებიც შესაბამისად მამაკაცთა და ქაღაა შო-
რის არსებობს! ვერ გეტყვით, იქნებ ქართველ
მამაკაცის ხასიათი, მისი ბუნება, მისი ტემპერა-
მენტი ნაკლებად ვუობს ჭადრავს — ასეთი თვა-
ლსაზრისიც. ხომ გამოთქმულია მაგრამ მთავარი
მანერ, ჩემი აზრით, ჩვენთვისაა დამოყიდებული:
წარმატებების შემდეგ კი არ უნდა შევუქმნათ
მამაკაცებს კარგი პირობები, არამედ კარგ პი-
რობებში მყოფნი უნდა დავუდლოთ წარმა-
ტებებს!

— ტრივიალური შეკითხვა, ნანა: ჭადრავი
სპორტია თუ ხელოვნება?

— ჭადრავი ბრძოლაა, ბრძოლა მოწინააღ-
მდეგესთან და საკუთარ თავთან!

— მოჭადრავის ფსიქოლოგიურ მომზადებას
გულისხმობთ ალბათ!

— დიახ, როცა ახალგაზოჩენილმა ნონამ გა-
იმარჯვა პრეტენდენტთა ტურნირში, სადაც საბ-
ჭოთა ჭადრავის მაშინდელი აღიარებული ლიდე-
რები ვოლპერტი და ზეორიკინა გამოდიოდ-
ნენ, ვოლპერტმა ერთი შეხედვით უბრალოდ
ახსნა ნონას წარმატება. ნონამ იმიტომ გაიმარ-
ჯვა, რომ მას კარვად ეძინაო. ეს საკუთარ თავ-
თან მოგებული ბრძოლაა. ამ პირველი ბრძო-
ლის მოგებულად გაჭირდება მეორე ბრძოლის
მოგება — მოწინააღმდეგის დამარცხება.

— როგორ გაქვთ ამ მხრივ საქმე პირადად
თქვენ?

— ეს ჩემი აქილევსის ქუსლია, ეტყობა, ჩემ-
ში მოიკოტეობს, თუ შეიძლება ასე ითქვას,
მანქანა. მოკლედ, უფრო ნათლად რომ ღიბ-
რათ, ჩემი მეტისმეტად შთაბეჭდილებიანი ბუ-
ნება ძნელად იწილებს დამარცხების სიმწარეს,
რასაც, ცხადია, ახალი და ახალი წარუმატებ-
ლობა მოსდევს. ახლა დიდ ყურადღებას უთ-
მობენ მოჭადრავის ფსიქოლოგიურ მომზადე-
ბას.

— როგორ არის ამ მხრივ საქმე ჩვენს რეს-
პუბლიკაში?

— კონკრეტული მაგალითიდან გამოიტანეთ
დასკვნა: მთა ჩიბურდანიძეს ჩემთან მატჩის
წინ ამ მიზნით კონსულტაციებს უწევდა ლენინ-
გრადელი ექიმი-სპეციალისტი.

— ამით ხსნით თქვენს დამარცხებას?

— ამით ვხსნი არა ჩემს დამარცხებას, არა-
მედ მის გამარჯვებას. რა თქმა უნდა, მთა უაღ-
რესად ნიჭიერი გოგონაა და მისი ამგვარი შე-
დეგები არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ
წერთნითა და კონსულტაციებით, მაგრამ
ისიც ფაქტია, რომ ექიმი-ფსიქოლოგის გავე-
თილი მას წაადგა.

— ხომ ვერ ჩამოითვლიდით ქართველ მო-
ჭადრავე ქალებს იმ თანმიმდევრობით, რომე-
ლიც მათ ძალს გამოხატავს?

— მოჭადრავების შეიგერის მრიცხველი —
ელსოს სისტემა. ადგილს, რომელიც საქადრავო
სამყაროში ამ სისტემის მიხედვით გიჭირებს,
ახლოობს და ეკითლისმსურველთა რაზმიექ-
ტური გადაწყვეტილებები ვერ შეგიცვლის. ასე-
თი ოფიციალური მონაცემების მიხედვით არც
თქვენ ვაჭიჭრებთ ჩვენი გოგონების დღე-
გება თანმიმდევრობით. პირველი ნონაა, მეორე
მთა და ასე შემდეგ!

— მაგრამ მარტო შედეგით ხომ არ ფასდე-
ბა ჭადრავი?

— სამწუხაროდ თუ სახედნიეროდ — კი! ჭა-
დრავი, როგორც მოგახსენებთ, ბრძოლაა, და შე-
ნი ერთადერთი მიზანი — მოწინააღმდეგის და-
მარცხებაა. არის ერთი მოჭადრავე, რომელსაც
შეუძლია უარი თქვას ორსულიან შამათზე, თუ-
კი ეს უინტერესოდ ეჩვენა შემოქმედებითი
თვალსაზრისით, და ექიმის უფრო რთული და
ლაშაზი ვაგრძელება, თუნდაც ამას წაგების-
კენ მიჰყავდეს პარტია. ესაა დავით ბრონსტე-
ინი: იქნებ სხვაც იყო ვინმე, ვინც ასე უყუ-
რებს ჭადრავს, მაგრამ ეს გამოწყლისებია, გა-
მონაკლისი კი კანონს მხოლოდ ადასტურებს.
ასე რომ, მთავარია შედეგი!

— აქედან ალბათ ის დასკვნა უნდა გამოვი-
ტანოთ, რომ ჭადრავის რომანტიკოსებმა სრულ-
ადი ფასკო განიცადეს!

— ნეორომანტიკოსებმა! — ასე ეძახდნენ
ტალს, რომელიც მათი ჭეშმარიტი ბელადი იყო,
კორჩინოსი, რომელიც თავის თავზე იწვევდა
ამ რომანტიკულ იერიშებს, აგრეთვე სხვებს!
მაგრამ ის დრო წავიდა, და დღეს თქვენს მიერ
ნახსენები ფასკოს ერთ-ერთი საბუთი თვითონ
ტალია: მან უარი თქვა საკუთარ თავზე და
დღეს რაციონალისტურ ჭადრავს თამაშობს.

— თუ ჭადრავისადმი ამგვარი პრაგმატიკულ-
ი მიდგომა ნორმად იქცა, მაშინ მომავალი
კომპიუტერის ყოფილა!

ცოტა რამ დედოფლების ბაში



— პირადად მე არა მჭერა გენოისი-კომპიუტერის გამოჩენის პერსპექტივების, მაგრამ ეს ხელს არ მისწავს, ვალიარო რაციონალიზატორი საწყისის პრინციპი ჭადრაკში.

— ინტუიცია?
— არის ინტუიტორი მოჭადრაკე და არის ლოგიკური მოჭადრაკე.

— მავალითა?
— მე, მავალითად, ლოგიკური ჭადრაკის წარმომადგენელი ვარ. იგივე მიაა ჩიბურდანიძე—ინტუიტორისა. ეს დაუფა პირობითა, რა თქმა უნდა, და მათ შორის ხილული საზღვრის შენიშვნა შეუძლებელია. მაგრამ მაინც შეიძლება ერთი პარტიის თქმა: უდიდესი წარმატებები ამ ორი ბუნების სინთეზია. ჩემი ფიქრით, ეს სინთეზი მიღწეულია ნონა ვაფრინდაშვილის პაროცენებში.

— როგორ გათავადებოდა მატჩი მენჩიკი — ვაფრინდაშვილი?

— ჩათვალეთ, რომ მოიგო ნონამ, თანაც — დიდი ანგარიშით! მაგრამ შესაძლებელიც რომ იყოს ეს, ამ მატჩის გამართვა არ იქნებოდა სამართლიანი. მენჩიკს შეიძლება სხვა თანამედროვე დიდოსტატმაც მოუგოს! ნონას უპირატესობა მენჩიკთან სხვა რამეშია. ორივე — მენჩიკიც და ნონაც — პირველი მერცხლები არიან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მენჩიკი — პირველმა მერცხლებმა — ვერ მოიყვანა გაზაფხული, ნონამ — პირველმა მერცხლებმა კი — ნამდვილი გაზაფხული მოიყვანა. მენჩიკმა დაიწყო ქალთა საქადრაკო ემანსიპაცია, ნონამ იგი ნამდვილად დაასრულა. „ნონას კლუბი“ დღეს მრავალ გამოჩენილ მოჭადრაკე მამაკაცს აღტანინებს — ოსტატებსაც და დიდოსტატებსაც, და ნონას გამარჯვებებს მამაკაცთა ტურნირებში უკვე აღარ ახლავს იმ სენსაციის ელფერი, რითაც სავსე იყო მენჩიკის ყოველი გამარჯვება, მოპოვებული მამაკაცებთან შერკიეებისა. მაგრამ მენჩიკის დამახურების უგულუნებელიყოფა არ შეიძლება. თუ ვინმეა ნონას წინაპარი, ისევე ვერა მენჩიკი.

— რას იტყვით ვაფრინდაშვილ-ჩიბურდანიძის მატჩზე, რომელიც საცაა დაიწყება?

— ნონას დამარცხება შეუძლებელია. მიმარჩინა, რომ ვერც ერთი მოჭადრაკე, მათ შორის ვერც მისი ახლადდელი მტრეკე, მიუხედავად დიდი ტალანტისა, ვერ გაიმორებს ნონას ვაზს. შეიძლება ვინემ, ადრე თუ გვიან, მართლაც დამარცხოს ნონა, მაგრამ ეს იქნება ერთი კონკრეტული მსოფლიო ჩემპიონის დამარცხება. რაც შეეხება უენომეც ნონა ვაფრინდაშვილს — გთხოვთ, წამით გაიაროთ მის მიერ ტრიუმფით გავლილი ეს გრძელი გზა — მისი დამარცხება წარმოუდგენლად მიმარჩინა. მითუმეტეს ვერ შეძლებს ამას ქართველი მოჭადრაკე, რადგან — ამას პარადოქსისთვის არ მოგახსენებთ — მისი დამარცხება ქართველ

მოჭადრაკესთან, ეს იქნება მისი გამარჯვება რადგან უველა, ვინც დღეს კარგად თამაშობს ჭადრაკს, ამას, ბოლოს და ბოლოს, ნონას წყალობით აუეთებს.

— რაც შეეხება კონკრეტულად მატჩს — ვაფრინდაშვილი-ჩიბურდანიძე — მართალი გითხრათ, მისი შედეგი დიდად არ მაღელვებს. ზოგბორი მსოფლიო ჩემპიონი უჩრევნია, და ასეთებში მათი გულშემატკვირობენ. ნონასა და ჩემი მატჩის დროსაც იყვნენ ასეთები! ზოგბორით დაუმარცხებელი ჩემპიონი უჩრევნია! რაც არ უნდა მოხდეს, ქართული საქადრაკო სკოლა არაფერს კარგავს. პირადად მე მშვენივრად ვიცი მატჩის შედეგი, მაგრამ არამც და არამც არ ვიტყვი წინასწარ.

— დავეისახელოთ, თუ შეიძლება, ათი საუკეთესო მოჭადრაკე ქალი, რომლებიც უძლიერესებად მოგაჩინათ სადღესიოდ.

— ვაფრინდაშვილი, ჩიბურდანიძე, კუშნირი, ვერცია, ახშარუმოვა, ვანდერშიიე (ნიკოლაუ), ივანა, ფათალიბეყოვა, ლემჩაქო, ალექსანდრია.

— რომელი მსოფლიო ჩემპიონი უფრო გეყვართ?

— ძნელი სათქმელია. ყოველ მოჭადრაკეს, საქადრაკო ევოლუციისა თუ სრულქმნის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა კუბირი ჰყავს. დრო იყო, ჩემთვის ლასკერი იყო ასეთი კუბირი. მერცხე ბევრჯერ შემეცვალა აზრი. და მაინც, ლასკერის გაკვეთილები — ეტყობა — საგაღებულო საქადრაკო კურსის განუყოფელი ნაწილია. დღეს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბევრს ზრუნავენ მოჭადრაკის ფსიქოლოგიურ მოწადებაზე და მოწინააღმდეგე ბანაყის შესახებ ამოწურავი ინფორმაციის მოპოვებაზე. ამიტომ არ უნდა ვაგვიპირდეს, თუ შენს წინ მჭადრე უცნობ კოლუმბიულ მოჭადრაკეს ცელდინება არა მარტო შენი ნათამაშევი ბოლო პარტია, არამედ ისიც, რომ შენ ძალიან გიყვარს ნიგვზით შეცმავული წითელი ფხალი. დღეს, საგანგებო ფსიქოლოგიური მოწადების წყალობით, ბევრ მოჭადრაკეს შეუძლია მატჩის დაწყებამდე დარჩენილი ნახევარი საათი გამოიყენოს... ძილისთვის, ან კიდევ თამაშის დროს სავსებით გამოეთმოს, ვთქვით, 15 წუთით, და ეს 15 წუთი „გატაროს“ რით დე უანერიოს პლაფზე, ან თბილისის დენდროლოგიურ ბღმეს და ამის წყალობით დაისვენოს იქვე, პარტნიორის თვალწინ, თანაც ისე, რომ არავითარი ზიანი არ მოუვა მის სათამაშო გეგმას. ეს, როგორც გითხარით, ლასკერის გაკვეთილებიდან არის. მაგრამ განა თავისი უზარმაზარი უპირატესობები არა აქვს, მავალითად, კაპაბლანკას საქადრაკო იდეებს?! ახლა სხვები? თუნდაც არაჩემპიონები რომელი უნდა გვიყვარდეს უფრო? ასე რომ არც მე ვიცი, რომელი უფრო მიყვარს!

— მნიშვნელოვანი წაგება უფრო გამახსოვრდება თუ მნიშვნელოვანი მოგება!



— გაჩნდა. თუ პარტია საინტერესოა შემოქმედებითი თვალსაზრისით, წაგების მიუხედავად, იგი დიდხანს გრჩება გონებაში. ასევე უღიმღამო თამაშით მოპოვებული ქულა ვერ შეინახავს შენს ხსოვნაში უფერულ მოგებას და მინც, იქნებ არც იყოს მთლად მართალი ეს ყველაფერი. ერთ შემთხვევას გავიხსენებ. ბოლო ოლიმპიადაზე, კოლუმბიაში, მეტისმეტად სუსტ მოჭადრაკს ვეთამაშებოდი — მოლანდიელ ბელის. აბსოლუტურად მოგებულ პოზიციაში, როცა რამდენიმე საშამათო ვარიანტიდან უფრო ლამაზს ვარჩევდი, უცებ თავად გამომეპარა ერთსელვანი შამათი. გვერდით, პირველ დღეზე, ნონა თამაშობდა. როგორც კი მანაც მიიღო აბსოლუტურად მოგებული პოზიცია, გამომბედა და თვალებით მკითხა, როგორ მიდის საქმეო. გაიგო თუ არა, რაც მოხდა. მანაც... იქვე დაკარგა ნახევარი ქულა! მოდი და ნუ დაგამახსოვრდება!

კიდევ კარგი, ყველაფერი საბოლოოდ კეთილად დასრულდა!

— რას გვეტყოდით მოჭადრაკის სათამაშო განწყობაზე?

— ისევ მაგალითს გავიხსენებ. გახსოვთ. ევროპის პირველი თასი ნონამ მოიგო. მეორე გათამაშებაა ამ თასის. სადამოს მღალი სიცხე მომცა. ძლიერი პრეპარატები მაყლაპეს სიცხის დასაწევად. სიცხემ მართლაც დამაწვია, მაგრამ ისე ვიყავი მეორე დღეს დასუსტებული, ფიგურიანი ხელი მიკანკალებდა. არც თამაშის ხალისი მქონდა, არც არაფრის. არადა, ყველაფერს ეს პარტია წყვეტდა. როგორღაც საკუთარ თავში უნდა მეპოვა სათამაშო განწყობილება, ბრძოლის უინი. უცებ ჩემს თავს დავუწუხე შთაგონება, რომ ფერის ეს მეტად ხიმ-

პათიური მოჭადრაკე, არც მეტი, არც ნაკლები, არის იმ ფაზისტის შვილი, რომელმაც საქმეში ლო ომში მძიმედ დაქრა მამაჩემი. ვითომ ამით მოვიგე ის პარტია? ვერ გეტყვით! მაგრამ მაშინ ბავშვი ვიყავი და შესაძლოა მართლაც გაქრა ამ თვითშთაგონებამ. ერთადერთი, ვინაც სათამაშოდ ხელოვნურად არ სჭირდება განწყობილების შექმნა და ვინც მულამ შუად არის თამაშისა და ბრძოლისათვის, ნონას როგორც ხედავთ, მთელი საუბარი ნონას აპოლოგია გამოგვივიდა, მაგრამ ჩანს, არც არის ეს შემთხვევითი. ჩვენთვის ძვირფას რამდენიმე სახელთან ერთად ნონაც ის სახელია, რომელსაც ქართველი ხალხი გვირის გარემე ახსენებს.

სწორედ მისგან უნდა ისწავლოს ყველამ თამაშით, ნებისყოფის მოპილიანებაც, სპორტული პათოსიანობაც!

— როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?

— მალე სსკპ თასის გუნდური გათამაშება იქნება. მე „ბურვესტნიკის“ სახელით გამოვადოქტომბერში მსოფლიოს საქადრაკო ოლიმპიადა ტარდება. საბჭოთა გუნდას საორიენტაციო შემადგენლობა ასეთია: ვაფრინდაშვილი, ჩიბურდანიძე, ალექსანდრია, ანშარუშოვა, ანშელოვსკაია, იოსელიანი. როგორც იცით, საბოლოოდ 4 მოჭადრაკე დარჩება გუნდში.

— დაბოლოს, კიდევ ერთი რამ, ნანა. ჩვენ ყველას ძალიან მოგვწონს ნანა ალექსანდრია—კომენტატორი; თუ არ დაგვზარდებთ, იყავით დროადრო „ცისკარის“ საქადრაკო კომენტატორიც!

— დიდი სიამოვნებით. „ცისკარი“ ჩემი საუვარელი ჟურნალია და მის ფურცლებზე თანამშრომლობა დიდი პატივი იქნება ჩემთვის.

საუბარი ჩაიწერა ტ. ზანტურნიამ.



იყმდრო

პაროდია

ბათუ მელია

ულტრამოდერნი ინტერვიუ

(პაროდია)

პირველი ინტერვიუს აღებიდან ზუსტად მე-10 წლისთავზე, ამჯერად ჩვენი ორი საკუთარი კორესპონდენტი, საკუთარი ფეხით, საკუთარ ბინაზე ერთდროულად ეწვია გრაფომან მწერალ გენიოსა დიდებაშვილს და მისცა შეკითხვები, რომელთა პასუხებს უცვლელად ვაქვეყნებთ.

ბენიოსა: ოო, მობრძანდით, მობრძანდით! ძალიან გამახარეთ თქვენი სტუმრობით. საწინააღმდეგო თუ არაფერი გექნებათ, მრგვალი მაგიდას გამოვიტან. (გამოაქვს მრგვალი მაგიდა, თვითონ მაგიდის თავში ჩდება). თქვენც დაბრძანდით და, რაც გინდათ, შემეკითხეთ!

I კორ.: ხომ არ ღელავთ?
ბენიოსა: მე არ ვღელავ. ღელავს ოკეანე, ზღვა, მდინარე, ტბა და ასე შემდეგ.

II კორ.: მაშინ დავიწყეთ!
I კორ.: დამებადა ასეთი კითხვა: როგორ და როდის დაიბადეთ?

ბენიოსა: მე გამირულად დავიბადე 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში, მაგრამ ჩემი დაბადების იდეა ჩემს მშობლებს გაცილებით ადრე დებადათ.

II კორ.: როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, თქვენ მწერლობა პოეზიით დაიწყეთ. თუ გახსოვთ, როდის ჩაიფიქრეთ და როდის დაწერეთ პირველი ლექსი?

ბენიოსა: როგორ არ მახსოვს: პირველი ლექსი დედის მუცელში ჩახსვისთანავე ჩაიფიქრე და იქვე დავწერე. აი, ეს ლექსიც:

დაბადებამდე
ცხრა თვეა დამარჩა,
სიხარულისგან
არც ესვამ და არც ვკვამ!
ბივი ვარ, ბივი!

ღეღაღემს ვაშა!
(ვემოქვენლები:
ვაითუ, არ მშუას?!).

დაბადებამდე დაწერილ ჩემს სხვა ლექსებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

I კორ.: დაწერილებით გვიამბეთ, ამ ათი წლის განმავლობაში რა აკეთებ, რას შერებოდით?

ბენიოსა: ამ ათი წლის განმავლობაში რამდენიმე შემოქმედებით გამარჯვება მოვიპოვე.

შარშან დამიღდა ღრო მალვის,
ჩავრთე მოცარტის „რონდო“,
დავჯექი, დავწერე რომანი
და ჯეკს ვაჯობე, ლონდონს!

რომანი ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მოსაპოვებლად წარვადგინე.

დავამთავრე პოემა „მწერლისმკამელი“, რომელიც ერთი კრიტიკოსის ცხოვრებას ასახავს. ასე ვიწყებ:

დაკრიტიკობდა, დახტოდა
მკრიტიკობელა პატარა,
გონების კარი დახშოდა,
ჭირდა იმისი ატანა.

შემდეგ, როგორც ტექსტშია.
შევქმენი თანამედროვე პოეტური ტექნიკით
ალტურვილი გვაღვისა და სეტყვის საწინააღმ-

დელო ლექსების ციკლი. წაგვიტახავთ ერთ ადგილს:

ვაზები დაუზიანა
წვეულმა გვალვამ წინანდალს...
რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოვედ წვიმადა?!

პავლემ დაფურერ რამდენიმე თავსატეხი, ტინისაქულები და ენის მოსატეხი.

ბევრი დამე გვათენე თეთრად და გადავითერთე შავად დაწერილი ჩემი შემოქმედების უველა პროდუქტი.

შევსწავლე კურდღლის მოშენების ტექნოლოგია.

ნათესავებისა და ახლობლების დაკრძალვებზე ვკითხულობდი სამგლოვიარო დეპეშებს.

კლიენტად ვმონაწილეობდი პარიკმახერთა რესპუბლიკურ კონკურსებში. მკრეჭდნენ და მპარსავდნენ სწრაფად, იაფად და კარვად.

ამოგხსენი და გამოვიცანი უამრავი რებუსი, გამოცანა, ვიქტორინა, კროსვორდი, ერთსვლიანი საქადრაკო ამოცანა.

რა არ ავიტანე ამ ათი წლის მანძილზე — ცემა, ჩქმეტა, სილა, ქიმიწეჩი, მუშტი, წიხლი, კინწი, შური, მტრობა, მოტყუება, გაცურება, დანძღვა, გინება, დაცინვა, დამცირება, გამახსარავენება, ახუჩად ავადება, მაგრამ მაინც არ დავეცი სულიერად და არ გავტყდი ფიზიკურად.

ხაილუსტრაციოდ ორიოდ მაგალითს გეტყვით: ლექსებს მოვიტან და დამიბეჭდე-მეთქი, დავთრეკე ერთი ფურნალის რედაქტორს.

არ ვინდა მოტანა, ისე დავიბეჭდავო! — მითხრა და დამივიდა ურმილი.

სისტემატურად ვმონაწილეობ სხვადასხვა სახის ლიტერატურულ კონკურსებში, მაგრამ ავტორიტეტულმა ეიურისმ არც ერთხელ არ მომანიჭა არც ერთი პრემია.

რა ექნა, ძმაო, არც ერთი შენი ნაწარმოები არ მომწონსო — პირში მითხრა ერთმა შურიანმა მწერალმა.

მაგენი მე შენთვის არ დამიწერია, სხვებისთვის დავეწერე, შენთვის ცალკე დავწერ და ისინო წაიკითხე-მეთქი — ვუთხარი გაბრაზებულმა.

II კმრ.: დაწუნარდით, დაწუნარდით და ერთ სასიამოვნო შეკითხვას მოგკეთებ: ღვინოს თუ სეკამთ?

პანენოს: ადრე ვსვამდი. ახლა კი ღვინოს ვერ ვიტან და არც ვსვამ. ხომ ვახსოვრ ღათიანური ანდაზა — „ინ ვინო ვერიტას“ — ვინც ღვინოს ვერ იტანს, იმან არ უნდა დალიოს, ეს არის ქვეშარტიკებაო!

I კმრ.: მომავლისთვის რა შემოქმედებითი გეგმები გაქვთ?

პანენოს: გამომცემლობა „მერანის“ საგამოყენო დარბაზში მოვაწულებ გამომცემლობებისა და ფურნალ-გაზეთების რედაქციების მიერ და-

წუნებული ჩემი ნაწარმოებების პირველ პერსონალურ გამოფენას.

II კმრ.: თანამედროვე ქართველი მწერლებიდან ვინ მოაწონთ ყველაზე მეტად?

პანენოს: თანამედროვე ქართველ მწერლებს მე სამ ჯგუფად ვყოფ: მოქმედი მწერლები, თანდარის მწერლები და გადამდგარი მწერლები. მოქმედი მწერლებიდან ყველაზე მეტად მომწონს აქტივეს ქუსლაძე, ღვთისო იბლაიანი, შადიანი შებერტყილი, ჟრუანტელა მომგვრელაძე, ლექსო განცდაძე, ვანო ბანალური, პლაგიატორს ქურდაძე, ბუღარა ბოლმიანი, მინორა მაჟორაძე, შაორ მინორაძე, შირა რიტმიანი, ვერლიბრ რითმიანიძე, რომან ნოველაძე, შავკვარ შურიანი, შაბლონა სტანდარტაძე, კეკელა კულმინაცია, ტრისტან ტრაგიკული, გროტესკ სარკაზმაძე, ალოპოლ ცეროზიანი, ნიკოტინ ხველდუბაძე, ეპიკურ ლირიკაშვილი, კონფლიქტ ღრამაძე, გენო განწირული, ეპოს ეპოქაძე, სტრაქონა გარითმული, ალოლაგეტ იდეური, დედაქა თარგმანაძე, პლაკატ ლოზუნგიშვილი, ალოლაისმენტ ოვაცია და ტაშა ვაშაძე.

I კმრ.: ვინ მიგანიათ თქვენზე დიდ მწერლად?

პანენოს: თუ შეიძლება, მაგ კითხვას არ ვუპასუხებ, გამოვტოვებ!

I კმრ.: დაგვისახელეთ მსოფლიო ლიტერატურის შედეგები, რომლებსაც თქვენ ყველაზე მეტად აფასებთ!

პანენოს: ჩაიწერეთ!—ტოლსტოევის „ომი და სასჯელი“, „დანაშაული და მშვიდობა“, „ძმები კარისმეზობლები“, აგრეთვე უცხოელი კლასიკოსების „ბიძია თომას მანის ქონა“, „ბუტერბროდები“, „ტომ საროიანის თავდასხვალი“, „მადამ პოვარი“ და „მარკტვენ იდენი“.

I კმრ.: რა განსხვავებაა მწერალსა და მკითხველს შორის?

პანენოს: მწერალი ამავე დროს მკითხველიც უნდა იყოს, მკითხველი კი, აუცილებელი არ არის, იყოს მწერალი.

II კმრ.: ავად არასოდეს არ ყოფილხართ?

პანენოს: ერთხელ ვიყავ ავად, სიყვითლე დამემართა და ექიმებმა ჩემი სახელი ოქროს ასოებით ჩაწერეს ავადმყოფობის ისტორიაში. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობა კი, რომელსაც უეჭველი გარდაცვალება მოჰყვება ხოლმე, ჯერ არ გამოვივლია.

I კმრ.: როგორია თქვენი ახლანდელი ოჯახური მდგომარეობა?

პანენოს: მეორე ცოლიც გავუშვი და პირველი ცოლი შევირთე მეორედ მესამე ცოლად. ისევ დაიწყო წუწუნი, დარბულად ვცხოვრობთ. ისევ გავუშვი ისიც და მეორე ცოლი კვლავ შევირთე მეორედ მეოთხე ცოლად. შევირთე, მაგრამ, ვაი, ამ შერთვას მაინც არ მოიშალა თავისი და ახლა მოკვდით მემუქრე-



ბა. ამიტომ, სანამ მართლა მომკლავდეს, ეს მეოთხე ცოლიც უნდა გავუშვა და პირველი ცოლი შევირთო მესამედ მესუთე და უკანასკნელ ცოლად.

II კმრ.: რა აზრისა ხართ სიკვდილზე, როგორც ასეთზე?

გენიოსა: სიკვდილი ანუ, პოეტურად რომ ვთქვათ, გარდაცვალება, ჭერ კიდეც ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა. სიკვდილი რომ არ იყოს, ადამიანები დაზოცავდნენ ერთმანეთს აშდენად იგი სიცოცხლის სადარაჯოზე დგას და მისი არსებობა გამართლებულად ვამჩნია. „სიკვდილის ან უნდა გვეშინოდეს, — ვახსწავდის არისტოტელე, — რადგან, სანამ ჩვენ ვართ, სიკვდილი არ არის, ხოლო, როცა სიკვდილი არის, ჩვენ აღარ ვართ“.

I კმრ.: მწერლობის გარდა, კიდეც რა საქმიანობას ეწევი?


გენიოსა: ვეწევი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ცხოვრების ქაპანს და სიგარეტ „კოლხეთს“.

II კმრ.: როდის აპირებთ იუბილეს გადართობას?

გენიოსა: 1980 წელს დაბადების 75 წლისთავი მისრულდება. გამოვეცემ ჩემს მრავალტომეულს, გადავიხდი იუბილეს, მერე ცოცხალი კიდეც წავიცოცხლებ, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კალამს ხელიდან არ გავაგდებ და წერას თავს არ დავანებებ. რომ ვიგრძნობ აღსასრულის მოახლოებას, რამდენიმე დღით აღრე, მე თვითონ წინასწარ შეეჭმნი ჩემს დამკრძალავ კომისიას. მასში შევიყვან ყველას, ვინც სიცოცხლეში მითხრის სამარტს (მათ ეს საქმე დაწყებული აქვთ და, ბარემ, ბოლომდე მიიყვანონ!). მე თვითონვე გავიღებ ჩემი დაკრძალვის ხარჯებს. მერე ავღვები, დავწვიები და გარდავიცვლები.

I კმრ.: მოლით, ანთ დეამთავროთ! მგონი, ბევრი დრო წაგართვით, არა?

გენიოსა: რა მოხდა მერე, დროს მეტი რა მაქვს, მომავალშიც არ დაიწაროთ, შემოიარეთ, ინტერვიუს როგორ დავამადლით?! აბა, კარგად ბრძანდებოდეთ.



იაკონია

მარტოდმარტო ჩრდილო
კოლუსისკენ

იაკონელმა მოგზაურმა ნაომი უემურამ გადაწყვიტა მარტოდმარტომ ძალღებშე-ბმული მარნილით მიადწიოს ჩრდილო პოლუსს. ამ რამ-დენიმე ხნის წინათ იგი გზას დაადგა კანადის ტერიტორი-იდან.

მისი მარშრუტის სიგრძე 6000 კილომეტრია. უემუ-რას ვარაუდით, მან ეს მანძი-ლა თვენახევარში უნდა დაფა-როს. გზაში უემურა ჩაიწერს დაკვირვებებს, აიღებს თოვ-ლის სინჯს. აქეთობისას მო-გზაური აპირებს გადასეროს გრენლანდია.

ტოკიოს უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულ-ტეტდამთავრებულმა მოგზა-ურმა, რომელიც 36 წლისაა, ადრე მარტოდმარტომ მოაწ-ყო 18-თვიანა მოგზაურობა არქტიკის ყინულოვან სივრცე-ებში. მაშინ მან 12 თასი კი-ლომეტრი გაიარა. მოგზაუ-რობას 1974 წლის მიწურულს შეუდგა გრენლანდიაში და 1976 წელს დაასრულა ალას-კაზე. ეს გზა მან ძალღებშე-ბმული მარნილით განვლო. უე-მურამ ამაზონზეც იმოგზაუ-რა; სამხრეთ ამერიკის ამ უდიდესი მდინარის სათავიდან დაიწყო და იქამდე მივიდა, სადაც ამაზონი ატლანტის ოკეანეს ერთვის.

უემურა მსოფლიოს უმაღ-ლეს მწვერვალზე — ჯომო-ლუნგმაზეც არის ნაშეოფი, დაიპყრო კილიმანჯარო და მონბლანი; ჩრდილო პოლუს-

ზე მოგზაურობის შემდეგ აპ-ირებს კვლავ მარტოდმარტო დაადგეს გზას სამხრეთ პო-ლუსისკენ.

ინგლისი

საპარაკო ფიგურების
ტურნირი

ამ საპარაკო შეჯიბრე-ბაში მოეწყობა წინასწარი ტუ-რნირები, ნახევარფინალები და ფინალი, მაგრამ... მონაწილე-ნი იქნებიან არა დიდოს-ტატები და ოსტატები, არა-მედ თვით საპარაკო ფიგუ-რები. რომელ შეჯიბრებაზეა ლაპარაკი? საპარაკო ფიგუ-რების კოლექციონერთა საერ-თაშორისო შეჯიბრებაზე. სა-უკეთესო კოლექციის გამარჯ-ვებულად აღიარებენ.

როგორ წარიმართება. ეს თავისებური ტურნირი? უპი-რველეს ყოვლისა, მოეწყობა გამოფენები ოცი სახელმწი-ფოს დედაქალაქებში. საუკე-თესო კოლექციებია „გავლენ“ ნახევარფინალში, ხოლო ფი-ნალი ლონდონში მოეწყობა. საპარაკო კოლექციონერების ამ უჩვეულო შეჯიბრებას ფიდე ატარებს. ტურნირის მიზანი ხომ ერთია — სტი-მული მასცეს მაღალმხატვ-რული ფიგურების შექმნას.

ინდოეთი

ჰმის ხანის აღმავანები

ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების თაობაზე ინდო-ეთში დაახლოებით ასე ლა-პარაკობენ, თუ გინდა თავი პირველადმოჩინად იგულო, მაშინ ამ აღუმაღლებით მო-

ცული მხარეებისკენ გაუდგეი გზასო.

აღამანისა და ნიკობარის კუნძულები 250-მდე მიწის ნაფლეთია, ზღვაოსნებისათ-ვის საშიშ ბენგალის ყურის დასავლეთ ნაწილში რომ არიან მიმოფანტულნი. მკვი-დრი მოსახლეობა კუნძულებ-ზე ბევრი აღარ ღარჩა, ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხო-ვანი იყო უძველესი ტომია ეგრეთწოდებული „დიდი ანდა-მანები“. ეს ტომი სულ 28 კაცს ითვლის: 9 ქალსა და 14 მამაკაცს. ინდური უტრანა-ლის „ლინკის“ ცნობით, ნეგე-როილული რასის ასეთივე ტო-რები დიდი ხანია ამოწყდნენ ახალ გვინეასა და ავსტრალია-ში. ორ სხვა შემორჩენილ ტომს „ონგესი“ და „უარაკასი“ ჰქვია.

კუნძულითა ამ ყველაზე უფრო იდუმალებით მოცულ ქაფუხს ეკუთვნიან „სენტინელ-იონის“ ტომის წარმომადგენ-ლები. ისინი 47 კვადრატულ კილომეტრზე არიან მიმოფან-ტულნი. უცხოელებს მტრულად ხედებიან; სენტინელიები ას-ლოს ცოტა ვინმეს თუ უნახავს და თუ უნახავს, ალბათ, დაღუ-პული გემის გადარჩენილ მენ-ღაურებს; ნაპირზე რომ შემ-თხვევით აღმოჩნდნენ.

ანთროპოლოგების ფიქრით, ეს ტომი დედამიწაზე ხელუ-ხლებლად შემორჩენილი ერთი უნიშვიათესი ტომია.

„ბამბუკის“ აღმავანები

ინდოეთში ათობით ტომი სახლობს, რომელთა ცხოვრე-ბის უაიდას, ადათ-წესებსა და ჩვეულებებს ფესვი შორეთულ წარსულში უდგათ. ახლა ამ



ტომების რიცხვს კიდევ ერთი — „ბამბუკის“ ტომი შეემატა. ეს ტომი შემთხვევით აღმოაჩინეს გზასადენილმა ვაჭრებმა ინდოეთის სამხრეთ შტატების თამილნადუსა და კერალის საზღვართან.

ეს ტომი ასე იმიტომ იწოდება, რომ მთელი მისი სამეურნეო ცხოვრება დაკავშირებულია ბამბუკის ხესთან. ბამბუკში ინახავენ ველურ თაფლს, წყალს; ბამბუკის ფოთლებიდან კი „ტანსაცმელს“ ამზადებენ. ამ ფოთლებითაა გადახურული აგრეთვე ბამბუკის ჯოხებისგან ნაგები კარვები.

„ბამბუკის“ ადამიანები მოხეტიალე ცხოვრებას ეწევიან, თავი ველური ხილითა და კენკრით ვაჭვთ. მათთვის უცნობია მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

იტალია

ვილა ვეზუვის ასლოს

კომპანის რაიონში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს კარგად შენახული ვილა და საცურაო აუზი.

60 მეტრი სიგრძისა და 16 მეტრი სიგანის აუზი მოპირკეთებულია მარმარილოს ფილებით და მორთულია მარმარილოს ქანდაკებებით. სპეციალისტების აზრით, ეს ძველისძველი ვილა ეკუთვნოდა რომის იმპერატორის ნერონის მეუღლეს. ვილა მდებარეობდა ქალაქ ოპლონტის განაპირას; ეს ქალაქი, ისევე როგორც პომპეი, დაიღუპა ვეზუვის ამოფრქვევის დროს.

კომპი გვერდზე აღარ იხრება

როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, პიზის კომპის გვერდზე გადახრის მთავარი მიზეზი მიწისქვეშა წყლების დონის ცვლილება უნდა იყოს. სწორედ ამიტომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში მკაცრად იყო შეზღუდული სასმელი წყლის ამოქაჩვა პიზის კომპის ზონიდან.

და მოხდა მოულოდნელი რამ — პირველად რამდენიმე საუკუნის მანძილზე შეჩერდა კომპის გვერდზე გადახრა. ჭეჭერობით ექსპერტებს

შეტიცე აზრი არა აქვთ. თაობაზე, საბოლოოდ შეჩერდა გადახრა თუ კომპმა უბრალოდ თავისებური ტიპი-აუტი აიღო. ზუსტ პასუხს ამაზე შემდგომი გეოდეზიური გამოკვლევები გავცემს.

სირია

დედი აღმოჩნდა

ჩრდილოეთ სირიაში, ალექსანდრე 48 კილომეტრზე მოხდა უკანასკნელი წლების უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენა.

პალოლ მათე და ჯოვანი პეტინატო (რომის უნივერსიტეტი) ამ ადგილას ჭერ კიდევ 1964 წელს შეუდგნენ გათხრებს, მაგრამ მხოლოდ ახლახანს აღმოაჩინეს ლურსმული წარწერებით შესრულებული 15 ათასზე მეტი თიხის ფირფიტა. ფირფიტები დაახლოებით 4500 წლისაა. ისინი ორ მომცრო ოთახში ეწყო, რომელიც, ალბათ, სასახლის წიგნსაცავის ნაწილს წარმოადგენდნენ. წარწერებიდან ნათელი გახდა, რომ გათხრების ადგილზე ოდესღაც მდებარეობდა ქალაქი ებლა.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მახალბეს მიიღებს არა უმეტეს ერთი ნაავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-26-85, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეობი — 90-85-81, პროზის — 72-26-80, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-82, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 15. 5. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 7. 78 წ., ქაღალდის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. ბირთობით ფორმათა რაოდენობა 14. საბარ-საკ. თაბახი 15,35. შეკვ. № 1418. უე 08617. ტირაჟი 31.070.

3360 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236